

PAX GEORGIANA

აფხაზური საკითხი ქართული პრესის დღის წესრიგში
2002 - 2010

სათუნა მაისაშვილი
მანია გოგოლაძე
ლიზ ტოკლიკიშვილი

Pax Georgiana

„აფხაზური საკითხი“
ქართული პრესის დღის წესრიგში
2002-2010 წლები

მაია გოგოლაძე
ხათუნა მაისაშვილი
ლია ტოკლიკიშვილი

თბილისი
2015

მადლიერებას გამოვხატავთ:

საერთაშორისო ფონდის, „შერიგების რესურსების“, მიმართ, რომლის გრანტმაც შესაძლებელი გახადა კვლევის „აფხაზური საკითხი ქართული პრესის დღის წესრიგში“ შესრულება;

ასევე, პირადად ბატონი პაატა ზაქარეიშვილისადმი, რომლის წვლილიც კვლევის დასკვნებსა და მიგნებებში ფასდაუდებელია;

ასევე, პირადად ბატონი ირაკლი ბერიძისადმი, რომლის უანგარო დახმარებამ შესაძლებელი გახადა სახელმძღვანელოს გამოცემა.

ეს წიგნი არის მცდელობა „აფხაზური საკითხის“ განხილვისა პოლიტიკური დიკურსისა და მედიადისკურსის გადამკვეთ ველში. მისი შექმნის იდეა და ინტერესი არის, უჩვენოს თითოეული პოლიტიკური თუ მედიაჩარჩო, რომელიც ქმნის „აფხაზური საკითხის“ მნიშვნელობას საზოგადოებაში. ვრცელი ემპირიული მასალა (2002-2010) გაანალიზებულია თანამედროვე კვლევითი მეთოდოლოგიით.

წიგნი განკუთვნილია პოლიტიკისა და მედიასფეროს გამოცდილი თუ დამწყები პროფესიონალებისთვის, მათ შორის - სტუდენტებისთვის, იგი ასევე დააკმაყოფილებს მკითხველთა ფართო წრის ინტერესსა და გემოვნებას.

Pax Georgiana

ავტორები: ხათუნა მაისაშვილი
მაია გოგოლაძე
ლია ტოპლიკაშვილი
ყდის დიაზინი: თემურ ედილაშვილი

© ხათუნა მაისაშვილი, მაია გოგოლაძე, ლია ტოპლიკაშვილი

ISBN 978-9941-0-6914-7



შპს გამომცემლობა შემოქმედი ანგელოზი
info@creativeangelpublishing.com

სარჩივი

შესავალი7

თავი 1

ახლოს და შორს – პოლიტიკასა და მედიაში..... 12

საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური
დაპკვეთა და „აფხაზური საკითხი“ 13

კვლევის მიზანი, მეთოდი და თეორიული არგუმენტები23

წულოვანჯამოვანი თამაში34

„აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ – იდენტობის პრემოდერნული,
პოსტმოდერნული თუ ფიქციური პრემეტი?49

აფხაზეთის დამოუკიდებლობა 1990-იანი წლების გლობალური
პერსპექტივიდან და პასუხგაუცემელი შეკითხვები50

მედია და „აფხაზეთის ეროვნული ადგილი“.
თეორიული არგუმენტები56

ეთნოსი, ერი თუ დაქსაქსული თემების სიმრავლე?62

ბალის დრამა, ანუ მარადიული მძევლები.....77

თავი 2

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტი –
მედიადისკუსი და პოლიტიკური სისტემა82**

**მიზნობრივი „ქართულ-აფხაზური“ მედიაპრემეტები
ქართულ მედიაში 2004-2008 წლები.....82**

კამკანეური კომუნიკაციის სირთულეები
აფხაზური საკითხის ირგვლივ.....83

კომუნიკატორთა ტიპები და
პეტჟობინების თავისებურებები93

კომუნიკატორი და კომუნიკაციის ენა93

კომუნიკატორი და კომუნიკაციის მიზანი97

კომუნიკატორი და შერიგების ენა98

კომუნიკატორი და მისი მონოდება.....99

კომუნიკატორი და კონფლიქტის დინამიკის შეფასება100

მშვიდობის ჟურნალისტიკა vs
ომისა და ძალადობის ჟურნალისტიკა.....101

პუნსავლელი კონფლიქტი და პასუხგაუცემელი კითხვები108

კონფლიქტის დინამიკა109

კონფლიქტის მონანილე მხარეები.....109

კონფლიქტის სიმეტრიულობა ან ასიმეტრიულობა110

კონფლიქტის საგანი110

შერიგების საფუძვლები.	
ქართველები და აფხაზები ერთმანეთის თვალთ	112
ქართველები და აფხაზები ერთმანეთის თვალთ	114
მხარეთა საერთო ინტერესები	115
მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესები	116
ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების	
პროცესის ხელშემწყობი ფაქტორები	116
შერიგების საფუძვლებისა და შერიგების რესურსების ძიება	117
კომპრომისი	117

თავი 3

2003-2007 წლები: საქართველოს ორი ხელისუფლების	
პოლიტიკა აფხაზეთისთვის	118
პოლიტიკონები და პოლიტიკური ინსტიტუციები:	
მედიაციული ტრიტა და მის გარეშე	119
ვინ მონაწილეობს პოლიტიკაში	120
პოლიტიკური აქტორების დამოკიდებულება	
აფხაზეთის პრობლემის მოგვარების კურსთან	131
რუსეთის ფაქტორი	148
საერთაშორისო ორგანიზაციები	161
დანართები	174
მეთოდის აღწერა და სტატისტიკური პროცედურების	
შედეგები პირველი თავისთვის	176
ფაქტორული ანალიზი	190
ქართულ-აფხაზური კონფლიქტი – მედიადისკუსი	
და პოლიტიკური სისტემა	
მეთოდის აღწერა მეორე თავისთვის	198

შესავალი

რადგანაც ჯერ კიდევ არსებობენ ომები, კონფლიქტები, კრიზისები, არსებობს ომის, კონფლიქტის, კრიზისის, რისკების ჟურნალისტიკაც. არსებობს ომისა და კონფლიქტის მედიაში წარმორჩენის კანონზომიერებები და არსებობს ჟურნალისტურ პუბლიკაციებში ასახული და შენახული ომები და კონფლიქტები, როგორც სოციალური და კულტურული პროდუქტი.

ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის ცხელი ფაზის მედიაში წარმორჩენა ბევრად უფრო ადვილად ემორჩილება კანონზომიერებებს, ვიდრე განგრძობადი, გაჭიანურებული კონფლიქტური სიტუაციის ასახვა. კონფლიქტის ცხელი ფაზა ხასიათდება: შედარებით მოკლე დროითი პერიოდით, დაპირისპირებული მხარეების გამოკვეთილი უშუალო ურთიერთქმედებებით, სპეციფიკური დინამიკითა და პროგნოზირებადი გამოვლინებებით.

განგრძობითი კონფლიქტისას, დროთა განმავლობაში, თავად კონფლიქტი იცვლის მიმდინარეობის ბუნებას, „გრილდება“, ან პერიოდულად „ცხელდება“, იკარგება კონფლიქტისთვის დამახასიათებელი თავდაპირველი ნიშან-თვისებები. დომინანტური პოლიტიკური დისკურსის გავლენით მნიშვნელობას იცვლიან ის ღირებულებები, რომლებმაც თავის დროზე კონფლიქტი გამოინვიეს, იფანტება კონფლიქტის გადმოცემის, რეპორტირების ადგილი და საომარი თეატრი ადგილს უთმობს სხვადასხვა დეიქტიკურ ცენტრებს. ამ დროს ვერ ხერხდება მხარეთა პოზიციების თანაზომიერად წარმორჩენა, რადგან მხარეთა საკომუნიკაციო ველი იმდენად სცილდება ერთმანეთს, რომ ისინი გადაუკვეთავ სიბრტყეებად იქცევიან.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ამგვარ განგრძობად კონფლიქტთა ტიპს მიეკუთვნება. 2014 წლის აგვისტოში სუპრანაციონალურმა ორგანიზაციებმა ამ კონფლიქტს „გაჭიანურებული კონფლიქტის“ სტატუსი მიაკუთვნეს.

ჩვენი მცდელობა, შევისწავლოთ და გამოვცადოთ სოციალურ-პოლიტიკური დაკვეთისა და პოლიტიკური დისკურსის გავლენა „აფხაზეთის საკითხის“ მედიურ რეპრეზენტაციაზე, ერთერთი პირველი მცდელობაა ამ მიმართულებით. სპეციფიკური დროითი პერიოდის – 2002-2010 წლები – შესწავლამ გვიჩვენა

ის „თეთრი ლაქები“ და „ხაფანგები“, რომლებსაც განგრძობადი კონფლიქტი უქმნის ჟურნალისტებს და გვიჩვენა, როგორ იცვლიან ბუნებასა და ფუნქციას სხვადასხვა განზომილებების მქონე საკომუნიკაციო ეფექტები კონფლიქტის „ცხელი“ და „გრილი“ პერიოდების მედიაში გადმოცემისას.

კერძოდ:

სივრცე – თუკი ომის ან კონფლიქტის ცხელი ფაზის წარმოჩენისას მედიური შეტყობინების მიმღებისთვის მნიშვნელოვანია, შეეხება თუ არა მას ეს კონფლიქტი პირადად და უშუალოდ, ან რამდენად ახლოს ან შორს არის მისგან ომი და მისით გამოწვეული ყველა საფრთხე, სიცოცხლის ხელყოფის ჩათვლით, „გრილ“ პერიოდში ეს სივრცითი განზომილება მნიშვნელობას კარგავს და მიმღები სჯერდება მხოლოდ „ცოდნის“, ანუ ინფორმაციის მიღებას კონფლიქტის ადგილიდან.

ძალაუფლება – ომის ან ცხელი კონფლიქტის პერიოდში მიღებული ნებისმიერი შეტყობინება მიმღების მიერ აღიქმება როგორც გარკვეული ქცევისკენ ნამქეზებელი მოწოდება უშუალოდ მის მიმართ, როგორც გარკვეული ძალაუფლების მქონე ინდივიდუუმისადმი. კონფლიქტის „გრილ“ პერიოდში ეს ეფექტიც გრილდება და მიმღებიც არა იმდენად ბიჰევიორისტული, არამედ უფრო მეტად კოგნიტიური ეფექტების ველში ექცევა.

დრო – ომისა და „ცხელი“ კონფლიქტის მედიაცია მიმღებში ამძაფრებს საკუთარი წარსულისა და მომავლის აღქმას, რადგანაც ეს ომი, კონფლიქტი, მსხვერპლი სწორედ წარსულ-მომავლის მიჯნაა, განგრძობადი კონფლიქტი კი, ანმყოს ადინამიურობისა და მომავლის ბუნდოვანების გამო, მიმღებს მხოლოდ წარსულს „უტოვებს“ გადასაზრებლად.

იდენტობა – კონფლიქტის ცხელი ფაზისგან განსხვავებით, „გრილ“ ფაზაში შესაძლებელია, მოხდეს მიმღების იდენტობითი დისაცოციაცია კონფლიქტის იდენტობითი საფუძვლებისგან. ამის ყველაზე უფრო ცხადი მაგალითია ცვლილებები, რომლებიც განგრძობადი კონფლიქტისას პარადიგმაში „ჩვენ“- „ისინი“ იჩენენ თავს. მნიშვნელობის თვალსაზრისით „ჩვენ“ უფრო მეტად ინარჩუნებს ერთმნიშვნელოვნებას, ვიდრე „ისინი“. „ჩვენ“ ყოველთვის ქართული მხარეა, ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება, „ისინი“ კი კონფლიქტის ფაზების ცვლილების კვალად იცვლიან კონოტაციურ მნიშვნელობებს. „ისინი“ მუდამ

„ჩვენთან“ არიან დაპირისპირებულები, ოღონდ სხვადასხვა ბუნებით და სხვადასხვა მოტივაციით, „ისინი“ ხან „ჩვენის“ სეპარირებული ნაწილია („უცხოთა“, მაგალითად, რუსების გავლენითა და წაქეზებით), ხან თავად არიან „უცხო“ და „მტერი“, ხან – „ჩვენგან განსხვავებულნი“ და განსხვავებული მიზნების მქონენი.

როგორც ვხედავთ, რეალურად, განგრძობადი კონფლიქტი ბუნებრივად იწვევს ბევრი კომუნიკაციური ეფექტის შეცვლას. ეს გარემოება გავლენას ახდენს კონფლიქტის ბუნებისა და მასთან ასოციაციურად დაკავშირებული ცნებებისა და მათი მნიშვნელობების მედიაში წარმოჩენაზე.

ზოგადად, მედიური დისკურსი ყალიბდება საზოგადოებრივი აზრის, საზოგადოებრივი დაკვეთისა და პოლიტიკოსების მიერ საზოგადოებრივი დაკვეთის აღქმის გავლენით, თუმცა შინაარსსა და გამომხატვის ფორმას მედიის, როგორც საკუთარ შინაგან ლოგიკას დაქვემდებარებული სისტემის, უფრო ზუსტად კი – მისი სოციალურ-კულტურული და ნორმატიულ-ოპერაციული კანონზომიერებების მიხედვით იძენს.

მაგალითად, თუკი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ცხელ ფაზაში „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ და „კონფლიქტის გადაჭრა“ ფაქტობრივად იდენტური მნიშვნელობის ცნებებია, განგრძობად და „გაგრძელებულ“ კონფლიქტში ისინი პრაგმატიკულად შორდებიან ერთმანეთს: „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ მიზანია, ხოლო „კონფლიქტის მოგვარება, გადაჭრა“ ამ მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანა. კონფლიქტის განგრძობადობა ხელს უწყობს და განაპირობებს ახალი ბუფერული ცნებების ჩადგომას ამ ორ კონსტრუქციას შორის. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ბუფერული ტერმინია „რეინტეგრაცია“. იგი ჩნდება მაშინ, როცა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მედიური ხატები და სახეები კარგავენ კონფლიქტის ნიშან-თვისებებს, ან კონკრეტული პროცესების აღქმა ქმნის ილუზიას, რომ კონფლიქტი თავისი ზუსტი მნიშვნელობით ამოიწურა. ამ შემთხვევაში „რეინტეგრაცია“ ხან უთანაბრდება მნიშვნელობით „კონფლიქტის გადაჭრას“, ხან მისი ანტაგონისტი ტერმინი ხდება, ხან კი „რეინტეგრაცია“ წარმოჩინდება იმ საშუალებად, რომლითაც მიღწეულ უნდა იქნას მიზანი – „კონფლიქტის გადაჭრა“, რომელიც, თავის მხრივ, სხვა მიზანს ემსახურება – „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“. ეს, ერთი

შეხედვით, მარტივი „ტერმინოლოგიური და ტექნიკური გაუგებრობა“ დამახინჯებული დეკოდირების მიზეზი ხდება. მედიური შინაარსი გვიჩვენებს, რომ იგივე კონსტრუქცია „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ მედიურ დისკურსში არსებითად იცვლის შინაარსს და უმეტეს შემთხვევებში „კონფლიქტის მოგვარებად“ ტრანსფორმირდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი კონსტრუქცია პერცეფციის დონეზე იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ შესაძლებელია მათი გაიგივება გარკვეულ კონტექსტში, მედიური ნიმუშების შინაარსობრივი და მნიშვნელობითი ჩარჩოები უფრო მეტად არსებული კონფლიქტის ნიშან-თვისებებსა (მათ მიმდინარე მდგომარეობაზე, მათ სხვადასხვა ხარისხზე) და „კონფლიქტის მოგვარებაზე“ მორგებული, ვიდრე „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე“, და მედიაში წარმოჩენილი თემებისა და საკითხების დიაპაზონი „კონფლიქტის მოგვარებას“ უფრო რთულ ამოცანად სახავს, ვიდრე „ტერიტორიული მთლიანობის“ აღდგენას. შეიძლება ამას ვუნოდოთ კონფლიქტის პერსპექტივის სპეციფიკური ვერსიის შექმნა, რომელიც ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ხანმოკლე პერსპექტივაში ქართულ საზოგადოებას აფხაზ ხალხთან და საზოგადოებასთან ინტეგრაცია უფრო აინტერესებს, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში, შესაძლოა, ამ ინტეგრაციის შედეგი აღმოჩნდეს.

თუმცა „კონფლიქტის გაუგებელყოფა“ ეწინააღმდეგება როგორც დომინანტური პოლიტიკური დისკურსის ინტერესებს, ისე მედიის ღირებულებებზე კრიტიკურობებს, ამიტომ ეფექტების შენარჩუნების მიზნით იქმნება მედიაციის ისეთი სტრატეგიები, რომლებიც შეტყობინების მიმღებს მუდმივად აბრუნებს კონფლიქტის სათავეებთან. ეს არის „სიმართლის თქმის“, „მარადიული რუსის და მარადიული სპეცსამსახურების“ და „ეგზემპლიფიკაციის“ სტრატეგიები. „აფხაზური საკითხის“ წიაღში ხდომილებების კლების კვალად ყოველ ჯერზე მედიაში ჩნდება ვინმე პიროვნება, რომელიც „სიმართლეს ამბობს“ აფხაზეთის, აფხაზების, ქართულ-აფხაზური ომის შესახებ. გაურკვეველია, ვისთვის ითქმევა ეს სიმართლე: ხელისუფლებამ ისედაც იცის სიმართლე (ანუ რა მოხდა რეალურად), მოსახლეობის უმრავლესობას მრავალგზის, სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ აქვს მოსმენილი „მრავალი სიმართლე“. სიმართლის კონსტრუირებას

ამყარებს ეგზემპლიფიკაცია, ანუ შემზარავი, დრამატული მაგალითების მოყვანა ქართულ-აფხაზური ომის ისტორიიდან, რომლებიც ყველა დროის ყველა ომის მითების კატეგორიას განეკუთვნება: მაგალითად, აფხაზები გაგრის სტადიონზე ქართველების მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, ჩრდილოკავკასიელმა ბოევიკებმა ქართველ ორსულ ქალებს ცეცხლნაკიდებულ საბურავები გადააცვეს და ასე შემდეგ.

2008 წლიდან 2014 წლამდე აფხაზური საკითხის მედიაში ჩვენება რუსეთის ფაქტორის, როგორც გადამჭრელი, საკვანძო ფაქტორის, შემოტანით ხდება. ეს გარემოება „აფხაზური საკითხის“ კონტექსტში ანულირებას უკეთებს ქართული და აფხაზური მხარეების მოტივაციას კონფლიქტში და მათ ნებას კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივაში (თუმცა აღსანიშნავია, რომ საკითხის ამგვარი დისპოზიცია ახალი არ არის – ეს „ტრადიცია“ მომდინარეობს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა „აიდგილარა“ და „ადამონ ნიხასი“ ქართულმა პოლიტიკურმა დისკურსმა არა აფხაზი და ოსი ხალხების ნების გამოხატულებად, არამედ რუსეთის სპეცსამსახურების პროექტად დაასახელა და შესაბამისი იარლიყიც მიანება).

როცა მიმდინარე კონკრეტულ მომენტში რეალურ ხდომილებაში კონფლიქტის ნიშნები იკარგება, დგება „კონფლიქტური სიტუაციის“ მედიაში პრეზერვაციის აუცილებლობა, როგორც „სასურველი საკითხავისა“. სასურველ საკითხავს კი თავისი ნიშან-თვისებები აქვს: ენა, რომელიც შეიძლება იყოს ომის ან მშვიდობის, აქტანტები, რომლებიც ამ ენის, დისკურსის გამოყენებით საზოგადოებრივად მნიშვნელოვან შეტყობინებას ქმნიან, და მხარეთა შორის ურთიერთობების ყალიბები, რომლებიც ყოველთვის დომინაცია-სუბორდინაციის ვერტიკალზეა განლაგებული.

PAX GEORGIANA

თავი 1

ახლოს და შორს –
პოლიტიკასა და მედიაში

ხათუნა მაისაშვილი

საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაკვეთა და „აფხაზური საკითხი“

აფხაზური საკითხი 1988 წლიდან, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული განწყობების გაღვივებისა და მისი პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე იქცა შეშფოთების საგნად ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის, არასახელისუფლებო ელიტისთვის (ინტელიგენციისთვის) და საზოგადოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არ გაგვაჩნია იმ პერიოდის საზოგადოებრივი აზრის თანმიმდევრული რეპრეზენტატული კვლევები ამ საკითხის შესახებ, მედიაში წარმოჩენილი და შენახული შინაარსი გვიჩვენებს ამ შეშფოთების სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც ერთი ნიშნის – ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივ-ეროვნული ერთობის რღვევის საფრთხის ირგვლივ არის გაერთიანებული.

1990-იან წლების ქართული მედიაში სხვადასხვა ტიპის წყაროს შეტყობინებებში ნათლად ჩანს, როგორ იყენებენ ლიდერები (პოლიტიკური ელიტა და ინტელიგენცია) თავიანთ საჯარო ენასა და კომუნიკაციის პროცესს, რათა შექმნან, გააკონტროლონ, გაავრცელონ და გამოიყენონ მედიური შეტყობინებები, როგორც „პოლიტიკური რესურსი“; როგორ ჩნდება მათ დისკურსში საყვარელი ეროვნული სიმბოლოები, რათა პოლიტიკურმა ლიდერებმა უკეთ შესძლონ საზოგადოებრივი ემოციის მობილიზება „ოსური“ და „აფხაზური“ კრიზისის პერიოდში. ქართული კულტურული ელიტის წარმომადგენლები ცდილობენ, ოსსა და აფხაზს დაანახონ თვისობრივად ახალ სახელმწიფოში ერთობლივი ცხოვრების მიმზიდველობა იმ სახელმწიფო წესრიგის პირობებში, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველო შექმნის. მაგალითად: „აფხაზეთი“ წარმოადგენს სინონიმს სიტყვისა „საქართველო“... უთხრა ქართველს, რომ აფხაზეთს შეუძლია გავიდეს საქართველოდან (მე განვმარტავ: ერების სტრუქტურას და არა რეალობას) – ეს დაახლოებით იგივეა, რომ უთხრა: „საქართველოს შეუძლია გავიდეს თავისი თავიდანო“¹; ან: „მე ვიტყოდი – არსებობდა

¹ დრონი, 1991, აგვისტო, ციტატა მერაბ მამარდაშვილთან ინტერვიუდან.

ქრისტიანული აფხაზური ეთნოსი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ სახელმწიფოებრიობაში, იგი მისი შექმნის აქტიური მონაწილე იყო. ასევე აქტიური მონაწილე იყო ქართული პოლიტიკისა, მაგრამ, აბა, წადი და გააგებინე ეს დღევანდელ საბჭოთა აფხაზს, ცხოვრების საბჭოთა კანონით გამოტყინებულს. ის ისეთივე გამოტყინებულია, როგორც საბჭოთა ქართველი. ასეთი სიტუაციებიდან ხალხები გამოდიან მხოლოდ ერთად, ერთად!²

1992-1993 წლებში აფხაზეთის საკითხის მედიაცია სრულიად განსაკუთრებულია ომის მდგომარეობის გამო, ამიტომ მის განხილვას არსებული კვლევის ფარგლებში ვერ მოვაქცევთ.

1994 წლიდან „აფხაზური საკითხი“ უკვე წინასაარჩევნო (1995 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე) რიტორიკაში შემოდის, იგივე ხდება 1998 წელსაც, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, გამოვყოთ საკითხის მნიშვნელობის მედიაში ამოქმედების, ანუ აქტუალიზაციის ოთხი შრე: (1) საზოგადოებრივი აზრი საკითხის ან საკითხთა ერთობლიობის შესახებ; (2) საზოგადოებრივი დაკვეთა იმავე საკითხის შესახებ; (3) პოლიტიკოსების მიერ აღქმული საზოგადოებრივი დაკვეთის არსი, ბუნება და მოცულობა და (4) მედიურ დისკურსში ტრანსფორმირებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი დისკურსი.

საზოგადოებრივი აზრისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი დაკვეთა საზოგადოებასა (ამომრჩეველსა) და პოლიტიკოსს შორის კომუნიკაციის, გარიგების პროცესში ფორმირდება. ეს არის საზოგადოების მოწოდება პოლიტიკური მოთამაშეებისთვის, იმოქმედონ გარკვეული მიმართულებით. საზოგადოებრივი დაკვეთა თავისი ბუნებით კონსენსურია. იმ მიზანს, რომლის მისაღწევადაც საზოგადოება პოლიტიკოსებს ქმედებას სთხოვს, გრადუალური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს, ანუ განხორციელდეს გარკვეული ხარისხითა და მოცულობით, პოლიტიკური მოთამაშის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში.

მაგალითად, თუკი საზოგადოებრივი აზრის კვლევაში კონსტრუქცია „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ აბსოლუტური ღირებულებრივი და მნიშვნელობითი კატეგორიაა, საზოგადოებრივ დაკვეთაში იგი ფარდობითად წარმოგვიდგება და შეიძლება, გულისხმობდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგე-

² მამული, 1990, დეკემბერი

ნისკენ მიმართულ პოლიტიკურ განზრახვებს, ინიციატივებსა და ქმედებებს. იმ შემთხვევაში, თუკი ეს კომუნიკაციის პროცესი, სხვადასხვა მიზეზთა გამო (ვთქვათ, ან დემოკრატიის ნაკლებობის, ან ამომრჩეველსა და პოლიტიკოსს შორის სოციალური გარემოსა და მისი აღქმის მკვეთრი განსხვავების, ან სხვა რამ მიზეზების გამო) ხარვეზებით მიმდინარეობს, საზოგადოება დგება დამახინჯებული დეკოდირების შედეგების წინაშე. როცა არ ხდება პოლიტიკოსის მიერ საზოგადოების მიერ გაგზავნილი შეტყობინების მნიშვნელობის ადეკვატურად გახსნა, დამახინჯებული დეკოდირების შედეგად იქმნება ამ შეტყობინების თავისუფლად ინტერპრეტირებული, ე.წ. ფალსიფიცირებული მატრიცა, რომელიც ასახვას პოლიტიკოსის რიტორიკაში ჰპოვებს.

ვინაიდან ჩვენს საკვლევ ინტერესს 2002 წლიდან 2010 წლამდე პერიოდი წარმოადგენს, გადავხედოთ ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს, საზოგადოებრივი დაკვეთისა და პოლიტიკოსების მიერ მისი აღქმის მაფორმირებელ ფაქტორებს. საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის კვლევების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა რვა წლის განმავლობაში (2003-დან 2010 წლის ჩათვლით) სახელდებოდა პრობლემების იმ პირველ სამეულში (პირველ, მეორე ან მესამე ადგილზე), რომლებსაც საქართველოს მოსახლეობა ყველაზე აქტიურად და საშურად გადასაჭრელ პრობლემად უსახავდა ხელისუფლებას³.

2003 წლისთვის, ანუ იმ წლისთვის, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლება სააკაშვილის ხელისუფლებამ შეცვალა, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ 2003 წლის მაისში ჩატარებული გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული მთლიანობა, როგორც პრობლემა, გამოკითხული მოსახლეობის აზრით, მესამე ადგილს იკავებს – 16%-ით; გამოკითხულთა 31% არსებული მთავრობის უდიდეს ჩავარდნად ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას მიიჩნევს (1 ადგილი); გამოკითხულთა 93%-ის აზრით, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირე-

³ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ყველაზე რელევანტურ ბაზად მივიჩნიეთ შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ყოველწლიური კვლევები რამდენიმე მიზეზის გამო: 1) რეპრეზენტატიულობის მაღალი ხარისხი; 2) უწყვეტობა; 3) ყოველწლიურად განმეორებადი კვლევის მეთოდი და კითხვარის სტანდარტული ფორმა, რაც შედეგების შედარებას ვალდურს ხდის.

ბული პრობლემების გადაჭრა ძალიან მნიშვნელოვანია. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (49%) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსჯისას მათთვის საქართველოს ერთ-ერთი რიგითი (ანუ ავტონომიის გარეშე) რეგიონის სტატუსს ანიჭებს უპირატესობას (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ სტატუსს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მხარს გამოკითხულთა 43% უჭერს). საინტერესოა, რომ მოგვიანებით, 2006 წლის მაის-ივნისში ჩატარებულ გამოკითხვაში, როცა საქართველოსა და მის ხელისუფლებას უკვე გადატანილი ჰქონდათ 2004 წლის ზაფხულის ბრძოლა ცხინვალში (რაც გამოკითხულმა მოსახლეობამ მთავრობის უდიდეს ჩავარდნათა შორის მესამე ადგილზე (7%) დაასახელა), გამოკითხვაში მონაწილეთა 48%-მა აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა სამხრეთ ოსეთის სტატუსთან შედარებით უფრო საშურ საქმედ მიაჩნია. შეკითხვაზე, როგორ უნდა გადაიჭრას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები, გამოკითხულთა 80% მშვიდობიანი გზას (მოლაპარაკებების გზას) ასახელებს, ძალის გამოყენებას აუცილებლად მიიჩნევს გამოკითხულთა 14%.

დიდია ალბათობა იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე პროცესების, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებების, უშუალოდ ქართულ-აფხაზეთური თუ შერეული მოლაპარაკებების, საქართველოს სხვა რეგიონებში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ პოლიტიკურ პროცესებზე აფხაზეთში, მედიიდან (ძირითადად, ქართული მედიიდან) იღებს. გამოკითხულთა 70% მედიისადმი ნდობას ადასტურებს.

საზოგადოებრივი აზრი ნათელია: ტერიტორიული მთლიანობა ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა, რომელიც ქვეყნისა და მისი მთავრობის წინაშე დგას, იგი მშვიდობიანი გზით უნდა იყოს გადაჭრილი და, სასურველია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, საქართველოს რიგითი რეგიონის სტატუსი ჰქონდეთ; ან მათი სტატუსი, შეიძლება, განხილვას და განსჯას დაექვემდებაროს, პოლიტიკური მიზნშეწონილობიდან გამომდინარე. მაგრამ რა იყო საჭირო იმისთვის, რომ ეს აზრი საზოგადოებრივი და პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი გამხდარიყო და მომხდარიყო მისი ტრანსფორმირება საზოგადოებრივ დაკვეთად პოლიტიკოსების წინაშე; ან მომხდარიყო მედიის, როგორც სოციალურ-კულტურ-

რული სისტემის, ყველა შესაძლებლობის გამოყენება „აფხაზეთის საკითხის“ საზოგადოებრივ დღის წესრიგში ახალი კუთხით, რეალური საჭიროებიდან გამომდინარე, დასაყენებლად.

საზოგადოებრივი აზრის ამგვარი კონფიგურაციის ფონზე დისონანსურია ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიაში (ყოველ შემთხვევაში, კამპანიის იმ ვერსიაში, რომელიც მედიის მიერ არის რეპრეზენტირებული და შენახული) არაგამოკვეთილი აქცენტი ტერიტორიულ მთლიანობაზე. ეს აქცენტი ასევე არამკვეთრია ნაციონალური მოძრაობის ლიდერების რიტორიკაში უფრო წინარე პერიოდში: 2002 წელსაც. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ნაციონალური მოძრაობა იმ პერიოდის პოლიტიკური ელიტის დამკვიდრებულ, მეინსტრიმულ სტრატეგიულ კომუნიკაციას მიჰყვება და მხოლოდ რეაგირებს შევარდნაძის გარემოცვისა და მისი პოლიტიკური მხრადამჭერების რიტორიკაზე, ანუ მათ წინასაარჩევნო ლოზუნგების რევერსულ ვერსიას სთავაზობს ამომრჩეველს. ეს არის პოლიტიკური თამაშის კონკურენტულ ვერსიაში შობილი, მის შედეგად შექმნილი რიტორიკა: როცა ერთი მოთამაშე რეაგირებს მხოლოდ მეორე მოთამაშის (მისი პოლიტიკური ოპონენტის) ტაქტიკაზე, ხოლო საზოგადოება მისთვის ამ თამაშის მონაწილედ არ მიიჩნევა. „ამ [კონკურენტულ] მოდელში პოლიტიკური პარტია მოთამაშეა, ხოლო მოქალაქე – მაყურებელი, და პოლიტიკა უფრო ელიტების საქმეა, ვიდრე საზოგადოებისა. პოლიტიკა, რომელსაც გამარჯვებული პარტია გაატარებს, უფრო ამ შეჯიბრის გვერდითი პროდუქტია, ვიდრე თვითმიზანი შეჯიბრში მონაწილედ მოთამაშეთათვის.“ (მარინა მუსხელიშვილი, „საზოგადოების დაბრუნება“, კრებულში „ძალაუფლება და საზოგადოება საქართველოში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009). სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია (კრებულში «Аспекты грузино-абхазского конфликта, 9, Материалы грузино-абхазской конференции «Первые итоги», Москва, 4-8 июля, 2002, 14-15, 16) საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებსაც ქმნის პოლიტიკოსების მიერ არასწორი, რეალურ საჭიროებაზე დაუფუძნებელი დღის წესრიგის შექმნა: „ჩვენს საზოგადოებაში პოლიტიკოსები ძალიან არიან დამოკიდებულნი ამომრჩეველზე. როცა გამოდის შევარდნაძე ან რომელიმე სხვა პოლიტიკოსი, ისინი ყოველთვის იყენებენ ნაციონალურ რიტორიკას, რადგან ფიქრობენ, რომ მოსახლეობისთვის ყველაზე მთავარი პრობლემა

არის ნაციონალური პრობლემა. ისინი ფიქრობენ, რომ ეს თემა კარგად იყიდება, და დისკუსიაც ნაციონალისტური გამოსდით. სინამდვილეში კი ადამიანებს კონკრეტული პრობლემები აქვთ, მაგრამ არავის შეუძლია ილაპარაკოს კონკრეტულად ან გადან-ყვიტოს კონკრეტული საკითხები. ამიტომ ჩვენს საზოგადოებაში მუდმივად თავს იჩენს რელიგიური თავისუფლების საკითხები, ჩნდება ვინმე მკლავიშვილი, მიმდინარეობს რაღაც ბრძოლა სექ-ტების წინააღმდეგ საქართველოში. პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ ეს თემა კარგად იყიდება და ამომრჩეველი სიხარულით იღებს და აღიქვამს ასეთ თემას... რაც შეეხება ნადარეიშვილსა და მთავრობას, რომელიც თბილისშია, ისინი ფიქრობენ, რომ რომ აგრესიულობა – კარგია. თუკი ისინი მტკიცედ გამოვლენ აფხაზეთის, სოხუმის წინააღმდეგ და იტყვიან, რომ საჭიროა მათზე შეტევა, რომ პრობლემა ძალისმიერად უნდა გადაიჭრას, ისინი ფიქრობენ, რომ დევნილები უკეთ მიიღებენ ასეთ საუბარს, რომ მათთვის ასეთი მეტყველება მისაღებია. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენი პოლიტიკოსები – ნადარეიშვილის მთავრობაც და მთლი-ანად თბილისის მთავრობაც – არ იცნობენ თავიანთ ხალხს და არ იცნობენ იმ პრობლემებს, რომლებიც სინამდვილეში არსებობს“.

შესაბამისი ემპირიული მასალის უქონლობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, პრიორიტეტების იერარქიაში რეა-ლურად რა ადგილს ანიჭებდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას „რეფორმატორთა“ გუნდი (მომავალი ვარდების რევოლუციონერები), როგორი იქნებოდა მათი პოლიტიკა კონ-ფლიქტით მოცული რეგიონების მიმართ, თუმცა მთლიანი სა-კომუნიკაციო ფონი და ცალკეული ლიდერების ან აქტივის-ტების გამონათქვამები გვიბიძგებენ, ვიფიქროთ, რომ ან: ა) ნაციონალური მოძრაობა გარკვეული მიზეზების გამო თავს არი-დებდა აფხაზეთის საკითხის აქცენტირებას; ან ბ) აღიქვამდა მას შევარდნაძის პირად პრობლემად, ერთ-ერთ რიგით რეგიონულ (აჭარის მსგავს) პრობლემად, რომელიც შევარდნაძის წასვლის შემდეგ თავისით, ავტომატურ რეჟიმში მოგვარდებოდა და სა-ქართველო შევარდნაძის გარეშე ისეთივე მომხიბლავი გახდე-ბოდა აფხაზეთისთვის და მათი პოლიტიკური ელიტისთვის, როგორც თავის დროზე საქართველოსგან სეპარაცია. ასევე შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი ხედვის მიზეზი.

დაშვება პირველი. თუკი ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგია არ იყო თავისთავადი ღირებულებების მატარებელი და მისი დისკურსი გარკვეული გლობალური (ე.წ. „ნეოლიბერალური“) ძალების მხარდაჭერით იქმნებოდა, „აფხაზური საკითხი“ არ მოთავსდებოდა მათ წინასაარჩევნო რიტორიკაში, სწორედ ზედმეტად „ნაციონალისტური“ (რადგანაც ნეოლიბერალიზმი უპირველესად აღიარებს „ხალხის სუვერენიტეტს“ და არა ნაციონალისტურ ღირებულებებს, თუმცა ამ ცნებების („ხალხისა“ და „ნაციის“) თავსებადობაზე საუბარი საკითხის არსებითი განხილვისას გვექნება – ხ. მ.) ბუნების გამო.

დაშვება მეორე. რეფორმატორების გუნდის უმრავლესობას არ ჰქონდა გადატანილი ეს ომები/კონფლიქტები თავის პირად გამოცდილებაში, ხოლო მათი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი მეხსიერების დონეზე აღქმის მნიშვნელობის გაცნობიერება უძნელდებოდათ პოლიტიკური პრაქტიკის უქონლობის გამო.

დაშვება მესამე. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დღის წესრიგს მეინსტრიმულად ქმნიდა შევარდნაძე, და, ვინაიდან „აფხაზური საკითხის“ წინ წამოწევა ძალიან წამგებიანი თემა იყო შევარდნაძისთვის, იგი, შესაბამისად, არც აისახებოდა მის წინასაარჩევნო რიტორიკაშიც. ნაციონალური მოძრაობა კი შევარდნაძის პოლიტიკის სარკისებურ კამპანიას აწარმოებდა. ნაციონალური მოძრაობის საკომუნიკაციო პოლიტიკის მეტაფორად შეიძლება გამოვიყენოთ სარკე, რომელიც მხოლოდ გარკვეული კუთხითა და მოცულობით აირეკლავდა რეალობას. ანუ ნაციონალური მოძრაობის რიტორიკაში იხსნებოდა მხოლოდ ის კოდები, რომლებსაც შევარდნაძე და მისი მხარდამჭერები დებდნენ თავიანთ შეტყობინებებში.

თუმცა, ქართულ პრესაში აფხაზეთის საკითხის მედიური რეპრეზენტაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოგვიანებით, ნაციონალური მოძრაობის ქვეყნის სათავეში ყოფნისას, როცა უკვე თვითონ ქმნიდა მეინსტრიმს და აღარ უწევდა მეტოქეობრივი შიდა იდეოლოგიის „მოგერიება“, პოლიტიკური სტრატეგიული კომუნიკაციის ველში საზოგადოებრივი დაკვეთა იმგვარ „მკვდარ“, „გაკუთმურ“ ზონაში მოექცა, რომელშიც იგი აღარ წარმოადგენდა ფაქტორს: იგი არც წყარო იყო და არც მიმღები.

მედიური ნიმუშების ანალიზისას გამოკვეთილი, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სამი ნიშანსვეტური მომენტი მისა-

ლებად ხდის იმის დაშვებას, რომ კომუნიკაცია საზოგადოებასა და ლიდერ პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის ხარვეზებით ან თანამდევნი სემანტიკური „ხმაურის“ ფონზე მიმდინარეობს, და პოლიტიკური მოთამაშეები თავიანთ სტრატეგიას აგებენ მათ მიერ სავარაუდოდ აღქმულ საზოგადოებრივ დაკვეთაზე. ქართულ პრესაში აფხაზური საკითხის რეპრეზენტაციის (როგორც მიმდინარე ინფორმაციებში, ისე მიზნობრივ მედიურ პროექტებში) ანალიზი გამოჰყოფს ამგვარი დაშვების გამამყარებელ სამ ასპექტს:

- **ლიდერმა პოლიტიკურმა მოთამაშეებმა არიციანის ენა, რომლითაც აფხაზეთის საკითხის, მის ირგვლივ, მის შესახებ და გამო უნდა ისაუბრონ (ესაუბრონ ქართულ საზოგადოებას, ესაუბრონ აფხაზებს, ესაუბრონ დასავლეთს ან რუსეთს), ამის შედეგად იქმნება სრული დისკურსული ქაოსი და ნარატივის ჭრელი კონგლომერატი.** კოლექტიურმა სააკაშვილმა შეითავსა, მონოპოლიზება გაუკეთა ყველა მანამდე არსებულ დისკურსს, რომლებსაც თავიანთი ავტორები ან გამხმოვანებლები ჰყავდათ: ეროვნულ ნარატივს, იოანე ზოსიმედან დაწყებული ზვიად გამსახურდიანთი დამთავრებული, აგრესიულ ეთნოცენტრისტულ პატრიოტულ რიტორიკას (თამაზ ნადარეიშვილისა და პარტიზანული მოძრაობის წარმომადგენლების), საერთაშორისო ინსტიტუტების ლექსიკას, წონასწორობის წერტილის უქონელ, ომისა და მშვიდობისკენ ერთდროულად მოწოდებას, ან დუმილს, როცა ხელისუფლებას, გამოკვეთილი სტრატეგიის უქონლობის გამო, სათქმელი არაფერი ჰქონდა. როლური მოდელის ცვლილებების მიუხედავად, უცვლელი რჩებოდა პოსტულატი, რომელიც ემსახურებოდა საზოგადოების თვალში სააკაშვილის ხელისუფლების პოზიციის გამყარებას: სახელმწიფოს დაშლის შიშითა და ქართული სახელმწიფოებრიობისთვის გარე (რუსული) საფრთხეებით მანიპულირება. ყოველი ახალი წამოწყების პირველივე წარუმატებლობისთანავე დისკურსი ან რადიკალურად იცვლებოდა, ან ორი ურთიერთგამომრიცხავი მოწოდებები ერთდროულად, პარალელურად მიეწოდებოდა საზოგადოებას. ამ ლოგიკამ სააკაშვილის ხელისუფლება აფხაზებთან ურთიერთობის მკვდარ პერსპექტივამდე მიიყვანა.

- **ლიდერი პოლიტიკური მოთამაშეები „წამმზომის პოლიტიკის“ ფარგლებში მოქმედებენ, რომლის შედეგად ხდება დაგეგმილი თუ სასურველი მოვლენების დროში პრეს-**

ტრუქტურირება, ანუ ილუზორული დროისა და რეალობის შექმნა. თუკი ედუარდ შევარდნაძე აქცენტს აფხაზეთში დაბრუნების „ღირსეულობაზე“ აკეთებდა და არასდროს უთითებდა დაბრუნების დროს, პირადად მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთში დაბრუნება თუ აფხაზეთის დაბრუნება საზოგადოებას თავისი პრეზიდენტობის პირველივე ვადაში ალუთქვა. შემდეგაც, სხვადასხვა ამპლიტუდისა და ეფექტის მქონე მოვლენების განვითარების ფონზე, ხელისუფლების რიტორიკაში მუდამ ჩნდებოდა რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი ჰიპოთეტური ხდომილება, რომელიც აუცილებლად მოხდებოდა მომავალში, და მთელი პოლიტიკური ნარატივი იგებოდა ამ პრესტრუქტურირებული მოვლენის მნიშვნელობაზე, რომელსაც მიმდინარე კონტექსტში მხოლოდ ყურადღების მოდუნება და არაადეკვატური რეაქციის გამონვევა თუ შეეძლო ნებისმიერი, სამიზნე თუ შემთხვევითი პოტენციური მიმღების მხრიდან.

• **პოლიტიკური დღის წესრიგი ქმნის აფხაზეთის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების დინამიკის საზოგადოებრივად მოთხოვნად სახეს. ეს არის „აფხაზეთის დამოუკიდებლობა – იდენტობის პრემოდერნული ან ფიქციური პროექტი“.** ინფორმაციები, რომლებიც ამ თვალსაზრისის გამყარებას ემსახურება, აფხაზეთის ტერიტორიიდან არის გადმოცემული: მისი პოლიტიკური ცენტრიდან, სოხუმიდან, საკურორტო ზონებიდან, გალის რაიონიდან. ეს არ არის ახლად ნაომარი მხარე, ომის შემდეგ საკმაო დროა გასული და შედეგებიც უკვე უნდა არსებობდეს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის პროექტის მედიური სახის წარმოჩენისას აქცენტი დაისმის პრემოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე: „ჩაკეტილი“, ეთნოცენტრული, თემური ცნობიერებით შეპყრობილი კვაზისაზოგადოება, რომელიც შლის და ანადგურებს მასში სოციალური პრაქტიკის, ტრადიციების ძალით ჩანერგილ და გამყარებულ იდენტობით საფუძვლებს (ქართველებთან); რომელთანაც სისხლისმიერ ლოიალობას ჩრდილოკავკასიელები მხოლოდ საომარ ვითარებაში ამჟღავნებენ, მაგრამ პარტნიორობას არ უწევენ მშვიდობის დროს; კვაზისახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომლის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ატრიბუტების გაძლიერება აქტუალიზდება რუსეთის მიერ მხოლოდ ანტიქართულ კონტექსტში; სადაც დე-ფაქტო პრეზიდენტის ლეგიტიმურობის ხარისხი მის-

დამი ეთნიკური აფხაზების ერთგულებითა და მხარდაჭერის ხარისხით იზომება; აფხაზეთისთვის რუსეთი საშიშია, თუმცა იგი უსაფრთხოების გარანტია, და აფხაზეთი რეალურ დამოუკიდებლობას უსაფრთხოებაზე ცვლის; რეგიონი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით; რეგიონი, სადაც არღვევენ ადამიანის უფლებებს და უგულებელჰყოფენ საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ჰუმანიტარული სამართლის, ნორმებს (ქვეტექსტი: სადაც ჰუმანურობა უარყოფილია (გალის მაგალითი), იქ მოდერნულ საზოგადოებასა და სახელმწიფოზე ლაპარაკიც კი ზედმეტია).

კვლევის მიზანი, მეთოდი და თეორიული არგუმენტები

კვლევის მიზანია: სხვადასხვა პერიოდულობის, განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე ოთხი ქართული გაზეთის მედიურ ნიმუშებზე დაყრდნობით ვუჩვენოთ საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაკვეთისა და პოლიტიკური დისკურსის გავლენა „აფხაზური საკითხის“ მედიური რეპრეზენტაციის მოცულობაზე, ვალენტობით დინამიკასა და მედიური რესურსის, როგორც პოლიტიკური რესურსის, მნიშვნელობასა და დისკურსზე 2002-2010 წლებში.

საკვლევ წყაროებად აღებულია: ყოველდღიური გაზეთები „რეზონანსი“ და „24 საათი“ და ყოველკვირეული გაზეთები „კვირის პალიტრა“ და „ახალი 7 დღე“. ამ გაზეთების არჩევა განპირობებულია მათი წვდომის ეროვნული მასშტაბით, ნდობით საზოგადოების მხრიდან და მათში გადმოცემული მედიური მასალის დისკურსული მრავალფეროვნებით. კერძოდ, „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“ კვლევას ემსახურება როგორც ბაზა „აფხაზური“ საკითხის ყოველდღიური ქრონიკის, მისი თემატური აქცენტების გასაანალიზებლად; ხოლო „24 საათი“ და „ახალი 7 დღე“ წარმოადგენენ იმ მედიურ წყაროებს, რომლებისთვისაც „აფხაზური საკითხი“ სარედაქციო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსია, და ამიტომ მათი მიზნობრივი პროექტები „აფხაზეთის საკითხის“ შესახებ თვისობრივად სხვა ტიპისა და სხვა დანიშნულების მედიატექსტების სისტემას ქმნიან. თუკი „24 საათი“ და „ახალი 7 დღე“ თავიანთი სპეციალიზებული შინაარსის მქონე პროექტების გამო მოხვდნენ „უპირველესი ინტერესის“ საკვლევ წყაროებს შორის, მიმდინარე „აფხაზური ქრონიკის“ წყაროების შერჩევა წინასწარ ტესტირებას, საპილოტე კვლევას დაექვემდებარა. კვლევისთვის რელევანტური, რეპრეზენტატიული წყაროების არჩევის მიზნით, მკვლევრებმა საპილოტე ეტაპზე შეისწავლეს 2002-2010 წლებში უწყვეტად გამომავალი ოთხი ქართული გაზეთის: ყოველდღიურების – „რეზონანსისა“ და „ახალი თაობის“, კვირაში ოთხჯერ (სამი გამოშვება კვირის დღეებში და ერთიც საკვირაო გამოშვება) გამომავალის „ალიას“ და ყოველკვირეულის „კვირის პალიტრის“ შემთხვევითი შერჩევით

აღებული გამოშვებები (2002, 2005 და 2008 წლის ყოველი მე-5 გამოშვება). საპილოტე კვლევამ გამოკვეთა, რომ: 1) „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“, ერთად აღებული, აფხაზეთის საკითხს უფრო მეტი სიხშირით (საშუალოდ 1,8-ჯერ მეტად) აშუქებენ, ვიდრე „ალია“ და „ახალი თაობა“, ერთად აღებული; 2) „რეზონანსსა“ და „კვირის პალიტრაში“, ერთად აღებულში, აფხაზეთის საკითხი საშუალოდ 2,3-ჯერ უფრო ხშირად ხვდებოდა მონინავე სტატიებში, სარედაქციო წერილებში, ასევე ე.წ. უპირველესი ინტერესის მქონე გვერდებზე, ვიდრე „ალიასა“ და „ახალ თაობაში“, ერთად აღებულში; 3) „რეზონანსსა“ და „კვირის პალიტრაში“, ერთად აღებულში, აფხაზეთის საკითხისადმი მიძღვნილი ნებისმიერი პუბლიკაცია პირველ გვერდზე იყო დაანონსებული, რაც ყოველთვის არ ხდებოდა „ახალ თაობასა“ და „ალიაში“. ამ გარემოებების გათვალისწინებით სწორედ „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“ იქცნენ ძირითად საკვლევ ნყარობად აფხაზეთის საკითხის მედიური წარმოჩენის ანალიზისთვის.

სხვადასხვა (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი) საკვლევ ტექნიკით გაანალიზებულია: მიმდინარე შინაარსის თემატურ-ვალენტობითი აქცენტები და მიზნობრივი „აფხაზური“ პროექტების დისკურსული მახასიათებლები, ანუ „ჩარჩოები“.

„აფხაზური საკითხი“ – ეს კონსტრუქცია აერთიანებს მედიური ნიმუშებს, რომლებიც შეეხება:

- ქართული და აფხაზური პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლების ურთიერთობას მოლაპარაკებების ყველა მოცემულ დონეზე და ყველა რეპრეზენტირებულ ფორმატში;
- საქართველოსა და აფხაზეთის (დე-ფაქტო) ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივებსა და წამოწყებებს ერთმანეთის მიმართ;
- კონფლიქტის მოგვარების/გადანყვეტის არსებულ და პოტენციურ რესურსებს; კონფლიქტის მონაწილე და მასში ჩართული მხარეების ინტერესებს;
- აფხაზეთის, აფხაზების ისტორიულ, მიმდინარე და პერსპექტიულ სახეს (მედიური ამბების გადმოცემის ყველა მოცემული ადგილმდებარეობისა და დროითი კონტინუუმის მიხედვით);
- ქართველთა და აფხაზთა იდენტობით მიმართებებს რელიგვანტური კატეგორიების მიხედვით;

- პროცესებს, მიმდინარეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, რომლებსაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ აფხაზეთში მიმდინარე ან მოსალოდნელ მოვლენებზე;
- ეთნიკური ქართველების მდგომარეობას აფხაზეთში.

როდესაც ვსაუბრობთ აფხაზური საკითხის მედიურ რეპრეზენტაციაზე, ვაცნობიერებთ, რომ რეპრეზენტაცია არის მიმღები აუდიტორიისათვის „მის მიღმა არსებული“, „მისგან დაშორებული“ რეალობის მეტ-ნაკლებად სრული და ზუსტი წარმოდგენა ამ რეალობის ინფორმაციული ღირებულების, სარედაქციო პოლიტიკის შერჩევითობის კრიტერიუმებისა და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. რეპრეზენტაცია მედიისთვის დამახასიათებელი როლებისა და ფუნქციების ფონზე ხორციელდება, და იგი მოიცავს არა მხოლოდ ტექსტის დისკურსულ განზომილებებს და ტექსტში ჩადებულ მნიშვნელობებს, არამედ საკომუნიკაციო პროცესის ყველა რგოლს, რადგანაც რეპრეზენტაცია კონსტრუირებადი ცნებაა. ეს კონსტრუქცია კი წარმოადგენს განსაზღვრული ჩარჩოების, სქემატიკის ერთობლიობას, რომელთა გავლის შემდეგაც ფაქტი და მოვლენა მედიურ მოვლენად და ტექსტად იქცევა. „ჩარჩოს“ იდეა ახალ ამბებსა და სხვა დისკურსის მქონე მედიურ ტექსტებთან მიმართებაში დღეს ფართო და თავისუფალი ინტერპრეტაციით გამოიყენება ისეთი ცნებების ჩასანაცვლებლად, როგორებიც არის: „მიმართების კუთხე“, „კონტექსტი“, „თემა“ და „ახალი ამბების რეპრეზენტაციის კუთხე“. ჟურნალისტურ კონტექსტში ჩარჩო იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ჟურნალისტური ტექსტები მნიშვნელობას ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის საინფორმაციო ღირებულების რომელიმე კონკრეტულ კატეგორიასთან მიმართებაში იძენენ, რომელიც გამაერთიანებელი ჩარჩო ხდება ერთი რომელიმე და მისი მსგავსი მოვლენებისთვის (Goffman (1974), Tuchman (1978), McQuail (2005 და მომდევნო გამოცემები)). ამიტომაც, აფხაზური საკითხის მედიური დაჩარჩოების სქემის ჭრილში განხილვა რამდენიმე მიზეზის გამოა გამართლებული: 1) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების აქტუალიზაციის გამო: ის, რაც არ ხვდება გაზეთის გვერდებზე, საზოგადოებრივი დღის წესრიგის მიღმაა. 2) მედიის მეშვეობით სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის კოდების გახსნის გამო: ის, რაც გაზეთის გვერდებზე ხვდება, რამდენიმე მიზანზე ორიენტირებული პროდუქ-

ტია: ა) პრობლემის განსაზღვრების; ბ) შემთხვევების დიაგნოსტიკების; გ) მორალური განსჯისა და დ) პრობლემის დასაძლევ საშუალებების შეთავაზების; 3) დაჩარჩოებისას იკვეთება სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის, როგორც ერთ-ერთი ჩარჩოს, მნიშვნელობა, რადგანაც რობერტ ენტმანის (Robert Entman, "Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm", in *Journal of Communication*, 4 (1992)) თეორიის მიხედვით, სწორედ კულტურაა დაჩარჩოების საწყისი და სასრული წერტილი. 4) დაჩარჩოების პროცედურისას გამოიყოფა ამ კონკრეტული მედიაპროდუქციის ექსკლუზიური დროით-სივრცობრივი, დისკურსული და განზრახვითი ნიშან-თვისებები.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართულმა მედიამ თავისი ფუნქცია განსაზღვრა როგორც ეროვნული იდენტობის შემხსენებლის, მათ შორის – აფხაზეთის, როგორც შიდა ეროვნული სივრცის „ცხელი“, თუმცა განუყოფელი ნაწილის, შემხსენებლის ფუნქცია. ნებისმიერი ფაქტი და მოვლენა, რომელიც შეეხებოდა „აფხაზურ საკითხს“, ყოველთვის აკმაყოფილებდა ინფორმაციის ღრებულებრივ კრიტერიუმებს (როგორც წესი, რამდენიმე ერთდროულად). თვით ყველაზე ორდინარული ფაქტებიც კი მედიაში განიხილებოდა, როგორც საფრთხე ეროვნული და საზოგადოებრივი ერთობისთვის. თუმცა, ამ კონფლიქტის მთელი განვითარების ამსახველი მედიური ქრონიკა მაღალი ტემპერატურისაა, მედია წინასწარგანზრახულად არ წარმოაჩენს არც ერთ ფაქტს ორდინარულად. საზოგადოებრივი დაკვეთა მედიის მხრიდან (თავად მედიის წარმომადგენლების მიერ აღქმული⁴ პრესისაგან მოითხოვდა აფხაზური საკითხის რეპრეზენტირების **სიხშირეს** (მედიაში გადმოცემის, ასახვის მაღალი სიხშირე შიდა ღრებული სივრცის რეპრეზენტაციის მახასიათებელია), ინფორმაციების **ამპლიტუდას** (რაც უფრო მასშტაბური, მძიმე და დრამატული იქნებოდა მოვლენა – მით უკეთესი), **ეთნოცენტრულობას** და, აქედან გამომდინარე, ქართველი მიმღებისთვის შინაურობას, **შესაბამისობას** მიმღების მოლოდინებთან და პროგნოზებთან, **განგძობადობას** (მაშინაც კი, როცა იკლებდა ამპლიტუდის დიაპაზონი, განგძობადობა და სიხშირე კომპენსაციას უწევდა ამ დანაკლისს).

⁴ წყარო: ხათუნა მაისაშვილი, „ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია ქართულ ბეჭდურ მედიაში. 1990-1991 წლები“, 2010 წელი, თბილისი

წინამდებარე კვლევისთვის აქტუალურია კომუნიკაციური პროცესის რგოლების, როგორც განსაკუთრებული სქემატების (კომუნიკატორი, ტექსტი, მიმღები, კულტურა) ანალიზი. კვლევის მიზანს არ წარმოადგენს იმის დადგენა და ანალიზი, რა ხდება ამ ჩარჩოს მიღმა – მაგ., რა გავლენა და ეფექტი აქვს მას მიმღებ აუდიტორიაზე, როგორ იზომება მისი მიმღები აუდიტორია და ა.შ.

გაზეთის გვერდებზე მოხვედრამდე ხდომილებას უკვე აქვს გარკვეული ჩარჩო სოციალურ რეალობაში, ენტმანის სახელდებით – კულტურაში. რათა მედიურ მოვლენად იქცეს, მან უნდა გაიაროს კომუნიკატორის ჩარჩო (გამოცემის სარედაქციო პოლიტიკის განაწესი, ჟურნალისტიკისინტენცია, ეთიკური და პროფესიული მოსაზრებები), მნიშვნელობის შექმნის ჩარჩო, ანუ მიიღოს შესაბამისი ფორმა, აივსოს შესაბამისი შინაარსით (ჩამოყალიბდეს ტექსტად) და ისევ დაუბრუნდეს კულტურას, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი და რომლის უცოდინრადაც მედიური ტექსტი ვერ „წაიკითხება“. მხოლოდ მედიამოვლენად ქცევის შემთხვევაში შეიძლება მსჯელობა იმაზე, რამდენად შეესაბამებოდა ესა თუ ის ფაქტი და მოვლენა საზოგადოების მოლოდინებსა და პროგნოზებს. ხდომილების ჩარჩოები სოციალურ რეალობაში სხვადასხვაგვარია: ა) ფაქტები თავისთავად ხდება, მედიისა და პოლიტიკური მოთამაშეებისგან დამოუკიდებლად; ბ) პოლიტიკური მოთამაშეები ეწევიან გარკვეული მოვლენების, ხდომილებების კულტივაციას მასობრივ საკომუნიკაციო ველში მოსახვედრად, ანუ გარკვეული მოვლენები მედიისთვის იდგმება. ამ მოვლენების ამსახველი ტექსტის მნიშვნელობის ეფექტი და გავლენა საზოგადოებაზე ორი პერსპექტივიდან შეიძლება წაიკითხოს: სოციოცენტრული მიდგომით, მედია მხოლოდ ასახავს სოციალური ძალების ქმედების შედეგს, და მედიურ პროდუქციას სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი განაპირობებს; ხოლო მედიაცენტრული მიდგომით, მედია წარმართავს სოციალურ პროცესებს და მის მიერ არჩეული სოციალური კონტექსტის ჩარჩოც და მნიშვნელობითი ჩარჩოების შერჩევითობის პრინციპს ექვემდებარება. ტექსტში ჩადებული მნიშვნელობების დაჩარჩოებისას ცხადი ხდება მნიშვნელობითი სტრუქტურების იერარქიული მიმართებები: დომინანტური კლასის მომსახურე, დომინანტობა-სუბორდინაციის წესრიგს დამორჩილებული თუ სხვა ბუნების მნიშვნელობებისა (Fiske, 1987: 126).

რადგანაც სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის კოდები მე-დიატექსტში იკითხება, მნიშვნელოვანია, ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში გამოვყოთ განსაზღვრული დროითი მონაკვეთები, როგორც მედიაშინაარსის განმაპირობებელი სქემატები, და თითოეულ მათგანს ის კოდები მივუსადაგოთ, რომელთა გახსნის ვარაუდიც პოლიტიკური დისკურსის კონტექსტიდან გამომდინარე არსებობდა:

2002-2003 წელი – შევარდნაძის ხელისუფლების ბოლოს წინა და ბოლო წელიწადი. სტაგნაციის, ჩიხური სიტუაციისა და კრიზისის კოდები;

2003-2004 აგვისტო – სააკაშვილის ხელისუფლების დასაწყისი, პოლიტიკური გამარჯვება აჭარაში. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აჭარული სცენარის იმპორტის წარმატების რწმენა და ჰუმანიტარული ინტერვენცია. ეიფორიისა და „თითქმის დაბრუნებული ტერიტორიების“ კოდები;

2004 წლის აგვისტო – 2006 წლის მაისი – კომპლექსური სამშვიდობო პროცესი ალტერნატიული (ძალისმიერი) სცენარის არსებობის განცდით.

2006 წლის მაისი – 2008 წლის აგვისტო – მხარეების მიერ ურთიერთმიმართული ინიციატივების განუვითარებლობა ან უგულებელყოფა, კოდორის, როგორც ქართული სახელმწიფოს, ფორპოსტის, პიარი და კონფლიქტებში მონაწილე თუ ჩართული მხარის ღია საომარი რიტორიკა, აგვისტოს ომი.

თუკი საომარი ქმედებებისას მოსალოდნელია სინერგია ახალი ამბებისა და ომის მკეთებლებს შორის, შედარებით „გრილ“ პერიოდში ამ სინერგიის ალბათობა იკლებს. ძირითადი პრობლემა, რომელსაც მედიური ნიმუშების ანალიზისას წავაწყდით, იყო გადმოცემული ფაქტისა და მოვლენის ინფორმაციული კომპონენტების (რა, სად, როდის და რატომ, რომელ წყაროზე დაყრდნობით) ნაკლებობა, რამაც ტექსტის ანალიზი საკმაოდ გაართულა. ქართულ გაზეთებს არ ჰყავთ საკუთარი ან სპეციალური კორესპონდენტები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კერაში, მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ეყრდნობა: ა) ქართველი ექსპერტების ინფორმაციისა და მოსაზრებებს, რომლებიც, სავარაუდოდ, პირველი წყაროებიდან ან პირველ წყაროებთან დაახლოებული წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას; ბ) იშვიათად პირდაპირ და უფრო ხშირად სხვა წყაროების მიერ ინტერპრეტირებულ ცი-

ტატებს მოლაპარაკებების პროცესის მონაწილე პოლიტიკოსებისა; გ) რუსულ და აფხაზურ საინფორმაციო საშუალებებს, რომელთა მედიაციური ინტენცია განსხვავებულია ქართული საინფორმაციო წყაროების ინტენციისაგან; დ) არაიდენტიფიცირებულ წყაროებს, რომლებიც ტექსტში „სანდო“ და „არაოფიციალური“ წყაროების სტატუსით არიან წარდგენილნი. ამრიგად, მაღალია ალბათობა იმისა, რომ ორმაგად ან სამმაგად გაშუალებული შეტყობინება კომუნიკაციის დაიქრონულ, დროში ვერტიკალურად განფენილ პროცესში, წყაროთა ცვლის კვალობაზე კარგავდეს ავთენტურობას და ზუსტ მნიშვნელობებს. მაგრამ ეს, ნაკლები ინფორმაციული ღირებულების მქონე, არასრულყოფილი ტექსტი შეიცავს მყარ ლინგვისტურ ინდექსებს, რომლებიც აფხაზური თემის მედიური რეპრეზენტაციის პრაქტიკაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმდინარეობისას ჩამოყალიბდა. ეს ლინგვისტური, დისკურსული ინდექსები განსახვავებულია ორი დროითი კონტინუუმისთვის: ჩვეულებრივი დღეებისა და ორი ისტორიული თარიღისთვის: 14 აგვისტო, აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების დღე, და 27 სექტემბერი, სოხუმის დაცემის დღე. ამ ორ დღეს ქართულ მედიაში დრო „ჩერდება“: ყოველწლიურად ჩვენს მიერ განხილულ ქართულ გაზეთებში 14 აგვისტოსა და 27 სექტემბერს მსგავსი ვალენტობითი მიმართებების წერილები ჩნდება, რომლებშიც თითქმის ხელუხლებლად გადმოდის და ცოცხლდება 1990-იანი წლების ქართული მედიისთვის (და ზოგადად ქართული საზოგადოებისთვის) დამახასიათებელი ლინგვისტური მასალა და მიმართებითი ვექტორები აფხაზეთის მიწის ქართულობის, აფხაზების, რუსების, ჩრდილოკავკასიელების მიმართ (იხ. ცხრილები 1, 2 დანართში). ეს ლინგვისტური მასალა და მიმართებები ამ დღეებისთვის გამონაკლისურია, ისინი, როგორც წესი, ყოველდღიური თანამედროვე აფხაზური ქრონიკის რეპრეზენტაციისას არ გვხვდება. ის ტერმინები, რომლებმაც 1990-იანი წლებში ჩაანაცვლეს აფხაზი („აფსუათი“) და აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტი („სეპარატისტებით“, „ხროვით“), თავის დროზე, როგორც მინიმუმი, სამ მიზანს ემსახურებოდა:

- ეს ალტერნატიული ტერმინები წარმოადგენდა იმ ნიშან-სიგნალს, იმ ლინგვისტურ სტიმულს, რომელიც შეტყობინების მიმღებისგან შესაბამის პასუხს და რეაქციას მოითხოვდა;

- ისინი ეხმარებოდნენ სახელისუფლებო ელიტას საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზაციის მიზნით „სეპარატიზმის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში“;
- იგი წარმოადგენდა მაგალითს ოფიციალური ისტორიის ჩანაცვლებისა არაოფიციალური, „ნამდვილი“ (ქართული ვერსიით) ისტორიით;

2002-2010-იანი წლების ზოგადი მედიური „აფხაზური“ ნარატივის ფონზე, მასში გაბატონებულ ტონალობაში, შესაძლოა, ეს სიგნალები თავდაპირველი სიმძაფრით არ აღიქმებოდეს მიმღებების მიერ, თუმცა ისინი გარკვეული ხარისხით მაინც ინარჩუნებენ დანიშნულებით და ფუნქციურ კოდებს. ნარატივის ამ ტიპს „კონფესიური ნაციონალიზმის რიტუალური კომუნიკაციის“ ნარატივი შეიძლება ვუწოდოთ, სიმბოლოების მყარი და ფოკუსირებული წყობით. აქ ნაციონალიზმი აღმსარებლობას უთანაბრდება, ხოლო მედიატექსტი – რიტუალურ ტექსტს, მისთვის დამახასიათებელი „კოდებით-კონსტანტებით“, რომლებშიც ეს სწორედ მუდმოვობაა ძირითადი ეფექტის შემქმნელი. თუმცა ამ ორი თარიღის მსგავს მედიაციაშიც არის ერთი არსებითი განსხვავება. კერძოდ, თუკი 14 აგვისტო, როგორც კონფლიქტის, ომის, სისხლისღვრის, გაუცხოების დასაწყისის თარიღი, ერთნაირი მნიშვნელობითა არის გადმოცემული როგორც ქართველისთვის, ისე აფხაზისთვის, 27 სექტემბერის, როგორც ნიშანსვეტი თარიღის, მნიშვნელობა გაორმაგებულ კოდით იხსნება. აშკარად იკვეთება მედიის მიერ დაგეგმილი ეფექტი ამ შეტყობინებების მიმღებზე: ქართველს უნდა სჯეროდეს, რომ აფხაზი 27 სექტემბერს მხოლოდ აფხაზთა გამარჯვებას კი არ ზეიმობს, არამედ ზეიმობს ქართველების მარცხს, სირცხვილს, გლოვას, ქართველი ვაჟკაცების (ჟიული შარტავასა და მისი თანამებრძოლების) სიკვდილს. სირცხვილის განცდა და გლოვა კი თავისით, იმპლიციტურად გადადის რისხვასა და შურისძიებაში.

კომუნიკატორის ჩარჩო და მისი სტრუქტურა სამი გაზეთისთვის („რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“ და „ახალი 7 დღე“) იდენტურია – ეს არის ამ გაზეთების ჟურნალისტი და სარედაქციო მმართველობა. რაც შეეხება „24 საათს“, მის სპეციალიზებულ „აფხაზურ“ კონტენტს საერთაშორისო ფონდი „შერიგების რესურსები“ უჭერს მხარს, რომელსაც თავის მიდგომები და პოლიტიკა აქვს აფხაზეთის საკითხის მიმართ, რაც სპეციფიკური

შინაარსის მაფორმირებელი ფაქტორი ხდება. თავად ფონდის სახელწოდება „შერიგების რესურსები“ უკვე არის განსაზღვრული კოდი მედიამასალის რეპრეზენტაციის ბუნებისთვის, რომელმაც, სავარაუდოდ, შერიგების, ანუ ხელახალი უნიფიკაციის საფუძვლები უნდა გამოკვეთოს.

დაჩარჩოების ანალიზისას მნიშვნელობას იძენს მედიური ამბების ადგილმდებარეობა და მათი გადმოცემის ადგილი, რადგანაც ეს გარემოება გავლენას ახდენს მედიური ტექსტების მიმართებით და შეფასებით კატეგორიებზე. საკვლევ პოპულაციაში ასეთი დეიქტიკური ცენტრი რამდენიმეა: ა) თბილისი (ქართული პოლიტიკის ცენტრი), სოხუმი (აფხაზური პოლიტიკის ცენტრი), აფხაზეთის ტერიტორია, გალის გამოკლებით (ძირითადად მედიურებულა აფხაზური და რუსული წყაროების მიხედვით), გალი (გადმოცემულა უშუალოდ თვითმხილველების, ე.წ. „პირველი წყაროების“ მონათხრობზე დაყრდნობით), ადგილები, სადაც იმართება მოლაპარაკებები, საქართველოს სხვა და სხვადასხვა სტატუსის მქონე რეგიონები, რომლებში მიმდინარე პროცესებსაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ აფხაზეთზე. მედიური ნიმუშების ანალიზისას ეს დეიქტიკური ცენტრები განხილულნი იქნებიან როგორც „შიდა“ და „გარე“ სივრცე, „ახლოს“ და „შორს“, ხოლო მათში მოქმედი სპეციფიკური ფაქტორები კი როგორც მედიური ტექსტების მნიშვნელობის მაფორმირებელი ფაქტორები (დეიქტიკური ცენტრის გავლენით წარმოქმნილი მნიშვნელობის ნიმუში იხილეთ დანართში: შენიშვნა 1).

თავისთვის „ახლოს და შორს“ (რომელიც სამი ნაწილისგან: „წულოვანჯამოვანი თამაში“, „აფხაზეთის დამოუკიდებლობა – იდენტობის პრემოდერნული, პოსტმოდერნული თუ ფიქციური პროექტი?“ და „გალის დრამა, ანუ მარადიული მძევლები“ შედგება) 2002 წლიდან 2010 წლამდე „აფხაზური საკითხში“ საკითხების/თემების დაჩარჩოების შედეგად გამოიყო:

- პოლიტიკასა და სახელმწიფოსთან დაკავშირებული საკითხები: ა) პოლიტიკური კამპანიები და პროპაგანდა; ბ) მოქალაქეთა მონაწილეობა და დემოკრატია; გ) ომი, მშვიდობა, ტერორიზმი; დ) საგარეო პოლიტიკა.
- სახელმწიფოსთან, ერთან, სოციალურ კულტურასთან დაკავშირებული საკითხები: ა) იდენტობა;
- სოციუმთან დაკავშირებული საკითხები: ა) დანაშაული, ძალადობა; ბ) სოც. გამოცდილების ბუნების განსაზღვრება.

- „აფხაზური საკითხის“ ამსახველი 1752 ნიმუშის გენერალიზებული, ანუ დაჩარჩოებული შინაარსის კონტენტ-ანალიზის მეთოდით (მეთოდის აღწერა იხილეთ დანართში) დამუშავების შემდეგ გამოიყო მედიაში „აფხაზეთის საკითხის“ მაფორმირებელი ფაქტორები:
- არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)
- არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)
- არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)
- სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)
- იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)
- სოციალურ-კრიმინალური ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში
- სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები

თითოეული ამ ფაქტორის სახელდება მოხდა მედიაშინაარსში ჟურნალისტიკის მიერ გამოყოფილი თემატური და ვალენტობითი აქცენტებისა და მათი მნიშვნელობების მაქსიმალურად დაცვის მიზანშეწონილობით. უფრო თავისუფალ და ზოგად პლანში ეს მაფორმირებელი ფაქტორები შეიძლება ოთხ ძირითად ფაქტორზე დავიყვანოთ: პოლიტიკური ფაქტორები, სამხედრო ფაქტორები, ეროვნულ-იდენტობითი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, – და მათ შიგნით ცალკე გამოვყოთ ინტეგრაციული და დეზინტეგრაციული მიმართებები და ვალენტობები, თუმცა ამგვარი გადაჯგუფება არ შეცვლის კვლევის შედეგების სურათს. ფაქტორულმა ანალიზმა (იხილეთ ფაქტორული ანალიზის შედეგების განხილვა დანართში) დაადასტურა, რომ დებულებები სწორედ იმ განზომილებას შეესაბამებოდა, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდა; ყველა დებულება მაღალ კორელაციაში აღმოჩნდა კვლევაში გამოყენებული დებულებების ჯგუფთან. გამოიყო ლიდერი ფაქტორები:

ფაქტორი 1 არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დენტიგრაფიული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე); სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;

ფაქტორი 2 არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე); სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორის, სხვადასხვა ამპლიტუდის);

ფაქტორი 3 არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე); იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა);

მეექვსე დებულება სოციალურ-კრიმინალური ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში ფაქტორთა რომელიმე ჯგუფში არ გაერთიანდა.

თუმცა იმისთვის, რომ დაგვედგინა, რამდენად ასახავს ჩვენს მიერ შედგენილი დებულებები შესაბამის კულტურალურ განზომილებებს, მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოვითვალეთ კრონბახის ალფა კოეფიციენტი. დებულებებს შორის კორელაციის გაანალიზების შემდეგ დადგინდა, რომ ალფა კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ კვლევაში გამოყენებული დებულებები არ გამოხატავს ერთიან სკალას და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა განვიხილოთ.

წულოვანჯამოვანი თამაში

1990 წელს სამხრეთ ოსეთში, 1992 წელს აფხაზეთში და 2008 წელს ისევ სამხრეთ ოსეთში ომის მიზეზი საქართველოს მხრიდან კონსტიტუციური წესრიგის (ანუ მშვიდობის) აღდგენა-დამყარება გახლდათ. ომი, როგორც წესი, „საუკეთესო სურვილებით“ (დემოკრატიის, მშვიდობის, ადამიანების უფლებათა დაცვის, ერთ-ერთი მხარისთვის საკუთარი მოსახლეობის დაცვის სახელით) იწყება ხოლმე. ომს იწყებენ კონფლიქტის მხარეები (მათ შორის გარკვეული პარამეტრების პროპორციულობისა და თანაზომადობის მიუხედავად), შემდეგ მასში სხვა დაინტერესებული მხარეების ერევანი (ინტერესი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს), ამ დაინტერესებული მხარეებისთვის ეს ჩარევა არსებითად სხვათა სამოქალაქო ომში ჩარევას ნიშნავს, რადგან მათ, წესითა და რიგით, ამ ომში არც გამარჯვება შეუძლიათ და არც დამარცხება, რადგან ისინი კონფლიქტის მხარეებს არ წარმოადგენენ. ზოგიერთ კონფლიქტს მსოფლიო მქუხარე ტაშით მიესალმება (მაგალითად, ამერიკულ კამპანიებს ახლო აღმოსავლეთში, ერაყსა და ავღანეთში), ზოგიერთს დუმილით (თანხმობით?) ხვდება (მაგალითად, პუტინის „ძლევამოსილ გამარჯვებას ჩეჩნეთში“). საომარი კამპანიებისას ამერიკელი გენერლები მსოფლიო მასშტაბით (რასაკვირველია, მსოფლიო ამ შემთხვევაში გამორიცხავს საომარი ქმედებების ადგილს: ერაყს, ავღანეთს) გმირები ხდებიან, რუსი გენერლები მხოლოდ თავიანთი ერი-სახელმწიფოსთვის არიან გმირები (მაგრამ, როგორც ნოემ ჩომსკი უთითებს თავის წიგნში „ძალაუფლება და ტერორი“, რომელიმე ამერიკელ გენერალს ისე ძლევამოსილად რომ დაესრულებინა ერაყისა და ავღანეთის კამპანია, როგორც ეს პუტინმა და მისმა გენერლებმა შესძლეს ჩეჩნეთში, ისინი ორგზისა და სამგზის გმირები გახდებოდნენ). Pax Georgiana თავდაპირველად მსოფლიოსთვის ძალიან პერიფერიულ, „ნაციონალისტურად ცხელ“ ადგილას დაიწყო, ამიტომ არც ტაში და არც დუმილი ამ სამშვიდობო სტრატეგიას მსოფლიოში არ გამოუწვევია. თუკი ედუარდ შევარდნაძე თავის საჯარო გამოსვლებში ზუსტად არასდროს უთითებდა თავისი ქმედებების ვექტორს, თითქმის არ იყენებდა მამობლიზებული ეფექტის მქონე ლექსიკას, მიხეილ სააკაშ-

ვილის ხელისუფლების ძირითადი მამოძრავებელი მოტივი კონფლიქტით მოცული რეგიონების მიმართ გაცხადებულად იყო მისი Pax Georgiana-ს განუყოფელი ნაწილის, ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული ღირებულებების, „საქართველოს გზის“ წარმატებების პოპულარიზაცია ნებისმიერი ტაქტიკით.

2002-2003 წლებში, შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მედიურ ნიმუშებში (განსაკუთრებით 2002 წელს) ცხადად იკვეთება კონფლიქტის გადაჭრის პოლიტიკის (ან გადაჭრისადმი მიდგომის) ბირთვის გაფანტვა ოფიციალური თბილისიდან და ოფიციალური სოხუმიდან. მედიის მიერ წარმოჩენილ პოლიტიკურ ავანსცენაზე ეფექტურ (ამ შემთხვევაში: მოქმედ – დადებითი ან უარყოფითი ნიშნით) აქტორებად არ ჩანან შევარდნაძე და არძინბა (ამ უკანასკნელი ქმედუუნარობა ქართული მედიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტირაჟირებადი საკითხია). მედიაში წარმოჩენილი ეს პროცესი თავისი ბუნებით შეიძლება დავახასიათოთ როგორც კრიზისული, როცა პოლიტიკურ ცენტრს არ შეუძლია მოქმედება მკაფიოდ დეკლარირებული სტრატეგიითა და ტაქტიკით და ახდენს პოლიტიკის ცალკეული ასპექტების დელეგირებას სხვადასხვა, ღია ან ფარულ აქტანტებზე (ამ აქტანტების რომელიმე ერთი კონკრეტული ცენტრიდან მართვა და კონტროლის ხარისხი სხვადასხვაა). მაგალითად:

- მოლაპარაკებების პროცესი მთლიანად საერთაშორისო ორგანიზაციებზეა მინდობილი, რომელთა ქმედუუნარობასა და კრიზისს მედია თითქმის რუტინულად ქცეული ახალი ამბების დონეზე გადმოსცემს;
- სამშვიდობოების ფორმატის ინერციულობა ველარ უზრუნველჰყოფს კონფლიქტის ნულოვან დონეზე შენარჩუნებას და იმ სტატუს-კვოს, რომელსაც შევარდნაძის პოლიტიკა Pax Georgiana-ს კულტად ისახავდა;
- აფხაზეთის „კარის გასაღების“ მოძებნას აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს ავალებენ, რაც მედიაში – ექსპერტებისა და ჟურნალისტების დონეზე – განგაშის საფუძველი ხდება;
- 2001 წლის შემოდგომიდან ქართულ მედიაში (და აფხაზურშიც) ვრცელდება ხმები პანკისიდან აფხაზეთის მიმართულებით დაძრული, თითქოსდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ნდობით აღჭურვილი, გილაევის ბანდების

შესახებ, რისი ეფექტიც ჩვენს მიერ განხილულ წყაროებში ერთმნიშვნელოვნად ფასდება როგორც ახალი საფრთხე საქართველოსთვის; იკვეთება დესტაბილიზაციის შიში, რომელიც პანკისიდან კოდორში გადაინაცვლებს.

- აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელი თამაზ ნადარეიშვილი და ქართველი პარტიზანების ლიდერები 2002-2003 წლებში იმ ერთადერთ მოტივირებულ ძალად განიხილებიან, რომელსაც აფხაზეთის დაბრუნება შეუძლიათ შესაბამისი პოლიტიკური ნების პირობებში. თუკი ამ ორ ძალას მოტივაციის ხარისხი და მედიაში წარმორჩენის მაღალი სიხშირე ათანაბრებს, მოქმედების თავისუფლების მხრივ ისინი მკვეთად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ნადარეიშვილს მხოლოდ რიტორიკა აქვს ნებადართული, ხოლო პარტიზანებს ქმედების თუ თვით-შემოქმედების მეტი თავისუფლება აქვთ (მოგვიანებით ნადარეიშვილი და პარტიზანების ლიდერები მკვეთრად ემიჯნებიან ერთმანეთს). 2002-2003 წლებში გაზეთ „რეზონანსში“ მედიაკამპანიის სახეს იღებს თამაზ ნადარეიშვილის მიდგომის პოპულარიზაცია „აფხაზეთის საკითხის“ ძალისმიერი მეთოდებით (ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციების სახელით) ან საერთაშორისო სამართლის სანქციებით გადაჭრის შესახებ.
- აფხაზეთის ნაცვლად რუსეთი მოქმედებს: 2002 წელს მედიაში მისი მხრიდან აგრესიის მუქარა იკვეთება, რასაც 2003 წელს „ლოშჩინინის რუსუფიკატორული დოქტრინა“ ცვლის, რომელიც მედიური წყაროების მიერ ხშირად მოიხსენიება, როგორც „მცოცავი ანექსია“.
- აფხაზეთში ქაოტური პოლიტიკური პროცესები უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და კრიმინალურ ფონზე მიმდინარეობს (მიუხედავად იმისა, აფხაზეთის რომელი ნაწილიდან გადმოიცემა ფაქტები და მოვლენები – გალიდან თუ აფხაზეთის დანარჩენი ნაწილიდან). აფხაზეთის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გზა მხოლოდ საქართველოსთან ერთად ყოფნაზე და რეგიონში სამოქალაქო მშვიდობაზე გადის – აფხაზეთს მხოლოდ საქართველოსთან ერთად შეუძლია, გახდეს დასავლეთისთვის საინტერესო, დიდი საერთაშორისო ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების მონაწილე.

რეალურად, ჩვენ ერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა გვეძლევა: ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ფორმატის შემქმნელ ყველა დონეზე მიმდინარე პროცესები მედიის, ანუ საზოგადოებრივი დღის წესრიგის, აქტუალური ნაწილია; მათი მედიური კონსტრუირების მიზანშეწონილობის (წყაროების შერჩევა, საგნებისთვის, მოვლენებისთვის უპირატესი და სასურველი მნიშვნელობების მინიჭება, რომელიმე განსაზღვრული ტიპის დისკურსის აქტუალიზაცია, დომინატურ-სუბორდინაციული ვერტიკალების შექმნა „აფხაზეთის საკითხში“), აშკარად გამოკვეთილი დეზინტეგრაციული მიმართებების (ყველა დონეზე, ყველა მიმართულებით) „ნამდვილობის“ დადგენას აძნელებს მედიური წყაროების მიერ რეპრეზენტირებული ფაქტებისა და ტენდენციების (სრული მოცულობით) „ჩარჩოების“ შედარების შეუძლებლობა სხვა, დოკუმენტური ტიპის წყაროებთან. მაგრამ „აფხაზეთის საკითხის“ ამგვარი მოცულობა და ვალენტობები, ასევე ის გარემოება, რომ ორი პოპულარული დამოუკიდებელი გაზეთი – „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“ რეალობის პარალელურ, არანინაალმდეგობრივ რეპრეზენტაციას ქმნის, გვიბძგებს დაშვებისკენ, რომ იმ პერიოდის საზოგადოებაში არსებობს მოთხოვნა ამ დისკურსზე.

ამ დაშვებას ადასტურებს 2003 წელს მედიაში „აფხაზეთის საკითხის“ ამსახველი მედიური ნიმუშების რაოდენობის კლება (1,3-ჯერ), რაც ახალი პოლიტიკური რეალობით და ახალი მიმართებების მქონე საზოგადოებრივი დაკვეთით არის განპირობებული. „აფხაზური საკითხის“ რეპრეზენტატულობის შენარჩუნებას მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს წინასაარჩევნო კამპანია (2003 წლის ნოემბრის არჩევნების წინ), რომლის მსვლელობისას პოლიტიკური მოთამაშეები დღის წესრიგში უბრალოდ ფორმალურად აყენებენ აფხაზეთის საკითხს და იმასაც – მხოლოდ საერთაშორისო ბერკეტების გამოყენების ეფექტურობის ქრილში (მაგალითად, „რომის სტატუსის“ ეფექტურობა შეზღუდული ადგილობრივი ინიციატივების ფონზე). ნაციონალური მოძრაობის აქტივისტთა (რომლებიც იმავდროულად საქართველოს პარლამენტის წევრები არიან) რიტორიკაში ფრამენტულად ჩნდება სახე აფხაზეთის, როგორც ერთ-ერთი რიგითი რეგიონული პრობლემის, „აფხაზეთათვის საძულველი“ შევარდნადის პირადი პრობლემის, რომელიც ამ უკანასკნელის წასვლის-

თანავე თავისით გადაწყდება. მათი აზრით, აფხაზეთის პრობლემა მოგვარდება მაშინ, როცა დასრულდება ცენტრის მიერ ნებადართული „ურჩი რეგიონების“ პოლიტიკის ნახალისება (მაგალითად, აჭარის) („რეზონანსი“, 2002 წლის 12 აგვისტო, გამოკითხვა „რა გზით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი“).

აფხაზეთის საკითხის სხვადასხვა სპეციფიკური თემებისა და საკითხების პერიოდულად გააქტიურება პოლიტიკური დისკურსიდან გამომდინარე გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური დისკურსის დომინანტური დისკურსია, რომელიც განსზღვრავს მედიური დისკურსის ნიშან-თვისებებს (შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მედიური დისკურსი მხოლოდ პოლიტიკური დისკურსის კალკირებული მატრიცაა, რომლის მახასიათებლებსაც უბრალოდ, მედიასა და პოლიტიკას შორის კომუნიკაციის ნიშან-თვისებები განაპირობებს და ეს ნიშან-თვისებები მხოლოდ კომუნიკაციის მოდელების თავისებურებების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი).

2004 წლის დასაწყისში, უფრო სწორად, მის პირველ ნახევარში იკვეთება ხელისუფლების, კერძოდ კი მიხეილ სააკაშვილის, კონფლიქტურ რეგიონებთან კომუნიკაციის მოდელის ნიშან-თვისებები. ეს არის „პაბლისიტიური მოდელი“, რომელსაც საჯარო სივრცის ეკრანზე თვალსაჩინოებანი გამოქვს: მაგალითად, ზუსტი თარიღი, როდის ჩავა თბილისში დაწყებული ავტობანი სოხუმამდე, სოციალურ-ინფრასტრუქტურული მოდელები, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთელი ოსებისთვის საქართველოსთან ინტეგრაციის სტიმული უნდა გახდეს, არმიის გაძლიერება და „კამუფლირებული“ პატრიოტიზმი, თუმცა მთავარი შეტყობინება ამგვარი კომუნიკაციის მოდელში პოლიტიკური ხასიათისაა: აჭარის გათავისუფლება ასლან აბაშიძის რეჟიმისგან, ძლევამოსილად და მშვიდობიანად. ეს მოდელი არა აქტიურ მიმღებს, არამედ **მაყურებელს** მოითხოვს. მაყურებელთა შორის არის კონფლიქტებში ჩართული (სხვადასხვა ხარისხით, მიზნითა და ფუნქციით) ყველა მხარე და, რაც მთავარია, მაყურებლის როლს თანხმდება დამოუკიდებელი ქართული მედია (ამ ცნების ქვეშ ამ შემთხვევაში ჩვენს მიერ განხილულ საკვლევ ნყაროებს ვგულისხმობ). ამ პოლიტიკური კომუნიკაციის პირველ სიგნალებს მედია ტრანსმიტერის (მხოლოდ გადამცემის) ფუნქციით მიჰყვება, ხელისუფლების პაბლისიტისთვის ნაყოფიერი ფონის შექმნით: აფხაზეთის უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური

ვითარების ინტენსიური ჩვენებით, განსაკუთრებით – გაღმობი). მაგრამ პაბლისიტური მოდელისთვის დამახასიათებელი ორი ნიშანი-თვისება: მისი ნულოვანჯამოვანება და „უნარსულობა“ და „სათუო მომავალი“ (ანუ მხოლოდ ანმყოზე ორიენტირება), მისი აფუნქციურობა და დისფუნქციურობა მალევე ხდება მედიის განგაშის მიზეზი. ამ პოლიტიკის ამსახველი მედიური ნიმუშები უჩვენებს, რომ ეს კომუნიკაციური პროცესი ნულოვანჯამოვანია (და აქედან გამომდინარე – ფუნქციის უქონელია) იმის გამო, რომ დისპლეური ტიპის პოლიტიკაზე დახარჯული დრო სხვა, ალტერნატიული პოლიტიკის წარმოებისთვის იკარგება; ხოლო შეტყობინების „უნარსულობას“ და მყისიერ სარეკლამო ეფექტზე გათვლას ჩაფიქრებული და ნავარაუდები შედეგის საპირისპირო (დისფუნქციური) შედეგი მოაქვს. ამის მაგალითია ხელისუფლების აზრით ეფექტური შედეგის მომტანი „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ რეალურ პოლიტიკაში სრული კრახის ამსახველი მედიაცია, რომელიც აგებულია მტკიცებაზე, რომ ყურადღების მიპყრობის ფაქტი არ ნიშნავს ყურადღების მაღალ და დადებითი, ინტეგრაციული ნიშნით მოქმედ ხარისხს („კვირის პალიტრა“, 25 აგვისტო, 2004; „რეზონანსი“, 21-25 აგვისტო, 2004). 2004 წლის აგვისტოში ცხინვალში განვითარებული მოვლენები (რომლებიც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში მოიხსენიება როგორც „ცხინვალის ბრძოლა“) წერტილს უსვამს პაბლისიტურ პოლიტიკაზე თანხმობას მედიის მხრიდან. შემდეგ ჯერზე, 2006-2007 წლებში, როცა ხელისუფლება კვლავ იწყებს პაბლისიტური მოდელის ამუშავებას საჯარო კომუნიკაციის სივრცეში: განმუხურის პატრიოტთა ბანაკის პოპულარიზაციით, გენერალ ჩაბანის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებით პირდაპირ სატელევიზიო ეთერში და არა დიპლომატიური ნოტით, კოდორის, როგორც ალტერნატიული და ადმინისტრაციულად სრულფასოვანი აფხაზეთის პრომოუშენით, „ქართულად განწყობილი და აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან დაპირისპირებული“ პერსონების გადმობირების პოლიტიკით, დამოუკიდებელი ბექდური მედია (სახელისუფლო მედიუმებისგან განსხვავებით) აღარ იღებს ამ მოდელს უკრიტიკოდ. ხდება პირიქით, იქმნება ხანგრძლივ ეფექტზე გათვლილი მედიური ჩარჩო, რომელიც შემდეგი შინაარსის გზავნილად იკითხება: ხელისუფლების ეს, ფორმითა და ტექნიკით მიმზიდველი, მოდე-

ლი ემსახურება ფაქტებისა და მოვლენების ნამდვილი მნიშვნელობების შენიღბვას, ნამდვილი მნიშვნელობებისგან დაცლას საზოგადოების თვალში. ამ პერიოდში მედიას აქვს უკვე იმდენი გამოცდილება, რომ ახალი პაბლისიტიური პოლიტიკის მიმღებად კონფლიქტით მოცული რეგიონების და-ფაქტოადმინისტრაციები აღარ განიხილოს; საქართველოს ხელისუფლება მაყურებლის ფუნქციას დასავლეთს და რუსეთს აკისრებს, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქეებთან ერთად.

თუკი 2004 წლის აგვისტომდე „აფხაზეთის საკითხის“ მედი-აში წარმოჩენის სტრუქტურა (პოლიტიკური და მედიური დის-კურსის თანხვედრა) პრიმიტიულია, შემდგომ პერიოდში: 2004 წლის აგვისტოდან 2006 წლის მაისამდე – თითოეული პროცესი, თითოეული შეტყობინება, რომელიც ამ საკითხის ნაწილად გა-ნიხილება, მედიის მიერ პოლისემიურად (ანუ მრავლობითი მნიშ-ვნელობის მქონედ) წარმოჩინდება. მედია პოლიტიკური შეტყო-ბინებების არა გამტარი, არამედ **მიმღები** ხდება, თვითაღქმული როლებისა და ფუნქციების შესაბამისად ხსნის ამ შეტყობინებე-ბის კოდებს და ქმნის მათ ინტერპრეტირებულ მნიშვნელობებს. თუმცა ეს პოლისემიურობა, ერთი ფაქტისა და მოვლენის მრ-ავალწარჩოიანობა (მნიშვნელობის თვალსაზრისით) არ არის ყვე-ლა შემთხვევაში თანაბარი ეფექტის მქონე. აფხაზეთის საკითხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებიდან გამომდინარე, ხელისუფლებისადმი გარკვეული ხარისხით უნდობლობის გა-მოცხადების ფონზე, მედია ვერ ძლევს „სასურველი საკითხავის“ (რომლის სათავე ისევ და ისევ პოლიტიკური დისკურსია) შექმნის ცდუნებას. მედიური ნიმუშების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკომუ-ნიკაციო პროცესის ეფექტების მხრივ შეიძლება, გამოიყოს სამი მიმართულება (შესაბამისი ემპირიული მასალის, ამ გაზეთების გამომცემლებთან, რედაქტორებთან და ჟურნალისტებთან ინ-ტერვიუების შედეგების, უქონლობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რამდენად დაგეგმილი ან დაუგეგმავია ეს ეფექტები): ა) რეალური მნიშვნელობითი დისკურსის შექმნა; ბ) ილუზორული (გაფლანგული და ფუჭი) მნიშვნელობების, როგორც „სასურველი საკითხავის“ (preferred reading) შექმნა და გ) ინფორმაციების თა-ვისუფალი ნაკადი.

რეალური მნიშვნელობითი დისკურსის შექმნა. ამ ეფექ-ტის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებად და წარმატებულ მე-

დიანიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ პუბლიკაციების ის სიმრავლე, რომლებიც შეეხება: ა) მოლაპარაკებათა პროცესს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დიალოგს მხარეთა შორის; ბ) მოლაპარაკებათა პროცესში მონაწილე მხარეების კონფიგურაციას, მათი ფუნქციებიდან და უფლებამოსილებიდან, გამოცდილების ხასიათიდან და გავლენის ხარისხიდან გამომდინარე; გ) დევნილების დაბრუნების საკითხს.

ამ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ (თუმცა, არა მეინსტრიმულ) მოსაზრებას (ხელისუფლებისადმი ლოიალური ექსპერტებისა და პოლიტოლოგების მიერ ინიცირებულსა თუ გახმოვანებულს) წარმოადგენს მოლაპარაკებების პროცესიდან რუსეთის გამორთვის, ასევე მოლაპარაკებების პროცესში ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ჩართვის აუცილებლობა. ზოგიერთი ქართველი ექსპერტი კატეგორიულადაც კი აღნიშნავს, რომ „პუტინირუსეთში დაბუშიამერიკაში – აფხაზეთის დაბრუნების წინაპირობაა“. მედია (უფრო მეტად კი გაზეთი „რეზონანსი“) ამ საკითხის შესახებ და გამო ფართო დისკურსულ ველს ქმნის. კერძოდ, არა უშუალოდ იმავე პუბლიკაციაში, რომელშიც ხსენებული ექსპერტები ამ მოსაზრებებს გამოთქვამენ, თუმცა დროში მომიჯნავე გამოშვებებში, საკითხის განგრძობადობის უზრუნველსაყოფად და მისი სრული მნიშვნელობის შესაქმნელად მედია ცდილობს საკითხის თუ ინიციატივის, თუ დაშვების შემადგენელ კომპონენტებად დაშლას და ამ კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართებების (თანხვედრისა თუ კონფლიქტის) წარმოჩენას. სახელდობრ, გამოიყოფა კომპონენტები: ა) ინიციატივის უზრუნველმყოფი პოლიტიკური მექანიზმის შექმნის შესაძლებლობა, პრო და კონტრა; ბ) მსოფლიო და რეგიონულ პოლიტიკაში ძალთა განლაგების რა კონფიგურაციის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ამ ცვლილებების განხორციელება; გ) რა შეიცვლება ამ ცვლილებებით ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობაში და თუ მოიტანს ეს ცვლილება ქართველებისა და აფხაზების გაერთიანების რამე რაციონალურ (განხორციელებად) საფუძველს; დ) რუსული და მსოფლიო მედიის ხედვა აფხაზეთისა და აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისა, რომელიც არ წარმოადგენს ერთი რომელიმე კონკრეტული ჟურნალისტის ან გამოცემის ხედვას. ეს პუბლიკაციები ასახავს ამ საზოგადოებებში ჩანერგილ სტერეოტიპებს აფხაზეთის შესახებ, მაგალითად:

„დამოუკიდებელი“, „აღმავლობის გზაზე მყოფი“, „სახელმწიფო ცნობიერების გამაძლიერებელი“, „ქართველს დაპირებული“ და „ქართველის საჭიროების არმქონე“, „რუსეთთან ასოცირებული პოლიტიკა როგორც აფხაზეთის გადარჩენა“ და ასე შემდეგ (რუსული ხედვა); „სოხუმი ერთდროულად გროზნოსა და მაიაში ბიჩს ჰგავს“ (ამერიკული ხედვა). რუსული ხედვა პოზიტივზეა აგებული, ამერიკული – კონტრასტზე, რაც თავად აფხაზეთში, მის საზოგადოებაში, მის ცხოვრებაში მიმდინარე კონფლიქტების გამოაშკარავებს ემსახურება.

მნიშვნელობების საკმაოდ რთული კონსტრუქცია იგება ყოველი პუბლიკაციის ირგვლივ, რომელიც დევნილებს და მათი აფხაზეთში დაბრუნების სპონტანურ თუ პოლიტიკურად შეთანხმებულ პროცესს შეეხება. ეს კონსტრუქცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც: ა) **ჰორიზონტულად** განლაგებული საკითხების ერთობლიობა, რომელშიც მთავარი შეტყობინება ჰუმანიტარული ხასიათისაა, მისი მთავარი კოდები დევნილების მდგომარეობისა და სტატუსის განსაზღვრებას ემსახურება როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებისთვის, მაგალითად, „შიმშილი თბილისში“, „მონობა გალში“, „საარჩევნო რესურსი“ და ასე შემდეგ; ბ) **ვერტიკალურად** განფენილი საკითხების სიმრავლე, რომელიც დევნილების საკითხის ადგილს (დომინატობა-სუბორდინაციის ვერტიკალზე) წარმოაჩენს პოლიტიკურ პროცესებსა და მოლაპარაკებების ფორმატში, მაგალითად: საკითხის პრიორიტეტულობას პოლიტიკურ პროცესებში – „ახალი აფხაზური პოლიტიკა დევნილების დაბრუნებით უნდა დაიწყოს“; ბ) საკითხის კონფიგურაციას მოლაპარაკებების ფორმატში – „რამდენად მიზანშეწონილია ჰუმანიტარულ-სოციალური საკითხის მიბმა სხვა პოლიტიკურ (გარიგებას დაქვემდებარებულ) საკითხებთან და მისით მანიპულირება?“ და ასე შემდეგ.

ილუზორული მნიშვნელობების, როგორც „სასურველი საკითხავის“ შექმნა. ამ ეფექტის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სერგეი ბალაფშის პირველი საპრეზიდენტო არჩევნების ამსახველი ქართული მედიაქრონიკა. არჩევნების მიმდინარეობის, რუსეთისა და ხაჯიმბას მომხრეებს მიერ დაძაბული სიტუაციის ასახვის, თავად სერგეი ბალაფშის განცხადებების გვერდით (რაც, ძირითადად, რუსული და აფხაზური წყაროების გამოყენებით ხდება) ჩნდება პუბლიკაციები ბალაფშისა და ანკვაბის „და-

დასტურებულად პროქართული ორიენტაციის“ შესახებ, მათი კავშირების შესახებ ქართულ პოლიტიკურ ელიტასთან (მაგალითად: „ალექსანდრ ანკვაბი: „ვამაყო იმით, რომ თბილისში ვმუშაობდი“ („რეზონანსი“, 24 ნოემბერი, 2004), „ავთანდილ იოსელიანი: „მე და ანკვაბი მეგობრები ვართ. ალექსანდრ ანკვაბმა აფხაზეთში მცხოვრები უამრავი ქართული ოჯახი გადაარჩინა ანიოკებას“ („რეზონანსი“, 1 დეკემბერი, 2004) და სხვა. ამ პუბლიკაციების მოცულობა, წყაროების ავტორიტეტულობა, ემოციურ-დამაჯერებელ-ფამილარული ტონალობა ქმნის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსპექტივების სრულიად ილუზორულ მნიშვნელობებს, უფრო მეტიც, ისინი მნიშვნელობებს უცვლიან ბალაფშისა და ანკვაბის ოფიციალურ განცხადებებსაც აფხაზეთის საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ (რომლებიც მნიშვნელობითი კოდების მხრივ რადიკალურად განსხვავდება ზემოთ მოხსენიებული მედიურული მნიშვნელობებისგან). ამ „სასურველი საკითხავის“ შექმნისას მედია იძენს არა **გზამკვლევის**, არამედ **ინტერლოკუტორის** ფუნქციას, რის გამოც იგება კვაზი-ინტერაქციაზე დაფუძნებული სცენარები (ისევ და ისევ პოლიტიკური დისკურსის კალკირება).

ინფორმაციების თავისუფალი ნაკადი. ამ თავისუფალ ნაკადში იგულისხმება იმ ინფორმაციების სიმრავლე, რომლებიც: ა) დისკურსულად წარმოადგენენ საინფორმაციო შენიშვნებს, ინფორმაციულ ინტერვიუებს, ანუ მხოლოდ მიმდინარე ფაქტების კონსტატაციას; ბ) ინტენციურად ისინი არ არიან წინასწარგანზრახულნი; გ) ხდომილების მიხედვით ხდებიან მედიისგან დამოუკიდებლად; დ) სარედაქციო პოლიტიკის „კარიბჭის დაცვის“ მხრივ ნაკლებად ემორჩილებიან მოსაზრებითი შერჩევითობის პრინციპებს; ე) ტონალობის მიხედვით – ინფორმაციულ-ტექნიკური ტონალობა აქვთ. ეს ნაკადი შეიძლება კომუნიკაციის პროცესის მოზაიკური მოდელის სპეციფიკურ ვერსიად განვიხილოთ, რომელშიც რეალურ მნიშვნელობას არა ცალკეული ფაქტი, არამედ ერთგვაროვან ფაქტებს შორის კავშირი და წყვეტაბმა ქმნის. ამ მოზაიკურ მოდელში, თუკი ჩვენთვის საინტერესო ფაქტებს და ტენდენციებს შესაბამისი ინდექსებით მოვნიშნავთ, მკაფიოდ გამოჩნდება, რომ:

- პოლიტიკურ და მოლაპარაკებების პროცესებში შემდეგი თანმიმდევრობით იცვლება პოლიტიკური ინიციატივებისა

და მოლაპარაკების პირობების მიმღები მხარე: ველაპარაკებით აფხაზებს – ველაპარაკებით რუსებს და აფხაზებს ერთად – ველაპარაკებით რუსებს აფხაზეთის შესახებ – ველაპარაკებით დასავლეთს და აფხაზებს ერთად – ველაპარაკებით დასავლეთს აფხაზეთის შესახებ – ვერავის ველაპარაკებით, რადგან მოლაპარაკებას ქვემდებარე საკითხები იწურება;

- საქართველოს ხელისუფლებას მოლაპარაკებების ველიდან თანდათანობით გაჰყავს თავისი მთავრობის მაღალი თანამდებობისა და გავლენის მქონე პირები და მოლაპარაკებები ფორმალობამდე დადის;
- საქართველოს ხელისუფლებას, ერთი შეხედვით – საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, – აფხაზეთის საკითხი პოლიტიკის მკეთებლების სფეროდან საზოგადოებრივი აზრის მკეთებლების (ე.წ. opinion-makers) ველში გადააქვს, თუმცა მათი ინიციატივებისა და კონცეფციების გაუზიარებლობა, არაფორმალური დიალოგის ბლოკადა მთავრობის მიერ ფიქციად აქცევს Pax Georgiana-ს საზოგადოებრივ ხასიათს;
- მოლაპარაკებების პროცესი ნულოვანჯამოვანია, რადგან ის, რაც საქართველოს მხრიდან არის ინიცირებული და მისაღება საქართველოსთვის, სრულიად მიუღებელია აფხაზებისთვის და მათი პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის; ასევე – პირიქით: ნებისმიერი აფხაზური ინიციატივა მიუღებელია საქართველოსთვის. უკანასკნელი ასეთი ინიციატივა თბილისში აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი შამბას ვიზიტი და აფხაზეთის პოლიტიკური პროექტი „მომავლის გასაღები“ გახლდათ. 2006 წლის მაისში საქართველოს მხრიდან „მომავლის გასაღები“ აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციად შეფასდა და იგი უარყოფილ იქნა, როგორც განხილავს დაუქვემდებარებელი საგანი.

„აფხაზეთის საკითხის“ მედიაცია 2006 წლის მაისიდან 2008 წლის აგვისტომდე შეიძლება შეფასდეს როგორც **რისკების კომუნიკაცია** (პოლიტიკური დისკურსის მედიურ დისკურსში გახსნა, როგორც რისკებისა). თეორიულად, რისკების კომუნიკაციისას განხილვისას ანგარიშგასაწევია სამი ნაკადი: (1) მედიის მიერ

რისკების ბუნებისა და მათი ჰიპოთეტური შედეგების გადმოცემა-რეპრეზენტაცია, (2) რისკ-ფაქტორების მნიშვნელობა და გავლენა პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაში და (3) რისკის აღქმის ხარისხი საზოგადოებაში, ანუ საზოგადოებრივი შიშები. მედიის მიერ გადმოცემული/რეპრეზენტირებული რისკები, საბოლოოდ, მომავალი ომის შესახებ გაფრთხილებაა: „მტრედების“ წასვლა საქართველოს მთავრობიდან – ომის მომასწავებელი ნიშანია, საქართველოს ხელისუფლების კრიზისი „აფხაზეთის საკითხში“ ომით შეიძლება დამთავრდეს (თუმცა, იგი ომით არ განიმუხტება), კოსოვოს პრეცედენტის პროექცია რისკის შემცველია „ქართული მშვიდობისთვის“ აფხაზეთში, სამხედრო ოპერაცია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რეალურია, ასევე რეალურია პროვოკაციების საფრთხე რუსეთისა და აფხაზეთის მხრიდან, რეალურია ჩრდილოკავკასიური ფაქტორის ამოქმედება – დახმარება აფხაზეთის დასაცავად ქართული აგრესიისგან, აფხაზებს არ სურთ საქართველოსთან ინტეგრაცია, აფხაზეთი – მეორე ფრონტი, პროცესები რუსეთ-საქართველოს ომისკენ მიდის და ასე შემდეგ. თუმცა იმავე მედიური ნიმუშებიდან ჩანს, რომ ის, რასაც მედია ჟურნალისტის მოსაზრებაში, ექსპერტთა შეტყობინებებში ან საზოგადოების წარმომადგენლების გამოკითხვებში რისკებად წარმოაჩენს, ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებში რეპრეზენტირებულია, როგორც „ახალი აფხაზეთი პოლიტიკა“; ის, რაც მედიისთვის „ომია“, ხელისუფლების რიტორიკაში „საპოლიციო ოპერაციაა“, რადგან საქართველოს ხელისუფლება „არ აპირებს სამხედრო შეიარაღების გამოყენებას თავის ტერიტორიაზე (ანუ აფხაზეთსა და ოსეთში), საკუთარი ხალხის (აფხაზებისა და ოსების) წინააღმდეგ“; თუკი მედიისთვის რუსეთის ფაქტორი საომარ ვითარების პირობებში ანგარიშგასაწევია, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებით, „რუსეთი ველარ ჩაერევა საქართველოს საქმეებში იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი 1990-იან წლებში ერეოდა, რუსეთი არ ან ვერ აღიარებს აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას“, ან: „რუსეთს ესმის, რომ საქართველოში დანყებული ომი აუცილებლად გადავა ჩრდილოეთ კავკასიაში და ეს არ შედის რუსეთის ინტერესებში“. კომუნიკაციის ამ პროცესში აშკარად ჩანს შეტყობინების ადეკვატურად აღქმისთვის ძალიან სახიფათო პროცესი – კონფლიქტი საკვანძო საგნებისა და იდეების არსსა და მათ სახელდებას შო-

რის, ანუ შეტყობინების აღქმის პრაგმატიკულ ასპექტი სრული ბუნდოვანებით არის მოცული. როდესაც შეტყობინების აღქმის პრაგმატული სტრუქტურა დარღვეულია, ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ რისკების კომუნიკაციის პროცესში მედია მორალური პანიკის დამთესველად მოვევლინოს საზოგადოებას. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში პანიკა არა, მაგრამ ომის შიში დიდი პროცენტით ფიქსირდება.

ხელისუფლების მხრიდან ლინგვისტური და დისკურსული ერთეულების მნიშვნელობების ზედაპირული სტრუქტურებით მანიპულირების კარგ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებაში არსებული, კონფლიქტების გადაჭრაზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურისთვის სახელის გამოცვლა და მისთვის „რეინტეგრაციის საკითხების“ სახელმწიფო მინისტრის ინსტიტუტის სახელის მინიჭება. ახალი მინისტრი თემურ იაკობაშვილი ასე ხსნის ამ სემიოლოგიური აქცენტის გადანაცვლებას: „მეთოდოლოგიურად რეინტეგრაცია სრულიად განსხვავდება კონფლიქტის გადანაცვებისგან. ეს სხვა პროცესია. ჩვენ, ალბათ, არასწორად ვიქცეოდით, როცა კონფლიქტის გადანაცვების მექანიზმებს ვამუშავებდით, რადგან კონფლიქტის გადანაცვება მხარეთა დამორიშორებას უფრო ნიშნავს, ვიდრე მათ დაახლოებას. [ჩვენ გვსურს] არა მშვიდობისმყოფელები, არამედ ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობები, ერთმანეთთან ვაჭრობა, მიმოსვლა, კულტურული ურთიერთობები, აყვანილი ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ რანგში“ („ახალი 7 დღის“ გამოცემა „სიტყვა“, 2008, 3). იმავე ინტერვიუში იაკობაშვილი უარყოფს კონფლიქტის არსებობას: „სად არის კონფლიქტი? ჩვენ და აფხაზები ერთმანეთს არ ვესვრით. ისინი თავისთვის არიან, ჩვენ – ჩვენთვის, ანუ მოგვარებულია ყველაფერი. ჩვენ ასეთი მოგვარება ხელს არ გვაძლევს“. ხელისუფლების ლოგიკით, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების წარუმატებლობა ამ ურთიერთობის ბუნების არასწორი სახელდებითა და სიგნიფიკაციით იყო გამოწვეული, ამიტომ ნავიდნენ ხელისუფლებიდან ის მოხელეები, რომლებიც ამ ურთიერთობას კონფლიქტად აღიქვამდნენ და საქმიანობითაც სწორედ კონფლიქტის გადაჭრას ემსახურებოდნენ, როცა, თურმე კონფლიქტი არ არსებობდა (!).

რისკების კომუნიკაციის ფაზა 2008 წლის აგვისტოთი, რუსეთ-საქართველოს შორის 5-დღიანი ომით მთავრდება, და იწყება

„ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მკვდარი პერსპექტივის“ (მედიის მიერ დამკვიდრებული, თუმცა ექსპერტების მიერ შემოღებული ტერმინი) რეპრეზენტაციის ფაზა. თბილისი, როგორც დეიქტიკური ცენტრი, თემატური და ვალენტობითი ჩარჩოების მიხედვით შეზღუდულ დიაპაზონშია წარმოჩენილი. თბილისიდან რეპორტირებული ინფორმაციები, საექსპერტო მოსაზრებები, თბილისში შექმნილი ანალიტიკური წერილები ერთ აქცენტზეა ფოკუსირებული: საქართველოს ბრძოლაზე დიპლომატიურ ფრონტზე – რა რესურსები აქვს საქართველოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესაჩერებლად და როგორ შეუძლია მას ერთადერთი ქმედითი საერთაშორისო ინსტიტუტის, ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის გამოყენება. სოხუმი, როგორც დეიქტიკური ცენტრი, უკვე გარე (ანუ საქართველოსთვის არაშინაური) სივრცის ნაწილია: „აფხაზეთმა დამოუკიდებლობა უსაფრთხოებაზე გაცვალეს“, „აფხაზეთი – ერთი დიდი რუსული სამხედრო ბაზა“, „რუსეთს ტერიტორიული პრეტენზიები აქვს აფხაზეთის მიმართ, ხოლო აფხაზეთს – საქართველოსთან“. ერთადერთ დეიქტიკურ ცენტრად, სადაც ქართული და აფხაზური ცოცხლად ეხება ერთმანეთს, გალი რჩება, მაგრამ გალიც სრულიად მარგინალიზებულად არის წარმოდგენილი როგორც ქართული მხარის, ისე აფხაზური მხარის მიმართ; თუმცა რეალურად, არა აფხაზეთისა და საქართველოსთვის, არამედ რუსეთის მიერ დამყარებული ოკუპაციის რეჟიმისთვის აღმოჩნდა ძალიან უმნიშვნელო ის სოციალური თუ იდენტობითი ასიმილაციის მაღალი ხარისხი („ახლოობა“), რომელიც გალს გააჩნია როგორც საქართველოსთან, ისე აფხაზეთთან.

დეზინტეგრაციულმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა (ჩართული და მონაწილე მხარეების დონეზე), ასევე ნეგატიურად განვითარებადმა სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, როგორც პროცესის, ამგვარი დინამიკა. მათ თავიანთი მნიშვნელოვნებითა და გავლენით გადაფარეს ყველა მეტ-ნაკლებად ან პოტენციურად ინტეგრაციული ფაქტორები და შედეგად სამხედრო ფაქტორების გააქტიურება გამოიწვიეს.

რაც შეეხება პოლიტიკური დისკურსის დომინატობას მედიურ დისკურსში, ამ გარემოების განპირობებულობის საფუძველი უნდა ვეძებოთ იმ შიშში, რომელსაც განიცდიდა ქართული მედია,

მედიურ დისკურსში არ შემოეტანა და არ განევითარებინა ისეთი თემები და საკითხები, რომლებიც დაარღვევდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმულ დოქტრინას ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ, ძირითადად ვერტიკალზე განლაგებულ იერქრქიას; რომლებიც დაარღვევდა ჩამოყალიბებულ წარმოდგენებსა და განწყობებს მოლაპარაკებების, როგორც ფენომენისა და აპრობირებული ნეგატიური პრაქტიკის, მიმართ, წარმოდგენებს აფხაზების „ჩაკეტილობის“ შესახებ და ასე შემდეგ.

„აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ – იდენტობის პრაიმორული, კოსტომორული თუ ფიქციური პროექტი?

მთლიანი საკვლევი პოპულაციიდან, 1752 მედიური ერთეულიდან, 331 ერთეული სახელდებული იქნა როგორც იდენტობითი მიმართებების მქონე და ფაქტორული ანალიზისას მკვლევარების მიერ მათ იდენტობითი ფაქტორების კვალიფიკაცია მიენიჭა. ანალიზის ეს ერთეულები წარმოადგენენ ნებისმიერი ჟანრის მედიურ პროდუქტს, რომლებშიც პირის, ჯგუფის ან კოლექტივის ადგილისადმი, თემისადმი, ეთნოსისადმი, ერისადმი, რელიგიისადმი, სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობა განიხილება როგორც გარკვეული მიმართულებით და/ან დანიშნულებით მოქმედი ფაქტორი „აფხაზეთის საკითხში“. ეროვნულ-იდენტობითი, კულტურულ-იდენტობითი ფაქტორები ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის რეპრეზენტაციისას წარმოაჩენენ: ა) მყარ იდენტობით ფონს, რომელზეც პოლიტიკური და სამხედრო პროცესები ვითარდება და რომელიც განსაზღვრავს ამ პროცესების ბუნებას; ბ) აფხაზეთის და აფხაზების სახეს იდენტობითი კატეგორიების მიხედვით (საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, თურქეთის, თავად აფხაზეთის მოსახლეობის ცალკეული ეთნიკური, აფხაზი თუ არააფხაზი ჯგუფების მიმართ); გ) დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობის განპირობებულობას და შესაძლებლობას კვაზი-სახელმწიფოსა თუ ერი-სახელმწიფოს კონტექსტში; ეს უკანასკნელი მიმართება განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან აფხაზეთური პოლიტიკური დისკურსი აფხაზეთს „დე-ფაქტო“ შემდგარ სახელმწიფოდ მოიხსენიებს.

სტატისტიკური პროცედურების ვალიდურობის მიზნით ფაქტორულ ანალიზში იდენტობითი ფაქტორების ქვეშ გავაერთიანეთ მხოლოდ მკაფიო იდენტობითი მიმართებების მქონე პუბლიკაციები, თუმცა ნარატიულ ანალიზში, იდენტობითი სურათის სისრულის მიზნით, აგრეთვე იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ ერთეულ საგაზეთო შეტყობინებებსაც შეუძლიათ შექმნან საზოგადოებრივი აზრი, განხილულია ის ნიმუშებიც, რომლებიც ირიბად ან ასოციაციურად უკავშირდებიან იდენტობით ფაქტორებს. განხილვისას გათვალისწინებულია ყველაზე დაბალი რეპრეზენტატულობის მქონე მიმართებითი ჩარჩოც კი.

ვაცნობიერებთ, რომ, ვინაიდან თითოეული ფაქტი, რომელიც აფხაზებისა და აფხაზეთის ერთად და სახელმწიფოდ ყოფნას შეეხება, „ქართულ მედიურ ფილტრშია“ გატარებული, აუცილებლად გასათავალისწინებელია ამ ფილტრის პოტენციალი, შენიღბოს განსაზღვრული, ერთი ტიპის ტენდენციები და გადაჭარბებული აქცენტები დასვას მეორე ტიპის ტენდენციებზე; ამიტომ, მაქსიმალური ობიექტურობის დასაცავად, რომლის საშუალებებსაც მედიური ნიმუშების მნიშვნელობითი ჩარჩო იძლევა, განხილვისას გათვალისწინებულია ყველა ტიპის კომუნიკატორი, ყველა ტიპის შეტყობინება, რომელიც ჩვენთვის აქტუალურ ეროვნულ-იდენტობით მიმართებას შეეხება.

მთლიანი ემპირიული მასალის ფაქტორული ანალიზი უჩვენებს, რომ იდენტობითი ფაქტორები, გავლენითა და მნიშვნელობით, მესამე ფაქტორია, ნაკლებად გავლენიანი და მნიშვნელოვანი, ვიდრე დეზინტეგრაციული პოლიტიკური ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (თუმცა, ეს უკანასკნელი ფაქტორები ასოციაციურად იდენტობითი კატეგორიების სიმყარეს უკავშირდება). მაგრამ იდენტობითი ფაქტორები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონურ ფაქტორად შეიძლება დავახსიათოთ, რომელიც განსაზღვრავს რაოდენობრივად უფრო რეპრეზენტატიული და მნიშვნელობისა და გავლენის მხრივ უფრო აქტიური ფაქტორების დინამიკას.

აფხაზეთის დამოუკიდებლობა 1990-იანი წლების გლობალური პერსპექტივიდან და პასუხგაუცემელი შეკითხვები

როგორი შემართებითაც პოსტ-საბჭოთა და სხვა „ნაციონალისტურად ცხელ“ სივრცეში აფხაზეთი და სხვა მრავალი, მისი მსგავსი მხარე 1990-იანი წლების ახალ პოლიტიკურ წესრიგში ახალი სტატუსით ცდილობდა დამკვიდრებას, პოლიტიკის ფილოსოფიის თეორეტიკოსები ასეთივე შემართებით ცდილობდნენ, სეპარაციის ეს მოდელები მარქსისტული და მოდერნისტული ეპოქების დასასრულის კონტექსტში მოექციათ და ამ ახალი, თუნდაც არალეგიტიმური, ერთეულებისთვის პოსტმოდერნულ სამყაროში მოექებნათ ადგილი და არსებობის საფუძველი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო ახალი მოცემულობა – „სუპრანა-

ციონალური იდენტობის წინაპირობები“, როგორც ეპოქის ნიშანი, როგორც ახალი წესრიგი, რომელსაც თავისი დიალექტიკა ჰქონდა და რომელსაც საფუძველს იდეოლოგია უმყარებდა, ანუ ეს იყო იდეოლოგიური კანონზომიერების დონეზე ახსნილი და ახსნადი პროცესი, რომელსაც სახელად უბრალოდ „მოდერნიზტული იერარქიების რღვევა“ ერქვა. არსებობდა დაშვება, რომ ეს, კანონზომიერებას დამყარებული რღვევა, პირველ ეტაპზე შედეგად მოიტანდა დაძაბულობასა და კონფლიქტს მხარეთა შორის, მაგრამ, ვინაიდან რღვევის ამ პროცესს უკუსვლის პოტენციალი არ გააჩნდა, ეს კონფლიქტი დროთა განმავლობაში მინელდებოდა და შემდეგ საერთოდ გაქრებოდა. იერარქიული რღვევის შედეგად შექმნილი დამოუკიდებელი ერთობები კი აღარ იქნებოდნენ ტრადიციული მოდერნული ნაციონალური ერთობები, „ვირტუალური, ხელოვნური სინთეზით გამოყვანილი მეგაკოლექტივები“, უფრო მეტიც, ისინი დროთა განმავლობაში თავად დაექვემდებარებოდნენ უფრო მომცრო იერარქიების რღვევას და ფრაგმენტაციის ეს პროცესი, რომლის შედეგად შექმნილი ერთეულების რაოდენობა სასრული იყო, ყველაზე მომცრო სამშობლოს შექმნით დასრულდებოდა. ვულგარულად რომ ვთქვათ, ეს იქნებოდა „მატრიოშკის“ პრინციპით „გამოჩეკილი“ ერთობების შობისა თუ კულტივაციის აქამდე არნახული პროცესი, რომელშიც არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა არც მხარეთა საწყის პოზიციებს კონფლიქტამდე (ადმინისტრაციული სტატუსი, ურთიერთდაქვემდებარება და ა.შ.), არც მათი ერთად თანაცხოვრების ისტორიასა და გამოცდილებას და არც ბუნებრივ, პოლიტიკურ თუ ლინგვისტურ საზღვრებს. მაიკლ ბილიგი (1995) ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ტერიტორიის ფრაგმენტაციას ეროვნული ნიშნით ნაციონალიზმისა და პოსტმოდერნიზმის მიმართების დისკურსში განიხილავს: „თუკი ახალი, პატარა ერები წარმატებას მიაღწევენ დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, ისინი ვერ დატკბებიან ნაციონალიზმის აღზევების ეპოქისათვის დამახასიათებელი სუვერენიტეტით. ეს ახალი სახელმწიფოები საჭიროებენ სუპრანაციონალურ ორგანიზაციებში შეღწევას. გარდა ამისა, მათ ემუქრება საფრთხე, სწორედ, იმ ქვენაციონალური პროცესების მხრიდან, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს მათი დაბადება. შობილი ეროვნული ფრაგმენტაციის პროცესების შედეგად, ისინი მოწყვლადნი არი-

ან მსგავსი პროცესების მიმართ, – რომ მათ შიგნით უფრო მომცრო წარმოსახვითმა იდენტობებმა მომცრო სამშობლო სივრცე გამოაცხადონ.“⁵ პოსტმოდერნულობისა და ნაციონალიზმის შესახებ მსჯელობისას მაიკლ ბილიგს მაგალითად პოსტ-საბჭოთა და პოსტ-კომუნისტური სივრცე მოჰყავდა: „საბჭოთა კავშირი განასახიერებდა რუსეთის ჰეგემონიას 14 ლეგალურად არსებულ მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთა შიგნით არსებობდა ლეგალურად აღიარებული ასობით „ეროვნება“.⁶ ზუსტად ისევე, როგორც რესპუბლიკები დაიდრნენ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ, ზოგიერთი „ეროვნება“ ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკების წინააღმდეგ დაიძრა“.⁷ ბილიგი წარმოაჩენდა სქემას, რომელიც მოდერნიზმ-პოსტმოდერნიზმის გასაყარზე ეროვნებასთან დაკავშირებულ ყველა თავსატეხს თითქოს ხსნიდა: ყოველ ჯერზე გარკვეული ჯგუფი გამოეყოფა სახელმწიფოს, გამოაცხადებს ახალ სახელმწიფოს თავისი სახელით, შემდეგ ამ ახალ სახელმწიფოში მაცხოვრებელი უმცირესობა (ჯგუფი) სახელმწიფო სტატუსს აცხადებს ან ამ სტატუსის მაძიებელი ხდება. „ეს ერთეულები, თავის მხრივ, შეუძლებელია, იყვნენ კულტურულად იზოლირებული ერთეულები. ისინი ჩართულნი არიან ინფორმაციის უფართოეს ქსელში, რომელსაც არც ბუნებრივი, არც პოლიტიკური და არც ლინგვისტური საზღვრები არ გააჩნია. ამგვარად, პოსტმოდერნიზმი მომავალი მსოფლიოს ხედვას გვთავაზობს. ამ სამყაროში ეროვნული ტერიტორია აღარ წარმოადგენს ადგილს, საიდანაც იდენტობები, მიბმულობები, ცხოვრების წესები და ყალიბები წარმოდგებიან. დაკვეთა ეროვნულ სამყაროზე ახალ შუასაუკუნეებს გვთავაზობს. საზღვრებით შემოფარგლული ეროვნული სახელმწიფოების ადგილზე განვითარდებიან მრავლობითი *terrae*...“⁸

სწორედ ამავე პერიოდში ჩნდება ფრენსის ფუკუიამას „ლიბერალური რევოლუციის“ (1992) დოქტრინა. მაშინ ფუკუიამა წერდა, რომ „დემოკრატიის იდეა სულ უფრო ძლევამოსილი და გამარჯვებული გახდება. არ არსებობს სხვა იდეოლოგია, რომელიც მეტოქეობას გაუწევს ლიბერალურ დემოკრაციას და

⁵ Billig, M. (1995): 133-134

⁶ Breuilly, J. (1992) *Nationalism and the State*. Manchester University Press

⁷ Billig, M. (1995): 133

⁸ იქვე

არ არსებობს სხვა არანაირი ლეგიტიმური პრინციპი, გარდა ხალხთა სუვერენიტეტისა“ (გვ. 45). ფუკუიამა ამტკიცებდა, რომ ნაციონალიზმი, როგორც ძველ იდეოლოგიათაგან ერთ-ერთი, გარდაუვლად გაქრებოდა „ახალ ლიბერალურ მსოფლიო წესრიგში“, თუმცა ბილიგი აკრიტიკებს ფუკუიამას ცნებების თავისუფლად მოხმარების გამო: იგი ამტკიცებს, რომ შესაძლოა, ფუკუიამამ უარჰყო „ცხელი და ეთნიკური ნაციონალიზმი“, მაგრამ „ხალხი“ თანამედროვე პოლიტიკურ ფორმაციულ დიკსურსში სხვა არაფერია, თუ არა „ერის“ სინონიმი.

„ნაციონალიზმით შეპყრობილ“ პერიფერიებში კი ამ ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მედიური ასახვა ისევ „ძველი“, ნაციონალისტური მსოფლმხედველობით მიმდინარეობდა, იქმნებოდა ნაციონალისტური სინტაქტური და სემანტიკური სტრუქტურები: გაზეთები ყოველი სიტყვით მიუთითებდნენ ერების სამყაროს არსებობაზე და იმ ეროვნული ადგილის დაკარგვის მტკივნეულობაზე, რომელიც „წარმოსახვითი სამშობლოს“ შიგნით მდებარეობდა. ნაციონალისტური აზროვნება, სერჟ მოსკოვიჩისა⁹ და მაიკლ ბილიგის¹⁰, ფილიპ შლეზინგერისა და სტიუარტ ჰოლის მიხედვით, მოიცავს „ჩვენ, ერის“ გაგების გზებს, ერისა, რომელსაც უნდა ჰქონდეს უნიკალური ბედი, ხვედრი და დანიშნულება; ასევე მოიცავს „მათი, უცხოელების“ გაგებისა და აღქმის გზებს, რომელთაგანაც „ჩვენ ჩვენივე თავს“ განსხვავებულებად აღვიქვამთ. ნაციონალისტური აზროვნება მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ოდენ ვალდებულებას ჯგუფის მიმართ და ამ ჯგუფის სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებულობის განცდას. იგი იღებს ერისა და ეროვნების, ადამიანისა და სამშობლოს კავშირის იდეას, როგორც თავისთავადს; ერების სამყაროს არსებობის ბუნებას, რომელიც სხვადასხვა, ერთმანეთისაგან გამოცალკევებულ სამშობლოებად არის დაყოფილი¹¹.

მოგვიანებით დასკვნები პოსტმოდერნისტული და ლიბერალური უნივერსალური მსოფლიო წესრიგის შესახებ „ნაჩქარევ დასკვნებად“ იქნა მიჩნეული (როგორც მკვლევრების უმრავ-

⁹ Moscovici, S. (1983) 'The Phenomenon of Social Representations', in R. Farr and S. Moscovici (eds), *Social Representations*, Cambridge: Cambridge University Press

¹⁰ Billig, M. (1985) 'Prejudice, Categorization and Particularization: From a Perceptual to Rhetoric Approach', in *European Journal of Social Psychology*: 49-55

¹¹ Billig, M. (1995) *Banal Nationalism*: 60-61

ლესობა აღნიშნავს, ამ დასკვნების საფუძველი გახლდათ პოსტმოდერნის დადებითი ესთეტიკური კონოტაციების მექანიკური გადატანა პოლიტიკურ პოსტმოდერნზე და ლიბერალიზმის იდეის საყოველთაო მომხიბვლელობა); მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს მოსაზრებები პოპულარობას და აღიარებას შეინარჩუნებდნენ, ეთნოკონფლიქტების კერებში, ანუ იქ, სადაც კონფლიქტის მრავალწლიანი პრაქტიკული და მედირებული გამოცდილება არსებობდა, ჩნდებოდა შეკითხვები, რომლებზეც პასუხი არც პოსტმოდერნიზმს და არც ლიბერალურ დემოკრატიას არ ჰქონდა. კერძოდ, თუ ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი აღარ წარმოადგენდა ამ გაყოფილ ერთეულებს შორის ურთიერთობებისთვის ფაქტორებს, მაშინ:

რატომ მოიხილავს შედეგად კონსტიტუციურმა სეპარაციამ და სახელმწიფო იერარქიის რღვევამ შოვინიზმი, ქსენოფობია, ერთმანეთის უარყოფა და შიში?

რატომ ვერ მოინახა ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაში აფხაზეთისა და საქართველოს გამაერთიანებელი იდეოლოგიური/ლირებულური „შეთანხმების“ პლატფორმა?

რატომ უარჰყვეს აფხაზეთმა სრულიად პოსტმოდერნისტული „ორი საქართველოს“ (საქართველო და აფხაზეთი, როგორც საქართველო) იდეა?

რატომ აქვთ ამ კონფლიქტებს არა სამოქალაქო ომის, არამედ სამამულო ომისთვის დამახასიათებელი შედეგები? (მაგალითისთვის: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბუნების დახასიათებისას ტერმინი „სამოქალაქო ომი“ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ადრეულ ანგარიშებში გამოჩნდა რამდენჯერმე, არც ქართველისთვის და არც აფხაზისთვის ეს ომი სამოქალაქო არ ყოფილა, რადგან ომის ერთ-ერთ საგანს მინა, როგორც ერთდ ყოფნის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი და ნაციონალისტური ლირებულება, წარმოადგენდა).

რატომ ჩანს ქართულ მედიაში მიბმულობა არა მთლიანად გეოგრაფიულ აფხაზეთთან, არამედ იმ ადგილებთან, რომლებიც წარმოსახვითი **სამშობლოს** კონტექსტშია აქტუალური: გალთან, სადაც ეთნიკურად ქართველი აფხაზები ცხოვრობენ, და ილორთან და ბედიასთან, სადაც ქართული ქრისტიანული ძეგლები დგას, ანუ სადაც არსებობს ეროვნული მემკვიდრეობა, როგორც ქართველთა სამშობლოს დადასტურება აფხაზეთის მიწაზე?

ამ მცირე მიმოხილვას ორ უმნიშვნელოვანეს საკითხამდე მივყავართ: ა) მედირებული გამოცდილებით რა ტიპის კონფლიქტს ჰქონდა ადგილი ქართველებსა და აფხაზებს შორის; და ბ) რა მიმართებებით არის წარმოდგენილი მედიაში აფხაზეთის დამოუკიდებლობა, როგორც ეროვნულ-იდენტობითი პროექტი, ანუ ნიშნავს თუ არა აფხაზეთის დამოუკიდებლობა დამოუკიდებელ თანამედროვე აფხაზურ ერ-სახელმწიფოს?

მედია და „აფხაზეთის ეროვნული ადგილი“. თეორიული არგუმენტები

ეროვნული და სოციალურ-კულტურული იდენტობა „აფხაზეთის საკითხის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია. იდენტობის, ეთნოსისადმი, ერისადმი, კულტურისადმი მიკუთვნებულობის გაზიარებული განცდის შექმნა, შენარჩუნება და განვითარება მოცემული ერთობის (ეთნოსის, ერის, საზოგადოების) წევრებისთვის მედიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კერაში გარკვეული ტიპის პროცესების გავლენითა და მათ შედეგად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, რომლის უკანასკნელი, საერთაშორისოდ აღიარებული სახელწოდება „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა“ გახლდათ, საქართველოს სახელმწიფოსგან ფაქტობრივად გამოყოფილია. მისი თვითგამოცხადებული სახელწოდება და სტატუსი „აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ უღიარებელია საერთაშორისო სახელმწიფო სამართლის მიერ. საქართველოსა და მისი მოკავშირე სახელმწიფოებისთვის აფხაზეთი – „რუსეთის მიერ ოკუპირებული ზონაა, რომელიც იმავდროულად საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“. ფაქტია, რომ აფხაზეთი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული უბანი, თავისი გრძივებითა და განედებით, მინითა და ზღვით, არამედ ეს არის ადგილი თავისი უნიკალური ისტორიული მემკვიდრებით, რომლისგანაც განსაზღვრული კატეგორიის კოლექტიური იდენტობები წარმოდგება და რომელთანაც ეს იდენტობები ასოცირდება. ამ იდენტობების გაზიარებული განცდა კი დამახასიათებელ პოლიტიკურ პროცესებსა და ასპირაციებს უქმნის საფუძველს.

ამ თავის ამოცანა სპეციფიკურია – აფხაზეთისა და აფხაზეთის იმ კოლექტიური იდენტობითი მიმართებების მედიური მოცულობისა და ვალენტობების ჩვენება, რომლებიც, თავინთი პოტენციალით შეიძლება განხილული იქნან როგორც აფხაზეთისთვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის შექმნის წინაპირობა.

წინასწარ დაშვებად მიიღება, რომ ეს რეპრეზენტაცია ქართულცენტრულია (ანუ მასში ბევრი ტრადიციულად „ქართული“

სტერეოტიპული ხედვა შეიძლება იყოს გადმოცემული), აქედან გამომდინარე – მიკერძობულია და წინასწარგანზრახული. მაგრამ ქართული საზოგადოებისთვის, ყოველ შემთხვევაში – მისი დიდი ნაწილისთვის, რომელსაც პრაქტიკული შეხება არ გააჩნია კონფლიქტთან, აფხაზეთთან და აფხაზეტთან, სწორედ ამგვარი მედიაციის შედეგად მიიღება აფხაზეთისა და აფხაზეტის სახე. წიგნის ამ თავისთვის გამოყენებული მედიური ნიმუშები სხვადასხვა ტიპის წყაროს ეყრდნობა: ა) აფხაზურ და რუსულ საინფორმაციო წყაროებს, რომლებიც გადმოსცემენ მიმდინარე მოვლენებს აფხაზეთში და რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ აფხაზეთში არსებული ეროვნული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული გარემოს განსაზღვრებების შემცველ დახასიათებებად; ბ) დევნილობაში მყოფ მოქალაქეებს; გ) ქართველი მეომრების მონათხრობს 1992-1993 წლების ომის შესახებ; დ) აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ეროვნულ-იდენტობითი ფესვების შესახებ. წყაროების ამგვარი კონფიგურაცია მედიური ნიმუშების ორგვარ ეფექტზე მიუთითებს: ა) პირდაპირ ეფექტზე; გადმოცემული ფაქტები მყისიერია, ნაკლებად გაშუალებული (ანუ მხოლოდ ერთი წყაროთი გაშუალებული), უნიფორმული და დაკვირვებას დაქვემდებარებული; მედიური შინაარსის ცვლადებია: ფაქტის დამახასიათებლობა და ტიპურობა სოციალურ რეალობაში, რეალიზმი და გარკვეული მოტივაციის შექმნა; აუდიტორიის ცვლადი არ არის გამოკვეთილი, ანუ შეტყობინებას სამიზნე აუდიტორია, კონკრეტული ტიპის მიმღები არ გააჩნია; და ბ) განპირობებულ ეფექტზე; გადმოცემული ფაქტები, მოვლენები, მოსაზრებები ემსახურება გარკვეული მიმართებების ინტენსივობის გამყარებას, ისინი კოგნიტიური და ემოციურია, გათვლილია განსაზღვრული ქცევითი ყალიბების შექმნაზე (მაგალითად: „მტერს მტრულად უნდა მოექცე“, ან: „ჩვენ – აფხაზებსა და ქართველებს, ერთმანეთისთვის ბოდიში გვაქვს მოსახდელი – დარღვეული ძმობისთვის“ და ა.შ.); მედიაშინაარსს არ აქვს გამოკვეთილი ცვლადები: იგი შეიძლება იყოს რეალურ ფაქტებზე აგებული, სტერეოტიპულ გადმოცემებსა და მითებზე დაფუძნებული და ა.შ (ანუ მრავალგზის გაშუალებული); აუდიტორიის ცვლადების მიხედვით, ეს არის სოციალური (ეროვნული) კატეგორიები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართებულია იმის დაშვება, რომ ამ შემთხვევაში „ნინასნარგანზრახულობა“ და „მიკერძოებულობა“ აღნიშნავს, მიუთითებს, რომ მოსალოდნელია არა რომელმე ცალკეული ფაქტის, არამედ მთლიანად სოციალური რეალობის დამახინჯება, ფაქტებისა და მოვლენების ქართულ-ცენტრული პერსპექტივიდან შერჩევისა და აქცენტების გადანაწილების გამო. თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ, განსხვავებით 1990-იანი წლებისგან, აფხაზეთისა და აფხაზეთის ჩვენება შინაარსის კულტურული ხარისხისა და ნორმატიული სტანდარტების დაცვით ხდება. ქართული მედია არ იყენებს სიძულვილის ენას, ამ დისკურსის (მიუხედავად იმისა, რომ იგი გარკვეული ხარისხით სტერეოტიპიზებულია) მიზანი არ არის აფხაზის არც მარგინალიზება და არც სტიგმატიზება.

2008 წლის აგვისტომ კონფლიქტი გაყინა, აფხაზეთს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება მოუტანა (ამ აღიარების ნებაყოფლობითობის, რეალური პოლიტიკური მიზანშეწონილობის, წინაპირობებისა და ხარისხის შეფასება არ არის ჩვენი კვლევის მიზანი), ჯერჯერობით ვერც მოვლენათა ქრონიკა და ვერც სხვადასხვა ნარმოშობის ავტორიტეტული წყაროების შეფასებები ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ სცემს შეკითხვებს:

იყო თუ არა ეს 20-წლიანი პერიოდი (1988 წლიდან 2008 წლამდე) აფხაზი ერის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და დამოუკიდებლ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერიოდი?

არის თუ არა დღევანდელი შედეგი ის შედეგი, რომელსაც აფხაზი ხალხი ესწრაფვოდა?

არის თუ არა დღეს აფხაზეთი, თუნდაც, კვაზი-ერი-სახელმწიფო?

რა იდენტობითი და ადმინისტრაციული ფაქტორები უწყობდა ხელს მის სწრაფვას ერად ყოფნისკენ და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისაკენ?

რამდენად შეესაბამება ფენომენი „აფხაზი ხალხი“ თანამედროვე დემოკრატიულ პოლიტიკაში დამკვიდრებულ „ხალხის“ დისკურსულ ფორმაციულ ფენომენს, რომელიც „ერის“ სინონიმია (Hall and Held, 1989)?

შესძლო თუ არა აფხაზეთმა დამკვიდრება სამყაროში, რომელსაც „ჩვენისა“ და „მათის“ ფენომენები ინსტიტუციონალიზებული აქვს?

არის თუ არა მხოლოდ პოლიტიკური დისკურსი საკმარისი ერის შესაქმნელად?

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ წარმოადგენს წინამდებარე კვლევის ამოცანას, თუმცა „აფხაზეთის საკითხის“ კონტექსტში განსაზღვრული იდენტობითი და ჯგუფური ლოიალობის მიმართებების მედიური რეპრეზენტაცია საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ, რა როლი ითამაშა იდენტობების (ეროვნული/ეთნიკურის, სოციალურის, კულტურულის, რელიგიურის და სხვა) რღვევა-შენების ტენდენციებმა არსებული შედეგის მიღებაში; რომელი კატეგორიის იდენტობების შენარჩუნება როგორ დინამიკას შესძენს ამ პროცესს.

ყველაზე უფრო მიზანშეწონილ მიდგომად საკვლევი ამოცანისადმი ფენომენოლოგიური მიდგომა გვესახება. „ერის“, როგორც ფენომენის, დამკვიდრებული განსაზღვრებ(ებ)იდან გამოვყოფთ ამ ცნების მაფორმირებელ საკვანძო ტერმინებს, როგორც ინდექსურ მარკერებს, რომელთა მიმართაც მოხდება იმ ცალკეული ნიშან-თვისებების ბუნების ჩვენება, რომელთა მიხედვითაც აფხაზებს თავიანთი თავის უნიკალურად (როგორც ეთნოსის, ერის, ერთობის, სახელმწიფოს/კვაზი-სახელმწიფოს) განხილვა შეუძლიათ.

არსებობს „ერის“/„ერი-სახელმწიფოს“ რამდენიმე ათეული განსაზღვრება, რომელთაგანაც თითოეული ისტორიულად დამკვიდრებული (პრიმორდიალური) თუ მოდერნული ეპოქის მიერ შემოტანილი სპეციფიკური ნიშან-თვისებების ერთობლიობას მიიჩნევს ერთად ყოფნის საფუძვლად. ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულებით, ერის არსებობის უპირველესი პრერეკვიზიტებია: ტერიტორია, ენა და გაზიარებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. ტერიტორია ეთნოსის დახასიათებასა და დეფინიციაშიც გვხვდება, მაგრამ განსხვავებული დატვირთვით (ამ განსხვავებულობის ბუნებას ოდნავ ქვევით, ენტონი სმიტის მიერ მოცემულ ერისა და ეთნოსის დახასიათებაში ვნახავთ). როგორც აღვნიშნეთ, ერის, ეროვნების, ეთნოსის (როგორც ethnies-ს და არა ეთნო-დემოგრაფიულ ჯგუფის), ეროვნულობის, ნაციონალიზმის – როგორც იდეოლოგიისა და როგორც იდენტობის – განსაზღვრება დამოკიდებულია მკვლევარის მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე, ანუ იმაზე, ერების წარმოშობა და განვითარება მათ მიერ განიხილება პრიმორდიალისტური თუ მოდერნისტული პერ-

სპექტივიდან. ზოგადად რომ ვთქათ, პრიმორდიალისტები ერს განსაზღვრავენ როგორც ერთობას, რომელიც ღრმად ფესვგადგმულია ისტორიაში, კულტურაში, მითებსა და ადამიანის ბუნებაში. მის საპირისპიროდ, მოდერნისტები მიიჩნევენ, რომ ერი „თანამედროვე გამოგონებაა“, რომელიც უფრო პოლიტიკური ძალებისა და პოლიტიკური ძალისხმევის შედეგია, ვიდრე კულტურული გამოვლიძებისა.

მაგალითად „ერის“ დეფინიციის რამდენიმე აღიარებულ მაგალითს მოვიყვანთ:

ერი, მაქს ვებერის აზრით, არის „გრძნობითი ერთობა, რომელიც ადეკვატურად გამოხატავს თავის თავს საკუთარ სახელმწიფოში; აქედან გამომდინარე, ერი არის ერთობა, რომელიც, როგორც წესი, იჩენს სწრაფვას საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ.“¹² ერი, ენტონი სმიტის (1971) მიხედვით, არის „დიდი, ვერტიკალურად ინტეგრირებული და ტერიტორიულად მობილური ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს საერთო მოქალაქეობრივი უფლებები და კოლექტიური გრძნობები ერთი ან მეტი საერთო მახასიათებლის მიმართ, რომელიც განასხვავებს მის წევრებს იმ მსგავსი ჯგუფებისაგან, რომლებთანაც მათ აქვთ მოკავშირული ურთიერთობა ან კონფლიქტი.“¹³ სმიტი გამოარჩევს ერის შვიდ მახასიათებელს: ზომას, ეკონომიკურ ინტეგრაციას, ტერიტორიულ მობილობას, დამახასიათებელ კულტურას, საგარეო ურთიერთობებს, თანასწორი უფლებებს წევრებისათვის და ჯგუფურ ლოიალობას. (შედარებისთვის: „ეთნოსის“ დეფინიციის სმიტი (1986: 24) გამოჰყოფს ექვს მახასიათებელს: კოლექტიური სახელი, საერთო მითი ეთნოსის წარმომავლობის შესახებ, გაზიარებული ისტორია, დამახასიათებელი გაზიარებული კულტურა, ასოცირებულობა/დაკავშირებულობა კონკრეტულ ტერიტორიასთან (რომელიც არ არის მისი სახელმწიფო ტერიტორია), და სოლიდარობის გრძნობა ეთნოსის წევრებს შორის).

ენტონი გიდენსი ამგვარ განმარტებას აძლევს ერ-სახელმწიფოს: „ერი-სახელმწიფო არის მმართველობის ინსტიტუციური ფორმების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველჰყოფს და ინარჩუნებს ადმინისტრაციულ მონოპოლიას საზღვრებით შემო-

¹² Weber Max in Gerth and Mills, 1948: 176

¹³ Smith, A. (1971) *Theories of Nationalism*. 1st ed. London: Durkworth: 175

ფარგლულ ტერიტორიაზე, მისი მმართველობა სანქცირებულია კანონით და რომელიც ახორციელებს კონტროლს შიდა და გარე იძულების საშუალებებზე.“¹⁴

ერისა და ნაციონალიზმის შესახებ პრიმორდიალისტურ და მოდერნისტულ შეხედულებებს მაიკლ იგნატიევი განსაზღვრავს, როგორც „ეთნიკურ“ და „სამოქალაქო“ ნაციონალიზმს¹⁵. მისი აზრით, ეთნიკური ნაციონალიზმი ცხელია, ეფუძნება „სისხლისმიერი ლოიალობის“ სენტიმენტს¹⁶, და ეს შეურიგებელთა ნაციონალიზმია. სამოქალაქო ნაციონალიზმი კი, იგნატიევის აზრით, არის პოლიტიკური კრედო, რომელიც განსაზღვრავს საერთო მოქალაქეობას, და ეს არის ჩამოყალიბებული საუკეთესო ევროპული დემოკრატიების ნაციონალიზმი. თუმცა მაიკლ ბილიგი (1995) აკრიტიკებს იგნატიეფს იმის გამო, რომ იგი ამ საუკეთესო ევროპული ნაციონალიზმის ახსნისას არ აღწერს, როგორ აყალიბებენ „სამოქალაქო ნაციონალისტები“ ერ-სახელმწიფოს თავიანთი მითებით; როგორ ახდენენ სამოქალაქო ერები თავიანთი მოქალაქეების განწვევას ომიანობის დროს; როგორ იცავენ ისინი თავიანთ საზღვრებს; როგორ გამოარჩევენ ისინი „სხვებს“ თავიანთი საზღვრების მიღმა; როგორ უწევენ ისინი წინააღმდეგობას – საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებითაც კი, – იმ მოძრაობებს, რომლებიც ამ საზღვრების გადასინჯვას ესწრაფვიან; და ასე შემდეგ.

არონი, ერნესტ ბარკერი და სეტონ-უოტსონი ცდილობენ, ერთ პარადიგმაში გააერთიანონ პრიმორდიალისტური და მოდერნისტული შეხედულებები და ერს ახასიათებენ, როგორც „პოლიტიკური ერთობის, პოლიტიკური ნებისა და კულტურული ერთობის სრულ დამთხვევას და ეროვნული სახელმწიფოს სრულ დამოუკიდებლობას გარე სამყაროსთან მიმართებაში“ (არონი, 1966: 750).

¹⁴ Giddens, A. (1981) *A Contemporary Critique of Historical Materialism*. London: MacMillan:190

¹⁵ Ignatieff, M. (1993) *Blood and Belonging: Journeys into the New Nationalism*. London: Chatto&Windus: 2

¹⁶ იქვე: 6

ეთნოსი, ერი თუ დაქსაქსული თამაზის სიმრავლე?

აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისა და ერთად ჩამოყალიბების პერსპექტივა არც საქართველოს პოლიტიკური ელიტის, არც საზოგადოებისა და არც მედიის მიერ ქართულ-აფხაზური ოცნლიანი დაპირისპირების არც ერთ ეტაპზე არ განიხილებოდა როგორც პოლიტიკური დისკურსის სერიოზული საკითხი. მით უმეტეს, არავის უცდია აფხაზეთში არსებული ვითარება და ცალკეული ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი ატრიბუტები ერის არსებითი მახასიათებლებისთვის მიესადაგებინა და განსაზღვრული დასკვნები გამოეტანა. ამ ატრიბუტების მედიური სახეები და ხატები საშუალებას გვაძლევს, ამ მხრივ პირველი მცდელობა განვახორციელოთ.

ზომა. არსებობენ დიდი ერები, თუმცა ერების უმრავლესობა მცირეა. ზომა მნიშვნელოვანია იმ მახასიათებლების მიმართ, რომელთა ბუნება და მოცულობა ფაქტორის ძალას რაოდენობის თვისობრიობაში, ხარისხში გადასვლისას იძენს. ნებისმიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობისა და მმართველობის ხარისხი პირდაპირპროპორციულია ადამიანების იმ რაოდენობასთან, რომელზეც ეს მმართველობა ვრცელდება. ერის „მცირე ზომა“ სახელმწიფოებრიობის შექმნისა და შენარჩუნების თვალსაზრისით, კომპენსირდება ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი ხარისხით და მაღალი შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე (მაგალითად, ლუქსემბურგი). მიუხედავად იმისა, რომ არსად ჩვენს მიერ განხილულ წყაროებში არ არის პირდაპირი მოხსენიება და რეფერენცია აფხაზეთის მცირერიცხოვნობისა, მრავალი მედიურული ფაქტი უჩვენებს, რომ აფხაზეთში შემოფოთების საგნად არის ქცეული ამ მხარის ეთნო-დემოგრაფიული პრობლემები და მისი მოსახლეობის ერთობ არაჰომოგენური ბუნება. შესაძლოა, ეს პრობლემები აფხაზეთის რეალურ სოციალურ და პოლიტიკურ სურათში სულაც არ იდგეს ასე მწვავედ, როგორც ამას ქართული მედია (თუმცა რუსულ და აფხაზურ წყაროებზე დაყრდნობით) უჩვენებს, კერძოდ: ა) აფხაზეთი ეძებს მოჰაჯირების შთამომავლების დაბრუნების გზებს, ითხოვს ამ მიმართებით საერთაშორისო დახმარებას, და ამ პო-

ლიტიკის მიზანი სულაც არ არის მხოლოდ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, არამედ უპირველესად იგი უნდა მოემსახუროს ეთნო-დემოგრაფიული ბალანსის აღდგენას, ეკონომიკური და კულტურული განვითარების რესურსების მოზიდვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და აფხაზური ენის შენარჩუნებას („აფხაზები მოჰაჯირების ჩამორეკვას ვერ მოახერხებენ“, „რეზონანსი“, 2 ივნისი, 2005 წელი; ან: „ბალაფში თურქეთიდან მოჰაჯირების დაბრუნებას აპირებს“ (იქვე, 18 თებერვალი, 2005). მოჰაჯირების დაბრუნების ეს პროექტი, აფხაზების აზრით, ვერ ხორციელდება იმიტომ, რომ საქართველოს ნაქვებით, რუსეთს ეშინია აფხაზეთის ისლამიზაციის. ბ) აფხაზეთი ცდილობს, ჰარმონიულად დაუკავშიროს ერთმანეთს აფხაზური თვითიდენტიფიკაცია და ზოგადად იდეური თვითიდენტიფიკაცია, და ამ მიზნით აფხაზეთის მთავრობა მუდმივ საცხოვრებელს სთავაზობს (შესაბამისი საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფით) ათას ადიდეურ ოჯახს, რომლებიც, ქართული მედიის ცნობით, ამ შემთავაზებაზე არ თანხმდებიან, და რეპატრაციის ეს პროექტიც კრახს განიცდის. ეს ორი მაგალითი სრულიად მკაფიოდ გვიჩვენებს პრემოდერნულ შეხედულებებს ერზე, რომ აფხაზები ესწრაფვიან ერის, როგორც ერთობის, ხარისხში (ამ შემთხვევაში: ეთნიკურ მონოლითურობაში, ეთნიკურ „სისუფთავეში“) გადასულ ზომას, ეძებენ არა მოქალაქეებს, არამედ აფხაზური გენის მენაშენე მამრებს და მდედრებს, რომლებიც თავად არიან „ჯარისკაცებიც“ და პოტენციური ჯარისკაცის მშობლებიც. ამ „სისუფთავის“ დამადასტურებელი მაგალითია ეთნიკურად ქართველების, მეგრელების/ჩასახლებული რაჭველების „გააფხაზების“ პოლიტიკა (გარკვეული მიზეზების გამო, ეს უფრო ადვილად ხდება, ვიდრე ეთნიკური სომხების, ბერძნების ან ესტონელების „აფხაზებად“ ჩაწერა). სხვა მედიური ნიმუშები აგრძელებენ ამ თემას, ოღონდ საკითხის რეპრეზენტაციის სხვა ჩარჩოში: ეს არის აფხაზების მუდმივი „ეჭვიანობა“ მათგან ეთნიკურად განსხვავებულ **მოქალაქეებზე** (რომლებსაც „ერის ზომის“ გამო ითმენენ): გალელ ქართველებსა და აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ სომხებზე, უკანასკნელი ოცნლეულის განმავლობაში 20-ჯერ მეტად გაზრდილ (ჩამოსახლებულების ხარჯზე) რუსულ მოსახლეობაზე. მაგრამ თუ შეშფოთება გალელი ქართველებისა

და ადგილობრივი სომხების მიმართ, მედიის გადმოცემით, აფხაზეთში ღიად ისმის, რუსების მზარდი მოსახლეობა მხოლოდ დემოგრაფიულ სტატისტიკაში ფიქსირდება. სერგეი ბალაფშის მიმართ გამოთქმული უკმაყოფილებანი იმის შესახებ, რომ ბალაფში პრეზიდენტად ორივეჯერ გალელი ქართველებისა და სომხების ხმებმა გახადეს, ადასტურებს თანამედროვე ერთან და ერ-სახელმწიფოსთან შეუთავსებელ ხელისუფლების ლეგიტიმაციის ეთნიკური ხარისხის პრიორიტეტულობას.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური ინტეგრაცია. მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში გადმოცემული ინფორმაციები აფხაზეთში რთული ეკონომიკური ვითარების არსებობას ადასტურებს. ეს ინფორმაციები შეეხება: აფხაზეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მიახლოებით დაფიქსირებულ უმცირეს მოცულობას, ამ პროდუქტის განაწილების უთანაბრობას, ცხოვრების დაბალ დონეს (2-ჯერ ან 2,5-ჯერ დაბალს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში), დარგების განუვითარებლობას, მთლიანი, ორგანიზებული ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო სისტემის უქონლობას, აფხაზეთის ეკონომიკურ ბლოკადას, რომელიც უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ ფონს ქმნის (შეუთავსებელს დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან), გალელი ქართველებისთვის მცირე ბიზნესის კეთების შეუძლებლობას (აფხაზების მხრიდან არალოიალური და უნდობელი დამოკიდებულების გამო), რუსულ ინვესტიციებს და „მიბმულ“ დახმარებებს (როცა რუსეთის მიერ აფხაზეთში ეკონომიკურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გათვლილი ფულის დიდი ნაწილი ისევ რუსების მიერ აითვისება – ხ. მ.), რუსების მიერ აფხაზეთში არსებული ქონების იაფად, ხშირად ნატურით და უკანონოდ შესყიდვას („მიმტაცებლურ“ პრივატიზაციას), მცირერიცხოვან თურქულ ინვესტიციებს (მაგალითისთვის: „აფხაზეთში რუსული და თურქული კაპიტალისთვის ისევ „სეილია“. რუსი ინვესტორები საფასურს ხშირად ფქვილით, საქრით და ტანსაცმლით იხდიან“, – აცხადებს აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრი“ („რეზონანსი“, 27 მაისი, 2005)); საქართველოს შტრიხკოდს საერთაშორისო ბაზარზე გატანილ აფხაზურ პროდუქციასა და აფხაზური ღვინოებზე, „ჩავარდნილ“ და „საშიშ“ ტურისტულ სეზონებს, კრიმინალების ნადირობას ტურისტებზე, აფხაზეთში ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირეს და

მოუმზადებლობას ტურიზმისგან სოლიდური შემოსავლის მისაღებად, აფხაზეთის უნიკალურ შანსს, მხოლოდ საქართველოსთან ერთად გახდეს მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების ნაწილი, საქართველოდან აფხაზეთში „შავად“ შესულ კვების პროდუქტებსა და მედიკამენტებს და ასე შემდეგ. მთელი მედიური სურათი ემსახურება ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით ქაოტური (ერ-სახელმწიფოსთან შეუთავსებელი) სურათის წარმოჩენას: შიდა ეკონომიკური ინტეგრაცია არაორგანიზებულია, მიმდებარე რეგიონებთან (არ აქვს მნიშვნელობა – ისინი მოკავშირეებად განიხილებიან და დაპირისპირებულებად) ინტეგრაციას კი ან „შავი“ ან ძალადობრივკორუფციული ხასიათი აქვს; ერთობის წევრები არ არიან უზრუნველყოფილნი თანაბარი პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფი უფლებებით.

ტერიტორიული მობილობა. ტერიტორიული მობილობა მხოლოდ სრულყოფილი სახელმწიფოს პირობებშია შესაძლებელი. საბჭოთა კავშირისა და ომამდელი საქართველოს პირობებში აფხაზეთის ნებისმიერი მცხოვრები თავისუფლად და შეუზღუდავად გადაადგილებოდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ „ტერიტორიული მობილობა“ მედიურ ნიმუშებში არ არის გამოკვეთილი როგორც სპეციფიკური სახელდებითი/მნიშვნელობითი ჩარჩო, მისი ბუნება მაინც იკვეთება სხვა თემატური ჩარჩოების გავლით და შედეგად ვიღებთ: 1) გადაადგილების თავისუფლება აფხაზეთი ერთობის წევრებს შერჩევით ენიჭებათ; გალსა და მის რაიონებში მცხოვრები ეთნიკური ქართველები იძულებით არიან მიჯაჭვულნი თავიანთ საცხოვრებელ ქალაქსა და სოფლებს; 2) აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი რუსული გასამხედროებელი გამშვები რეჟიმი ზღუდავს აფხაზეთის თითქმის ყველა მცხოვრების თავისუფალ გადაადგილებას; 3) განუვითარებელი ეკონომიკური ინტეგრაცია კლავს ტერიტორიული მობილობის მოთხოვნილებას;

ტერიტორია. „რეზონანსისა“ და „კვირის პალიტრის“ ის პუბლიკაციები, რომლებიც ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის ისტორიას მოგვითხრობენ, ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტში უნიკალურ ფენომენად გამოჰყოფენ აფხაზეთის ტერიტორიას,

რომელთანაც მიბმულობა, როგორც სამშობლოსთან, ერთდროულად ორ ერს (ან – ერსა და ეთნოსს) აქვს: ქართველებსა და აფხაზებს. ისტორიული დისკურსის მატარებელ წერილებში (ინტერვიუებში, საავტორო სტატიებში და სხვა) აქცენტირდება რუსეთის პოლიტიკის გავლენა აფხაზეთის ეროვნულ თვითცნობიერებაზე XX საუკუნის დამდეგისთვის. სწორედ რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში გატარებული ეროვნული პოლიტიკის წყალობით, აფხაზეთში ჩამოყალიბდა გენეტიკურად დაკავშირებული ადამიანების კოლექტივის თვითცნობიერება, რომელიც ესწრაფვოდა, გამხდარიყო ცალკე ერი სხვა აღიარებულ ერებს შორის და ეს „ეროვნულობა“ შეეცხო ერის ცნებისთვის აუცილებელი ატრიბუტებით: ტერიტორიით, უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით და, ბოლოს, სახელმწიფოთი. ამ მისწრაფების რეალიზაციის მცდელობები მოგვიანებით, XX საუკუნის დასასრულს დაიწყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1990-იანი წლების ქართულ მედიაში აფხაზეთის ტერიტორიის აფხაზურობა (რაც ქართველობას უდრის), მეორე კონფლიქტური რეგიონის, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიისგან განსხვავებით, არ დგება ეჭვქვეშ. ქართველი და აფხაზი ამ დისკურსში იგივეობრივი იდენტობებია, რომლებიც ჯერ ცარისტული რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის გავლენით (და XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთში „ადიღური ტომის აფსუების“ ჩამოსახლების შემდეგ), იქცნენ მეტოქეობრივ ან მტრულ იდენტობებად. 2002-2005 წლებში გამოქვეყნებულ მედიურ მასალებში ცხადად იკვეთება კონფლიქტი აფხაზეთის მიწისა და ზედ მცხოვრები ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაში როგორც ქართული, ისე აფხაზური მხრიდან. მაგალითად, „ქართველები აფხაზეთთან საომრად კი არა, აფხაზეთში საომრად მიდიოდნენ“ („რეზონანსი, 2002 წელი, 14 აგვისტო), ან: „დაე, ნურავის შეექმნება ილუზია გალის რაიონისადმი აფხაზეთის ხელმძღვანელობისა და ხალხის დამოკიდებულების გამო. ეს – ძირძველი აფხაზური ტერიტორიაა და აფხაზეთის ხელისუფლების ყურადღება ამ რაიონის მიმართ არასდროს მოდუნდება“ („კვირის პალიტრა“, „აპსნიპრესზე“ დაყრდნობით), ან: „აფხაზეთში აფხაზეთისგან ნაკრძალი შევქმენით“ („რეზონანსი“, 2003 წელი, 10 ოქტომბერი), ან: „ჩემი ფეხი აფხაზეთში, ჩემს მიწაშია დამარხული“ („რეზონანსი“, 2008 წელი, 15 ივლისი). პირველ მაგა-

ლითში საკვანძო შეტყობინება აფხაზეთის მიწაა, როგორც უპირველესი ღირებულება ქართველისთვის, როგორც მისი „წარმოსახვითი“ სამშობლო და სახელმწიფოს ტერიტორია, რომლისთვისაც ქართველი თავს სწირავს; ეს ტერიტორია თუნდაც ადმინისტრაციულად მოწყდეს სახელმწიფოს იურისდიქციას, წარმოსახვითი სამშობლოს წიაღში ყოველთვის დარჩება, (როგორც ეს, ვთქვათ, „საინგილოს“ შემთხვევაში მოხდა). მეორე მაგალითში (ციტატა აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბალაფშს ეკუთვნის) საკვანძო შეტყობინება აფხაზეთის, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიის განუყოფლობაა, თუმცა ქვეტექსტში კარგად იკითხება კონფლიქტის ორი შრე: ბალაფშის ლეგიტიმურობის დაბალი ხარისხი (მისსავე თვითაღქმით) გალში (ანუ ქართველთა შიდა სივრცეში) და გალის მიწისა და მისი მოსახლეობის გაიგივების პრობლემები, როგორც ორი „ძირძველი აფხაზური“ ფენომენისა. მესამე მაგალითი პოლიტიკური ხასიათის შეტყობინებაა, იგი ასახავს ერთი ეთნოსის წარმომადგენლების გაუმართლებელ პოლიტიკურ პრიორიტეტს მიწაზე, რომელიც ამ ეთნოსსაც ისევე ეკუთვნის, როგორც ქართველს, რომლის ნებითა და თანხმობით ეს „აპარტიდული ნაკრძალი“ შეიქმნა (აქტანტი, სუბიექტი – ქართველია, მიმღები და ობიექტი – აფხაზი). მეოთხე ნიმუში მეზობლის მონოლოგიდანაა, რომელშიც აფხაზეთის მიწა „სამშობლოს“ საკრალური გაგებითაა წარმოჩენილი („რომელი მიწიდანაც შეიქმნა – იმავე მიწაში ემარხო“). ტერიტორიისა და ზედ მაცხოვრებელი ხალხის იდენტობით კონფლიქტში მნიშვნელობას იძენს ხალხის ერთობის სახელდება, როგორც მისი კატეგორიზაცია ეროვნული იარლიყით და სახელდების უნიკალური კოდით, ანუ აფხაზთა ან ქართველთა „ჩვენ“ მხოლოდ „ჩვენს“ კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ უნივერსალურ ეროვნულ ნიშანს „აფხაზსა“ და „ქართველს“, რომელთა სახელის გავლენით იქმნება მათი ტერიტორიების სახელებიც: აფხაზეთი, აფხაზთა სამშობლო და საქართველო – ქართველთა სამშობლო. სწორედ ამიტომ, კონფლიქტის დასაწყისშივე ქართული პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენციის ნაწილი ძალიან დაინტერესებული იყო აფხაზების „აფსუებად“ სახელდებით, სიგნიფიკაციით, რადგანაც ეს ენობრივი ნიშანი კონოტაციურად უკვე ნიშნავდა უცხოს და ამ მიწასთან ემოციურად მიუბმელს. დღეს არსებული ვითარების მედიაციისას სახელდებასთან დაკავშირებული კონ-

ფლიქტი აღარ იკვეთება, წინა პლანზე გამოდის იმ განცდის აქცენტირება, რომელსაც ქართველიცა და აფხაზიც უნდა იზიარებდნენ: მათი ტერიტორიის ოკუპირებული სტატუსი რუსეთის მიერ, რაც აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებლობის მსურველი სახელმწიფოს სრული კრახად განიხილება.

დამახასიათებელი კულტურა, ენა. საერთო ისტორიულ-კულტურულ ფესვებში რელიგიაც უნდა ვიგულისხმოთ. ამ დამახასიათებელი კულტურის მედირებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აფხაზეთში ქართული კულტურის კვალი მიზანმიმართულად იშლება, საერთო ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის დამადასტურებელი ქრისტიანული ძეგლები (რომლებმაც, წესით, ერთობის გაზიარებული განცდა უნდა შექმნან) განხეთქილების საფუძველი ხდება, რადგანაც მათ ხელყოფაში ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ადანაშაულებენ. თუმცა განხეთქილებას არა მხოლოდ ომის დროს ჩადენილი ვანდალური ფაქტები, არამედ მშვიდობიანი პერიოდის ტენდენციებიც აღრმავებენ. ეს უნიკალური ძეგლები იმგვარად ექვემდებარებიან რესტავრირებას, რომ გარეგნულად უფრო გვიანდელი პერიოდის რუსული საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშებს ემსაგავსებიან. აფხაზეთის ეკლესიაც, როგორც ბიუროკრატიული ინსტიტუცია, სეპარატისტული პროცესების გავლენას განიცდის – აფხაზი მღვდელთმსახურების ერთი ნაწილი მოლაპარაკებების გზას ირჩევს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან აფხაზეთის ეკლესიის პროტექტორული, თუმცა განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, ხოლო მეორე ნაწილი, ე.წ. „ახალი ათონის ფრთა“, რომელიც, მედიის გადმოცემით, უფრო მრავალრიცხოვანი და პოლიტიკურად გავლენიანია, ესწრაფვის, აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსული ეკლესიის ნაწილად აქციოს. ეს მედიური ნიმუშები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ტიპურ სეპარატისტულ პროცესებს ასახავს, სინამდვილეში ძალიან დიდ საფრთხეზე მიუთითებს აფხაზური ეთნოსისთვის: დამახასიათებელი კულტურის, ისტორიული მემკვიდრეობისა და მეხსიერების უარყოფით საფუძველი ეცლება მითს საერთო წარმოშობის შესახებ, რაც ეთნოსის ერთ-ერთი უმთავრესი შემაკავშირებელი ფაქტორია (საერთო გაზიარებულ მითს სხვადასხვა დაქსაქსული, ანუ გაუზიარებელი ვერსიები ანაცვლებს). რაც შეეხება ენას, ამ საკითხის მედიური დაფარვა უჩვენებს, რომ: 1)

საქართველოში განხორციელებული ნებისმიერი პროექტი ან ნამონყება, რომელიც უნიკალური აფხაზური ენის თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებას ემსახურება, უდიდეს მნიშვნელობას იძენს, რადგანაც ეს საქართველოს მეორე სახელმწიფო ენის დაცვისკენ არის მიმართული; 2) აფხაზეთში არსებული მრავალენოვანება სერიოზულ პრობლემას უქმნის იქაური საზოგადოების/თემების ერთ სივრცეში ინტეგრაციას. აფხაზეთის ტერიტორიის ენობრივი დაფარვის თვალსაზრისით მედია ასეთ სურათს ხატავს: 1) გალი – ძირითადი საკომუნიკაციო ენა, განათლების ენა ქართულია, რაც ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის დისკრიმინაციისა და მეორეხარისხოვან ადამიანებად კლასიფიცირების მიზეზი ხდება; აქ ცუდად იცინ რუსული და კიდევ უფრო ცუდად – აფხაზური. დომინანტური ენის ჩანაცვლების პროცესი ძალიან მტკივნეულად მიდის, რაც შეუძლებელს ხდის გალის მოსახლეობის მოქალაქეობრივ და კულტურულ ინტეგრაციას იმ სივრცეში, რომელშიც იგი სახლობს; 2) აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა ყოველთვის იყო და ახლაც რჩება რუსულ-აფხაზური ბილინგვიზმის აღმსარებლად, რუსული ენის პრიმატის აღიარებით, მათთვის აფხაზური – მხოლოდ ლინგვისტური სახელმწიფოებრივი ნიშანია, რუსული – პოლიტიკური კომუნიკაციისა და განათლების ენა; 3) მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთ აფხაზეთში ომის შემდეგ რუსეთიდან ჩამოვიდა საცხოვრებლად, მხოლოდ რუსულად ლაპარაკობს; 4) აფხაზური ენა შეზღუდული მოხმარების (როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად) ენად იქცა.

მულტიენობრიობის ნეიტრალურ ფენომენად განხილვა შეუძლებელია მისი, როგორც კოლექტიური იდენტობის მაფორმირებელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, ფუნქციიდან გამომდინარე. როგორც აღნიშნავს ჯოშუა ფიშმენი (Fishman, 1968: 60) ლინგვისტური ჰეტეროგენულობა, შემთხვევათა უმრავლესობაში, ხელს უწყობს პრემოდერნული შეხედულებების გამყარებას ადამიანთა ერთობებში, ეკონომიკურ დეზინტეგრაციას, ხელს უშლის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, აქვეითებს განათლებისა და შემოსავლის დონეს. იგივე ფიშმენი ენობრივ ჰომოგენურობა/ჰეტეროგენურობას კორელაციაში აქცევს მთლიან შიდა პროდუქტთან – რაც მეტად ჰომოგენურია (ენის თვალსაზრისით) ერთობა, მით უფრო დიდი მოცულობისაა მთლი-

ანი შიდა პროდუქტი და პირიქით, რაც მეტად დაქსაქსულია ერთობა ენის თვალსაზრისთ, მით დაბალი განვითარებისაა იგი. მედია, მიმდინარე პროცესების მედიაციით, ვარაუდობს, რომ ლინგვისტური ჰომოგენურობის პროცესი აფხაზეთში არ წარმართება აფხაზური ენის დომინანტობის სასარგებლოდ და განათლებისა და განვითარების ენად რუსული ენა იქცევა. რუსული ენა კი მაშინ იქცევა ცენტრად, როცა აფხაზები თავადვე აღიარებენ თავიანთ ენას პერიფერიულად და მეორეხარისხოვნად.

მოკავშირეობა და კონფლიქტი. მედიურ მასალებში აფხაზეთის რუსეთისადმი მიბმულობის მაღალ ხარისხს ბევრი ანალიტიკოსი და ისტორიკოსი ორი ფაქტორით ხსნის: 1) მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთის ისტორიაში ყველაზე დიდი დამპყრობელია, მაინც რუსეთის იმპერიის ეროვნულმა პოლიტიკამ ჩამოყალიბა ჩრდილოკავკასიელ ხალხებს (მათ შორის – აფხაზებს) სწრაფვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ; 2) რუსული ენა, როგორც უფრო მაღალი კულტურის მქონე ერის ენა, როგორც გაბატონებული კლასის, ელიტის დისკურსის გამომხატველი, აფხაზებისთვის გრავიტაციულ ცენტრად („ბედნიერების საკუთარ შინაგან ცენტრად“ – მაძინისა და ჰერდერისეული კონოტაცია ენისა, ციტირებული ენტონი სმიტის მიერ (1981: 45)) იქცა. მედიაში გადმოცემული ფაქტები, მოვლენები, ტენდენციები, რუსი და აფხაზი პოლიტიკოსების განცხადებები, აქცენტირებული სამხედრო, აგრესიული, დიპლომატიურად ანექსიური ქმედებები ერთმნიშვნელოვნად უჩვენებს, რომ რუსეთისა და აფხაზეთის ურთიერთობა არ შეიძლება მოვაქციოთ კლასიკური „მოკავშირეობის“ ფორმატში. მედიურ კონტექსტში რუსეთი მეტროპოლიაა, აფხაზეთი – მისი პერიფერია, სადაც მეტროპოლიური სიგნალების ადგილობრივი გაჟღერება და ინტერპრეტაცია ხდება; რუსეთი მეურვეა, პროტექტორია, აფხაზეთი – მისი პროტექჟე; რომ რუსეთმა აფხაზეთი გამოაცხადა საკუთარ იურიდიულ სივრცედ, ყოველგვარი გარანტიების გარეშე აფხაზებისთვის.

ფრაზით, რომელიც აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა თურქეთში ვიზიტისას თქვა, სერგეი ბალაფშმა რუსეთი და აფხაზეთი თავისდაუნებურად დაალაგა დომინანტობა-სუბორდინაციის ვერტიკალზე მხარეების პოზიციების სახელდებით: „ხანდახან ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში ვრცელდება ცრუ

ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ, რომელიც **ხელს უშლის** ინვესტიციების მოზიდვას. საქმე იქამდეც დადის, რომ წერენ რუსეთის მიერ აფხაზეთის **დაპყრობის** შესახებ, რომ აფხაზეთი რუსეთის **გუბერნია** გახდა“ (ხაზგასმა ჩემია – ხ. მ.; „აპსნიპრესი“, 2011 წლის 8 აპრილი, <http://apsnypress.info/news/2938.html>); ან: „ჩვენ რამდენიმე სახელმწიფომ გვაღიარა, **პირველი** მათ შორის იყო რუსეთი – მსოფლიოს **უდიდესი** სახელმწიფო“ (იქვე, ხაზგასმა ჩემია – ხ.მ.). უდიდესი-ამღიარებელთა შორის უპირველესი – დამპყრობლადაც კი აღქმული – სუპერლატიური კონოტაციების ეს ჯაჭვი, თუნდაც მათი უარყოფის მიზნით წარმოთქმული (მაგრამ ამ შეტყობინებაში ერთი ძალიან „მყვირალა“ პრაგმატიკული ერთეულია – „**ხელს უშლის**“) ქმნის ღრმა მნიშვნელობებს რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობის შესახებ, რაც შეუმჩნეველი არც თურქულ მხარეს დარჩებოდა. მედიურ ნიმუშებში თურქეთი განიხილება როგორც აფხაზების მიერ პოტენციურ მოკავშირედ აღქმული სახელმწიფო, თუმცა ამ მოკავშირეობის დიაპაზონი ჰიპოთეტურ ზოგადმუსლიმანურ სოლიდარობაზე შორს ვერ მიდის თვით აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის დისკურსშიც კი. თუმცა თურქი ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ის ფაქტი, რომ თურქეთის მთავრობამ სამკურონალოდ ჩასულ ბალაფშს აფხაზურ დიასპორასთან (ეთნიკური ნიშნით შექმნილ ასოციაციებთან „კაფედთან“ და „აფჰაზფედთან“ შეხვედრის უფლება მისცა, იყო გარკვეული სიგნალი მოკავშირეობაზე თანხმობისთვის.

ჩრდილოკავკასიელების, როგორც აფხაზების მონათესავე ეთნიკური ჯგუფების ერთობლიობის, მოკავშირეობა, რომლებმაც თავიანთი ლოიალობა აფხაზების მიმართ 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომში აფხაზთა მხარეს მეომრობით დაადასტურეს, ჩვენს მიერ განხილული პერიოდის მედიაში წინააღმდეგობრივად არის რეპრეზენტირებული. ერთის მხრივ, კოდორში მიმდინარე მოვლენები, პროცესები გადმოიცემა იმ ინფორმაციების ფონზე, რომლებიც წარმოაჩენენ ჩრდილოკავკასიელების მზადყოფნას და სოლიდარობას, დაეხმარონ აფხაზ მოძმეებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ხშირია პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ ომმა ჩეჩნეთში (რომელიც ქრონოლოგიურად აფხაზეთის ომს მოჰყვა), ოსურ-ინგუშურმა კონფლიქტმა (რომელიც, ექსპერტების უმრავლესობის აზრით, ქართულ-ოსური კონფლიქტის გაგრძელება იყო), ასევე ჩრდილოკავკასიელი ბოვიკების ცალკეული ჯგუფების

მზაობამ და ქმედებებმა, იბრძოლონ არა ტომობრივი სოლიდარობის, არამედ ანგარების გამო, ერთდროულად რამდენიმე თანხვედრი მიმართულების ვექტორი აამოქმედა, რამაც აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელების მოკავშირეობა დაავიწროვა ამ უკანასკნელთა სავარაუდო მონაწილეობამდე მხოლოდ საომარი ქმედებებისას.

ის სახელმწიფოები, რომლებმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს, მედიაში არ განიხილებიან რეალურ, დაინტერესებულ მოკავშირეებად.

რაც შეეხება კონფლიქტს, მედიურ ნიმუშებში იგი მხოლოდ საქართველოსთან და ქართველებთან არის გამოხატული ურთიერთობის, იდენტობის ყველა დონეზე. ჩვენს მიერ განხილული პერიოდის ყველა შეტყობინება ადასტურებს, რომ აფხაზეთისთვის მიუღებელია როგორც ქართველებთან სამოქალაქო იდენტობა (ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობრიობის დონეზე), ასევე საერთო კულტურის, წარსულის, ისტორიის, ერთობლივი სოციალური პრაქტიკის გაზიარებული განცდა. მედია გადმოსცემს მრავლობით შეტყობინებას იმის შესახებ, რომ აფხაზეთში „ახალი, ნამდვილი, ოფიციალური ისტორია“ იწერება – რასაკვირველია, ქართველების გარეშე და მათი უგულებელყოფით. ანუ, აფხაზური ნაციონალიზმი, XIX საუკუნეში გაჩენილი ევროპული და XX საუკუნის დამლევის ქართული ნაციონალიზმების მსგავსად, თემურობის პრინციპით ხელმძღვანელობს: თხზავს ერის ისტორიას, რომელიც „თავისი შინაარსობრივი სტრუქტურით არაფრით განსხვავდება პირველყოფილი და არქაული თემების მითებისგან“ (გიორგი მაისურაძე, „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“, 2011).

თანაბარი უფლებები წევრებისთვის. მედიაში მაღალი რეპრეზენტატულობით არის წარმოდგენილი უფლებების ლეგალური და ფაქტობრივი, პოლიტიკური კონიუნქტურით განპირობებული შელახვა ეთნიკური და სოციალური ნიშნით: ა) ქართველი დევნილების აფხაზეთში დარჩენილი ქონებისადმი უკანონო, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება; ბ) ერთობის წევრების ნაწილის დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებისა; გ) დისკრიმინაციული სამართლებრივი ბაზა დევნილების დასაბრუნებლად, მაგალითად, მიყენებული ზარალის ანაზღაურება – სამშობლოში დაბრუნებაზე

უარის თქმის სანაცვლოდ; ან ქართველი დევნილების დატოვებული ქონების დისკრიმინაციული ხელახალი რეგისტრაცია („ეთნიკური წმენდის მეორე ეტაპი, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელიუფლებამ კერძო საკუთრების ხელახალი რეგისტრაცია დაიწყო“ („რეზონანსი“, 20 მაისი, 2005); ასევე იმ ადამიანების ჩაუთვლელობა დევნილებად, ვინც მონაწილეობას საომარ ქმედებებში იღებდა (იმ მოტივაციის გაუთვალისწინებლად, თუ რამ ააღებინა ხელში იარაღი ამ ადამიანს); დ) ნებართვა ეთნიკურად ქართველი დევნილების მხოლოდ გაღმში დაბრუნებაზე; დ) ხელისუფლების მიერ ნებადართული და ნახალისებული (დაუსჯელი) რეკეტი არააფხაზურ ანკლავში; ე) ჯგუფური, ორგანიზებული არალოიალობა ადგილობრივი ეთნიკური სომხების მიმართ.

სერგეი ბალაფშის ქვემოთ მოყვანილი სიტყვები ადასტურებს, რომ აფხაზეთის ადამიანური ერთობისთვის არავითარი გამათანაბრებელი მოქალაქეობრივი (ეთნიკურ ცრურწმენებზე ამაღლებული) ფაქტორი ტერიტორიული მობილობისა და უფლებრივი თანასწორობის მხრივ არ არსებობს, უფრო მეტიც: პოლიტიკური დისკურსი კრძალავს ამ გათანაბრებულობას: „ქართველი დევნილების შესახებ ერთმნიშვნელოვნად ვიტყვი: ისინი დაბრუნდნენ გალის რაიონში და აგრძელებენ დაბრუნებას. რაც შეეხება მათ დაბრუნებას აფხაზეთის სხვა რაიონებსა და ქალაქებში – ეს არ მოხდება. კმარა (რუსულად – „Bce!“). ისტორიამ განსაჯა, ისტორიამ გაგვყო და სხვა მოცემულობა არ არსებობს. იმიტომ კი არა, რომ ჩვენ სასტიკი ხალხი ვართ და არ გვესმის მათი ტრაგედიისა, ვინც აქედან წავიდა, არამედ იმიტომ, რომ ისტორიის უკულმა შემობრუნება შეუძლებელია. ეს – ახალი ომია. ეს არასდროს მოხდება (15 ნოემბერი, 2004 წელი, „აპსნიპრესი“). ის გარემოება, რომ ეთნიკურად არააფხაზი ადამიანების ტერიტორიული მობილობა და უფლებრივი თანასწორობა პოლიტიკური დისკურსის მიერ საფრთხის შემცველად განიხილება, მიუთითებს ამ დისკურსის ვიწრო (ინტენციურად) მოხმარების ბუნებაზე და აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების არასახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე, მით უმეტეს, რომ აფხაზეთი არ არის ეთნიკურად ერთგვაროვანი ქართველი დევნილების გარეშე. პოლიტიკური დისკურსი საკმაოდ სახიფათო პროექციებს ქმნის სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისთვისაც, რაც სერიოზულად აქვეითებს ერ-

თობის ინტეგრირებულობის ხარისხს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულ მედიაში საერთოდ არ ჩანს აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება და ძალისხმევა ერთობის წევრებისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად, ან თუნდაც საზოგადოებრივი პრიორიტეტები, რაზე დაფუძნებულ ერთობას ანიჭებს აფხაზეთის არასახელისუფლებო ელიტა და ინტელიგენცია უპირატესობას (საერთო თემურ წარმომავლობაზე თუ გარკვეული ინტერესების თანხვედრაზე), როგორია მათი აზრით „სამოქალაქო შეთანხმების“ საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება აფხაზი საზოგადოების კონსოლიდაცია. ქართული მედია არ ინტერესდება საკითხით, როგორ უყურებს აფხაზთა მოქალაქეობრივად მოაზროვნე თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფი ამ თემურ თუ თემთაშორის ერთობაში არსებულ იმ დაპირისპირებას, რომელიც სამოქალაქო ომის თუ არა, მასშტაბური სამოქალაქო კონფლიქტის პოტენციალს შეიცავს.

პოლიტიკური დისკურსით განპირობებულ კვაზი-სახელმწიფოებრივ ატრიბუტებად მედიაში ორი რამ არის წარმოდგენილი: ა) არჩევნები; ბ) ჯარში განვცვა და ჯარის ფუნქციონირება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მედიაში რეპრეზენტირებული აფხაზური არჩევნები თავისუფლებისა და სამართლიანობის თვალსაზრისით ძალიან ხშირად სერიოზული ხარვეზების მქონე პროცესის სახეს იღებს, ასევე ხშირია მითითება იმაზე, რომ აფხაზებს კანონებსაც რუსები უწერენ, რეპრეზენტაციის ეს კუთხე გავლენას ვერ ახდენს არჩევნებზე, როგორც ფაქტზე და ხალხის ნებაზე.

ზემოთ განხილული მედიაში რეპრეზენტირებული ცალკეული ინდექსების სისტემურად განხილვა რამდენიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

- აფხაზური პოლიტიკური დისკურსი მიმართულია არა აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ჩამოყალიბებაზე, არამედ მხარის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. **ეროვნული იდენტობის** საკითხების **პერმანენტული** მიბმა **ეროვნულ უსაფრთხოებაზე** ადასტურებს ხანგრძლივ კრიზისულ პერიოდს „დე-ფაქტო დამოუკიდებლობისთვის“; აფხაზეთის პოლიტიკურ დისკურსს ქმნის „ორი აგრესორის დისკურსი“: „პატარა აგრესორის (საქართველოს) დემონიზება“ და „შიში და მონინება დიდი აგრესორის (რუსეთის) წინაშე“.

- აფხაზეთის მოსახლეობის სტრუქტურაში შემავალი ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთისგან იზოლირებულობა, ერთობის წევრების არათანაბარი უფლებები, ეკონომიკური/სამეურნეო დეზინტეგრაცია, ურთიერთშიში, უნდობლობა, მრავალენოვანება საფრთხეს აფხაზების, არათუ როგორც ერის, არამედ როგორც ტერიტორიასთან ასოცირებული ეთნოსის, არსებობასაც კი; „აფხაზეთის დე-ფაქტო სახელმწიფო ტერიტორია“ არ აღიქმება „წარმოსახვით სამშობლოდ“ თვით პოლიტიკური ელიტის წევრების მიერ მათ სტრატეგიულ პოლიტიკურ კომუნიკაციაში;
- რეალურია საფრთხე, რომ აფხაზეთში, საზოგადოების ნაცვლად, შეიქმნას ცალკეული დაქსაქსული ეთნიკური და ენობრივი ჯგუფებისა და თემების სიმრავლე.
- ერთობის ვალდებულება, რომელსაც პოლიტიკური დისკურსი თავს ახვევს, არ არის ამ ერთობის რეალურად შემაკავშირებელი ძალა.

განხილული წყაროების: „რეზონანსისა“ და „კვირის პალიტრის“ გამომცემლების, რედაქტორებისა და ჟურნალისტების, ჩართული მედიაექსპერტების მოსაზრებების უცოდინრად შეუძლებელია დასაბუთებული მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად წინასწარგანზრახული და პროპაგანდისტულია აფხაზეთის დამოუკიდებლობის სახის ჩვენება, როგორც იდენტობის პრემოდერნული პროექტისა, ნეოკოლონიალიზმის გამოკვეთილი ნიშნებით. მით უმეტეს, რომ ჩვენს მიერ წარმოჩენილი აქცენტები და დასკვნები არ წარმოადგენს არათუ მეინსტრიმულ, არამედ დივერგენციულ პოლიტიკურ და მედიურ დისკურსსაც კი. სპეციფიკური მნიშვნელობების მქონე მედიურ შეტყობინებებზე მიდევნებამ, მათმა სისტემატიზებამ შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვეკვეთა ძალიან მნიშვნელოვანი ეროვნულ-იდენტობითი ასპექტები აფხაზეთის დამოუკიდებლობისა, რომლებიც, ერთი შეხედვით ლატენტურია, თუმცა, შესაბამისი კოდების გახსნის შემთხვევაში ადვილად აქტუალიზებადი ხდება. რით შეიძლება აიხსნას ამ შინაარსობრივი კოდების მოხვედრა მედიურ შინაარსში? უპირველესად იმით, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ნეგატიური მნიშვნელობის მატარებელია აფხაზეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, თანაბრად იპყრობს საზოგადოების, პოლიტიკოსებისა და მედიის ყურადღებას; ეს

ნეგატიური (აფხაზურ გარემოში) კოდები პოზიტიურ კოდებად ტრანსფორმირდება ქართულ რეალობაში: ეს არ არის პრიმიტიული ფორმულა „რაც ცუდია აფხაზისთვის – კარგია ქართველისთვის“, არამედ ამგვარი მედიაციით ყალიბდება მატრიცა: აფხაზეთი, როგორც შეუმდგარი დამოუკიდებელი ერთობა, ისევე „ქართულ წარმოსახვით სივრცეს“ უბრუნდება. მეორე მიზეზი არის ინტეგრაციული პოლიტიკური პროცესების მარცხი. დეზინტეგრაციული, წარუმატებელი (ქართველთათვის) პოლიტიკური პროცესის მედიაცია წონასწორობის წერტილს ითხოვს და გამანონასწორებელი ელემენტის ფუნქციას აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, შეუმდგარობის მედიაცია (თუნდაც, არაინტენციური) ითავსებს.

ბალის დრამა, ანუ მარადიული მკაცრები

მედიასისტემის კუთვნილებაში მყოფი „გალი“ პოლიტიკურად დამუხტული დრამის ადგილია. შიდა მედიური დაკვეთა გალის რეპრეზენტაციაზე ასეთია: „ქართული დრამა“ უნდა შენარჩუნდეს, მუხტი არ უნდა დაიკარგოს (იხ. ცხრილი დანართში 5). მთელი განხილული პერიოდის განმავლობაში გალიდან ერთი და იმავე თემატური კუთხის, ერთი ტონალობის, ერთსა და იმავე ეფექტზე გათვლილი ინფორმაციები გადმოიცემა, და ეფექტის დაგეგმილი ბუნება უკვე პუბლიკაციის ჰედლაინებიდან (სათაური, ქვესათაური, ფოტო) განმეორებადი ლინგვისტური სტიმულებით მჟღავნდება. „აფხაზებმა და რუსებმა გალიდან 30 მძევალი აიყვანეს“ („რეზონანსი“, 16 იანვარი, 2002), „სამურზაყანოში ქართველებზე ნადირობა გრძელდება“ („რეზონანსი“, 24 ოქტომბერი, 2002); „აფხაზებმა ომის დამთავრების შემდეგ გალში 17000 მშვიდობიანი მოსახლე დახვრიტეს“ („რეზონანსი“, 1 ნოემბერი, 2002); „ქართველები აფხაზებს ხარკის სახით 50 კილო თხილს უხდიან“ („რეზონანსი“, 26 ნოემბერი, 2002); „238 მკვლელობა ორ წელში და „კლასიკური აპარტიდი“; „თბილისი გალში საერთაშორისო პოლიციის ამოქმედებას მოითხოვს“ („რეზონანსი“, 27 მაისი, 2005); „აფხაზეთის ორგზის გმირი ააფეთქეს“ („რეზონანსი“, 28 ნოემბერი, 2005); „რატომ იღუპებიან ეთნონომენდში მონაწილე აფხაზეთის გმირები გაურკვეველ ვითარებაში?“ („რეზონანსი“, 29 ნოემბერი, 2005); „გალში ქართველებს ისევ არბევენ“ („კვირის პალიტრა“, 12 დეკემბერი, 2005); „აფხაზი პოლიციელები ნალმზე აფეთქდნენ“ („კვირის პალიტრა“, 28 ნოემბერი, 2005); „ქართველებს გალში აღარ უშვებენ“ („კვირის პალიტრა“, 14 ნოემბერი, 2005); „არ ილაპარაკო ქართულად, თორემ“ („კვირის პალიტრა“, 11 დეკემბერი, 2006); „გალში იძულებითი პასპორტიზაცია გააპროტესტეს“ („კვირის პალიტრა“, 30 იანვარი, 2006); „აფხაზეთში ფაშიზმი მძვინვარებს“ („კვირის პალიტრა“, 17 სექტემბერი, 2007); „35 გალელი ახალგაზრდა აფხაზების ტყვეობაში რჩება“ („რეზონანსი“, 9 იანვარი, 2008); „გალელებს რაიონის დატოვებას აიძულებენ“ („კვირის პალიტრა“, 29 სექტემბერი, 2009); „სეპარატისტებმა 50

ოჯახი **დასაჯეს**“ („კვირის პალიტრა“, 2 მარტი, 2009); „გალის რაიონის პედაგოგებს **ულტიმატუმის** ვადა ამოენურათ“ („კვირის პალიტრა“, 16 თებერვალი, 2009); „რუსები აღარავის **ინდობენ**“ („კვირის პალიტრა“, 2 თებერვალი, 2009); „სოსხუმის ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს, **გალის** რაიონს **ავტონომია** მიანიჭოს“ („რეზონანსი“, 14 მაისი, 2005) ან განმეორებადი სეზონური ტერორის (თხილის, მანდარინის მოსავლის გამო) ამსახველი მრავალი ინფორმაცია. [ხაზგასმა ყველგან ჩემია – ხ. მ.].

ყველა სხვა პროცესის ამსახველი მედიური ნიმუშებისაგან განსხვავებით, თითოეული შეტყობინება გალიდან ან გალში მიმდინარე მოვლენების შესახებ აგებულია მოდელზე „შეტყობინება შეტყობინებაში“ (როცა შეტყობინების მთელი შინაარსი განპირობებულია ერთი საკვანძო სიტყვით. მაგალითად, იგივე: **„სამურზაყანოში** ქართველებზე **ნადირობა გრძელდება**“. აქ გალი, მისი ქართულობის დასადასტურებლად მოხსენიებულია მისი ისტორიული სახელწოდებით **„სამურზაყანო“**; აფხაზთა მხრიდან გალელების მიმართ განხორციელებულ ქმედებას სისხლიანი სახელი **„ნადირობა“** ეწოდება, ხოლო სიტყვა **„გრძელდება“** ძალადობის უწყვეტ ბუნებაზე მიანიშნებს; ან სიტყვა **„ხარკი“** თავისთავად ხდის ნათელს, რის საფასურად ინარჩუნებენ გალელი ქართველები თავიანთ სახლებში ცხოვრების უფლებას). კონოტაციურად ეს არის დისკრიმინაციისა და მოძალადემსხვერპლის ურთიერთობის, უუცხოობის, „აფხაზთათვის საშიშობის“ აღმნიშვნელების უწყვეტი ჯაჭვი. ამ აღმნიშვნელების განმეორებადობა და გამოყენების სისშირე ზრდის დრამის ეფექტს და ამყარებს რამდენიმე დამკვიდრებულ შეხედულებას: ა) შეხედულებას გალზე, როგორც „ძალიან ზუსტ შეცდომაზე“, რომელიც ქართველებმა და აფხაზებმა ერთად დაუშვეს: „საქართველოსთვის გალი საქართველოა, მაგრამ რატომღაც აფხაზეთის შემადგენლობაში; აფხაზებისთვისაც გალი საქართველოა, მაგრამ რატომღაც აფხაზეთის შემადგენლობაში“; ბ) ამყარებს მოსაზრებას, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას გალში სამოქმედოდ მხოლოდ ერთი ალტერნატივა აქვს: ან „შეეგუოს“ გალის „ქართულობას“, ან ძალით მოერიოს მას. მიუხედავად იმისა, რომ გალის „ქართულობასთან“ შეგუების პოლიტიკა მედიურ რეპრეზენტაციაში ბევრად უფრო ფართო და მრავალნახნაგიან ცნებად არის წარმოჩენილი, ვიდრე ეთნიკურ ნიადაგ-

ზე ჩადენილი კრიმინალის ან მიზანმიმართული ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ლოკალური ალაგმვაა, იგი, როგორც პოლიტიკური არჩევანი, ძალიან შეზღუდულ ოპციონებს მოიცავს. „შეგუება“ იძულებითი ნაბიჯია – აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება გარკვეული პოლიტიკური სარგებლის (საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ჰუმანურად და კანონმორჩილად წარმოჩენა და გალელების პერსპექტიული „გააფხაზება“, ანუ ეთნიკური აფხაზეთის რაოდენობრივად გაზრდა) გამო თანხმდება დევნილების დაბრუნებაზე გალში, თუმცა იცის, რომ 50 ათასი ეთნიკური ქართველი მას საკმაოდ დიდ პრობლემებს შეუქმნის; იძულებას „შეგუებაზე“ ის ძალადობრივი, ზედმეტად ადმინისტრაციული ხერხებით, ხანდახან ძალის გამოყენებითაც კი პასუხობს. ძალადობა კი საპასუხო ძალადობას წარმოშობს (მაგალითად იგივე პუბლიკაციები მოვიყვანოთ: „აფხაზეთის ორგზის გმირი ააფეთქეს“ („რეზონანსი“, 28 ნოემბერი, 2005); „რატომ ილუპებინ ეთნონმენდაში მონანილე აფხაზეთის გმირები გაურკვეველ ვითარებაში?“ („რეზონანსი“, 29 ნოემბერი, 2005); „აფხაზი პოლიციელები ნალმზე აფეთქდნენ“ („კვირის პალიტრა“, 28 ნოემბერი, 2005). დევნილების ფაქტობრივ დაბრუნებას წინ მოლაპარაკებების ხანგრძლივი და მრავალპირობიანი და მრავალკომპონენტის პროცესი უძღვის. მედიის მიერ გამოკვეთილი ერთ-ერთი აქცენტი არის დაბრუნების ადგილად მხოლოდ გალის და დასაბრუნებელთა შორის მხოლოდ გალელი დევნილების აღიარების პოლიტიკური მიზანშეწონილება. „კარგ“ და „ცუდ“ დევნილებად დაყოფა აფხაზური პოლიტიკური დისკურსის მიერ სერიოზული განხეთქილების საგნად შეიძლება იქცეს თავად დევნილთა თემში და გალელების, როგორც „აფხაზეთისთვის მისაღები ქართველების“ მარგინალიზება გამოიწვიოს. მეორე პრობლემური აქცენტი, რომელსაც მედია აკეთებს, შეეხება გადაულახავ გაუცხოებას, რომელიც დაბრუნებულ გალელებსა და აფხაზებს შორის არსებობს. რას ემსახურება ეს დაბრუნება? მხოლოდ იმის ჩვენებას, რომ ამ გაუცხოებულ ადამიანების ერთად ცხოვრება შეუძლებელია? თუ მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი ამ გაუცხოების გადალახვა (ანუ „შეგუება“), თუკი აფხაზები გალელებს, არა ქართველებად, არამედ მეგრელებად, ხოლო გალს „მეგრულ ანკლავად“ მოიხსენიებენ?

„შეგუების“ პოლიტიკას მედია დიდწილად გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რუსლან ქიშმარიას უკავშირებს. ქიშმა-

რიას კომენტარები გალში მომხდარ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, რომელსაც ქართული მედია გადმოსცემს, ემსახურება კრიმინალის ეთნიკური საფუძვლების შერბილებას, შენიღბვას და წინა პლანზე სოციალური და კრიმინალური ფაქტორების წამოწევის, განსაკუთრებით გალის სამხრეთ, სამეგრელოს რეგიონთან უშუალოდ მოსაზღვრე (!) ნაწილში (მაგალითად, „გალში აფხაზებსაც იტაცებენ“ („რეზონანსი“, 11 იანვარი, 2006).

როგორც გვიჩვენებს ცხრილი 5 (იხ. დანართი), თავისი ქართული თუ ორმაგ-იდენტობითი ბუნების გამო გალი ის ადგილია, რომელზეც გაათმაგებული ძალით პროეცირდება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან ასოცირებულ ყველა დეიქტიკურ ცენტრში მომხდარი თუ ჩაფიქრებული ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება (თბილისი, სოხუმი, კოდორის ხეობა, რეალური თუ ხელოვნურად პროვოცირებული ხმები აფხაზების პრეტენზიებზე სამეგრელოს ტერიტორიის მიმართ და სხვა). გალი მონყვლადი ადგილია ყველა პოლიტიკური ავანტიურასა თუ პროვოკაციისთვის. გალი ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსებისთვის ის ავანსცენაა, რომელზეც ნებისმიერი სცენარი შეიძლება მოისინჯოს.

გალები – ორივე მხარის ხელისუფლებისთვის საარჩევნო რესურსია. ბალაფშის პირველ არჩევას დე-ფაქტო პრეზიდენტად გალში ხანმოკლე სიმშვიდე მოჰყვა („გალში ქართველებს აღარ აწიოკებენ“, „რეზონანსი“, 19 მარტი, 2005), გალის სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა ახალი პრეზიდენტის რიტორიკაში. ქართული მედიის მიერ ბალაფშს მიენერება სიტყვები: „**თუ** გალი ჩვენია, მაშინ როგორც საქიროა, ისე მივხედოთ, ხოლო თუ ეს არ შეგვიძლია, მაშინ ეს თქვით, და გალი **საქართველოს მივცეთო**“ („რეზონანსი“, 3 ივნისი, 2005). 2008 წლის იანვარში გალებს აპატიმრებენ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის საბაბით სამეგრელოს რეგიონის ტერიტორიაზე („რეზონანსი“, 9 იანვარი, 2008). 2008 წლის აგვისტოს ომამდე გალი საქართველოს ხელისუფლების დისკურსში განიხილებოდა, როგორც ბერკეტი, საბაბი, მიზანშეწონილობის საფუძველი გარკვეული ტიპის ქმედებებისთვის. მაგალითად, ჟურნალისტის შეკითხვაზე: „ხომ შეიძლება, შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ იძულებული გავხდეთ, დავარღვიოთ სამშვიდობო კურსი?“, რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ასეთ ექსტრემალურ ვითარებად გალს ასახელებს: „რა თქმა უნდა,

შეიძლება. თუ გალში ათას კაცს ყელს გამოჭრიან, ვერ დაველო-
დებით ათას მეერთე ქართველის სიკვდილს“. („ახალი 7 დღის“
ყოველთვიური გამოცემა „სიტყვა“, 2008, 5).

სემიოლოგიური ასპექტის გარდა, გალის რეპრეზენტაციის
მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია უშუალოდ რეპორტირებასთან
დაკავშირებული საკითხები (მაგალითად, ადგილის სპეციფიკა
და ადამიანების ისტორიები ამ ადგილზე). ინფორმაციის გალი-
დან გადმოცემის ფაქტი უკვე ქმნის გარკვეულ მოლოდინს ამ
ინფორმაციებში რეპორტირებული ფაქტებისა და მოვლენების
ბუნების შესახებ (როგორც, მაგალითად, წინასწარ არის ცნობი-
ლი იმ ფაქტების ბუნება, რომლებიც სასამართლს, პოლიციის,
პარლამენტის ან საავადმყოფოს შენობიდან გადმოიცემა (უოლ-
ტერ ლიპმენი, 1922)). ამ ისტორიებში ყოველთვის მითითებულია
წყარო, ისინი ყოველთვის უშუალოდ თვითმხილველების ნაამბობს
ეყრდნობიან, ყოველთვის მითითებულია მონაწილე ადამიანების
ვინაობა, დრო და ისეთი დეტალები, რომლებიც ადასტურებს,
რომ ინფორმაცია მიზანმიმართულად, „საინფორმაციო ბადის“
(ტაჩმენი, 1978) გამოყენებით იქნა მოპოვებული.

მედია იყენებს მის ხელთ არსებულ უპირატესობას – სპეცი-
ფიკური ვითარების გამო გალისა და გალელების სახეს მხოლოდ
მედია ქმნის (სოციალური გარემო და პერსონალური გავლენები
ვერ ცვლის და ვერც ვერანაირ გავლენას ახდენს მედიის მიერ
შექმნილ დამოკიდებულებებზე) – და მონოპოლიურად აყალიბებს
„გალის წარმოჩენის დღის წესრიგს“:

- გალის მოქცევა „შიდა“ ქართულ სივრცეში;
- ყველა ფაქტის პოლიტიკური განპირობებულობა; ფაქტების
ხდომილების მოტივაცია, როგორც წინასწარგანზრახულის;
- ფაქტების დახასიათება, როგორც ტრაგედიის;
- ემოციური საკვანძო სიტყვის შემოტანა ნეიტრალურ ინფორ-
მაციულ ტონალობაში;
- გალის, როგორც მედიასისტემის თემის, შენარჩუნების აუცი-
ლებლობა.

PAX GEORGIANA

თავი 2

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი –
მედიადისკურსი და პოლიტიკური
სისტემა

მიზნობრივი „ქართულ-აფხაზური“
მედიაპროექტები ქართულ მედიაში.
2004-2008 წლები

მაია გოგოლაძე

კამპანიური კომუნიკაციის სირთულეები აფხაზური საკითხის ირგვლივ

ნებისმიერი კონფლიქტის გაშუქება მედიაში, იქნება ეს შიდასახელმწიფოებრივი, სახელმწიფოთაშორისი, ეთნიკური, თუ სხვა, დაკავშირებულია სირთულეებთან, რომლებსაც ქმნის მედიური სისტემის ურთიერთქმედება პოლიტიკურ სისტემასთან, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი შიდასახელმწიფოებრივი, სახელმწიფოთაშორისი თუ სხვა ტიპის კონფლიქტების წარმოქმნაზე, მსვლელობასა და მოგვარებაზე. მედიასისტემა არის თავისუფალი, არაიერარქიული საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს საკუთარი შინაგანი ლოგიკის თანახმად, საკუთარი სისტემურ-იმანენტური წესებით, რომლისთვისაც უცხოა მკაცრად იერარქიული პოლიტიკური სისტემის ლოგიკა, დაფუძნებული გამარჯვება-დამარცხების, ბრძანება-შესრულების, იძულება-დაქვემდებარების კატეგორიებზე. მედიასისტემის მთავარი ღირებულება – თავისუფალი კომუნიკაცია – უპირისპირდება პოლიტიკური სისტემის მთავარი ღირებულების მიერ დამკვიდრებულ მკაცრად ფუნქციური, კონტროლირებადი კომუნიკაციის პრინციპებს. პრობლემა წარმოიქმნება იმ ეტაპზე, როცა დგება პოლიტიკური დისკურსის მედიადისკურსად გარდაქმნის საჭიროება, რაც პოლიტიკური სისტემისგან მოითხოვს, თავი შეიკავოს საკუთარი პრინციპებისა და კოდების სხვა, ამ შემთხვევაში, მედიურ სისტემაზე განვრცობის ცდუნებისგან.

სწორედ ამ სირთულეებთან არის დაკავშირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაშუქებაც. ეს კონფლიქტი, როგორც თემა არის მედიასისტემის კუთვნილება, როგორც მოვლენა, ხდომილება ანუ პრაქტიკული რეალობა, პოლიტიკური სისტემის კუთვნილებაა. იმაზე, თუ როგორ მოხდება ამ რეალობის თემად და კომუნიკაციის საგნად ტრანსფორმირება, დამოკიდებულია ბევრი რამ, უპირველესად კი ის, როგორ იქნება განხორციელებული საზოგადოების უფლება, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, რეალობის სრული სურათი, მასში ორიენტირების, დასკვნების გამოტანის, ხედვის ჩამოყალიბების, უკუკავშირის განხორციელების საშუალება.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაშუქება ქართულ მედიაში მკვეთრი თავისებურებებით ხასიათდება, რომელთაგანაც არც

გაზეთების: „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი მიძღვნილი პროექტებია თავისუფალი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მედიური ასახვის სპეციფიკა განპირობებულია არა იმდენად ქართული მედიის იმანენტურ-სისტემური თავისებურებებით, რამდენადაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის და, ზოგადად, დაკარგული ტერიტორიების თემის მნიშვნელოვნებით ქართული საზოგადოებისთვის, ქართული სახელმწიფოსთვის, ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემისთვის და, შესაბამისად, მედიის, როგორც მისი შემადგენელი ნაწილისთვის. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზეთის თემა ქართულ მედიაში კარგავს მედიური პროდუქციის, ჟურნალისტური პარადიგმების ნიშნებს და იძენს პოლიტიკური კომუნიკაციის ნიშან-თვისებებს. იგი გადის თავისუფალი მედიური სისტემის ჩარჩოებიდან და ხდება იერარქიული პოლიტიკური სისტემის ნაწილი. თემა იმდენად მტკივნეული და მნიშვნელოვანია, რომ ქართული მედია თავად ახდენს პასუხისმგებლობის დელეგირებას პოლიტიკურ სისტემაზე. ამაზე მეტყველებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემაზე შექმნილი მედიური ტექსტების ერთფეროვნება, ჟურნალისტური გამოხატვის ფორმების კატასტროფული სიმწირე, თემატური ერთფეროვნება. ინფორმაციის უმეტესი ნაწილის არა საკუთარი, ჟურნალისტური, არამედ პოლიტიკური წყაროებიდან მოპოვება, აქტანტი-კომუნიკატორების შერჩევის სპეციფიკა, თხრობის სტანდარტიზებული ფორმა, პოლიტიკური კლიშეებისა და პოლიტიკური მითების ტირაჟირება.

პოლიტიკური პროცესებისა და კონფლიქტების გაშუქების კამპანიური ხასიათი, პოლიტიკური აქტანტებისა და მათი ინტერესების პრეზენტაცია პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე და მოცემული პოლიტიკური მომენტის საჭიროებაზე დაყრდნობით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ჩართვა და გამოყენება ხელისუფლებისთვის ბრძოლის, შიდაპოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში. ანუ სახეზეა მედიის ნებაყოფლობითი ინსტრუმენტალიზება, პოლიტიკური სისტემისადმი დაქვემდებარება, რაც განსაკუთრებით არასასურველია კონფლიქტის გაშუქებისას, რადგან სწორედ მედიას ეკისრება იმ შუალედური, თავისუფალი რგოლის, იმ არხის როლი, რომლითაც მხარეები ერთმანეთს შეტყობინებებს უგზავნიან. რაც უფრო ღია იქნე-

ბა ეს არხი, რაც მეტად თავისუფალი იქნება კონფლიქტის წარმომშობი პოლიტიკური სისტემის ზეგავლენისგან, მით უფრო შესაძლებელი იქნება დაპირისპირებულ მხარეებს შორის კავშირის განხორციელება, მით უფრო სრული და რეალური სურათი შეექმნებათ მხარეებს ერთმანეთის შესახებ, მით უფრო ადეკვატური იქნება მათ მიერ ერთმანეთისკენ ან ერთმანეთის საპირისპიროდ გადადგმული ნაბიჯები.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მედიური ასახვა ამ მხრივაც სპეციფიკურია. გაზეთების: „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ მედიურ პროექტებში, რომლებიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებს აშუქებენ, კომუნიკაცია ხორციელდება ქართული მხარის მიერ ქართული მხარისთვის. სახეზეა ასიმეტრიული კომუნიკაცია, რომელშიც აფხაზური მხარე მწირად არის წარმოდგენილი როგორც აქტანტი-კომუნიკატორი, როგორც ინფორმაციის წყარო, და ნაკლებად არის მოაზრებული, როგორც მიმღები. ამგვარად მინიმუმამდეა დაყვანილი მედიების, როგორც მხარეებს შორის კომუნიკაციის არხის, კომუნიკაციის საშუალების, ფუნქცია, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

კამპანიური კომუნიკაცია პოლიტიკური საკომუნიკაციო სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. მისი ფუნქციაა მიზნად დასახული პოლიტიკური ქმედების საინფორმაციო უზრუნველყოფის ხანგრძლივი პროცესის წარმართვა. პირველ ეტაპზე ხდება თემის წამოწევა, მისი აქტუალიზება ნებისმიერი საბაზით, მომდევნო ეტაპზე – კონკრეტული ქმედების აუცილებლობის დასაბუთება ნებისმიერი, მათ შორის, პროპაგანდისტული მეთოდებით და არაკეთილსინდისიერი არგუმენტით კომუნიკატორთა შეძლებისდაგვარად ფართო წრის მიერ. მესამე ეტაპი ეთმობა განხორციელებული პოლიტიკური ქმედების შესახებ მკითხველის ინფორმირებას, მომხდარის დადებითი ეფექტების და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შედეგების დემონსტრირებას, რის შემდეგაც თემა იკარგება საინფორმაციო სივრციდან, როგორც ამონურული, ისევე სწრაფად, როგორც გაჩნდა.

გაზეთ „24 საათის“ პროექტში „თქვენი აფხაზეთი“ რამდენიმე ასეთ კამპანიას ვხვდებით. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია სწორედ ასეთი კომუნიკაციის კლასიკური ნიმუშია. ლტოლვილთა შიმშილობის საბაზით ხდება თემის აქტუალიზება, რომელსაც მოჰყვებ-

ბა აქტანტი კომუნიკატორთა მიერ პოლიტიკური სივრციდან გასაყვანი ფიგურის დისკრედიტირება ყოველგვარი ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე, მისი უსაფუძვლო მხილება ფსევდო-პატრიოტიზმში, ფარისევლობაში, კორუფციაში, პარტიზანთა დევნაში, „ჩაშვებასა“ და ლიკვიდაციაში თანამონაწილეობაში, მსოფლიოს მიერ ქართველთა გენოციდის აღიარების პროცესის გაჭიანურებაში და ა.შ. თავდასხმების სიმძაფრე და ინტენსივობა იზრდება და მას შემდეგ, რაც ნადარეიშვილი არც თუ ამ კამპანიის მიუხედავად, ფიზიკურად გადის პოლიტიკური სივრციდან და შესაბამისად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დისკუსიიდან, კამპანია ისევე უეცრად წყდება, როგორც დაიწყო. აღარავის აინტერესებს იმ დანაშაულებების გამოძიება, რომელშიც ღიად და საჯაროდ სდებდნენ ბრალს ისეთი მაღალი თანამდებობის და დიდი გავლენის მქონე პირს, როგორც იყო თამაზ ნადარეიშვილი.

ასეთივე, თუმცა ზნეობრივი თვალსაზრისით ნაკლებად მძიმე და არაეთიკური იყო კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად გამოცხადების კამპანია, საქართველოს ხელისუფლების მიერ პანკისის ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაციას ქვეყანაში ნესრიგის დამყარების აუცილებელ ღონისძიებად და გონივრულ პოლიტიკურ ნაბიჯად წარმოჩენა. ნაკლებად გამოხატულ, მაგრამ მაინც კამპანიურ ხასიათს ატარებდა ვარდების რევოლუციის და აჭარის მოვლენების აფხაზეთზე განვრცობის თეორიული შესაძლებლობის პროპაგანდა გაზეთ „24 საათის“ პროექტში.

გაზეთ „ახალ 7 დღეში“ არ გვხვდება პოლიტიკურ კამპანიაში ნებაცხოფლობითი ჩართვის მაგალითები. ცალკეულ შემთხვევაში ჟურნალისტი მხოლოდ ექცევა პოლიტიკური სისტემის გავლენის ქვეშ, რომელიც ყველა არსებული პროპაგანდისტული საშუალებით ცდილობს მოვლენების განვითარების მისთვის სასურველი მოდელის ინსცენირებას. წარმატებული ინსცენირების ზეგავლენა გარკვეულწილად აისახება გაზეთის პუბლიკაზიების საერთო ტონალობაზე. ამ მედიასაშუალებაში ჟურნალისტი არ არის ნეიტრალური, მაგრამ იგი ცდილობს, იყოს ობიექტური და ზუსტი.

რადგან განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოყენებული მასალების უდიდესი ნაწილი ინტერვიუს, მონოლოგის ან დიალოგის ფორმით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნიკატორის ფაქტორი: ვინ შემოჰყავთ გამოცემებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დისკუსიაში და ვის ხდებიან მის მონაწილედ?

გაზეთ „24 საათის“ პროექტში „თქვენი აფხაზეთი“ აქცენტი კომუნიკატორების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი. ესენი არიან როგორც აფხაზეთიდან დევნილი ქართველები, ასევე პირები, რომლებიც არ არიან აფხაზეთის მკვიდრნი, მაგრამ რეალურად მონაწილეობდნენ კონფლიქტებში: მეზობლები, სამხედრო მეთაურები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებებს და გავლენას ახდენდნენ კონფლიქტის მსვლელობაზე. კომუნიკატორებად გამოდიან ასევე პირები, რომელთაც კონფლიქტი უშუალოდ არ შეხებია: ექსპერტები, დიპლომატები, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები.

პროექტში მონაწილე კომუნიკატორთა 70% სწორედ პირველ კატეგორიას განეკუთვნება, 30% – მეორეს. როგორც პირველ, ასევე მეორე კატეგორიის კომუნიკატორებს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობა აქვთ. მათ 19%-ს შეადგენენ სახელმწიფო მოხელეები, ჩინოვნიკები, ფუნქციონირები, 81%-ს კი საზოგადოების წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, რიგითი მოქალაქეები, არასამთავრობო სექტორის ექსპერტები, ექსპერტები, რომლებიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან, მაგრამ არ არიან ხელისუფლებაში.

პროექტში წარმოდგენილია სულ რამდენიმე კომუნიკატორი, რომელიც აფხაზურ მხარეს წარმოადგენს. რუსულ მხარეს წარმოადგენს რუსეთის ელჩი საქართველოში, ვლადიმერ ჩხიკვიშვილი, და ერთი ანონიმი კომუნიკატორი, საქართველოში დისლოცირებული სამშვიდობო ჯარის რუსი ოფიცერი. გაზეთ „24 საათის“ პროექტში უკიდურესად იშვიათად გვევლინება გაზეთის წარმომადგენელი ჟურნალისტი დამოუკიდებელ კომუნიკატორად ანუ კომუნიკატორად, რომელიც გამოხატავს საკუთარ აზრს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ, სთავაზობს მკითხველს საკუთრივ მის მიერ მოპოვებულ ჟურნალისტურ მასალას, საკუთარ ორიგინალურ თემას ან პრობლემის ხედვას.

ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა გაზეთ „ახალი 7 დღის“ პუბლიკაციებში. ჟურნალისტი ბევრად უფრო ხშირად გამოდის დამოუკიდებელი კომუნიკატორის როლში, გამოხატავს საკუთარ პოზიციას, გამოთქვამს კრიტიკულ დამოკიდებულებას პოლიტიკური პროცესებისა და მასში მონაწილე აქტივებისადმი, ისმის საკუთრივ ჟურნალისტის ხმა, რომელიც

ცდილობს იყოს საკუთარი დისკურსის შემქმნელი სუბიექტი. თუმცა გაზეთ „ახალი 7 დღის“ პუბლიკაციებს ასევე ახასიათებს პოლიტიკური დისკურსის დომინირება მედიურ დისკურსზე, რაც გამოიხატება ჟურნალისტური გამომხატვის ფორმების სიმწირით, თემატური და ენობრივი ერთფეროვნებით, შინაარსობრივი და ენობრივი პოლიტიკური კლიშეების ტირაჟირებით, საკუთარი ინფორმაციის, ჟურნალისტური კვლევის ნაკლებობით. ორივე მედიასამუაღლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაშუქებისას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ან სრულად გამორიცხება საგამოძიებო ჟურნალისტური პარადიგმა. ყველა ეს ნიშანთვისება მეტყველებს სწორედ მედიური სისტემიდან გასვლაზე, ჟურნალისტიკის, როგორც პარადიგმის, უგულვებლყოფაზე, უარის თქმაზე ჟურნალისტიკის მთავარ პრინციპზე – ასახოს მრავალსახოვანი, მრავალწახნაგოვანი, მრავალშრიანი რეალობა, მისი სრული სურათი, რაც შესაძლებელია მხოლოდ ჟანრობრივი მრავალფეროვნებით და მიუწვდომელია მხოლოდ ინტერვიუს, მონოლოგის ან დიალოგის ფორმით. რა თქმა უნდა, ინტერვიუ ჟურნალისტური ჟანრია, მაგრამ ინტერვიუს ისეთი ინტენსივობით გამოყენება, როგორსაც ჩვენს მიერ განსახილველ პრაქტიკაში ვხვდებით, იმაზე მეტყველებს, რომ მედიასისტემას ესაჭიროება და იყენებს ამ ჟანრის განსაკუთრებულ თვისებებს, რომელიც არ აქვთ სხვა ჟანრებს. ინტერვიუს უნიკალური ჟანრობრივი თვისებები კი სწორედ იმაშია, რომ ის იძლევა კომუნიკატორის მიერ თვითრეპრეზენტაციის, საკუთარი პარტიკულარული თუ ინსტიტუციური ინტერესების ტირაჟირების, საკუთარი ინფორმაციის გავრცელების, მოდელირებული ანალიზის, განსაზღვრული გარემოებების გვერდის ავლის, საკუთარი პოზიციების გამყარების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ გამოიყენება ინტერვიუ ასე ინტენსიურად საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და პოლიტიკურ კომუნიკაციაში. ინტერვიუს ჟანრის ასეთი ინტენსივობით გამოყენება განსაკუთრებით ავინროვებს ჟურნალისტური დისკურსის საზღვრებს მაშინ, როცა ჟურნალისტს, როგორც ამას გაზეთ „24 საათის“ პროექტში ვხვდებით, არ აქვს საკუთარი ხმა იმ შემთხვევაშიც, როცა გაზეთი იყენებს დიალოგის ფორმას. გაზეთ „24 საათის“ დიალოგებში კომუნიკატორთა ხმები, მათი იდენტური, მსაგავსი თუ განსხვავებული პოზიციები, არ არის გაშუალედებული ჟურნალისტის მიერ მედიაციის ან საკუთარი აზრის გამოთქმის მცდელობით.

გაზეთ „ახალ 7 დღეში“ კომუნიკატორებად უმეტესწილად (95%-ზე მეტი) გვევლინებიან საზოგადოების წარმომადგენლები: ექსპერტები, პოლიტოლოგები, სახელმწიფო-ინსტიტუციური იერარქიისგან თავისუფალი პოლიტიკოსები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები. თუმცა თვით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაშუქების ობიექტური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი კომუნიკატორი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქოს ნებაყოფლობით იქცევა პოლიტიკური დისკურსის ნაწილად, ითვისებს მის თემატურ, ენობრივ სტანდარტებს. აფხაზეთიდან დევნილი რიგითი მოქალაქე, ექსპერტი, მწერალი, პოლიტიკოსი და ფუნქციონერი, როგორც კომუნიკატორები, ბევრით არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თანაბარია მათი ცხოველი ინტერესი და ჩართულობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის განხილვა-გააზრებაში; მის გადანყვეტაში უშუალო მონაწილეობის სურვილი, კომპეტენტურობის დონის მიუხედავად; ყოველ მათგანს, იქნება ეს ექსპერტი, სტუდენტი თუ მწერალი, აქვს კონფლიქტის გადაჭრის საკუთარი გეგმა, ყოველი მათგანი დარწმუნებულია, რომ სწორედ მისი ხედვა და გეგმა არის სწორი და უტყუარი, ყოველი მათგანი ხისტად უპირისპირდება განსხვავებული ხედვის და პოზიციის მქონე მხარეს. ანუ სახეზეა პოლიტიკური დისკურსის ძირეული პრინციპი – დაპირისპირების, ძღვევის, დამარცხება-გამარჯვების მოდელი, რომლისგანაც არც ჟურნალისტი-კომუნიკატორები არიან თავისუფალი.

გაზეთ „24 საათის“ პროექტში სხვადასხვა ტიპის კომუნიკატორები, იქნება ეს აკადემიური სფეროს წარმომადგენელი, აფხაზეთის უნივერსიტეტის პროფესორი, თემურ ჩილაჩავა, ფუნქციონერი პოლიტიკოსი ზურაბ ერქვანია, ექსპერტი-კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი თუ ჟურნალისტი ზაზა ფაჩუაშვილი, ერთნაირად არიან ჩართულები გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ ძალაუფლების მოპოვების ან დათმობის პროცესის მედიურ და საინფორმაციო უზრუნველყოფის პროცესში. პროექტის „თქვენი აფხაზეთის“ კომუნიკატორთა 75%-ზე მეტი შესაბამის დროით პერიოდებში სწორედ აფხაზეთის თემით ერთვება ვარდების რევოლუციის მომზადების, მხარდაჭერის, გამარჯვებისა და მის შედეგად მოსული ხელისუფლების ნებისმიერი ქმედების გამართლების კამპანიაში. პოლიტიკურ

დისკურსს დაქვემდებარებული კომუნიკატორების უმრავლესობის ენობრივი წყობა, ლექსიკა და შეტყობინების ემოციური შეფერილობა უმეტეს შემთხვევაში იდენტურია. მათი, როგორც კომუნიკატორის, მიზანი კი არის არა მკითხველის ინფორმირება, არამედ პერსონის ან პოლიტიკური ჯგუფის თვითრეზენცია, მათი პოზიციის აგრესიული გამოხატვა. შიდაპოლიტიკური დაპირისპირებისასამ ტიპის კომუნიკატორების ენა ხდება აგრესიული, მეტაფორული, გადატვირთული ბუნდოვანი ქვეტექსტებითა და კონკრეტული პოლიტიკური მოწოდებებით. ხოლო კონფლიქტის მოგვარების საგარეო კონტექსტსა და მექანიზმზე, ან უშუალოდ აფხაზურ მხარეზე საუბრისას მათი შეტყობინების ენა არის სქემატური, განზოგადებული, აბსტრაქტული და რიგიდული. ასეთი კომუნიკაციური სტანდარტის ნიმუშს წარმოადგენს ზურაბ ერქვანიას პუბლიკაცია – „ილუზია, რეალობა, პერსპექტივა“. კომუნიკატორი გვამცნობს ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის – „სამოქალაქო მშვიდობა“ – დაფუძნებას, რომლის თავმჯდომარეც თვითონ არის, მის მიზნებს და ამოცანებს, მოქმედების მიმართულებებს. კომუნიკატორი პოლიტიკურ მონინალმდეგედ მიიჩნევს არსებულ ხელისუფლებას (შევარდნადის ხელისუფლება) და ამხელს მის „უნიჭო სტრატეგიას“ კონფლიქტის მოგვარების საკითხში. პოლიტიკურ ოპონენტებს, რომელთაც კონკრეტულად არ ასახელებს, მოიხსენიებს „ვაი პოლიტიკოსებად“, „ოდიოზურ ფიგურებად“. მათ პოლიტიკურ საქმიანობას კი ასე აფასებს: „დემაგოგია, ფარისევლობა, ნაცარქექიობა, ლაყობა, ამპარტავნება, ფარული ეგოიზმი...“ მათ მიმართ კომუნიკატორი ხშირ შემთხვევაში იყენებს ბუნდოვან მეტაფორებს, მაგალითად: „ცხენზე შემჯდარი ტორეადორები დევნილთა სასიცოცხლო ინტერესების უგულებელყოფით ცეცხლს ეთამაშებიან. დაკარგული აფხაზეთის „პოლიტიკური პრივატიზება“ დღესაც გრძელდება“. არსებული ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის მხილების შემდეგ კომუნიკატორი წარმოაჩენს კონფლიქტის მოგვარების საკითხში ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხედვას და გეგმებს. შინაარსობრივად სქემატური და განზოგადებული შეტყობინება გადმოიცემა რთული, აბსტრაქტული ლექსიკითა და ასევე, რთული, იმავდროულად, გაუმართავი, სინტაქსური წყობით. შეტყობინების ენობრივი ქსოვილი შედგება გლობალური პოლიტიკის

ტერმინოლოგიის შემცველი, ბუნდოვანი მეტაფორების, ისტერიული ტონის და გაკიცხვა-დამუნათების სრულიად არაპოლიტიკური ლექსიკისგან. აგრესიული ტონი, ეკლექტური ენა და გამოხატვის სქემატური და ბუნდოვანი ფორმა გაუგებარს ან ძნელად აღსაქმელს ხდის მის შეტყობინებას. კომუნიკატორი კი წარმოჩინდება, როგორც პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმული აქტანტი, რომელსაც სურს ოპონენტების ძლევა და იმავდროულად იმ ობიექტური კომუნიკატორის როლის მორგება, რომელიც გლობალური პოლიტიკის ღირებულებებით ხელმძღვანელობს. ამგვარად, მისი, როგორც კომუნიკატორის არაკომპეტენტურობა უკარგავს სანდოობას მის შეტყობინებას და ეფექტურობას მის მიერ გამოთქმულ პოზიციას, რომელიც, თავისთავად, დადებითი ტენდენციის მატარებელია და მოუწოდებს არაძალადობის, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, აფხაზებთან პირისპირი დიალოგის, ნდობის აღდგენისკენ. განხილული პუბლიკაცია იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასში გამოკვეთილი და გამძაფრებული სახითაა წარმოდგენილი გარკვეული ტიპის კომუნიკაციათა ენა და კომუნიკაციური ყალიბი, რომელიც გაზეთ „24 საათის“ პროექტში გარკვეული სახეცვლილებებით მრავლად გვხვდება. მაგალითად, ნაკლებად აგრესიული, მაგრამ ასევე ეკლექტური, სქემატური და ჩამოუყალიბებელია 2003 წლის არჩევნების წინ შექმნილი ჯგუფების „გაერთიანებული დემოკრატების“ აფხაზეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის, თემურ ჩილაჩავას, საკომუნიკაციო ენა. მისი საავტორო პუბლიკაციიდან ცხადი ხდება კომუნიკატორის პოლიტიკური მიზნები, ჩართულობა წინასაარჩევნო მზადებაში, აფხაზეთის თემისადმი მიდგომა ახალი პოლიტიკური რელობის პირობებში. გაუგებარია მხოლოდ ის, როგორ თავსდება ერთ კომუნიკატორულ ყალიბში ამალღებული პოეტური სიტყვათაწყობა, ყოველდღიური ყოფითი ლექსიკა, პოლიტოლოგიური ტერმინები და პარტიული ლოზუნგები, ასევე აგრესიული და ისტერიული ტონი ოპტიმალური მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების დაპირებებთან. კომუნიკატორის ენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მას მიაქვს მკითხველამდე შეტყობინება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მდგომარეობისა და მისი მოგვარების პერსპექტივის შესახებ, რომლიდანაც რეციპიენტმა უნდა მიიღოს ზუსტი და სრული ინფორმაცია, რომელიც უნდა

დაეხმაროს მას შექმნილ ვითარებაში ორიენტირებაში, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში ან განმტკიცებაში, მომავლის დაგეგმვაში, ქმედების გეგმის შემუშავებაში. ზემოთ აღწერილი კომუნიკაციური ენით გადმოცემული შეტყობინება კი მისი ბუნდოვანების, სირთულის, ეკლექტურობის, გაუმართაობის გამო ვერ შეასრულებს ამ ფუნქციებს, აფერხებს კომუნიკაციის პროცესს, აფუნქციურს და დესტრუქციულს ხდის მას, რაც განსაკუთრებით სავალალოა, როცა საქმე ეხება ისეთ მტკივნეულ, ფაქიზ და მნიშვნელოვან საკითხს, როგორც არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, და პროექტს, რომელიც სწორედ იმიტომ ხორციელდება, რომ შედგეს ეფექტური, შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ საზოგადოებრივ სისტემებს, მოქალაქეებს, მხარეებს, ინსტიტუტებს და ორგანიზაციებს შორის.

კონფლიქტის გაშუქებისას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პუბლიკაციის, ჟურნალისტური პროდუქციის ხარისხს, ჟურნალისტის ოსტატობას. მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალის მოპოვება, მისი ღრმა ანალიზი, ჟანრის სწორი შერჩევა, გამართული ენა, საინტერესო დრამატურგია და თხრობა აათმავებს პუბლიკაციის ეფექტს, მის გავლენას მკითხველზე ზრდის რეციპიენტთა რიცხვს და ქმნის საზოგადოებრივ რეზონანსს. მედიადისკურსის შემქმნელმაც და მისმა მიმღებმაც კარგად იცის, რა ძალა აქვს კარგად დაწერილ რეპორტაჟს, კარგად წაყვანილ ინტერვიუს, ოსტატურად დაწერილ საავტორო სვეტს. ამ მოთხოვნებს ჩვენს მიერ განხილული პროექტების, განსაკუთრებით „თქვენი აფხაზეთის“, ერთეული პუბლიკაციები აკმაყოფილებენ. თუ ამ პროექტების მიზანი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისთვის ხელშეწყობა, მნიშვნელოვანი უნდა იყოს მათ ფორმატში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ეფექტურობა, ანუ მათი ხარისხი.

კომუნიკატორთა ტიპები და შეფოკინების თავისებურებები

კომუნიკატორი და კომუნიკაციის ენა

კომუნიკატორთა ენის კვლევამ აჩვენა, რომ ერთი ტიპის კომუნიკატორთა ენა მნიშვნელოვანწილად ერთნაირია. ფუნქციონერი პოლიტიკოსების ენა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომლებზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ, არის დინამიკას მოკლებული, არააგრესიული, არაემოციური ენა, ნეიტრალური პოლიტიკური ლექსიკითა და არამკაფიო შეტყობინებებით, ხშირია ასეთი ფრაზები: „სამწუხაროდ, სამშვიდობო მოლაპარაკებები რთული და ხანგრძლივი პროცესია“; „შედეგის მიღწევა ასე უცებ არ ხდება“; „ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიო საზოგადოების მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარებაში“; „შეიძლება მეც მქონდეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ“; „აფხაზების მიერ რეკომენდაციების მუდმივ უარყოფას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს“; „დღეს რამე კონკრეტულობაზე საუბარი ძნელია“; „შემდეგ სათქმელი მაინც გვექნება, რომ ქართული მხარის მზაობის მიუხედავად, შედეგს ვერ მივაღწიეთ“ და ა.შ. (ამონარიდები ინტერვიუდან განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრ მალხაზ კაკაბაძესთან).

სპეციფიკურია ასეთი კომუნიკატორების შეტყობინებაც. ტიპური ფუნქციონერი კომუნიკატორები არასდროს განიხილავენს ქართული მხარის მიერ კონფლიქტის საკუთარი ძალებით მოგვარების შესაძლებლობას. მათი ხედვა ჩამოყალიბებულია, გეგმა – ზოგადი, დრო – ბევრი, ძირითადი მოწოდება კი – მივყვეთ პროცესებს საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი იმედით.

საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე შევარდნაძის ეპოქის ფუნქციონერია, მაგრამ ზუსტად იმავე თავისებურებებით ხასიათდება ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდის ფუნქციონერ-კომუნიკატორთა საკომუნიკაციო ენა და კომუნიკაციის სტილი. მათი საკომუნიკაციო ენა ცოცხალი და აგრესიული, ხოლო შეტყობინებები – მკაფიო და ჩამოუყალიბებელი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ისინი (იმის მიუხედავად, არიან თუ არა დევნილები), ერთვებიან კამპანიური ხასიათის პოლიტიკურ პროცესებში ან ასრულებენ კონკრეტულ პოლიტიკურ დაკვეთას

(მაგალითად, აჭარის მოვლენების აფხაზეთში გაგრძელების პროპაგანდა; თამაზ ნადარეიშვილის დევნა და კომპრომეტირება; კოდორის ზემო აფხაზეთად გამოცხადების მხარდაჭერა).

ფუნქციონერ კომუნიკატორთა შორის ვხვდებით რამდენიმე გამონაკლისს, რომელთა ენა, კომუნიკაციის სტილი და შეტყობინების სპეციფიკა სრულიად განსხვავდება ამ ტიპის კომუნიკატორთა უმრავლესობის ენის, კომუნიკაციური სტილისა და შეტყობინების თავისებურებებისგან. ესენი არიან თამაზ ნადარეიშვილი (აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვარდების რევოლუციამდე), გოგა ხაინდრავა (სახელმწიფო მინისტრი) და ირაკლი ალასანია (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე). მათი ენა არის მკაფიო, გასაგები, საგნობრივი და კონკრეტული. პოზიციათა განსხვავებულობის მიუხედავად, მათ აქვთ კონფლიქტის მოგვარების ჩამოყალიბებული ხედვა, კონკრეტული გეგმა, მკაფიო მოთხოვნები, ისინი მოუწოდებენ ქმედებებისკენ, აქტიურობისკენ, თავად, საკუთარი ძალებით კონკრეტული გეგმის განხორციელებისკენ. მათთვის დრო არ ითმენს და არ არის მიბმული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. საგულისხმოა, რომ სამივე მათგანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებებში გაყვანილი იქნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების დისკურსიდან.

მედიადისკურსში ჩართული რიგით დევნილთა საკომუნიკაციო ენა არის ემოციურად შეფერილი, დინამიური და მკაფიო. ეს არის სიყვარულისა და შერიგების ენა. შეტყობინებები აგებულია ფაქტების ლოგიკასა და დრამატურგიული ქარგის შემცველ თხრობაზე, აქვთ სიუჟეტური ლერძი, რომლის კულმინაცია უმეტეს შემთხვევაში არის აფხაზების ან რომელიმე კონკრეტული აფხაზის მიერ ქართველებისადმი სიახლოვის, ძმობისა და სიყვარულის დადასტურება. ასეთი შეტყობინებების ფინალი ოპტიმისტურია, დასკვნა – ქართველებისა და აფხაზების შერიგება და მომავალში ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების გარდაუვალობა – რეალურად სურვილი და ოცნება უფროა, რომელიც არ გამომდინარეობს არც შეტყობინების ლოგიკიდან, არც ვითარების საერთო სურათიდან. განსაკუთრებულია გალელი ქართველების საკომუნიკაციო ენა – უკიდურესად დრამატული, ექსპრესიული, მონოდებიითი ინტონაციებით. მათი ლაკონური შეტყობინებები შედგება ტრაგიკული ფაქტების აღწერითა და საქართველოს ხელისუფლებისადმი ხეწენა-მუდარის ან ბრალდება-მონოდებისგან.

ორივე პროექტში კომუნიკატორთა მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ საზოგადოების წარმომადგენლები: პოლიტოლოგები, ექსპერტები, სახელმწიფო-ინსტიტუციური დაქვედმებარებისგან თავისუფალი პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები. ეს არ არის კომუნიკატორთა ჰომოგენიური ჯგუფი. განსხვავებულია მათი მიდგომები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გენეზისისა და განვითარების, მისი გადაჭრის გზებისა და პერსპექტივებისადმი. მაგრამ მათი საკომუნიკაციო ენა დიდწილად ჰომოგენურია. ეს არის ზომიერად მშრალი, ნეიტრალური, დინამიური, მკაფიო, საგნობრივი განსჯისა და ანალიზის ენა. შინაარსობრივად კომუნიკატორთა ამ ჯგუფის შეტყობინებები, მათი პოზიციიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება კომუნიკაციური მიზნებით, კონფლიქტის დინამიკის შეფასებით, მისი მოგვარების გზებისა და საშუალებების ხედვით. განსხვავებულია მათი, როგორც კომუნიკატორთა, მოწოდებების სპეციფიკა და შინაარსიც, თუმცა ყოველივე ეს არ აისახება მათი საკომუნიკაციო ენის განსხვავებულობაზე.

ჟურნალისტის, როგორც კომუნიკატორის, ენის სპეციფიკა, ჩვენს მიერ განხილულ პროექტებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. გაზეთ „24 საათის“ პროექტში ჟურნალისტის ენა და ტონალობა დამოკიდებულია მოცემულ მომენტში არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურასა და პოლიტიკური ვითარების თავისებურებაზე. ჟურნალისტი ნაკლებად აქტიურია, როგორც საკუთარი პოზიციის მქონე კომუნიკატორი. მისი ფუნქციაა მკითხველის ინფორმირება და სხვა აქტანტი-კომუნიკატორების წარდგენა. ამ ფუნქციების შესაბამისია მისი ენაც – მშრალი, ინფორმაციული, ნეიტრალური. ჟურნალისტის ხმა ისმის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მედიასაშუალება ერთვება პოლიტიკური მომენტით განპირობებულ კამპანიურ კომუნიკაციაში, იქნება ეს „ზემო აფხაზეთის დაბადება“ თუ ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტის წინა პერიოდში აფხაზეთის პრობლემის სწრაფი მოგვარების შესაძლებლად წარმოჩენა და აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების მხილება. ჟურნალისტი ჯორჯ ბუშის ვიზიტის წინა პერიოდში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში კვაზისარკასტული ტონით აღწერს აფხაზეთში ვიზიტის დროს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროს მრჩეველ სტივენ მანსა

და საქართველოში აშშ-ის ელჩ რიჩარდ მაილსზე ხაჯიმბასა და ბაღაფშის მიერ მიხედნილ შთაბეჭდილებას. ჟურნალისტი ფსევდოსატირული ხერხებითა და მოუქნელი მეტაფორებით მოგვითხრობს, რა საინტერესოა „იმის ახლოდან ნახვა, თუ როგორ გრძნობს თავს განწირული იდეის მქონე სუბიექტი მის გარშემო აღმართულ პოლიტიკურ გალიაში“, როგორ შეეცადნენ აშშ-ის მაღალი ჩინოვნიკები ამ გალიის გახსნას და როგორ შეუღრინა მათ ხაჯიმბამ (ზაზა ფაჩუაშვილი, „ამერიკული თვალი აფხაზეთში“, N89). საინტერესოა, როგორ აღიქვამდნენ სტივენ მანი და რიჩარდ მაილსი მათი ვიზიტის ასეთ აღწერას. სხვა პუბლიკაციის შესავალში კი რუსეთის ხელისუფლების საამებლად სეპარატისტების მიერ მომზადებულ სპეციფიკურ განცხადებას ჟურნალისტი „უხეირო ძაღლის მოსაზიდად დაწყებულ წრუ-პუნს“ ადარებს (ზაზა ფაჩუაშვილი, „ანექსიის პირას“ N143). აგრესიული ხდება ჟურნალისტი-კომუნიკატორის შეტყობინების შინაარსიც: ალექსანდრე ანქვაბის ინტერვიუსადმი დართულ შესავალში ჟურნალისტი მკითხველს ამცნობს, რომ თუ აფხაზები არ მიიღებენ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შეთავაზებულ ფართო ავტონომიას, „მაშინ საქართველოს ხელისუფლებისგან, როგორც სააკაშვილი აცხადებს, სამშვიდობო ინციდენტების უფრო აგრესიული ნაბიჯებს უნდა ველოდოთ, რაც შედეგს აუცილებლად გამოიღებს (სხვაგვარად მსოფლიო წესრიგი უნდა დაირღვეს)“ (ზაზა ფაჩუაშვილი, „დამოუკიდებლობა დამოუკიდებლობის გარეშე“ N100). საინტერესოა, რომ გაზეთ „24 საათის“ პროექტში აქტანტ-კომუნიკატორთა უმრავლესობა არ ავლენს აგრესიას და სარკასტულ დამოკიდებულებას აფხაზური მხარის მიმართ, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, შერიგების, ურთიერთპატიებისა და ურთიერთგაგების მომხრეა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა კი სრულიად კორექტულია ენობრივ და ლექსიკურ დონეზე.

განსხვავებულია გაზეთ „ახალი 7 დღის“ ჟურნალისტ-კომუნიკატორთა ენა და კომუნიკაციის სტილი. ამ მედიასაშუალებაში ჟურნალისტი დამოუკიდებელი კომუნიკატორია, რომელიც გამოთქვამს საკუთარ პოზიციას ნებისმიერ პოლიტიკურ მომენტში. ჟურნალისტი კორექტულია კონფლიქტის აფხაზური მხარის მიმართ. მისი ემოციურად შეფერილი ენა და შეტყობინების დრამატული ჟღერადობა გამორიცხავს სარკასტულ ტონალობას,

თუმცა უნდა ითქვას, რომ გაზეთი „ახალი 7 დღე“ „24 საათზე“ უფრო ხშირად უთმობს თავის გვერდებს იმ აქტანტ-კომუნიკატორებს, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ძალისმიერი გადანწყვეტის მომხრენი არიან და პირდაპირ თუ ირიბად გამოთქვამენ აზრს, რომ აუცილებელია აფხაზური მხარის იძულება, აფხაზეთში მშვიდობის ძალისმიერი გზით დამყარება. ამიტომ ყურნალისტ-კომუნიკატორის მიერ კონფლიქტის გადანწყვეტის მშვიდობიანი გზის დეკლარირება რამდენადმე ენინაალმდეგება გამოცემის მიერ აქტანტ-კომუნიკატორთა შერჩევის პრინციპს.

კომუნიკატორი და კომუნიკაციის მიზანი

კვლევის მიზანს ასევე შეადგენდა იმის დადგენა, რა იყო კონკრეტული კომუნიკატორის მიზანი: რეციპიენტის, ანუ მკითხველის, ინფორმირება, საკუთარი პოზიციის გამოხატვა, პიროვნების ან ჯგუფის თვითრეპრეზენტაცია თუ მკითხველის დარწმუნება. კვლევამ დაადგინა, რომ არსებობს უშუალო კავშირი კომუნიკატორის ტიპსა და კომუნიკაციის მიზანს შორის.

ფუნქციონერ და სახელმწიფო-ინსტიტუციურ იერარქიას დაქვემდებარებულ კომუნიკატორთა შეტყობინებების უმთავრესი მიზანი, სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, პიროვნული ან ინსტიტუციური თვითრეპრეზენტაცია უფროა, ვიდრე მკითხველის ინფორმირება ან მისი ამა თუ იმ პოზიციაში დარწმუნება ან განმტკიცება. კომუნიკატორის ზოგად განაზრებებს, სქემატიზებულ, არაკონკრეტულ და არასაგნობრივ მსჯელობას (მაგალითად, დიალოგი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილის, გია ჩიქოვანის, მონაწილეობით, „თანაცხოვრებას ალტერნატივა არ გააჩნია“ N65; ინტერვიუ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან, დალილა ხორავასთან, „გულით ვამბობ, ომი არ შეიძლება!“ N20) რეალურად არ გააჩნია მკითხველზე ზემოქმედების მოხდენის არავითარი მექანიზმი, ინფორმაციული თვალსაზრისით კი ასეთი შეტყობინებები უკიდურესად მწირია.

არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელთა შეტყობინებები ემსახურება მკითხველის ინფორმირებას, მათთვის ისეთი ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, რომელთა საფუძველზეც რეციპიენტს შეეძლება

შექმნილი ვითარების რეალისტური აღქმა, მასში ორიენტირება და დასკვნების გამოტანა. იმავე მიზანს ისახავს საზოგადოების წარმომადგენლების, ექსპერტების, სახელმწიფო ინსტიტუციური იერარქიისგან თავისუფალი პოლიტიკოსების, მეცნიერების კომუნიკაციური შეტყობინებები. თუმცა, რიგ შემთხვევაში ამ ტიპის კომუნიკატორთა ჩართულობა კონიუნქტურულ პოლიტიკურ კამპანიაში, გავლენას ახდენს მათ კომუნიკაციურ მიზნებზე. მთავარ მიზნად იქცევა მკითხველზე გავლენის მოხდენა და დაკვეთილი პოზიციის ინდოქტრინაცია. ასეთი შეტყობინებები გამოირჩევიან არაარგუმენტირებული, მაგრამ მკაფიო განცხადებებით, დაუსაბუთებელი მტკიცებებით, უსაფუძვლო დაშვებებით (თორნიკე ბერიშვილი, „აფხაზებმა უნდა იცოდნენ, საქართველოსთან ურთიერთობა საშიში აღარაა“, 18).

კომუნიკატორი და პერიგების ენა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომუნიკაციის ენა და საკომუნიკაციო შეტყობინების თავისებურება განპირობებულია კომუნიკაციის ამა თუ იმ ტიპისადმი კუთვნილებით. კომუნიკატორთა ენა ერთმანეთისგან განსხვავდება ემოციური შეფერილობით, ხარისხით, დინამიკით და ექსპრესიით, ლოგიკური დასაბუთებულობის ხარისხით, ლექსიკით. მიუხედავად ამ განსხვავებულობისა, ჩვენს მიერ გამოკვლეულ პროექტებში კომუნიკატორთა 97%-ის საკომუნიკაციო ენას ახასიათებს ერთი საერთო თვისება: კონფლიქტის მეორე მხარესთან მათი კომუნიკაციის ენა არის შერიგების, ძმობის, სიყვარულის ენა, დაცლილი ყოველგვარი აგრესიისგან. თავად ის კომუნიკატორები, რომლებიც უკიდურეს შემთხვევაში კონფლიქტის ძალისმიერი, იძულების გზით გადაჭრისკენ იხრებიან, ენობრივ დონეზე რჩებიან შერიგების ენის ჩარჩოებში, არც ლექსიკურ, არც ემოციურ დონეზე არ გამოთქვამენ აგრესიას აფხაზი ხალხის და აფხაზი საზოგადოების მიმართ. მათი ძალისმიერი არჩევანი გამოიხატება კონკრეტული ნაბიჯებისადმი (მაგალითად, გაეროს მე-7 მუხლის ამოქმედება, ჰააგის სასამართლო, პარტიზანების მხარდაჭერა) მონოდებაში, რომელიც, თავისთავად, სრულიად არააგრესიული, ნეიტრალური სტილითა და ლექსიკით არის გამოცემული. ენობრივ დონეზე აგრესიის ნიშნები აფხაზეთის დე-

ფაქტო ხელისუფლებისადმი (მხოლოდ ხელისუფლებისადმი და არა აფხაზი საზოგადოებისადმი), სეპარტისტების უარყოფით კონტექსტში მოხსენიება, მათ მიმართ სარკასტული ტონი მძაფრდება და ხშირდება მაშინ, როცა კომუნიკატორთა გარკვეული ნაწილი და თავად მედიასაშუალება ერთვება ხელისუფლების მიერ წამოწყებულ პოლიტიკურ კამპანიაში. ასეთ კამპანიებში მეტწილად ერთვებიან კომუნიკატორი-ფუნქციონერები და კომუნიკატორი-ჟურნალისტები. ეს ტენდენცია ნათლად არის გაზრე „24 საათის“ პროექტში, თუმცა კოდორის მოვლენებთან დაკავშირებულ კამპანიაში გარკვეულწილად გაზრე „ახალი 7 დღის“ ჟურნალისტებიც ერთვებიან.

კომუნიკატორი და მისი მონოღება

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ არ არსებობს კავშირი კომუნიკატორის ტიპებსა და მათი შეტყობინების ძირითად მონოღებას შორის. კომუნიკატორთა 73%-ის შეტყობინებების ძირითადი მონოღებაა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, ომსა და ძალადობაზე უარის თქმა. მხოლოდ კომუნიკატორთა 17% მიიჩნევს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის ეფექტურ გზად, მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმატებულობის შემთხვევაში, აფხაზური მხარის სხვადასხვა საშუალებებით იძულებას. იძულების მომხრე კომუნიკატორთა დიდი ნაწილი იძულების საშუალებად განიხილავს რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლებას საერთაშორისო საპოლიციო ძალებით, მშვიდობის დამყარებას გაეროს წესდების მე-7 მუხლი ამოქმედებით, ეკონომიკურ ბლოკადას, ჰააგის სასამართლოსადმი მიმართვას აფხაზების მიერ ქართველთა წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდისა და ეთნონმენდის გამოძიების მოთხოვნით. მათი მხოლოდ მცირედი ნაწილი საუბრობს აფხაზეთში ქართველ პარტიზანთა მოძრაობის გაშლის და მისი მხარდამჭერის აუცილებლობაზე, ასევე ქართული ჯარის გაძლიერებაზე (ანუ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე).

აღსანიშნავია, რომ იმ კომუნიკატორთა უდიდესი ნაწილი, რომლებიც გამორიცხავენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის აფხაზეთა იძულების გზით მოგვარებას, არ აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლების აგრესიულ ტონს და შეფარულ მუქარას

აფხაზური მხარის მიმართ, მილიტარისტული სულისკვეთების განცხადებებს და პიარაქციებს. მხოლოდ ერთეული კომუნიკატორები უპირისპირდებიან პრეზიდენტ სააკაშვილის ორაზროვან რიტორიკას და არათანმიმდევრულ პოლიტიკას.

კომუნიკატორი და კონფლიქტის დინამიკის შეფასება

კვლევამ აჩვენა, რომ ასევე არ არსებობს კავშირი კომუნიკატორთა ამა თუ იმ ტიპისადმი კუთვნილებასა და კონფლიქტის გადანყვევების დინამიკის შეფასებას შორის. კომუნიკატორთა უმეტესი ნაწილი – 80%-ზე მეტი – ვერ ხედავს დადებით დინამიკას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში. საინტერესოა, რომ მიუხედავად ამისა, იგივე კომუნიკატორთა ასევე დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ქართველებისა და აფხაზების შერიგება, ნდობის აღდგენა და მომავალში მათი ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრება გარდაუვალია.

მშვიდობის ჟურნალისტიკა VS ომისა და ქალაქობის ჟურნალისტიკა

გაზეთების: „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტებისადმი მიძღვნილი პროექტები ორი ერთმანეთისგან განსხვავებული კომუნიკაციური სივრცისა და ველისაგან შედგებიან. ერთის მხრივ, პროექტებში გაშუქებულია ქართული მხარის მიერ კონფლიქტის ხედვა, მისი მიზეზებისა და შედეგების, შექმნილი ვითარების ანალიზი, კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიება. მეორეს მხრივ, ჩვენს მიერ განხილულ პროექტებში წარმოდგენილია აფხაზური მხარის პოზიცია, მის მიერ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმდინარე ეტაპის ანალიზი და კონფლიქტთა მხარეების მომავალი ურთიერთობების ხედვა. აფხაზური მხარე ორივე პროექტში მონაწილეობს არა უშუალოდ, არა როგორც კომუნიკატორი, რომელსაც სურს, მიმართოს კონფლიქტის მეორე მხარეს და აქვს სათქმელი ქართული საზოგადოებისთვის, არამედ როგორც მისკენ ზურგით შებრუნებული კოლექტიური კომუნიკატორი, რომლის ხმაც ქართულ საზოგადოებამდე მხოლოდ რუსული ან აფხაზური საინფორმაციო საშუალებების გავლით აღწევს. პროექტებში გამოქვეყნებული თითქმის ყველა პუბლიკაცია, რომელშიც კომუნიკატორად კონფლიქტის აფხაზური მხარის წარმომადგენლები გვევლინებიან, გადმობეჭდილი რუსული ან აფხაზური საინფორმაციო საშუალებებიდან. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ორი პუბლიკაცია, რომელშიც საქართველოს ახალი ხელისუფლების ორმხრივი და აგრესიული განცხადებებით შემოფოთებული აფხაზი საზოგადოების წარმომადგენლები მიმართავენ ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს, შეაჩერონ კონფრონტაციის ახალი ტალღა. აფხაზური მხარე მოითხოვს, გაიმართოს ტელეხიდი სოხუმი-თბილისი, რათა მოხდეს შექმნილ ვითარებაზე მსჯელობა და განიმუხტოს სიტუაცია. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა აფხაზური მხარის კოლექტიური კომუნიკატორი მზად არის, იცვალოს პოზა და ჩაებას სიმეტრიული კომუნიკაციის პროცესში, ყოველგვარი შუალედური საკომუნიკაციო სივრცის გარეშე დაელაპარაკოს ქართულ მხარეს.

შესწავლილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ აფხაზური საკომუნიკაციო სივრცე იმ ვექტორით არის მართული, რომელიც არასდროს გადაკვეთს ქართულ საკომუნიკაციო სივრცეს.

გარდა ამისა, აფხაზური მხარის ის წარმომადგენლები, რომლებიც ამ ასიმეტრიულ სივრცეში კომუნიკატორებად გვევლინებიან, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები არიან. რიგითი აფხაზების, აფხაზური საზოგადოების ხმაგანდევნილია ქართულ-აფხაზური კომუნიკაციის სივრციდან. ამ ვითარებას ვერ ცვლის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის „შერიგების რესურსების“, ძალისხმევით გამართული პირდაპირი დიალოგი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ლონდონში, სტამბოლსა და მოსკოვში ორგანიზებული შეხვედრები ქართველ და აფხაზ ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებსა თუ ყოფილ მებრძოლებს შორის ქართული საკომუნიკაციო სივრცეს უზრუნდება შეტყობინებად, რომელშიც ისევე ქართული მხარე (უფრო იშვიათად მესამე მხარე – საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები) იუწყება შემდგარი დიალოგის შესახებ. საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კი არის მწირი, ზედაპირული და არაარსებითი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისთვის. მთელ რიგ შემთხვევებში საზღვარგარეთ გამართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრებზე წარმართული დიალოგის შინაარსი უცნობი რჩება ქართული საზოგადოებისთვის, რადგან შეხვედრის ფორმატი ითვალისწინებს დიალოგი შინაარსის კონფედენციალურობას.

გაზეთების: „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი მიძღვნილი პროექტები სრულად აკმაყოფილებენ „მშვიდობის ჟურნალისტიკის“ საერთაშორისო მედიაპრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებულ კრიტერიუმებს (კრიტერიუმები შემუშავებულია 1998 წელს იოჰან გალთუნგის მიერ).

მშვიდობაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის პირველ ნიშნად გალთუნგი ასახელებს კონფლიქტის გენეზისის, მისი აღმოცენების მიზეზების, მასში მონაწილე მხარეების მიზნებისა და მამოძრავებელი მოტივაციების კვლევას. იგი ასევე აღნიშნავს, რომ მშვიდობაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა განიხილავს არა წაგება-მოგების, არამედ მოგება-მოგების მოდელის შესაძლებლობას.

ჩვენს მიერ განხილულ პროექტებში დიდი ადგილი ეთმობა სწორედ კონფლიქტის გენეზისისა და მიზეზების მრავალმხრივ

კვლევას. აქტანტ-კომუნიკატორთა უმრავლესობა ცდილობს, გააანალიზოს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, მისი ისტორიული ასპექტი (აფხაზთა გადასახლება, მათი შევიწროვება XX საუკუნის დასაწყისში), პოლიტიკური გენეზისი (როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში), მისი ადამიანური მხარე. პროექტების პუბლიკაციებში გამოკვლეულია კონფლიქტის მხარეთა მიზნები და თანაარსებობისა და კონფლიქტის გადაჭრის ის შესაძლო მოდელები, რომლებიც გამორიცხავენ მოგება-ნაგების კონფიგურაციას და განიხილავენ მოგება-მოგების შესაძლებლობას. მრავალი პუბლიკაცია ეძღვნება ქართული მხარის მიერ აფხაზებისთვის შეთავაზებული და შესათავაზებელი წინადადების განხილვას. ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც ქართული საკომუნიკაციო სივრცის ნაწილია, ანუ ქართულ მხარეს წარმოადგენს, იქნება ეს ჟურნალისტი, რიგითი დევნილი თუ მაღალი თანამდებობის პირი, თავისი შეტყობინების ფორმით და შინაარსით აკმაყოფილებს „მშვიდობის ჟურნალისტიკის“ ამ კრიტერიუმს.

ჟურნალისტურ დისკურსში დროს დიდი მონაკვეთისა და ვრცელი გეოგრაფიული სივრცის, კულტურული და ისტორიული შრეების ჩართვას გალთუნგი ასევე მიიჩნევს „მშვიდობის ჟურნალისტიკის“ ნიშნად. გაზეთების „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ პროექტები ამ მხრივაც „მშვიდობის ჟურნალისტიკის“ ნიმუშებად გვევლინება. მათში მოქმედების ადგილად სრულიად ევრაზიული სივრცე განიხილება. კავკასია, რუსეთი, დასავლეთი, უახლოესი მუსლიმანური გარემოცვა, მსოფლიო წესრიგი და მსოფლიოს გადანაწილება – ყველა ეს სივრცე და ასპექტი ჩართულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დისკურსში. ქართული სახელმწიფოს, ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების ისტორიული წარსული ისევე ინტენსიურად არის ჩართული ამ დისკურსში. ქართველებისა და აფხაზები საერთო კულტურულ-რელიგიური და ისტორიული ფესვებს კი არაერთი ვრცელი პუბლიკაცია ეძღვნება.

გალთუნგის კლასიფიკაციით, „მშვიდობის ჟურნალისტიკა“ არის ჟურნალისტიკა, რომელიც ფარდას ხდის კონფლიქტის ყველაზე დაფარულ ასპექტებს, ააშკარავებს ორივე მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს, ფარულ გარიგებებს, ტყუილს. „მშვიდობის ჟურნალისტიკა“ წარმოაჩენს ორივე მხარის ხედვას, უთმობს ტრიბუნას ორივე დაპირისპირებულ მხარეს და ცდილობს, გაიგოს მოწინააღმდეგის პოზიცია. გაზეთ „24 საათისა“ და

„ახალი 7 დღის“ პროექტებში შესაშური სიზუსტით და სკრუპულოზურობით არის გამოკვეთილი და ასევე შესაშური სიმკაცრით გამომზეურებული კონფლიქტის ქართული მხარის მიერ ჩადენილი დანაშაული, ომის წამომწყებად მიჩნეული პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, ფარული მოტივები, დაშვებული შეცდომები თუ კონკრეტულ შედეგზე გათვლილი მიზანმიმართული „მავნებლობა“. თითქმის ყოველი მეორე აქტანტი კომუნიკატორი მოუწოდებს ქართულ სახელმწიფოსა და ქართულ საზოგადოებას, ბოდიში მოუხადოს აფხაზურ მხარეს ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაულის, დაშვებული შეცდომების, იმ ტკივილის გამო, რომელიც აფხაზეთში წამოწყებული ომით მიაყენა მას.

რაოდენ გასაკვირი და არალოგიკურიც უნდა იყოს, ქართული მედიასაშუალებები ნაკლები ინტერესით და სიმკაცრით უდგებიან აფხაზური მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებებსა და დაშვებულ შეცდომებს. რა თქმა უნდა, ამ პროექტების ფარგლებში გაანალიზებული და დასურათებულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაღვივებასა და მის დრამატულ განვითარებაში აფხაზური მხარის მონაწილეობაც, მაგრამ ეს ხაზი არ არის წარმოდგენილი ისეთი ინტენსივობითა და სიმძაფრით, როგორითაც კონფლიქტის შიდაქართული შენაკადი. არძინბა უმეტეს შემთხვევაში ისეთივე დამნაშავედ მიიჩნევა, როგორადაც შევარდნაძე. შევარდნაძის ხელისუფლების ჩინოვნიკები კი კონფლიქტის მოგვარების ისეთივე ხელისშემშლელებად, როგორადაც არძინბას ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს არ არის ქართული საკომუნიკაციო სივრცის ცალკეული აქტანტის ორიგინალური პოზიცია. ეს არის აზრი, რომელიც ორივე პროექტის არაერთ პუბლიკაციაში ამოიკითხება.

ამგვარად, „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ მედიაპროექტები „მშვიდობის ჟურნალისტიკის“ ამ კრიტიკერიუმებსაც აკმაყოფილებენ, მეტიც, აშუქებენ აფხაზური მხარის პოზიციასაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არავითარ სურვილს არ გამოთქვამს, მონაწილეობა მიიღოს ქართულ მედიურ დისკურსში და უარი თქვას ქართულ მხარესთან მიმართებაში მის მიერ დამკვიდრებულ ასიმეტრიულ კომუნიკაციაზე.

„მშვიდობის ჟურნალისტიკის“ კიდევ ერთი კრიტიკერიუმი შექმნილი კონფლიქტური ვითარების პრობლემად აღქმა და მისი გადაჭრის გზების, შერიგების საფუძვლის, შერიგების რესურ-

სების ძიება. ორივე მედიაპროექტი თანაბრად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს. კონფლიქტის გარაჭრის გზების, შერიგების საფუძვლის, შერიგების რესურსების ძიება ამ პროექტების პირველი რიგის ამოცანაა, რომელსაც ექვემდებარება როგორც კომუნიკატორების შერჩევის პრინციპი, ასევე პუბლიკაციების თემატური სპექტრი. ქართულ საკომუნიკაციო სივრცეში შერიგების რესურსად განიხილება ქართველების და აფხაზების საერთო ისტორიული წარსული, ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების იდენტიფიკაცია, მეგობრული, ნათესაური კავშირები, აფხაზეთში დარჩენილი ქართული საფლავები, ომით მიყენებული საერთო ტკივილი, საერთო ტრაგედია. ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება საქართველოში თუ თვითალიარებულ აფხაზეთში განიხილება, როგორც კონფლიქტის გადაჭრის დადებითი დინამიკის მომასწავებელი. მედიაპროექტებში ასახულია ქართული საზოგადოებრივი სისტემების შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრა ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველა სისტემისთვის, ყველა ინსტიტუციისთვის, ყველა აქტანტისთვის.

და ბოლოს, „მშვიდობის ჟურნალისტიკა“ წარმოუდგენელია ორივე მხარის მიერ განცდილის გადმოცემის, მასზე რეფლექსიის გარეშე. მედიასაშუალებებისათვის, რომლებიც კონფლიქტის რომელიმე მხარეს წარმოადგენენ, ყველაზე რთული ამ კრიტერიუმის შესრულებაა. თუმცა „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ პროექტები გარკვეულწილად ამ კრიტერიუმსაც აკმაყოფილებენ, რაზეც მეტყველებს პუბლიკაციები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დაღუპული ქართველი და აფხაზი მეომრების დედების ურთიერთობებზე; „კავკასიური სახლის“ მიერ გადაღებულ ფილმზე, რომელიც სწორედ აფხაზების მიერ ქართულ-აფხაზურ ომში განცდილსა და გადატანაზე მოუთხრობს მაყურებელს; „ცხოვრებისეული ისტორიები“, რომლებშიც ქართველი ავტორები საუბრობენ ქართველებისა და აფხაზების საერთო უბედურებაზე და გამოთქვამენ იმ სინანულს მომხდარის გამო, რომელიც მუდამ ისმის ქართულ მედიასივრცეში.

კომუნიკატორები, რომლებიც კონფლიქტის აფხაზურ მხარეს წარმოადგენენ, ქართულ მედიასივრცეში, შეიძლება ითქვას, საკუთარი ნების გარეშე არიან ჩართულები. მათი შეტყობინებები ქართულ მედიაში გადმოტანილია აფხაზური ან რუსული საინ-

ფორმაციო საშუალებებიდან, რადგან აფხაზური მხარე უარს ამბობს ქართულ მედიასივრცეზე, ანუ კომუნიკაციაზე ქართულ მხარესთან.

ქართული მედიასაშუალებების მიერ გადმობეჭდილ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, შესაძლებელია აფხაზური მედიური საკომუნიკაციო სივრცის მოდელირება და მისი ანალიზი გალთუნგის კრიტერიუმებით. მასალის შესწავლა და ანალიზი ცხადყოფს, რომ აფხაზური საკომუნიკაციო სივრცე და მასში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ვერ აკმაყოფილებენ „მშვიდობის ჟურნალისტიკის“ ვერც ერთ კრიტერიუმს.

აფხაზური კომუნიკატორების შეტყობინებაში არ არის კონფლიქტის გენეზისის გააზრების მცდელობის, კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიზნებისა და მამოძრავებელი მოტივების კვლევა. კომუნიკატორები შემოიფარგლებიან მხოლოდ „დამნაშავის“ დასახელებით და მისი აგრესიული მიზნების პრიმიტიულ-პლაკატური წარმოდგენით, ხაზს უსვამენ აფხაზური მხარის გამარჯვებას და ხელს უწყობენ კონფლიქტის მხარეების ინტერესთა პოლარიზებას. კომუნიკატორები არ განიხილავენ მოგება-მოგების მოდელს. მათთვის მისაღებია მხოლოდ ის მდგომარეობა, რომელშიც სრულად იქნება უგულვებლყოფილი ქართული სახელმწიფოსა და დევნილი ქართველი მოსახლეობის ინტერესები – ანუ მოგება-წაგების მოდელი.

აფხაზური საკომუნიკაციო სივრცე შეზღუდულ სივრცესა და დროს მოიცავს. კომუნიკატორის ინტერესის საგანია მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორია და მხოლოდ დროის მოცემული მონაკვეთი. კომუნიკატორები აცხადებენ, რომ მათ არ აინტერესებთ, რა ხდება საქართველოში. არც გლობალური გეოპოლიტიკური სივრცე წარმოადგენს მათი ინტერესის საგანს. ისინი არ საუბრობენ წარსულზე. მისი გააზრება არ წარმოადგენს აფხაზური საკომუნიკაციო სივრცის თემატურ შემადგენელ ნაწილს. ერთადერთი საკითხი, რომელიც აფხაზურ საკომუნიკაციო სივრცეში წარსულიდან აინტერესებთ, არის ის, ვინ დაიწყო ომი და ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი კონფლიქტისკენ. გალთუნგის კლასიფიკაციით, ეს ომისა და ძალადობის ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

აფხაზურ მედიასივრცეში კომუნიკატორები არასდროს საუბრობენ აფხაზი მხარის დანაშაულებებზე ან, თუნდაც, მის

შეცდომებზე. მათი თვალთახედვით, დამნაშავე მხოლოდ ქართული მხარეა, დამნაშავეები მხოლოდ ქართველები არიან, რაც, გალთუნგის თანახმად, ასევე ცხადყოფს, რომ აფხაზური საკომუნიკაციო სივრცე ორიენტირებულია „ომისა და ძალადობის“ ჟურნალისტიკაზე. ქართული საკომუნიკაციო სივრცისგან განსხვავებით, აფხაზურ საკომუნიკაციო სივრცეში არ ისმის სინანულის ხმა. მეტიც, „აფხაზურ ისტორიებში“, სადაც კომუნიკატორებად რიგითი აფხაზები გვევლინებიან და არა სეპარატისტი ლიდერები, არავენ ლაპარაკობს ქართულ მხარეზე, ქართველებსა და საქართველოზე. აფხაზი კომუნიკატორებისთვის დროისა და სივრციდან ამოღებული ის მონაკვეთი, როცა და სადაც ისინი ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ; არც ქართველებთან ომსა და კონფლიქტზეა თქმული რამე აფხაზურ ისტორიებში, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ, უმნიშვნელო ეპიზოდებს, სადაც გაკვერით არის ნახსენები, მაგალითად, „ქართველი მეზობელი“ ან „მეგრელები“. ხოლო იმ ერთადერთ „ისტორიაში“ სადაც ომის ეპიზოდზეა მოთხრობილი (აფხაზური ისტორია, „თავისუფლების სიხარული“ N138), ტექსტში არ არის სიტყვა „ქართული“. აფხაზური ვერტმფრენის ჩამოვარდნის, ქართველების მიერ აფხაზების ტყვედ აყვანის და ტყვეთა გაცვლის ამბავი ისეა ნაამბობი, რომ კონფლიქტის მეორე მხარე არ არის იდენტიფიცირებული, როგორც „ქართული“ და „ქართველები“, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქართული“ და „საქართველო“ ამოკვეთილია აფხაზთა ლექსიკური სივრციდანაც.

კონფლიქტურ ვითარებას კი აფხაზური მხარის კომუნიკატორები მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქვამენ პრობლემად, თუ საქართველოში განვითარებული მოვლენები მათ აძლევთ შიშის საფუძველს, რომ ქართული მხარე მოინდომებს აფხაზეთში თავისი უფლებების აღდგენას. სხვა შემთხვევაში აფხაზი კომუნიკატორები არ საუბრობენ კონფლიქტის გადაჭრის აუცილებლობაზე, არც შერიგების საფუძველსა და რესურსებზე, არც ქართული მხარის, აფხაზეთის ქართველების მიერ გადატანილ უბედურებაზე.

ამგვარად, აფხაზური საკომუნიკაციო სივრცე აკმაყოფილებს „ომისა და ძალადობის ჟურნალისტიკის“ ყველა უმთავრეს კრიტერიუმებს.

შეუსნავლელი კონფლიქტი და ხანგრძლივად გაგრძელდა კითხვა

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტიპობრივი იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული მსჯელობისა და დისკურსისთვის. კონფლიქტის ტიპის დადგენა მნიშვნელოვანია მისი განვითარების პროგნოზირების და გადაჭრის გზების ძიებისთვის.

კონფლიქტების კლასიფიცირებას კონფლიქტების თანამედროვე თეორიები შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე ახდენენ:

1. კონფლიქტის ხანგრძლივობა. ხანგრძლივი კონფლიქტების თანამედროვე სოციალური მეცნიერება აღარ უწოდებს გაყინულს – ხანგრძლივი კონფლიქტები განიხილება „პათოლოგიურ“ (მათიას კეპლანგერი, 1989) კონფლიქტებად. პათოლოგიის მიზეზების კვლევა და მისი დაძლევის გზები კი მხოლოდ მისი პათოლოგიურობის დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი.
2. კონფლიქტის განვითარების მიმართულება. ამ კრიტერიუმით განისაზღვრება, როგორია კონფლიქტის განვითარების ვექტორი. მოძრაობენ კონფლიქტის მხარეები ერთმანეთის თუ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით, ღრმავდება თუ მცირდება ურთიერთდაპირისპირება.
3. კონფლიქტში მონაწილე მხარეთა რაოდენობა. არსებობს მონადური (კონფლიქტი ერთი სუბიექტის შემადგენელ ნაწილებს შორის), დუადური (კონფლიქტი ორ სუბიექტს შორის); ტრიადული (კონფლიქტი სამ სუბიექტს შორის) და ა.შ. კონფლიქტები.
4. კონფლიქტის სიმეტრიულობა ან ასიმეტრიულობა. თუ კონფლიქტის მონაწილე მხარეები თანაბარი სტატუსის მატარებლები არიან (იგულისხმება სახელმწიფოებრივი, ინსტიტუციური, ორგანიზაციული ან ინდივიდუალური სტატუსი), კონფლიქტი სიმეტრიულია. სხვა შემთხვევაში კონფლიქტი ასიმეტრიულად ითვლება.
5. კონფლიქტის საგანი. კონფლიქტის საგანი შეიძლება იყოს კონკრეტული ღირებულებითი ნორმების (პოლიტიკური, ზნეობრივი, ეკონომიკური, ეთნიკური ან რელიგიური) დამკვიდრება, დაცვა ან უარყოფა ან კონკრეტული რესურსების განაწილება (მინა, სოციალური სიკეთეები და ა.შ.).

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომელიც უკვე ორი ათეული წელია, გრძელდება, არ არის შესწავლილი, კლასიფიცირებული და იდენტიფიცირებული ქართულ სოციალურ მეცნიერებებში და მთლიანად არის მოქცეული პოლიტიკური პრაქტიკის დაქვემდებარებაში, რომლის არათანმიმდევრულობა, წინააღმდეგობრიობა და ქაოტურობა კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის კონფლიქტის რეალურ კონტურებს და ართულებს მისი გადაჭრის რაციონალური და რეალისტური გზების ძიებას.

ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც თავისთავად დადგენილია და არ საჭიროებს დამატებით შესწავლას, ეს არის კონფლიქტის ხანგრძლივობა. რაც შეეხება სხვა კრიტერიუმებს: კონფლიქტის დინამიკას, მასში ჩართულ მხარეებს, სიმეტრიულობას-ასიმეტრიულობას და კონფლიქტის საგანს, მათზე არ არსებობს მკაფიო პასუხები, რომელთაც უნდა დაეყრდნოს პოლიტიკური პრაქტიკა კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებისას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კლასიფიცირება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მოითხოვს პასუხის გაცემას კონფლიქტის მოგვარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის შემდეგ კითხვებზე:

კონფლიქტის დინამიკა

როგორია კონფლიქტის დინამიკა? დავშორდით თუ დავეუახლოვდით აფხაზებს? რაში გამოიხატება დაშორება ან დაახლოება? შეუწყო თუ არა ხელი კონფლიქტის დადებით დინამიკას სახალხო დიპლომატიის და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევამ? რა ზეგავლენა მოახდინა ქართული სახელმწიფოს, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა პოლიტიკურმა კურსმა კონფლიქტის დინამიკაზე?

კონფლიქტის მონაწილე მხარეები

არის თუ არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი შიდასახელმწიფოებრივი (მონადური) ანუ ქართული სახელმწიფოს წიაღში, მის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი? ეთნიკური დაპირისპირების რა ნიშნებს ატარებს ეს კონფლიქტი? რამდენად წამგებიანი ან მომგებიანია ქართული სახელმწიფოსთვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ეთნიკური ნიშნების მატარებელ კონფლიქტად წარმოჩენა, აფხაზების მხარედ აღიარება და მათთან, როგორც მხარესთან პირდაპირი

დიალოგი? ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრიადულ (რუსეთის მხარედ გამოცხადება) კონფლიქტად აღიარების შემთხვევაში, რა დამატებითი სირთულეები შეიქმნება ან რა არსებული პრობლემები და წინააღმდეგობები გადაილახება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზაზე?

კონფლიქტის სიმეტრიულობა ან ასიმეტრიულობა

არის თუ არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ორ – ქართველ და აფხაზ – ხალხს შორის წარმოქმნილი დაპირისპირება? არის თუ არა ამ შემთხვევაში კონფლიქტი სიმეტრიული, ანუ განიხილებიან თუ არა ქართული სახელმწიფოს შემქმნელი ქართველები და შედარებით მცირერიცხოვანი, ერის ნიშნების მატარებელი ხალხი, აფხაზები კონფლიქტის თანაწონად მხარეებად? არის თუ არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაპირისპირება ცენტრსა და რეგიონს შორის, ანუ ასიმეტრიული კონფლიქტი? რუსეთის მხარედ გამოცხადების შემთხვევაში, როგორ კონფიგურაციას იღებს კონფლიქტი ორ სახელმწიფოს – რუსეთსა და საქართველოს – შორის? რომელ მხარეს და რა სტატუსით განეკუთვნებიან ამ შემთხვევაში კონფლიქტში მონაწილე აფხაზები?

კონფლიქტის საგანი

რის გამო წარმოიშვა კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის? რა იყო ის ღირებულებები, რომლებიც შელახა კონფლიქტის ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ? იყო თუ არა ასეთი ღირებულება საბჭოური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა და დემოკრატიის საბჭოური გაგება ან რუსული სახელმწიფოებრივი სივრცე, რომლის დატოვება არ სურდათ აფხაზებს? იქცა თუ არა დაპირისპირების მიზეზად ქართული სახელმწიფოს კულტი და ქართული ეროვნული ღირებულებები, რომლებიც დროშად ააფრიალა საქართველომ დამოუკიდებლობის ხელმოკრედ მოპოვების შემდეგ, რამაც დააფრთხო აფხაზები, რომელთაც მუდამ პრობლემურად ესახებოდათ ქართველებთან თანასწორუფლებიანი თანაცხოვრება? რა ღირებულებების შელახვა ვერ აპატიეს ქართველებმა აფხაზებს? რა რესურსები და სიკეთეები ვერ გაიყვეს ქართველებმა და აფხაზებმა? იყო თუ ეს პოლიტიკური ძალაუფლება, ფინანსური წყაროები, სოციალური კეთილდღეობა თუ უბრალოდ მიწა და სახლ-კარი?

ეს ის საკითხებია, რომლებზე გაცემული ზუსტი, კონკრეტული, მეცნიერულად არგუმენტირებული და პოლიტიკურ-სოციალური პრაქტიკით დადასტურებული პასუხები უნდა იქცეს საფუძვლად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიის განსაზღვრის და კონკრეტული გეგმის შემუშავებისთვის. ამიტომ კონფლიქტის ტიპის იდენტიფიცირებას ღრმად პრაქტიკული მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს.

მედიასისტემის ფუნქციაში არ შედის პასუხის გაცემა ასეთ კითხვებზე, მას შეუძლია მხოლოდ ასახოს სხვა საზოგადოებრივი სისტემების მიერ ამ კითხვების დასმის და მათზე პასუხების გაცემის პროცესი და მისი შედეგები. ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენდა იმის დადგენა, რამდენად სწორად და სრულად ასახა მედიასისტემამ ეს პროცესი. ჩვენი მიზანი იყო ასახულის შესწავლა.

გაზეთების „24 საათისა და „ახალი 7 დღის“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი მიძღვნილი მედიაპროექტების კვლევამ აჩვენა, რომ კონფლიქტის სიღრმისეული ანალიზი და მისი ტიპობრივი იდენტიფიცირება არ წარმოადგენდა კონფლიქტის ყოველმხრივ შესწავლაზე პასუხისმგებელი პოლიტიკური და მეცნიერული სისტემების დისკურსის ნაწილს. აქტანტი-კომუნიკატორები (ცალკეული გამონაკლისის გარდა) განიხილავენ კონფლიქტს არა სისტემურად, სიღრმისეულად, არამედ ფრაგმენტულად და ზედაპირულად. იმ მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომლებიც გაზეთ „24 საათში“ კომუნიკატორებად გვევლინებიან, ჩართულნი არიან პოლიტიკური სისტემის მიერ ინიცირებულ მედიურ კამპანიაში და ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების რეპრეზენტაციით გადიან როგორც მედიური, ასევე საკუთრივ მეცნიერული დისკურსისგან.

სახელმწიფო-ინსტიტუციურ იერარქიას დაქვემდებარებული პოლიტიკური კომუნიკატორების უმრავლესობა კი საკუთარ შეტყობინებაში მხოლოდ ახმოვანებს და ამართლებს პოლიტიკური ელიტის ინტენციებს. ამიტომ მათ შეტყობინებებში ნაკლებად უნდა ველოდოთ პასუხებს არაკონიუნქტურულ კითხვებზე. ექსპერტი-კომუნიკატორები კი აქცენტს ძირითადად – ასევე ცალკეული გამონაკლისის გარდა – მიმდინარე პროცესების ანალიზზე აკეთებენ, რასაც მათ უკვეთავს და მათგან მოითხოვს მედიური დისკურსის ჩარჩოები.

გარდა ამისა, სხვადასხვა ტიპის კომუნიკატორთა ნაწილს უბრალოდ არ ყოფნის კომპეტენცია კონფლიქტის ტიპობრივი თავისებურებების გასაანალიზებლად და შემდგომი დასკვნების გა-

მოსატანად, რაც არც ისე მარტივია, იგი საგნობრივ ცოდნასა და მეცნიერულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ეს მეცნიერების, როგორც სოციალური სისტემის, ფუნქციაა, რომელიც მან, თუ მედიაპროექტების მასალებზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, არ შეასრულა.

მგვარად, შეუსწავლელი რჩება კონფლიქტის ტიპობრივი იდენტიფიცირების პროცესში შესასწავლი არაერთი საკითხი და პასუხგაუცემელი იმავე პროცესში წამოჭრილი არაერთი კითხვა, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს ქართულ-აფხაზური მშვიდობისა და თანხმობის პერსპექტივაზე. სწორედ ეს ტენდენცია აისახა ჩვენს მიერ შესწავლილ პროექტებში.

შერიგების საფუძვლები.

ქართულელები და აფხაზები ერთმანეთის თვალში

კონფლიქტის მედიური ასახვა, კონფლიქტის უახლესი თეორიების თანახმად, პუბლიცისტური კონფლიქტის დისკურსს წარმოშობს. ანუ ჩვენს მიერ შესწავლილი მედიაპროექტები, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაშუქებას ეძღვნება, სწორედ პუბლიცისტური კონფლიქტის ნიმუშებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში მონაწილე კონფლიქტის მხარეები პუბლიკის (ამ შემთხვევაში მკითხველის) თვალწინ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა არხების გამოყენებით ერთმანეთს უპირისპირდებიან საკუთარი შეტყობინებებით კონფლიქტის საგნის შესახებ (მათიას კეპლინგერი, 1989). ამ განმარტების თანახმად გაზეთების „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ პროექტები არ არის პუბლიცისტური კონფლიქტის კლასიკური ნიმუშები, რადგან მათში მხარეების არ უპირისპირდებიან ერთმანეთს ამ საკითხის პირდაპირი გაგებით.

რეალური კონფლიქტი – ომი და ძალადობა – გარკვეულწილად, წარსულში დარჩა. ჩვენს მიერ შესწავლილ მასალებში აფხაზური მხარე არ საუბრობს წარსულზე, არ იხსენებს ომსა და ძალადობას, ქართული მხარე კი წარსულის მოვლენების გახსენებისას თითქმის ყოველთვის არბილებს აფხაზური მხარის დანაშაულს. მაგალითად, ქართველების მიმართ გალში ჩატარებული ეთნიკური წმენდისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში (რაფაელ გელანტია, კახაბერ თორია, „პირველი წმენდა“, „24 საათი“, N36) კომუნიკატორი ტრაგიკული მოვლენების აღწერამდე წერს, რომ აფხაზეთში შერიგება მოხდება, რომ სხვა ალტერნატივა ქართველებს, აფხაზებსა და აფხაზეთში მცხოვრებ

სხვა ხალხებს არ აქვთ. აფხაზეთის მიერ ქართველების სასტიკი წამების ფაქტების ჩამოთვლის შემდეგ კი ამბობს, რომ აფხაზები მომხდართ არ ამაცობენ და სინანულს განიცდიან ჩადენილის გამო. ერთეული გამონაკლისის გარდა, ქართული მხარის შეტყობინებებში კონფლიქტი წარსულის კუთვნილებად არის გამოცხადებული, მისი დავინყების, ანუ ანმყოში არარსებობის, საფუძვლად კი – სინანული, ბოდიში და შერიგების მოლოდინი, რომელიც სასურველი რეალობის კონსტრუირების პრინციპით აფხაზებსაც მიენერებათ, თუმცა თავად აფხაზი კომუნიკატორები არ გამოთქვამენ არც სინანულს და არც შერიგების სურვილს. ამგვარად, კონფლიქტმა მედიადისკურსში მისი უმთავრესი ნიშანი – დაპირისპირებულობა – იმდენად დაკარგა, რომ პუბლიცისტურ კონფლიქტს საფუძველი გამოაცალა.

საინტერესოა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ პროექტებში მცირე ზომის საინფორმაციო შეტყობინებები შეიცავენ ანმყოში მხარეებს შორის დაპირისპირების ცალკეულ ფაქტებს, მაგრამ იმდენად არათანაზომიერად ძლიერი და ინტენსიურად გამოხატულია დაპირისპირების შერბილებისა და მისი მოხსნის ტენდენცია, რომ კონკრეტული ფაქტები იკარგება მედიადისკურსის საერთო ფლერადობაში. რეალური ქართულ-აფხაზური კონფლიქტი იქცევა თამაშის თეორიაზე დაფუძნებული პოლიტიკური მოდელირების პრაქტიკად. ყოველი მხარე ცდილობს შექმნას მეორესთან თანაარსებობის საკუთარი მოდელი, რომელსაც სთავაზობს ამ უკანასკნელს. შეთავაზების ადრესატი მხარე უარყოფს მიღებულ შეთავაზებას და თავად სთავაზობს დაპირისპირებულ მხარეს საკუთარ მოდელს. მთავარი და გადამწყვეტი კი ის გარემოებაა, რომ მხარეების მიერ შექმნილი მოდელები იმდენად განსხვავებული მასტრუქტურირებული ელემენტებისგან შედგებიან, იმდენად საპირისპიროა მათში ჩადებული თანაარსებობის მექანიზმების წარმმართველი ვექტორები, რომ ისინი რეალურ დროსა და სივრცეში ვერასდროს გადაკვეთენ ერთმანეთს, რაც მნიშვნელოვნად უკარგავს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს გადაჭრის პერსპექტივებს. კონფლიქტების ისტორიაში არ არსებობს თამაშის თეორიაზე დაფუძნებული მოდელირების გადანყვეტილების მიღებისა და მის განხორციელებაზე ორიენტირებულ მიდგომად და პრაქტიკად გარდაქმნის მაგალითი. გადანყვეტილების მიღებასა და მის განხორციელებაზე ორიენტირებული მიდგომა ეყრდნობა კონფლიქტის მხარეთა პოზიციების შემადგენელი ნაწილების, მხარეების მიერ

ერთმანეთის ხედვის ანალიზს, მათი მიზნების შეთავსებადობის ხარისხის დადგენას, ამ მონაცემებზე დაყრდნობით კი სავარაუდო კომპრომისების, მათი რეალობად ქცევის და კონფლიქტის მოგვარების პროცესზე მათი გავლენის შესაძლებლობას.

ჩვენს მიერ შესწავლილი მედიაპროექტები იძლევა ასეთი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას. მათში ასახულია როგორც მხარეების მიერ ერთმანეთის ხედვა, ასევე მათ მიერ მშვიდობისა და შერიგების გაგება, მათ მიერ დანახული საკუთარი თუ საერთო მომავლის კონტურები. შესწავლილი მასალა იმასაც ცხადყოფს, რა კომპრომისებია მისაღები და დასაშვები კონფლიქტის მხარეების მიერ. ყველა ეს კომპონენტი ქმნის რეალურ სურათს, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ პასუხად კითხვაზე, როგორია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პრესპექტივა?

ქართვლები და აფხაზები ერთმანეთის თვალში

აფხაზური მხარე, აფხაზი კომუნიკატორების შეტყობინებების თანახმად, არ გამოხატავს რაიმე ტიპის ინტერესს ქართველებისა და საქართველოს მიმართ. ის კომუნიკატორები, რომლებიც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, ღიად აცხადებენ, რომ მათ არ აინტერესებთ, რა ხდება საქართველოში. რიგითი აფხაზები, რომლებიც „ცხოვრებისეული ისტორიების“ ავტორებად გვევლინებიან, მეტწილად საკუთარ ცხოვრებასა და პრობლემებზე მოუთხრობენ აუდიტორიას. სიტყვები **ქართველი** და **საქართველო** ფაქტობრივად გამქრალია მათი საკომუნიკაციო ენიდან. აფხაზურ საზოგადოებას ქართველები და საქართველო ახსენდებათ მხოლოდ მაშინ, როცა მიაჩნიათ, რომ ქართული სახელმწიფო ემუქრება მათ უსაფრთხოებას. აფხაზებს ეშინიათ საქართველოს კონსოლიდირებისა (ანუ გაძლიერებისა), რადგან ვარაუდობენ, რომ კონსოლიდირებული საქართველო მოინდომებს ქვეყნის გამთლიანებას და დაემუქრება აფხაზეთის დამოუკიდებლობას. თუმცა აფხაზური მხარე დაინტერესებულია პოლიტიკური სტაბილურობით საქართველოში, რაც, მათი აზრით, გამორიცხავს ავანტიურისტული პოლიტიკოსების იმპულსურ ქმედებებს აფხაზეთის ინტერესების საზიანოდ.

ქართული მხარე ცხოველ ინტერესს იჩენს აფხაზეთში შექმნილი ვითარების და მიმდინარე მოვლენებისადმი. მედიურ შეტყობინებებში ხშირად ვხვდებით აფხაზეთში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, პოლიტიკური

არასტაბილურობის აღწერას, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს. მედიებზე ზეწოლა, დემოკრატიის ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფა, საზოგადოების დაშინება, კორუფცია, კრიმინალი – ასეთია ქართველების თვალთ დასახული დღევანდელი აფხაზეთი. მხოლოდ ცალკეული კომუნიკატორები აღნიშნავენ მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებას. შეტყობინებებში პირდაპირ არ იკითხება, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთში შექმნილი მძიმე ვითარება ქართულ მხარეს აძლევს აფხაზეთისა და აფხაზეთის ქართულ (მონესრიგებულ, დემოკრატიულ, განვითარებად) სახელმწიფოებრივ სივრცეში დაბრუნების იმედს. ამიტომ ქართული მხარე არ არის დაინტერესებული სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობით აფხაზეთში, მისი ეკონომიკური წინსვლითა და განვითარებით. გამონაკლისს შეადგენს ცალკეული კომუნიკატორების პოზიცია.

მედიაპროექტების ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა უმეტესობაში გაცხადებულია, რომ აფხაზეთს, განსაკუთრებით რიგით მოქალაქეებს, სურთ ქართველებთან ერთად საერთო სახელმწიფოში ცხოვრება, და ასეც იქნებოდა, რომ არა აფხაზეთისა და ქართველების ასეთი თანაცხოვრების ფაქტობრივი აკრძალვა, აფხაზეთის დაშინება და მათი მართვა რუსეთის მიერ. საინტერესოა, რომ საერთაშორისო წყაროები სხვა რეალობას წარმოაჩენენ, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზურ წყაროებზე. უცხოელი ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ აფხაზურ მხარესთან, აფიქსირებენ ასეთ რეალობას: აფხაზეთს არ სურთ შერიგება; აფხაზები არ არიან მზად შერიგებისთვის.

მხარეთა საერთო ინტერესები

მხარეთა საერთო ინტერესები არც ისე მრავალრიცხოვანია. ქართველებსა და აფხაზებს რამდენადმე აერთიანებთ ის გარემოება, რომ მათ არ სურთ აფხაზეთზე რუსეთის გავლენის გაძლიერება, რასაც აფხაზური მხარე ღიად არ აცხადებს, მაგრამ მედიურ შეტყობინებებში ასახული ფაქტების ანალიზი ამაზე მეტყველებს.

ქართველთა და აფხაზთა საერთო ინტერესად შეიძლება ჩაითვალოს კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარებაზე უარის თქმა და პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოში, აგრეთვე თანამშრომლობა ეკონომიკისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების, კრიმინალთან ბრძოლის სფეროში.

მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესები

მხარეებს სხვადასხვაგვარად ესმით შერიგება და კონფლიქტის მოგვარება. ქართული მხარისთვის შერიგება და კონფლიქტის მოგვარება ცალსახად ნიშნავს ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნას, აფხაზეთის დაბრუნებას საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში. აფხაზური მხარისთვის შერიგება ნიშნავს კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას, კონფლიქტის მოგვარება კი ქართული სახელმწიფოსა და აფხაზური სახელმწიფოს მშვიდობიან თანაარსებობას. ამ საწყისი დაპირისპირების ღერძზე განლაგდება ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის არსებული ყველა სხვა დაპირისპირება.

ქართული მხარის ინტერესებშია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესზე რუსეთის ფაქტორის გავლენის გამორიცხვა და ევროკავშირისა და ნატოს ფაქტორების გაძლიერება. აფხაზური მხარის გაცხადებული ინტერესები ქართულის საპირისპიროა: რუსეთის, როგორც აფხაზეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობის გარანტიის მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში და ევროკავშირისა და ნატოს ფაქტორების გამორიცხვა.

ქართული მხარის სასიცოცხლო ინტერესია აფხაზეთიდან დევნილი ქართველების დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. აფხაზური მხარე კი დასაშვებად მიიჩნევს დევნილების დაბრუნებას მხოლოდ გალის რაიონში.

აფხაზური მხარის სასიცოცხლო ინტერესია საქართველოს მიერ აფხაზეთისთვის დანესებული ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა. ქართული მხარე არ მიიჩნევს მიზანშეწონილად ასეთ ნაბიჯს, თუმცა ემზარგოს მოხსნის იდეას ქართულ მხარეშიც ჰყავს ერთეული მხარდამჭერები.

ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის ხელშემწყობი ფაქტორები

აფხაზური მხარე ეფექტური მოლაპარაკებების წინაპირობად განიხილავს ქართული მხარის მიერ სამი პირობის შესრულებას: საქართველოს მიერ კონფლიქტის გადაჭრის ძალისმიერ გზაზე უარს, საკუთარი დანაშაულის აღიარებას და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას; ქართული მხარის მიერ ეფექტური მოლაპარაკებების წინაპირობად მიჩნეულია რუსეთის ჩაურევლობა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, მისი განეიტრა-

ლება; საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში; ქართული მხარის მიერ ძალის დემონსტრირება, რომელიც აიძულებს აფხაზებს განიხილონ კომპრომისებისა და დათმობების შესაძლებლობა; ეკონომიკურად ძლიერი და პოლიტიკურად სტაბილური ქართული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება აფხაზებისთვის; აფხაზეთისთვის განსაკუთრებული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსთან მიახლოებული სტატუსის შეთავაზება.

შერიგების საფუძვლებისა და შერიგების რესურსების ძიება

აფხაზური მხარე არ ახდენს რეფლექსიას შერიგების საფუძვლებსა და რესურსებზე. აფხაზური პოლიტიკური, სოციალური და, შესაბამისად, მედიური დისკურსიდანაც ამოღებულია ეს ასპექტი. იგი ფუნქციურად უსარგებლოა აფხაზური მხარისთვის. ქართული მხარე კი შერიგების საფუძვლებსა და შესაძლებლობებს ჯიუტად, დაულალავად და სიღრმისეულად ეძებს ყველაფერში, დაწყებული გლობალური პოლიტიკის პერიპეტიებიდან, დამთავრებული აფხაზური ეთნოსის ფსიქოლოგიური თავისებურებებით.

კომპრომისი

ერთადერთი კომპრომისი, რომელსაც უშვებს აფხაზური მხარე, არის ქართველი დევნილების დაბრუნება გალის რაიონში.

ქართული მხარე მზად არის ნებისმიერი კომპრომისისთვის, გარდა ერთისა – ქართული სახელმწიფოს მთლიანობის რღვევაზე დათანხმებისა.

ქართულ-აფხაზური შერიგებისთვის უმნიშვნელოვანესი ყველა ამ *pro* და *contra* კომპონენტის შესწავლა იძლევა კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივის რეალისტურ ხედვას, რომელსაც უნდა დაეყრდნოს კონფლიქტის დაძლევის სტრატეგია და მისი განხორციელების ეტაპობრივი გეგმა.

PAX GEORGIANA

თავი 3

2003-2007 წლები:
საქართველოს ორი ხელისუფლების
პოლიტიკა აფხაზეთისთვის

ლია ტოკლიკიშვილი

პოლიტიკოსები და პოლიტიკური ინსტიტუციები: მედიაფილტრითა და მის გარეშე

გაზეთების: „24 საათისა“ და „ახალი 7 დღის“ 2003-2007 წლების აფხაზეთის თემატიკის მასალების მიმოხილვითი ანალიზი მიზნად ისახავს შემდეგი ტენდენციების დადგენას: შეიცვალა თუ არა ხელისუფლებათა ცვლილების შედეგად აფხაზეთის, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი სივრცისგან მოწყვეტილი ნაწილის, მიმართ პოლიტიკური კურსი; როგორი პერსპექტივა შეუქმნა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას; რა სახის აქტივობები ფიქსირდება ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკაში მისი ხელისუფლებაში მოსვლიდან ოთხი წლის განმავლობაში; რამ გამოიწვია აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სტაგნაცია – სუბიექტურმა ფაქტორებმა, რეალურად არსებულმა და შეუქცევადმა ფაქტორებმა თუ ორივე სახის ფაქტორების ერთობლიობამ?

ამ საერთო მიზნის მისაღწევად საინტერესო აღმოჩნდა საგაზეთო პუბლიკაციების კვლევა შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

1. ვინ არიან პოლიტიკის აქტანტები, ვინ მონაწილეობენ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში პოლიტიკური და სამოქალაქო სპექტრიდან (საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორივე ფაქტობრივი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ერთეულიდან); როგორია ამ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიმართ დიფერენცირებული დამოკიდებულება, მათი კონცეპტუალური ხედვა;
2. რა როლი აკისრიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორც აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის მომუშავე დონორ და შუამავალ ორგანიზაციებს; რამდენად არის დაცული მათი მხრიდან აღიარებული პრინციპები და როგორია მათი მუშაობის ეფექტურობის ხარისხი ჩვენი კვლევისთვის საინტერესო დროით შუალედში;
3. რა როლს ასრულებს რუსეთის ფაქტორი აფხაზეთის პრობლემის მოგვარება-მოუგვარებლობის საკითხში. რომელი

- კლასიფიკატორული მახასიათებლების მიხედვით შეიძლება მისი ფუნქციისა და როლის განსაზღვრა ამ კონფლიქტში;
4. როგორია ქართულ-აფხაზური ურთიერთშეხედულებები სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუციათა დონეზე და რა ფაქტორების მიხედვით იცვლება ისინი. „ახალი 7 დღისა“ და „24 საათის“ შერჩევა საკვლევ ობიექტებად განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა:
 1. ორივე გაზეთი დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში ახორციელებდა მსგავსი შინაარსის პროექტებს: „თქვენი აფხაზეთი“ („24 საათი“) და „ჩემი სახლი („ახალი 7 დღე“). ამ პროექტების მიზანი იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაშუქება როგორც პოლიტიკურ დონეზე, აგრეთვე რიგითი ადამიანების ურთიერთშეხედულებების დონეზე („24 საათის“ პროექტში ამ სეგმენტს აშუქებდა ქვერუბრიკა „ცხოვრებისეული ისტორიები“).
 2. ორივე გაზეთი ერთი და იმავე პერიოდულობით აშუქებდა ჩვენი პროექტის საკვლევ საკითხს – „ახალი 7 დღე“, როგორც აფხაზეთის თემატიკით დაინტერესებული ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი; „24 საათი“, რომელსაც ასევე ყოველკვირეული პერიოდულობით ჰქონდა რუბრიკა აფხაზეთის თემაზე „თქვენი აფხაზეთი“.
 3. ამ გაზეთთაგან ერთი „24 საათი“ რუბრიკა „თქვენს აფხაზეთს“ ახორციელებდა საერთაშორისო-დონორი ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ მხარდაჭერით, ამდენად, ეს მედიური პროექტი უმეტესწილად უნდა განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის შეხედულებებისა და პრინციპების რეპრეზენტაცია და ამ მხრივ საინტერესო. გაზეთი „ახალი 7 დღე“ აფხაზეთის პრობლემის გაშუქებისას გამოხატავდა მხოლოდ საკუთარ დამოკიდებულებას და მისი პროექტი შეიძლება შეფასდეს, როგორც საკუთრივ მედიის ხედვა და ჩართულობა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკაში.

ვინ მონაწილეობს პოლიტიკაში

აფხაზეთის პოლიტიკაში მონაწილე სუბიექტების კლასიფიკატორულ მახასიათებლად თუ ავირჩევთ პრობლემის მოგვარების გზებთან და ფორმებთან (ძალა/მშვიდობა) მათ დამოკიდე-

ბულებას, შემდეგ სურათს მივიღებთ: აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზებით მოგვარების მომხრეები, რომელთა შორის დეკლარირებულად არის როგორც 2003 წლის ნოემბრის რევოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდგომი პერიოდის სახელისუფლებო და არასახელისუფლებო პოლიტიკური სპექტრის, აგრეთვე სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილი; აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის ძალის გამოყენების მომხრეები, რომელთა რიგებში 2003 წლის რევოლუციამდელ პერიოდში სახელისუფლებო პოლიტიკური სპექტრიდან ღიად ჩანს, ფაქტობრივად, ერთი პოლიტიკური ჯგუფი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლება (მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოები), რომლის აღიარებული ლიდერია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი; ამავე გზის მომხრეები არიან პოლიტიკაში მონაწილე ცალკეული პირები, რომლებიც საკუთარ შეხედულებებს ჯერჯერობით არ აფორმებენ პოლიტიკური სტრუქტურების და ორგანიზაციების სახელით (სამეცნიერო-აკადემიური წრეების – მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილთა ერთი ნაწილი, პოლიტოლოგები და პოლიტიკური ექსპერტები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა 2003 წლის რევოლუციის შემდეგ უერთდება ხელისუფლებაში მოსულ ნაციონალურ მოძრაობას ან გაერთიანებულ დემოკრატებს).

მესამე ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ ის პოლიტიკური პირები, რომლებიც ასევე პერსონალურად (და არასდროს – პოლიტიკური და ორგანიზაციული სტრუქტურების სახელით) მხარს უჭერენ პრობლემის მოგვარების სინთეზურ გზას, რაც ნიშნავს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისთვის მზადყოფნას –

1. სამშვიდობო კურსის ეფექტური გამოყენებისთვის;
2. ან მას შემდეგ გამოსაყენებლად, რაც სამშვიდობო რესურსი ამოიწურება.

ამ ე. წ. კლაუსევიცის თეორიის მიმდევართა ერთი ნაწილი სამხედრო და პოლიტიკურ ექსპერტთა წრეს მიეკუთვნება. მათგან ზოგიერთი 2003 წლის რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების ცნობილი წარმომადგენელი ხდება და ამავრებს ახალ ხელისუფლებაში პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებისთვის მზადების კურსს. რევოლუციის შემდეგ სამეცნიერო-აკადემიურ წრეებში მათ სოლიდური მხარდამჭერები ჰყავთ.

ჩვენი აზრით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მკვეთრი ზღვა-რი მაინც არ ივლება იმ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, რომელთაგან ერთი განესაზღვრეთ, როგორც ძალის გამოყენების მომხრე, ხოლო მეორე – როგორც ძალის, როგორც დამატებითი ფაქტორის, სამშვიდობო კურსისთვის ხელშემწყობი ფაქტორის, გამოყენების მომხრე. პოლიტიკური სპექტრის ვერცერთ წარმომადგენელს ვერ დავასახელებთ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის ძალის უპირობო და მისი სამხედრო აგრესიის ფორმით გამოყენების მოთხოვნის ავტორად. ძალის გამოყენების მომხრეთა ყველაზე რადიკალური ფრთა (როგორც 2003 წლის რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ) აფხაზეთის იძულებით (ძალის გამოყენებით) დაბრუნების პოლიტიკაში დეკლარირებულად მოიაზრებს გაეროს წესდების მე-7 მუხლის ამოქმედებას (მშვიდობის ძალით დამყარებას), რაც ხორციელდება ეტაპობრივად და, რაც მთავარია, გაეროს ორგანიზებით, კონტინგენტითა და კონტროლით, ან ხორციელდება საკუთარი ძალებით, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ინსპექტირებით.

საკვლევმა მასალამ დღის წესრიგში დააყენა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკაში მონაწილე სუბიექტების კლასიფიკაცია კიდევ ერთი მახასიათებლის მიხედვით: პოლიტიკური სუბიექტების ღია (ხილული) და ფარული პოლიტიკური ჩართულობა.

საქართველოს ხელისუფლების კურსის გაბუნდოვანებასა და გაურკვევლობას აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში, როგორც 2003 წლის რევოლუციამდე, ისე მის შემდეგ, იწვევდა სახელისუფლებო ელიტის ქმედებების ორგვარი: ღია და ფარული, დეკლარირებული და არადეკლარირებული დინამიკა. 2003 წლის რევოლუციამდე არსებული ხელისუფლების პირველი პირი სახელისუფლებო სპექტრის გამოყენებით აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკას „თამაშობდა“ აუდიტორიის სხვადასხვა სეგმენტისთვის: მის არსენალში (მის ხელისუფლებაში) იყვნენ:

1. აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნების მომხრე თამაზ ნადარეიშვილი, რომელიც აუდიტორიის იმ სეგმენტის ინტერესებს გამოხატავდა, რომელიც ფიქრობს, რომ აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთი გზა არის იძულებითი დაბრუნების გზა, რადგან რუსეთი არ დაუშვებს არანაირ დიალოგს და პირდაპირ ურთიერთობას ქართველებსა და აფხაზებს შორის („ახალი 7 დღე“, 6-13 თებერვალი, 2003).

2. ასლან აბაშიძე, პრეზიდენტის რწმუნებული აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში, რომელიც აცხადებს, რომ აფხაზეთის პრობლემას რუსეთის პოლიტიკის წარმომადგენლებთან ერთი ფინჯანი ყავის დაღვევისას მოაგვარებს („ახალი 7 დღე“, 14-20 თებერვალი, 2003) ეს კადრი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკაში შევარდნაძეს სჭირდება, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად (ხაზგასმა – არა რუსეთის საშუალებით პრობლემის მოგვარებისთვის, არამედ რუსეთის დასაშოშმინებლად – პრობლემის მიძინებისა და სტაგნაციისთვის), აგრეთვე ქართველი საზოგადოების იმ სეგმენტის ინტერესების გასათვალისწინებლად, რომელიც რუსეთთან მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრეა.
3. კიდევ ერთი უწყება, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლებაში კურირებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას, არის საგანგებო საქმეთა სამინისტრო და მისი ხელმძღვანელი მალხაზ კაკაბაძე. ეს არის შუალედური პოლიტიკური პოზიცია აბაშიძესა და ნადარეიშვილს შორის. მალხაზ კაკაბაძე, რომელიც, თამაზ ნადარეიშვილისგან განსხვავებით, დეკლარირებულად აღიარებს აფხაზეთის დაბრუნების სამშვიდობო კურსს, თავადაც მონაწილეობს საერთაშორისო მოლაპარაკებებში, ფარულად ემხრობა ომს. იგი აკეთებს ასეთი ტიპის განცხადებებს: „რომ არა რუსეთი, აფხაზეთის პრობლემას 2 დღეში გავარკვევდითო, – ნადარეიშვილმა ასე თქვა, მე კი ამ დროს 24 საათამდე დავიყვანდი“ („24 საათი“, 6 აგვისტო, 2003).

ხელისუფლების რამდენიმე უწყებაში პრობლემის მოგვარების გადანაწილების არაკოორდინირებული კურსი გრძელდება ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის მოსვლის შემდეგაც: აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა ევალება პარლამენტის შესაბამის კომიტეტს ვასილ მაღლაფერიძის ხელმძღვანელობით (რომელიც ხისტი და პრინციპული პოლიტიკური კურსის მომხრეა; „ახალი 7 დღე“, 23-29 იანვარი, 2004), რომელსაც მოგვიანებით ანალოგიური კომიტეტის ხელმძღვანელი შოთა მალაშხია ცვლის (სახელმწიფოს მონყობის უნიტარული მოდელის მომხრე), აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორ შტოს

(აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია ეწინააღმდეგება აფხაზეთისთვის ფედერაციული წევრის სტატუსის მიცემას; მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია ფედერალიზმის მომხრეა); საგანგებო საქმეთა სამინისტროს, რომლის ფუნქციას მოგვიანებით გადასცემენ კონფლიქტების მოგვარების საკითხში სახელმწიფო მინისტრის კაბინეტს. არსებულ უწყებათა შორის ისევე არ არსებობს კოორდინაცია, რაც ინვესტს სტრუქტურებს შორის მოქმედებათა შეუთანხმებლობას და უწყების ხელმძღვანელ პირთა გადინებას ხელისუფლებიდან. 2003-2007 წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებაში აფხაზური პოლიტიკის სეგმენტიდან მიდიან გიორგი ხაინდრავა (სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში), თემურ მჟავია (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე), ირაკლი ალასანია (აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი). ეს უკანასკნელი 2006 წლიდან გაეროში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ხდება. ჩნდება აზრი, რომ ალასანია, რომელიც აფხაზეთის მხრიდან სიმპატიით სარგებლობს („ისინი ცდილობენ არა პრობლემის გაღრმავებას, არამედ მის გადაწყვეტას“, – ასე აფასებს სოხუმის ხელისუფლება ალასანიას; „24 საათი“, მარტი, 2006), პრეზიდენტი ამორებს საქმეს და ამით ე.წ. მილიტარისტულ ფრთას აძლიერებს.

2005-ის ბოლოდან 2006-ის დასაწყისამდე პერიოდში აფხაზეთის პრობლემის მოგვარების იდეოლოგია მთლიანად რჩება აფხაზეთთან რადიკალური და ხისტი ურთიერთობის მომხრე პოლიტიკურ ჯგუფს, რომელსაც საჯაროდ (პრესაში მონაწილეობა) წარმოადგენენ: შოთა მალაშხია („24 საათი“, მარტი, 2006), ნიკა გვარამია, ნიკა რურუა, პაატა დავითაია („24 საათი“, მაისი, 2006). ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები არ იყენებენ ტრიბუნას, არ ჩანან პრესაში, ისინი საქმეს პრაქტიკულად ახორციელებენ).

წინააღმდეგობა მშვიდობიანი გზებისა და ძალისმიერი გზების მომხრეთა შორის, რაც პრეზიდენტის გარემოცვაში გავლენის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს, ღია ფაზაში გადადის 2005 წლის მეორე ნახევრიდან (პაატა დავითაია: „დამნაშავეები არიან, პირველ რიგში, ალასანია და ზურაბ ლაკერბაია და ამისთვის პასუხი მოეთხოვებათ“ („ახალი 7 დღე“, 19-25 მაისი, 2005)).

ორივე ხელისუფლების პერიოდში აფხაზეთის პოლიტიკაში დიდ როლს ასრულებს არასახელისუფლებო სპექტრიდან გან-

საკუთრებით აქტიურობს არასამთავრობო სექტორი (ამ მიმართულებით პოლიტიკური ოპოზიციის ინერტულობა განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება 2003 წლის რევოლუციის შემდეგ. აქედან მოყოლებული, ხელისუფლების ოპონირების ლოკომოტივი ხდება სამოქალაქო სექტორი, რომელიც ამავე ფუნქციას რევოლუციამდე პოლიტიკურ ოპოზიციასთან ერთად ასრულებდა). ამ სეგმენტში მოღვაწე ორგანიზაციების რიცხვი მკვეთრად იზრდება 2004 წლიდან. 2003 წლის რევოლუციამდე ამ სპექტრში არასამთავრობოთა ერთი ნაწილი მოქმედი ხელისუფლების ირგვლივ განლაგებულად გამოიყურება. მათ შორის შეიძლება დასახელდეს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, რომლის ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი აცხადებს, რომ შიდა პოლიტიკური კონფლიქტები (საუბარია 2003 წლის რევოლუციის წინა პერიოდში დაწყებულ შიდა პოლიტიკურ კონფლიქტებზე, რომელთა ერთ-ერთი საფუძველი აფხაზეთის პრობლემის მოუგვარებლობაა) ინვესს გარე (ტიერიტორიული) კონფლიქტების ინსპირირებას და ამიტომ წამგებიათ პოლიტიკური სპექტრის დაპირისპირება შევარდნაძესთან („ახალი 7 დღე“, 23-29 იანვარი, 2003).

შევარდნაძის აქტივში უნდა განვიხილოთ ნოემბრის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე შექმნილი მოძრაობა „სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივა“, რომელსაც სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ერქვანია ხელმძღვანელობს („24 საათი“, 10 სექტემბერი, 2003). მათი საპროგრამო დოკუმენტიდან, აგრეთვე ინტერვიუდან მოძრაობის ხელმძღვანელთან იკვეთება შევარდნაძის ხელისუფლების მიზანი – საზოგადოების თვალში ძველი კადრები ახალი კადრებით, ფსევდოსამოქალაქო სექტორის კადრებით გადაფაროს, რათა, ერთი მხრივ, იმ ბრალდებებისთვის, რომელთაც სამოქალაქო სექტორი უყენებს შევარდნაძეს, და რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი აფხაზეთის პრობლემის მოუგვარებლობაა, განტეგების ვაცი ჰყავდეს (ასეთად ირჩევს ნადარეიშვილს), მეორე მხრივ კი, შექმნას აფხაზეთის პრობლემებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის ილუზია.

2004 წლიდან აფხაზური პრობლემის მოგვარების პოლიტიკაში ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია იქმნება: „ქალთა საბჭო“, „ქართულ-აფხაზური

შერეული ოჯახები“, აფხაზეთში ჰუმანიტარული და სოციალური განვითარების საერთაშორისო ფონდი, აფხაზ და ქართველ შემოქმედ ქალთა კავშირი „მიტევება“, რომლებიც ამ ნიშაზე მოქმედ ძველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ცდილობენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენისა და პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის პოლიტიკაში მონაწილეობას. მაგრამ ახლად შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა ამ პოლიტიკაში ნომინალურია. ისინი, ძირითადად, მუშაობენ სოციალურ ან კულტურულ პროექტებზე, რასაც აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკაზე მხოლოდ შორეული, დისტანციური გავლენის მოხდენა შეუძლია. თუმცა, არასამთავრობო სექტორში არის რამდენიმე ორგანიზაცია და საინიციატივო ჯგუფი, რომლებიც ახერხებენ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას და ხშირ შემთხვევაში – საზოგადოებრივი აზრის მათთვის საინტერესო მიმართულებით წარმართვას. ისინი საკუთარი კონცეფციებით (სამხრეთ კავკასიის რეგიონული ურთიერთობის ინსტიტუტის კონცეფცია, საინიციატივო ჯგუფის კონცეფცია „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“) აღწევენ საზოგადოებრივი ინტერესის სტიმულირებას აფხაზეთის პრობლემის ირგვლივ. აფხაზეთის პოლიტიკაში განსაკუთრებული გამოცოცხლება შეაქვს კონცეფციას „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“. ეს კონცეფცია ხდება ერთგვარი გენერატორი პოლიტიკური ჯგუფებისა და პერსონების მხრიდან აფხაზეთის დაბრუნების შესახებ მოსაზრებების გამომუშავებისა და დაგროვებისთვის. ამ კონცეფციის საშუალებით ხდება ერთგვარი ლუსტრირებაც ხელისუფლების წარმომადგენელი იმ პირებისა, რომლებიც მხოლოდ სიტყვით უჭერენ მხარს აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნების კურსს, მათი მოსაზრებები კი, რომლებიც ზემოთ ხსენებული კონცეფციის შესახებ გამოითქმება, სულ სხვას ადასტურებენ („24 საათი“, იანვარი, 2005, „კიდევ ერთი პოლემიკა კონცეფციის გარშემო“; „24 საათი“, იანვარი, 2005, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამუშაო გეგმა-პროექტი“; „ახალი 7 დღე“, 28 იანვარი – 3 თებერვალი, 2005; „ბრძოლა აფხაზეთისთვის“; „ახალი 7 დღე“, 4-10 თებერვალი, 2005; „აფხაზეთისკენ სავალი გზები“). ასე წარმოჩინდება ხელი-

სუფლების შემადგენლობაში ე. წ. უნიტარისტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფრთა, რომელშიც შედიან შოთა მალაშხია, ნიკა გვარამია, თემურ მჟავია, გია ჩიქოვანი (ალასანიას მოადგილე).

2003 წლის რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებასაც, როგორც მის წინამორბედს, ჰყავს თავისი, მართული სამოქალაქო სექტორი, რომელიც სჭირდება ოფიციალური კურსის მხარდასაჭერად და სამოქალაქო სექტორიდან ამ კურსის დაკვეთის გასაფორმებლად. ასეთ როლს სააკაშვილის ხელისუფლებისთვის, რომელიც მხოლოდ დროებით თამაშობს სამშვიდობო და ძალისმიერ კურსებს შორის, ასრულებს არასამთავრობო ორგანიზაციები: „ჩვენ თვითონ“, „დაბრუნება“, რომელიც მოგვიანებით ერთიანდება დევნილ არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგაში; მოძრაობა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის“. ისინი გამოდიან აფხაზეთის დაბრუნებისთვის ძალის გამოყენების პოლიტიკის მოთხოვნის ლოზუნგებით (დავით ლაცუზბაია, საზოგადოებრივი მოძრაობა „დაბრუნების“ აღმასრულებელი მდივანი: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ამდენწლიანი ხმაური პროპაგანდისტული ხმაური აღმოჩნდა“ („24 საათი“, 24 დეკემბერი, 2003) – იგულისხმება თამაზ ნადარეიშვილის ძალისმიერი კურსის „პროპაგანდისტულობა“, მისი არარეალური სახე, ის, რომ ნადარეიშვილის ძალისმიერი პოლიტიკა ვერ განხორციელდა.

საინტერესოა პოლიტიკის აქტანტების ცვლილების დინამიკა აფხაზურ სივრცეში. იქ დაახლოებით ისეთივე გადანაწილება ხდება, როგორიც თბილისის პოლიტიკის სუბიექტებს შორის მოხდა ორი ხელისუფლების ცვლილების შედეგად 2003 წელს. ოდნავ მოგვიანებით, 2004 წელს, სოხუმშიც გარდაუვალი ხდება არძინბას წასვლა, რაც ლოგიკურ მოლოდინს ბადებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულ ორივე საზოგადოებაში. იქმნება მოლოდინი იმისა, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ სპექტრშიც მოხდება ომის ფიგურების ჩანაცვლება ალტერნატიული კადრებით. „აფხაზეთი დიდი ცვლილებების წინაშე დგას, არძინბას წასვლა იგივეა, რაც საქართველოში შევარდნაძის წასვლა“ („24 საათი“, აპრილი, 2004) „ხალხი ქუჩაშია, ურთიერთობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კრიზისამდე იძაბება“ („24 საათი“, იანვარი, 2004).

2004 წლის აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი აჩვენებს აფხაზური პოლიტიკის დის-

ტანცირებას მოსკოვის პოლიტიკური ცენტრიდან: მოსკოვი ვერ ახერხებს თავისი კანდიდატის გაყვანას არძინბას შემცვლელად. მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებში იმარჯვებს არძინბასთან დაპირისპირებული დიდი პოლიტიკური ალიანსი, რომლის კანდიდატია ბალაფში. ალიანსში არიან „ერთიანი აფხაზეთი“, რომელიც წარმოადგენს მოქმედი პარლამენტარებისა და ბიზნესმენების კავშირს; „აიტაირა“, რომელშიც გაერთიანდა თითქმის მთელი არასამთავრობო სპექტრი; „ამცახარა“, რომელიც აფხაზეთის ომის ვეტერანთა კავშირია („ახალი 7 დღე“, 8-14 ოქტომბერი, 2004). რაც მთავარია, ბალაფშის მხარდამჭერია გალის ქართველი მოსახლეობის 82% („ახალი 7 დღე“, 8-14 ოქტომბერი, 2004).

ბალაფშის მოსვლით სოხუმის ხელისუფლებაში იცვლება მთავარი – დამოკიდებულება საკუთრივ აფხაზურ ინტერესებთან – „ჩვენი კურსი არის პროაფხაზური“ („ახალი 7 დღე“, 18-24 მარტი, 2005); „ჩვენი პრეზიდენტი არის არა ის, ვინც აირჩიეს, არამედ ხალხი“ (იქვე).

იმ მრავალრიცხოვანი შეფასებებიდან, რომლებიც ბალაფშის მისამართით კეთდება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, აგრეთვე მის მიერ მიცემული ინტერვიუებიდან, რომლებსაც ქართულენოვან მკითხველს სთავაზობენ „ახალი 7 დღე“ და „24 საათი“, არ მართლდება ქართველი საზოგადოების მოლოდინის ერთი ნაწილი – არ დასტურდება არც ბალაფშის ომში არმონაწილეობის ფაქტი („იგი პირადად მეთაურობდა ოჩამჩირის საბრძოლო მოქმედებებს“, „ახალი 7 დღე“, 13-21 ოქტომბერი, 2004) და მალევე ქარწყდება მისი პროქართულობის ილუზია (ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში ბალაფში პრინციპულ დამოკიდებულებას ითხოვს გალის ქართველების მიმართ, მათ მიიჩნევს ყოფილ აფხაზებად და მოითხოვს მათთვის ქართულის ნაცვლად აფხაზური ენის დაბრუნებას („ახალი 7 დღე“, 18-24 მარტი, 2005); შედეგად გალის ქვედა ზონის სოფლებში ერთმანეთის მიყოლებით იხურება ქართული სკოლები. ამავე პერიოდში გალის ქართველი ახალგაზრდებისგან ქმნიან სამხედრო შენაერთ „ჯიმას“, როგორც პირველ თავდამცავ შენაერთს საქართველოს მხრიდან აგრესიის შემთხვევაში („ახალი 7 დღე“, 21-27 ოქტომბერი, 2005). მართლდება მხოლოდ ერთი პროგნოზი – ბალაფშის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკა ცდილობს პოლიტიკური

კურსის ნელ-ნელა შემობრუნებას პრორუსულიდან პროაფხაზურისკენ („ხელისუფლება უფრო პროაფხაზურია, ოპოზიცია – უფრო პრორუსული, რადგან ისინი რუსეთთან ინტეგრაციაზე საუბრობენ“ – „ახალი 7 დღე“, 9-15 აპრილი, 2007). ამ კურსის ავტორად მიიჩნევა არძინბასთან (და მის პოლიტიკურ კურსთან) დაპირისპირებული ალ. ანქვაბი, მართავს „ერთიან აფხაზეთს“, „აიტიარას“, „ამცახარას“ – ანუ მის ხელთ არის დემოკრატიული, ფინანსური და სამხედრო ძალის არსენალი. ამ არსენალით კი სრულიად რეალურად გამოიყურება პრორუსული ორიენტაციიდან აფხაზეთის პროაფხაზურ ინტერესებზე გადასვლა.

ბალაფშის ხელისუფლება, ცხადია, არ არის პროქართული და არც არასდროს ხდება ამის დეკლარირება, თუმცა მისი რამდენიმე ინიციატივიდან ცხადი ხდება, რომ იგი, ასე ვთქვათ, კბილს უსინჯავს საქართველოსთან დიალოგსა და ურთიერთობის პერსპექტივას. ძალზე ფრთხილად, მაგრამ მიანიშნებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ გამორიცხავს ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოებრივი სივრცის შექმნას. „ჯერ კიდევ 1994 წელს შევთავაზეთ ქართულ მხარეს კონფედერაციული ურთიერთობები, მაგრამ უარი მივიღეთ. ახლა რა ვქნათ, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით დავბრუნდეთ? ეს ჩვენ აბსოლუტურად არაფერს გვაძლევს“ („24 საათი“, აგვისტო, 2005).

შესამჩნევია, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ანალოგიური განცხადებების გაკეთებისას ხშირად იყენებს შენიღბვის ერთგვარ საშუალებებს – მის განცხადებებში ხშირად იკითხება ორი შინაარსი ერთ ტექსტში, რომლებსაც პირობითად შეიძლება დავარქვათ პოლიტიკური განცხადების შინაარსი საქართველოსთვის და პოლიტიკური განცხადების შინაარსი რუსეთისთვის ან აფხაზეთის პოლიტიკურ სივრცეში მოსკოვის მიერ ჩანერგილი პოლიტიკური პერსონებისთვის, რომლებიც ბალაფშის ოპოზიციას ქმნიან. ამიტომ ხასიათდება აფხაზი პოლიტიკოსების მედიური ტექსტები ურთიერთწინააღმდეგობრივი შინაარსებით – ასეთი ურთიერთგამომრიცხავია ზემოთ ხსენებული ინტერვიუს ორი ერთმანეთზე მიბმული აბზაცი:

1. „ჩვენ... შევთავაზეთ ქართულ მხარეს კონფედერაციული ურთიერთობები („24 საათი“, აგვისტო, 2005).

2. „ჩვენ არაერთხელ მივმართეთ რუსეთს (მის ფარგლებში შესასვლელად)... „საქართველოდან გაყვანილი რუსეთის ბაზები აფხაზეთში რომ განალაგონ, რეალურია“ (იქვე).

ტექსტის პირველი ნაწილი არის შეტყობინება საქართველოსთვის, რომელიც „გადაფარულია“ რუსეთისთვის შექმნილი ტექსტური ნაწილით.

ამ თუ სხვა შეტყობინებებით ბალაფშის ხელისუფლება პირველ წლებში შეიძლება შეფასდეს, როგორც ნამდვილად არაპრორუსული, არაპროქართული, მკვეთრად პროაფხაზური და დიალოგისთვის მზად მყოფი ხელისუფლება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თბილისში ნოემბრის რევოლუციის, ხოლო სოხუმში ბალაფშის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 2005 წლის გაზაფხულზე, ხდება ორი ხელისუფლების წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა და, რაც მთავარია, უპრეცედენტო იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ხვდებიან აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებს – ალასანიას („24 საათი“, აპრილი, 2005).

ბალაფშის ხელისუფლების განსხვავებულ დამოკიდებულებას ქართულ მხარესთან ურთიერთობის მიმართ ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სოხუმის პოლიტიკურ სპექტრში არსებული ვითარების შეფასებაც, რომელსაც აკეთებს ბუშის ვიზიტის წინ სოხუმში ჩასული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი სტივენ მანი. იგი, პრაქტიკულად, ამბობს, რომ ხაჯიმბას ევალება ბალაფშის კონტროლი და დაბლოკვა, რადგან ბალაფში არის კადრი, „რომელთანაც ლაპარაკი შეიძლება“... „ბალაფშს გვერდით უზის ხაჯიმბა და იგი დესტრუქციული საუბრით გამოირჩევა“ („24 საათი“, აპრილი, 2005).

აფხაზურ პოლიტიკურ სპექტრში დეკლარაციის დონეზე საქართველოს მიმართ ლოიალურად განწყობილად შეიძლება დასახელდეს ერთადერთი ჯგუფი – აფხაზური დიასპორის მიერ შექმნილი „აფხაზთა ალიანსი“ და მისი პრეზიდენტი ინალ კაზანი, რომელიც გამოხატულ აქტიურობას იწყებს 2003 წლის რევოლუციის შემდეგ. იგი საკუთარ კონცეფციას სთავაზობს საქართველოს პრეზიდენტს და აღიარებს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსს. ცხადია, ინალ კაზანი და მისი ალიანსი ვერ ჩაითვლებიან იმ პოლიტიკურ სუბი-

ექტებად, რომელთაც შეუძლიათ ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარების კურსში არსებითი როლის თამაში. მათ შეუძლიათ მხოლოდ წერილობითი თხოვნებითა და მიმართევებით იყვნენ ჩართული აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკაში („24 საათი“, მაისი, 2005). ეს არის ამ ჯგუფის თვითრეალიზაციის მაქსიმუმი.

პოლიტიკური აქტორების დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემის მოგვარების კურსთან

2003 წლის რევოლუციამდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში შეიძლება შეფასდეს, როგორც სტაგნაციური. ხელისუფლება დგას ერთ ადგილას, მაგრამ ისე, რომ საზოგადოებისთვის ქმნის პოლიტიკური კურსის მოქმედების ილუზიას. ეს არის მოქმედების ისეთი ტაქტიკა, როცა ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურას მიცემული აქვს მოქმედების თავისუფლება, მაგრამ – დაშვებულ ზღვრამდე. ხელისუფლების ამ კურსს გასდევს ერთი მთავარი ნიშანი – უმაღლესი ხელისუფლება აღიარებს, ნაწილობრივ კი თავადაც ქმნის პრობლემის ჩიხურ, გამოუვალ მდგომარეობას და მთელი აფხაზური პოლიტიკა მისთვის ამ გაცნობიერებულ ჩიხში თამაშდება. პოლიტიკურმა სუბიექტებმა არ იციან, ან არ აღიარებენ პრობლემის გამოუვალობას და ამიტომ რეალური პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის ამ ჩიხში მოქმედებენ. ასეთ პოლიტიკურ კურსს ატარებინებს სახელმწიფოს პირველი პირი თავისი ხელისუფლების წევრებს, რომლებიც აფხაზური პოლიტიკის სეგმენტში მუშაობენ – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს – თამაზ ნადარეიშვილს, რომელიც 2003 წელს უკვე აკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ დეკლარირებულად ან პირად საუბრებში უჭერს მხარს მის ინიციატივებს გაეროს წესდების მე-7 მუხლისა და ჰაავის ტრიბუნალის ამოქმედების თაობაზე, საქმით კი არ მიჰყვება, პირიქით, ხელს უშლის მას.

„უშიშროების საბჭოს სხდომაზე ყველამ, და პრეზიდენტმაც, მხარი დაუჭირა გაეროსადმი გაგზავნილ მოთხოვნას მე-7 მუხლის ამოქმედების შესახებ“ („ახალი 7 დღე“, 14-20 თებერვალი, 2003), მაგრამ „სხდომის შემდეგ დამიპირისპირდა მთელი პოლიტიკური

სპექტრი – ისინი იჩემებენ მხოლოდ მშვიდობიან გზას („ახალი 7 დღე“, 6-13 თებერვალი, 2003).

ნადარეიშვილის ისეთი ხარისხის გააქტიურებას, რომელიც პრეზიდენტის მიერ დაშვებულ ზღვარს სცილდება, მოსდევს გამანადგურებელი დარტყმები ნადარეიშვილზე. ასეთი იყო ფრაქცია „აღორძინების“ ნევრთა თავდასხმა პარლამენტის სხდომის დროს, მეომართა კავშირის შიმშილობა პირდაპირ ნადარეიშვილის მისაღებში... „ჩემ მიმართ განხორციელებული ყველა პროვოკაცია პრეზიდენტის გარემოცვიდან მოდის“ (თამაზ ნადარეიშვილი, „ახალი 7 დღე“, 14-20 თებერვალი, 2003).

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსში ნადარეიშვილის ძალისმიერი პოლიტიკა, რომელიც, საბოლოო ჯამში, რუსეთთან დაპირისპირებას ნიშნავს, ედუარდ შევარდნაძეს დაბალანსებული აქვს პრორუსული პოლიტიკით (ამ ხაზს მისი ხელისუფლების ბოლო წლებში ატარებს პრეზიდენტის რწმუნებული აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში – ა. აბაშიძე). ერთი ხელისუფლების შიგნით ფიქსირდება ორი სახელმწიფო უწყების არა განსხვავებული, არამედ რადიკალურად დაპირისპირებული პოზიციები – ეს არის ორი ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური სტრატეგია ერთი ხელისუფლებისთვის:

თამაზ ნადარეიშვილის სტრატეგიული კურსი აფხაზეთის დაბრუნებისთვის მოიაზრებს ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას, ევროსტრუქტურებში ჩართვას, საერთაშორისო სამართლის მიერ აფხაზეთში ქართველთა გენოციდის აღიარების მიღწევას.

ასლან აბაშიძის სტრატეგიული კურსი მოიაზრებს რუსეთის ბაზების საქართველოში დარჩენას, რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტასთან მტკიცე კავშირის შენარჩუნებას. „ლებედი, გრაჩოვი, ლუჟკოვი, ზატულინი – „აფხაზეთის გმირები“ ყოველწელს აჭარაში ისვენებენ“ („ახალი 7 დღე“, 14-20 თებერვალი, 2003).

ხელისუფლების ასეთ პოლიტიკას მისი ექსპერტებისა და გარემოცვის მიერ სახელად ერქმევა სამშვიდობო პოლიტიკა. ასეთი ფსევდოსამშვიდობო პოლიტიკის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგი კი, სხვა მრავალთან ერთად, ისიც არის, რომ საზოგადოებაში ძლიერდება საყოველთაო ნიჰილიზმი დაკარგული ტერიტორიის მშვიდობიანი გზებით დაბრუნების მიმართ: „საქართველოში ვერცერთი მომავალი პრეზიდენტი ვეღარ იტყვის, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობიანი გზებით, თუ მას რეალობასთან

კონტაქტი ექნება და ისე არ იქნება მონყვეტილი ამ რეალობისგან, როგორც ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი“ („ახალი 7 დღე“, 25-31 ივლისი, 2003); „სანამ ხელისუფლება შეინარჩუნებს ისეთ ქვეყანას, სადაც ახალგაზრდები მხოლოდ იმ მიზნით ჩააბარებენ სასწავლებელში, რომ ჯარიდან დაიხსნან თავი, აფხაზეთს არაფერი ეშველება“... „მშვიდობამ არაფერი მოუტანა აფხაზეთის დაბრუნების საქმეს... თუ ომი დაიწყო, ნავალ აფხაზეთის დასაბრუნებლად“ („ახალი 7 დღე“, საზოგადოებრივი გამოკითხვა, 14-20 მარტი, 2003).

საზოგადოებაში არსებულ ამ განწყობას კარგად გრძნობს და იყენებს შევარდნაძესთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების უმეტესობა, რომლებიც 2003 წლიდან ერთ პოლიტიკურ ცენტრში ერთიანდებიან. მცირე გამონაკლისის გარდა, ისინი შევარდნაძის ხელისუფლებას ბრალს სდებენ არა ურთიერთგამომრიცხავი და მიზანმიმართულად დაბლოკილი პოლიტიკური კურსის გამო, არამედ იმაში, რომ მშვიდობიანი პოლიტიკა უვარგისი და უშედეგოა. ბრძოლას უცხადებენ ლოზუნგს: „ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობიანი გზებით“, თითქოს ეს ლოზუნგი (ბრძოლა მშვიდობით!) შევარდნაძის ლოზუნგი ყოფილიყო. „საქართველოში ვერცერთი მომავალი პრეზიდენტი ვეღარ იტყვის, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობიანი გზებით“... „გაერთიანებული დემოკრატების პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია თანამედროვე და მაღალი ხარისხის ჯარის შექმნა... და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნება“ („24 საათი“, 19 ნოემბერი, 2003).

ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, რომელიც ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადება (ნაციონალები, გაერთიანებული დემოკრატები) ერთი შეხედვით თამამ, სინამდვილეში კი პოპულისტურ არჩევანს აკეთებს. თუ 2003 წლამდე მოქმედი ხელისუფლება მოღვაწეობის მიწურულს თავისი რიგებიდან ერთმანეთის მიყოლებით ისტუმრებს ან პოლიტიკურად ძირავს აფხაზეთის დაბრუნების რადიკალური კურსის მომხრეებს (თამაზ ნადარეიშვილი: „ჩემ მიმართ განხორციელებული ყველა პროვოკაცია პრეზიდენტის გარემოცვიდან მოდის“; თანამდებობას ტოვებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე, რომელიც ასევე რადიკალური კურსის მომხრეა („24 საათი“, 8 ოქტომბერი, 2003), ოპოზიცია იღებს ხალხის განწყობას,

იმას, რომ „საზოგადოებას აქვს აფხაზეთის საკითხის ომით დამთავრების სურვილი“ („24 საათი“, 3 დეკემბერი, 2003) და თავის აფხაზურ პოლიტიკას და დაპირებებს მთლიანად ხალხის ამ იმპულსზე ანყობს.

ძნელი სათქმელია, რატომ არ აკეთებს ამას ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება. შესაძლოა, იმიტომ, რომ მისი ძალისმიერი გზა აპრობირებული და ორგზის სასტიკად დამარცხებული (1992-93 წლები, 1998 წლის მაისი) და კიდევ ერთ შანსს ვერც მოითხოვს და არც მისცემს მას ქვეყანა; შესაძლოა, იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ არ აქვს ბოლომდე გაანალიზებული ოპოზიციის მოქმედების მთავარი პრინციპი – ხალხით მანიპულირება; ყველაზე მეტად კი ალბათ დასაშვებია ის, რომ შევარდნაძემ ამ დროს უკვე საბოლოოდ აირჩია დაყრდნობა რუსეთზე თავისი ოპონენტების საწინააღმდეგოდ, რომლებიც დასავლეთს აცხადებენ თავის მხარდამჭერად.

ყოველ შემთხვევაში, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების თამაში ძალასა და მშვიდობას შორის, რასაც შევარდნაძე, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველთვის ცალმხრივი დათმობისა და პოლიტიკური დანაკარგების სასარგებლოდ ამთავრებს („შევარდნაძის მიერ ორჯერ არის უარყოფილი პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რუსეთის სამშვიდობო ჯარის გაყვანის შესახებ“, „24 საათი“, 19 ნოემბერი, 2003. „მაქვს ინფორმაცია, რომ იალტაში საქართველოს პრეზიდენტი დაჰპირდა რუსეთის პრეზიდენტს, რომ ხელს მოაწერს აფხაზეთში სამშვიდობო ჯარების ყოფნის უვადოდ გაგრძელებას“, „ახალი 7 დღე“, 7-12 ივნისი, 2003), ერთი მხრივ, უკიდურესობამდე დაბავს შიდა პოლიტიკურ ურთიერთობებს, აძლიერებს საზოგადოების პროტესტს ხელისუფლების წინააღმდეგ, აგებს დროს აფხაზეთის დასაბრუნებლად, განამტკიცებს რუსეთის ინტერესებს აფხაზეთში, მეორე მხრივ კი, საშუალო ნიშნულზე ინარჩუნებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დაძაბულობას, რაც დაპირისპირებული მხარეებისთვის დიალოგის პირობებს ქმნის. „არსად არის ისეთი გამაღებული დიალოგი, როგორც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში“ (პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, 2003 წლის ზაფხული); „ქართველები და აფხაზები არა მხოლოდ უსმენენ ერთმანეთს, არამედ ურთიერთგაგების უნარსაც ამჟღავნებენ“ (ივლიანე ხაინდრავა, „24 საათი“, 29 ოქტომბერი, 2003).

ლოგიკურია, რომ ნოემბრის რევოლუციის ტალღაზე მოსული ხელისუფლება ვერ შეძლებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დაძაბულობის შენარჩუნებას საშუალო ნიშნულზე, ეს არ მონებდა რევოლუციის ეიფორიაში მყოფ ხალხს. მთავარი ის არის, რომოპოზიციას არ აქვს აფხაზეთის დაბრუნების არავითარი პროგრამული დოკუმენტი, ყოველ შემთხვევაში, ასეთ პროგრამას არ იცნობენ ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკოსები – ევლიანეხაინდრავა: „მათ არ აქვთ საკითხისადმი სისტემური მიდგომა“ („24 საათი“, 29 ოქტომბერი, 2003). ახალი ხელისუფლებისთვის აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ძალზე მგრძნობიარე და სპეციფიკური საკითხი რევოლუციის გზით დაუყოვნებლივ მოსაგვარებელ საკითხთა შორის იკავებს ერთ-ერთ ადგილს. „ხავერდოვანმა რევოლუციამ დაამტკიცა, რომ საზოგადოებამ თუ მოინდომა და გაერთიანდა, ყველაფერს მი-აღწევს... ვთხოვ „რუსთავი2-ს“, აქტიური როლი შეასრულოს ამ პრობლემის აქტუალიზაციაშიც... ხავერდოვანმა რევოლუციამ და იგორ ივანოვის ელვისებურმა ვიზიტმა დაადასტურა, რომ რუსეთი უკან იხევს, თუ ქვეყანას ექნება პრინციპული, მყარი და თანმიმდევრული პოზიცია“ (თორნიკე ბერიშვილი, „შერიგების რესურსების“ მხარდაჭერილი პროექტის – „თქვენი აფხაზეთის“ კოორდინატორი, „24 საათი“, 28 ნოემბერი, 2003).

მიხეილ სააკაშვილის მიერ მოგვიანებით გაკეთებულ საომარ განცხადებებს, სწორედ, სამოქალაქო სექტორის ერთი ნაწილის ასეთი მოწოდებები უძღვის წინ. რევოლუციის გზით მოსული სახელისუფლებო ტრიუმფირატი საჯაროდ მხოლოდ ასეთ ფონზე აკეთებს იმ განცხადებებს, რომლებსაც იგივე სამოქალაქო სექტორი დღეს მას ხშირად ახსენებს: ნინო ბურჯანაძე – თუ სამშობლოს დასჭირდა, ერთ შვილს აფხაზეთის, მეორეს კი ცხინვალის დასაბრუნებელ ბრძოლაში გავგზავნი! მიხეილ სააკაშვილი: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ჯარს ვამზადებ და მზად ვარ, სამხედრო ფორმა ჩავიცვა და ყაზარმაში დავიძინო! („24 საათი“, 10 დეკემბერი, 2003); „საქართველოს პრეზიდენტმა რუმინეთში ვიზიტის წინ თქვა, რომ აჭარის რევოლუცია აფხაზეთში გაგრძელდება“ („ახალი 7 დღე“, 21-37 მაისი, 2004).

სააკაშვილის ხელისუფლებას რევოლუციის პირველ წელს არ სჭირდება ძალისმიერი კურსის შენიღბვა. უფრო სწორად, არ სჭირდება რევოლუციების (თბილისი, აჭარა) მონაწილე ქარ-

თველი საზოგადოების წინაშე. ამ დროს კი მის განცხადებებს არც ჰყავს სხვა ადრესატი – მათ შორის, აფხაზი ხალხი, რომელიც უკიდურესად შემფოთებულია სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების რევოლუციური დაპირებებით. აფხაზი საზოგადოება ქართველ საზოგადოებაზე ადრე გრძნობს და განგაშს ტეხს იმის გამო, რომ ძალისმიერი გზა ცხადდება ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების ერთადერთ პრიორიტეტად აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკაში. „უნდა ვიყოთ მზად ძალისმიერი მეთოდებით დასაბრუნებლად... მშვიდობიანი დაბრუნება აფხაზური მხარისთვის მაინც იძულებითი იქნება... იძულების თავი რომ გვეკონდეს, ძლიერი ჯარი უნდა გვყავდეს“ (ვასილ მალლაფერიძე, „ახალი 7 დღე“, 23-29 იანვარი, 2004).

ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს შვეარდნაძის ხელისუფლების ე. წ. ძალისმიერი ფრთის (ნადარეიშვილი და აფხაზეთის დეპუტაცია) და რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკაში.

ნადარეიშვილის პოლიტიკური კურსის ძირითადი პუნქტები იყო:

1. გაეროს ნესდების მე-7 მუხლის ამოქმედება და ჰააგის ტრიბუნალზე ქართველთა გენოციდის აღიარების მიღწევა.
2. კოდორის, როგორც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტის, გამოყენება („შვეარდნაძის ხელისუფლება არ აღიარებს, რომ კოდორის ხეობა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტია... ემზარ კვიციანის დამსახურებაა, რომ ხეობას ამ მნიშვნელობით ვერ ვიყენებთ“ (თამაზ ნადარეიშვილი, „ახალი 7 დღე“, 27 ივნისი – 3 ივლისი, 2003).
3. პარტიზანული მოძრაობის, როგორც აფხაზეთის პოლიტიკის მუშაობისთვის საჭირო ერთ-ერთი მთავარი რესურსის მხარდაჭერა. „მე ვმფარველობ პარტიზანულ მოძრაობას აფხაზეთის დაბრუნებისთვის“... „პარტიზანულ მოძრაობას შეუძლია, დააჩქაროს მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ“ (თამაზ ნადარეიშვილი, „24 საათი“, 6 აგვისტო, 2003).

იგივე პრიორიტეტები იკვეთება ახალი ხელისუფლების აფხაზურ პოლიტიკაში მოსვლისთანავე. უფრო მეტიც, ჟვანია-საკაშვილი-ბურჯანაძის ჯგუფი უჭერდა მხარს ნადარეიშვილის მიერ უშიშროების საბჭოში შეტანილ ყველა ინიციატივას გაეროს

მე-7 მუხლის მოთხოვნის შესახებ – „ნუ შევხედავთ, რომ ეს არის სრულიად ახალი ხელისუფლება... უშიშროების საბჭოზე ჩემ მიერ წარდგენილ საკითხს უვანია უჭერდა მხარს, როცა წევრი იყო, შემდეგ ბურჯანაძე და სააკაშვილი“ (თამაზ ნადარეიშვილი, „ახალი 7 დღე“, 23-29 იანვარი, 2004).

2003 წელსვე იკვეთება (შემდეგ კი თანდათან ძლიერდება) სააკაშვილის ხელისუფლების ძალისმიერთა შორის ერთი ჯგუფი, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს ნადარეიშვილის ლოზუნგებს. ისინი აფხაზეთის დაბრუნების ძალისმიერ გზაში გულისხმობენ საერთაშორისო სტრუქტურების ზენოლას აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასა და მათ მფარველ რუსეთზე, ესენი, როგორც ნადარეიშვილის ჯგუფი, გამორიცხავენ აფხაზეთთან დიალოგს, რადგან, მათი აზრით, მეორე მხარე არის მხოლოდ რუსეთი, რუსეთზე ზენოლა კი მხოლოდ საერთაშორისო ძალებით შეიძლება. „საკმარისი იქნება მხოლოდ ქართული მხარის ინიციატივა, რომელიც დღევანდელი ხელისუფლებისადმი გარე ძალების მხარდაჭერის გამო შედეგს გამოიღებს“... „რომის კონვენციას მიუერთდა საქართველო, რომლის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველო თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ განხორციელდა ქმედებები, რომლებიც მიმართულია (თვით სამხედრო დანაშაულის ჩათვლით) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ“... „გაეროს უშიშროების საბჭო თუ დათანხმდება, ევროკავშირი აფხაზეთში სამშვიდობო მისიას განახორციელებს“ (შ. მალაშხია, „24 საათი“).

კოდორის სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობით გამოყენების კურსიც, რომელიც სტარტს ახალ ხელისუფლებაში ჯერ კიდევ 2004 წლის დასაწყისში იღებს, ძველი ძალისმიერების პროგრამიდან არის აღებული. ახლები კოდორში საქართველოს ხელისუფლების „შენარჩუნებას“ ითხოვენ თუნდაც საერთაშორისოდ აღიარებული ხელშეკრულებების დარღვევის ფასად. „აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ იმ ნაწილში, რომელიც დაკარგული არ არის – კოდორში... ხელშეკრულებები ვერანაირად შეგვიშლის ხელს, თუ ჩვენ აფხაზეთის დასაბრუნებლად რამეს გავაკეთებთ... ხელშეკრულებები იმისთვის იდება, რომ ორივე მხარემ (ან ერთ-ერთმა) მოიგოს დრო“ (ვასილ მალაფერიძე, „ახალი 7 დღე“, 23-29 იანვარი, 2004).

საინტერესოა, როგორი განსხვავებულია ორი ხელისუფლების დამოკიდებულება ერთი და იმავე ამოცანის გადაჭრასთან – ნადარეიშვილი მიიჩნევს, რომ კოდორში ახალი რეალობის შესაქმნელად „უნდა მოხდეს ყველა იმ დოკუმენტის დეზავუირება, რომლებიც 10 წლის განმავლობაში შეიქმნა“ – „ახალი 7 დღე“ – იგულისხმება 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დეზავუირებაც, რომლის თანახმად, მხარეებს არ აქვთ უფლება, ხეობაში შეიყვანონ შეიარაღებული ფორმირებები (სწორედ, ეს ხელშეკრულება მიიჩნია 2006 წლის კოდორის ოპერაციის დროს ქართული მხარის მიერ დარღვეულად საერთაშორისო საზოგადოებამ; ამავე ხელშეკრულებას გულისხმობდა პარლამენტარი ვასილ მალაფერიძე, როცა ამბობდა: ხელშეკრულებები არსებობს იმიტომ, რომ მხარეებმა დრო მოიგონ...).

თამაზ ნადარეიშვილის პოლიტიკური კურსის მესამე რესურსიც – პარტიზანული მოძრაობა, რაც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაში მუდმივი დესტაბილიზაციის შექმნასა და საქართველოს მხრიდან მუდმივი პროტესტის გამოხატვას ემსახურება, ახალი ხელისუფლების პოლიტიკაში ძველი და ახალი ფორმებით გრძელდება: „სანამ საქართველოში იქნება პარტიზანული მოწოდებები და მუქარა, მანამ აფხაზები რუსეთს ვერ მოსცილდებიან“, (პროფესორი გიორგი ანჩაბაძე ამის შესახებ ხელისუფლებას 2005 წელს აფრთხილებს). 2003 წლის დეკემბერში, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთ თვეში, განახლდა კრიმინალურ-დივერსიული ჯგუფების მოქმედება. სამართლიანობა მოითხოვს, ხაზი გაესვას ფაქტების ზუსტ ქრონოლოგიას: ოჩამჩირის რაიონის სოფელ პრიმორსკოედან იტაცებენ სამ აფხაზ მესაზღვრეს. აფხაზები იმით პასუხობენ, რომ გალის რაიონის სოფელ გაგიდაში მილიციელთა 40-კაციანი რაზმი შეჭყავთ, აწიოკებენ სოფელს და მძევლად იყვანენ 10 ქართველს („24 საათი“, 24 დეკემბერი, 2003).

თუ 2003 წელს ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა, რომ მსგავსი ექსცესების გამო პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება (თუმცა, ასეთი შეხედულება ჩნდება ორივე – ქართველ და აფხაზ საზოგადოებებში თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ ხელისუფლება არ აფასებს ასეთ ფაქტებს – არ ემიჯნება მათ), ამის თქმა უკვე თამამად შეიძლება მომდევნო წლებში. 2005 წლის სექტემბერში ახალგაზრდული მოძრაობა „პატრიოტის“ ფორუმზე

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აკეთებს განცხადებას, რომელშიც ამბობს, რამდენიმე დღე ვიყავი აფხაზეთის ტყეებში... („24 საათი“, სექტემბერი, 2005) ცხადია, აფხაზურ პოლიტიკურ სპექტრში ეს განცხადება ერთმნიშვნელოვნად აღიქმება, როგორც საქართველოს ხელისუფლების მიერ პარტიზანული მოძრაობის მართვა, ყოველ შემთხვევაში, მასთან ხელისუფლების პირდაპირი კავშირი. 2007 წლის აფხაზეთის დეფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების წინ იწყება ქართული მხარის აქციები ენგურის ხიდზე და ამ აქციებს აფხაზეთის კულტურისა და განათლების სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო მართავს. მათი მიზანია აფხაზეთის დეფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების გაპროტესტება („ახალი 7 დღე“, 2-8 მარტი, 2007); 2006 წლის დეკემბრის ბოლოს ქართველი სამართალდამცველები აკავებენ გალის რაიონის ქვემო ბარლების ადმინისტრაციის უფროს კაჩი ბერიას, რაც იწვევს სოფლის მცხოვრებლების პროტესტს, ისინი ენგურის ხიდს უკეტავენ საკუთარ – საქართველოს ხელისუფლებას, წესრიგის დასაცავად გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში აფხაზური მილიცია შეჰყავთ („ახალი 7 დღე“, 29 დეკემბერი – 4 იანვარი, 2007). „ორი კვირის შემდეგ გალში მოკლეს აფხაზური მილიციის ორი თანამშრომელი: ოთარ ტურამბა და ალიკ ახიშა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ 28 დეკემბერს პირველ და მეორე ოტობაიაში, აგრეთვე ფიჩორაში შევიდნენ აფხაზი შეიარაღებულები“ („ახალი 7 დღე“, იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის რევოლუციის შემდგომ ხელისუფლებას აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკის თითქმის ყველაპრინციპიალებულიაქვს წინა ხელისუფლების ძალისმიერთა პოლიტიკიდან, პერსონალურად მათ დაშვებაზე თავის რიგებში უარს ამბობს (თამაზ ნადარეიშვილი: „თუ სააკაშვილს სჭირდება ნადარეიშვილი და მისი რადიკალური პოზიცია, მაშინ მე გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, თუ სხვა გზას აირჩევს, მე აღარ დავბრუნდები“, „ახალი 7 დღე“, 23-29 იანვარი, 2004). სააკაშვილი აგრძელებს „მის რადიკალურ პოზიციას“, მაგრამ ნადარეიშვილს არ აბრუნებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ამის მიზეზი ძალიან გვიან, 2006 წლის კოდორის მოვლენების შემდეგ, ხდება ნათელი, როცა საქართველოს ხელისუფლებიდან აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნების პოლიტიკის კიდევ ერთი, ყველაზე აქტიური ფიგურა – თავდაცვის მინისტრი, კო-

დორის ოპერაციის ერთ-ერთი ავტორი ირაკლი ოქრუაშვილი მიდის. „ოქრუაშვილი გადააყოლეს კოდორის ოპერაციას. ეს იყო რევერანსი საერთაშორისო საზოგადოების თვალის ასახვევად. მეორე მხრივ კი, სცენაზე სააკაშვილს აღარ ჰყავს კონკურენტი „აგრესიაში“. საქართველოში აგრესიულ პოლიტიკას ჰყავს ბევრი მომხრე, მთელი მათი სიმპატია გადადის სააკაშვილზე („ახალი 7 დღე“, 29 დეკემბერი – 4 იანვარი, 2007). სწორედ, ეს არის ნადარეიშვილის „ახალ“ პოლიტიკაში დაუშვებლობის მიზეზიც.

თუ დავაკვირდებით, მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, ერთდროულად იყოს აფხაზეთის პოლიტიკის სხვადასხვა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული კურსის ლიდერი – მის პირად ინიციატივასთან და იდეასთან უნდა ასოცირდებოდეს ყველაფერი: საპროგრამო დოკუმენტების, კონცეფციების შექმნა, აფხაზებთან ურთიერთობის ფორმატის განსაზღვრა, კოდორის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადება და თვით რიგითი პიარაქციებიც კი პატრიოტთა ბანაკებში. სააკაშვილის პლიტიკის ეს შტრიხები კარგად ჩანს საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებებში: „იმის დაპირებამ, რომ კონფლიქტების მოგვარება მისი უშუალო მეთვალყურეობით მოხდება, სააკაშვილის რეიტინგი მკვეთრად გაზარდა და დაუკავშირა მის პირად ლეგიტიმურობას და არა მოგვარების მექანიზმებს“ (ლოურენ ბრუერის წიგნიდან „შეუზღუდავი ძალაუფლება“, „24 საათი“, იანვარი, 2006).

ხელისუფლების პირველი პირის ამ ამბიციას ეწირებიან არა მხოლოდ ძალისმიერი კურსის ლიდერები, არამედ მშვიდობის კურსის ლიდერებიც. თუ ხელისუფლებიდან მათი გაყვანის ფაქტებს გვერდიგვერდ დავალაგებთ (ირაკლი ალასანიას, გიორგი ხაინდრავას, ირაკლი ოქრუაშვილის). ცხადი გახდება, რომ თითოეული მათგანი პოლიტიკიდან გაიყვანეს თავისი პოპულარობის ძალიან მაღალი დონიდან. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის, ირაკლი ალასანიას, და კონფლიქტების დარეგულირების დარგში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას ავტორიტეტი აფხაზეთის სამშვიდობო პოლიტიკის მომხრეთა შორის მაქსიმალურად გაიზარდა. თავად აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ და სამოქალაქო სექტორმა აღიარეს ალასანია მთავარ ფიგურად სამშვიდობო პოლიტიკაში, როცა დათანხმდნენ ორმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში ირაკლი ალასანიასთან შესახვედრად ჟენევაში ჩასვლაზე – მიუხედავად

იმისა, რომ ალასანია აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ალტერნატიული მთავრობის, თავმჯდომარე იყო („24 საათი“, მარტი, 2005).

ირაკლი ალასანია ხდება აფხაზეთის პოლიტიკურ კურსში ნოვაციური ლოზუნგის ავტორი (რომელიც მან სამოქალაქო სექტორიდან წამოიღო): მივცეთ გზა აფხაზებს დასავლეთისკენ, ეს რუსეთისგან მათი იზოლირების გზა იქნება... „აფხაზებისთვის დასავლეთისკენ გზის გახსნა ქართული მხარის ინტერესებშიც შედის“ („24 საათი“, აგვისტო, 2005).

როგორც მოვლენათა დინამიკა აჩვენებს, ქართულ-აფხაზური დიალოგი ყველაზე კონსტრუქციული, სწორედ, მაშინ ხდება, როცა ხელისუფლებიდან მასში ერთდროულად მონაწილეობენ ხაინდრავა და ალასანია. „ადრე აფხაზები ხშირად გვახსენებდნენ სააკაშვილისა და ოქრუაშვილის აგრესიულ განცხადებებს, ახლა კი არც შეუხსენებიათ და, პირიქით, აღნიშნეს საკმაოდ დადებითი როლი ახალი ხელისუფლებისა აფხაზური არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაში“ („24 საათი“, 2005). შესამჩნევია, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება არა მხოლოდ დეკლარირებულად აღიარებს სამშვიდობო ფიგურებთან თანამშრომლობის პერსპექტივას, არამედ საქმიანაც აკეთებს ამას. ირაკლი ალასანიას ერთ-ერთ განცხადებას ფენევაში, რომ ბლაფშის ხელისუფლება დევნილების სახლების პრივატიზაციას აპირებს, მოსკოვიდან ბლაფშის შემხვედრი ახსნა-განმარტება, ფაქტობრივი თავის მართლება მოჰყვა. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოღვაწე სამშვიდობო ფრთამ შეძლო ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება სოხუმთან. ამ კომუნიკაციის სუბიექტი, აფხაზეთის პოლიტიკის დადებითი კონტექსტის გმირი კი ვერ გახდა მიხეილ სააკაშვილი. ის სხვა ლიდერების ჩრდილში დარჩა. მას საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები და ლამის მთელი საზოგადოება მიიჩნევენ აფხაზეთის პოლიტიკის მთავარ სუბიექტებზე (ალასანია-ხაინდრავა) დამოკიდებულად, იწყება საუბარი საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის შეხვედრის შესაძლებლობაზე („დავრწმუნდი, რომ სააკაშვილისა და ბლაფშის შეხვედრა აუცილებელია. ჩემი აზრით, კომუნიკაცია შეიძლება დაიწყოს სააკაშვილისა და ბლაფშს შორის, თუნდაც სატელეფონო“ – პაატა ზაქარეიშვილი, „24 სა-

ათი“, 2005). აფხაზეთის პოლიტიკის სამშვიდობო კურსში ყველა ასეთ „შესაძლებლობას“ პრეზიდენტს უკვე ძალიან პოპულარული ჯგუფი უქმნის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლიდან 2005 წლის გაზაფხულამდე სრულიად მშვიდობიანად გამოიყურება თავად სააკაშვილის განცხადებებიც, რომლებიც აქამდე გაჯერებული იყო თბილისისა და აჭარის რევოლუციების იმპულსით. საქართველოს პრეზიდენტი საზღვარგარეთულპრესასთან თუ ადგილობრივ შეხვედრებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული მხრიდან ომი დაუშვებელია. „1992 წლის შემდეგ რუსეთთან კონფლიქტის განმეორება კატასტროფა იქნება“ („24 საათი“, ოქტომბერი, 2004). „საქართველოს ხელისუფლება მზად არის, დიალოგი აწარმოოს ამ ხელისუფლებასთან, პირადად ბაღაფშთან... დარწმუნებული ვარ, არც აფხაზებისთვის და არც ქართველებისთვის დიალოგს ალტერნატივა ამ ეტაპზე ნამდვილად არ აქვს“ („24 საათი“, დეკემბერი, 2004). 2004 წლის დეკემბრის ბოლოს მიხეილ სააკაშვილი უშიშროების საბჭოს ავალეზს, რომ უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს ქვეყნის შიდა კონფლიქტების დარეგულირების კონცეფცია, ჩამოაყალიბონ წინადადებები აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ. მოუწოდებს არასამთავრობო სექტორს, რომ წარადგინონ კონცეფციები. „ისეთ სტატუსს შევთავაზებთ აფხაზებს (უპრეცედენტოს), რომ რუსები ხმას ვერ ამოიღებენ“ („24 საათი“, დეკემბერი, 2004). უშიშროების საბჭოში შეტანილი ათამდე კონცეფციის მიუხედავად (სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის კონცეფცია; საინიციატივო ჯგუფის კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ; ნოდარ ნათაძის „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გარანტირებული მოგვარების კონცეფცია“, ვახტანგ ხმალაძისა და ავტორთა ჯგუფის ეკონომიკური ხასიათის პროექტი; ნოდარ სარჯველაძისა და ავტორთა ჯგუფის პროექტი და სხვები), პრეზიდენტს არც ერთ მათგანზე არ გამოუთქვამს აზრი. ცოტა ხანში ცხადი გახდა, რომ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის სურვილმა საქართველოს პრეზიდენტს გადაუარა.

რამდენიმე ფაქტორი შეიძლება დავასახელოთ იმის მიზეზად, რატომ დამთავრდა უშედეგოდ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა, აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნების კონცეფცია შექმნილიყო სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით.

პირველი და მთავარი არის ის, რომ სრულიად განსხვავებულ-ლია საქართველოს ხელისუფლებისა და სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების შეხედულებები კონფლიქტის მოგვრების ტაქტიკაზე და საქართველოს სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილი ამ ტაქტიკას უჭერს მხარს. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური კურსი არის მაქსიმალიზმზე ანყობილი (ჯონათან კონი, „24 საათი“, იანვარი, 2005), სოხუმის ხელისუფლების კურსი არის ნაბიჯ-ნაბიჯის პრინციპზე ანყობილი. „სტატუსზე არ არიან თანახმა, მაგრამ სოჭისა და ჟენევის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით სურთ საუბარი“ („24 საათი“, იანვარი, 2005). სერგეი ბალაფში: „ჩვენი ექსპანსია იქნება ის, რომ ჩვენი მეზობელი საქართველო ეკონომიკურად ჩვენზე ჩქარა განვითარდება... ასეთ დროს მოლაპარაკებები ძალზე რთული იქნება“ („24 საათი“, ივლისი, 2005); „არასდროს დავთანხმდებით, რომ სადღაც შეგვათრიონ... ვანარმოებთ მხოლოდ მოლაპარაკებებს რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით“ (ალექსანდრე ანქვაბი, „24 საათი“, აპრილი, 2006). საქართველოს სამოქალაქო სექტორი მოქმედების, სწორედ, ისეთ კურსს უჭერს მხარს, რომელიც გულისხმობს მაქსიმალურის მიღწევას მინიმალური, მცირე-მცირე ნაბიჯების შედეგად. არასამთავრობო სექტორის ამ ნაწილის აზრით, რადგან აფხაზები და ქართველები სრულიად სხვადასხვა რეალობიდან უყურებენ პრობლემას (აფხაზებს სურთ დამოუკიდებლობა, ქართველებს – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; აფხაზებს უნდათ რუსეთთან ინტეგრირება, ქართველებს – ევროპასთან...), ამიტომ საჭიროა „მოგება-მოგებაზე ორიენტირებული დიალოგი“ (ნოდარ სარჯველაძე, „24 საათი“, 1 სექტემბერი, 2004), რომლის დროს მოხდება დათმობები ორივე მხრიდან (რათა შენც დაგიტომონ). ამ დროს წინადადებათა და შეთავაზებათა პაკეტი უნდა კონცენტრირდეს ორ მთავარ შეთავაზებასთან: ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა აფხაზებისთვის (ბლოკადა მხოლოდ რუსეთის ეკონომიკაზე აბამს ოკუპირებულ მხარეს) და ქართულ-აფხაზური ეკონომიკური, კულტურული, ჰუმანიტარული პროექტების განხორციელება (აფხაზების ინტეგრირებისთვის ქართულ ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში. „მაქსიმუმის მოთხოვნით სასურველი შედეგის მიღების პრინციპი არათუ არ გამოგვადგება, კიდევ უფრო დააშორებს მხარეებს. უნდა მოიძებნოს საერთო ინტერესის სფეროები“ („ახალი 7 დღე“, 18-24 თებერვალი, 2005);

„ჩვენ უნდა მოვხსნათ ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც მაინც ფორმალურია. ეს იქნება ორი მიმართულებით შედეგიანი: ჯერ ერთი, რუსეთს ხელიდან გამოვაცლით აფხაზეთის მართვის ეკონომიკურ ბერკეტებს, და მეორე – დახმარების ხელს გავუწვდით აფხაზებს“ (პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, დეკემბერი, 2004); „ვასკდებით და ვასკდებით ამ სამშვიდობოების გაყვანას... სხვა რამ გავაკეთოთ... უამრავი ისეთი რამის გაკეთება შეგვიძლია, რაშიც რუსები ხელს ვერ შეგვიშლიან“ (პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, თებერვალი, 2006); „აფხაზებს აფუხსნათ, რომ ნატო პოლიტიკური ორგანიზაცია არის... ევროინტეგრაციისთვის საჭირო... ევროპა არ აღიქმება მილიტარისტულ და ვინმესადმი მტრულად განწყობილ ორგანიზაციად... რომ ევროპა მცირე ერების უფლებებს იცავს...“ (ივ. ხაინდრავა, „24 საათი“, მარტი, 2006).

საქართველოს ხელისუფლებისთვის ცხადი ხდება, რომ მისი პოლიტიკური კურსის მაქსიმალიზმი სრულიად მიუღებელია სამოქალაქო სექტორისთვის. თანამშობლოა შეუძლებლად მიიჩნევა. ეს კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა საქართველოს სამოქალაქო სექტორის დამოკიდებულებაში, ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ კონცეფციასთან (საგზაო რუკა) და, მეორე მხრივ, აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილ „მომავლის გასაღებთან“. როგორი უცნაურიც უნდა იყოს, სამოქალაქო სექტორისთვის უფრო გასაგები მეორე პროექტი აღმოჩნდა, რადგან, სტრატეგიული შეუთავსებლობის მიუხედავად, აფხაზურ პროექტთან შეთავსებადი იყო პრობლემის მოგვარების მათეული ტაქტიკა. „საგზაო რუკა დანანევრებულად ვერ წარმოაჩენს პრობლემას, ერთბაშად, თავში გამოაქვს ტერიტორიული მთლიანობისა და დევნილების დაბრუნების საკითხი... აფხაზებმა კი წარმოდგინეს პროექტი, რომელიც პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებს ნაბიჯ-ნაბიჯ“ (პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, ივლისი, 2006).

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტი უარს ამბობს არასამთავრობოების მიერ წარმოდგენილ კონცეფციებთან თანამშრომლობაზე, არის, ერთი მხრივ, ამ პროექტების არაპოპულარობა საზოგადოებაში და, მეორე, ამ პროექტების სრული მიუღებლობა პრეზიდენტის გარემოცვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ნაწილისთვის. ისინი განსაკუთრებით აქტიურდებიან 2005 წლიდან,

სწორედ მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭოში გროვდება პროექტები, რომლებიც ხელისუფლებას სთავაზობენ საქართველოს ფედერალური მოწყობის მოდელს, როგორც საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში აფხაზეთის შემოყვანის ერთადერთ გზას. ფედერალიზმის იდეა გატოლებულია სამშობლის ღალატთან, უმეცრებასთან, ქვეყნის დაღუპვის მონადინებასთან – ასეთი შეფასებები გაისმის როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუციიდან, აგრეთვე ხელისუფლების რიგებიდან: „ფედერალიზმის იდეა თავის დროზე ჰქონდათ ელცინსა და გრაჩოვს... როგორ გააფორმებს ხელშეკრულებას აფხაზეთის სახელმწიფოსთან, თუ არ ცნობს მის ხელისუფლებასა და მის არსებობას“ (არასამთავრობო ორგანიზაცია „დაბრუნება“, „24 საათი“, იანვარი, 2005); „ეს სტატუსი ნიშნავს ხვალ სახელმწიფოებრივ პრობლემას“ (შ. მალაშხია, იქვე); „დავარქვათ ფედერალიზმი, ოღონდ შინაარსით უნიტარული იყოს“ (შ. ახალაია, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, „24 საათი“, მარტი, 2005); „ეს პროექტი მოენონათ მოსკოვში. აფხაზებსაც მოენონათ ალბათ, მაგრამ დროის გაყვანა უნდათ... საქართველო უნდა დარჩეს ისეთივე უნიტარულ სახელმწიფოდ, როგორიც იყო ისტორიულად“ (ზ. კვარაცხელია, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილების გამგე, „24 საათი“, მარტი, 2005).

პრეზიდენტის გარემოცვაში „მოგება-მოგების“ პრინციპის მხარდამჭერთა ჯგუფს (ირაკლი ალასანია, გოგა ხაინდრავა) მუდამ სჭარბობდა რადიკალური ზომების მხარდამჭერთა ფრთა. ეს კურსი მაშინვე გადმოდიოდა წინა პლანზე, როგორც კი ალასანია-ხაინდრავას კურსი ეტაპობრივ წარმატებას აღწევდა.

ფაქტი 1 – 2005 წელი, აგვისტო. ალასანია-ხაინდრავას უწყებების მიერ წარდგენილ დოკუმენტს „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭო („24 საათი“, სექტემბერი, 2005).

სექტემბერში ქვეყნის თავდაცვის მინისტრი აკეთებს განცხადებას, რომ აფხაზეთის ტყეებში იყო რამდენიმე დღე, სადაც, აფხაზთა მტკიცებით, ქართველი პარტიზანები არიან, რაც აფხაზებისგან იწვევს პროტესტს („24 საათი“, სექტემბერი, 2005).

ამავე პერიოდში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ

საუბრისას იყენებს ტერმინს „ამორალური ანექსია“, რაც აფხაზებისა და რუსებისგან ასევე მწვავე რეაქციას განაპირობებს („24 საათი“, ოქტომბერი, 2005).

ფაქტი II – სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აღწევს შეთანხმებას სოხუმში ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომ ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ერთმანეთს წარუდგინონ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროექტები.

ამავე პერიოდში პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და მშვიდობიანი კონტინგენტის დაუყოვნებელი გაყვანის თაობაზე და ულტიმატუმს უყენებს რუსეთს, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ხელს უშლის ხელისუფლებაში „მოგება-მოგების“ პრინციპით მომუშავე ალასანია-ხაინდრავას ჯგუფს.

ჩვენი აზრით, აფხაზეთის პოლიტიკა ზუსტად იმავე პრობლემებს აწყდება, რაც წინა ხელისუფლების პოლიტიკის მთავარი პრობლემა იყო: ხელისუფლება ერთი ხელით სამშვიდობო კონცეფციებს წერს, მეორე ხელით – საომარ ულტიმატუმებს. „საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის მიმართ რაღაც მეგაფონურ დიპლომატიას ახორციელებს... არის ორმაგი სტანდარტი: ძალაზე საუბარი, მშვიდობაზე საუბარი“ („24 საათი“, იანვარი, 2005)

ჩვენი აზრით, ერთ-ერთ მთავარ როლს იმაში, რომ ხელისუფლება ნელ-ნელა ირჩევს ძალისმიერ გზას და მიდის სამშვიდობო გზის საბოლოო უარყოფამდე, ასრულებს ისიც, რომ ძალისმიერი კურსის მომხრეებად ხელისუფლებას თავად სამოქალაქო სექტორისა და პოლიტიკური ოპოზიციის უამრავი წარმომადგენელი ეგულება. მათგან ყველა არ დეკლარირებს ამ პოზიციას, თუმცა ექსტრემელურ სიტუაციაში ძალისმიერ გზას უჭერს მხარს. მართლაც, შესამჩნევია, რომ ამ სპექტრის მხოლოდ თითო-ოროლა წარმომადგენელი ემიჯნება 2006 წლის ზაფხულში კოდორში ჩატარებულ ოპერაციას. უმეტესობა არა მხოლოდ მხარს უჭერს, არამედ ხოტბას ასხამს შეიარაღებული ჯგუფების შეყვანას კოდორში. „ყველამ უნდა აღიაროს, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს ასეთი გადაწყვეტილების უფლება“, – არჩილ გეგეშიძე („ახალი 7 დღე“, 11-17 აგვისტო, 2006); „ამ ნაბიჯით მსოფლიოს დავანახეთ, რომ აფხაზეთში კოსოვის ვარიანტის გათამაშება შეუძლებელია, – ზურაბ შენგელია (იქვე); „ამ ეტაპზე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ სწორ

პოლიტიკას ახორციელებს ქართული მხარე, – ადა მარშანია („ახალი 7 დღე“, 4-10 აგვისტო, 2004).

მკვეთრი გამყოფი ხაზი სააკაშვილის ხელისუფლების სამშვიდობო და ძალისმიერ კურსებს შორის დროითი თვალსაზრისით ივლება 2005 წლის მაისის შემდეგ. თავისუფლების მოედანზე აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლას, რომელიც ორი მთავარი მესიჯისგან შედგებოდა (პირველი – საქართველოს ტრანსკავკასიურ ალიანსში გასაწევრიანებლად კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს; და მეორე – აფხაზებს უნდა ჰქონდეთ ავტონომიური უფლებები საქართველოს სახელმწიფოში), საქართველოს ხელისუფლების რადიკალური ფრთა იგებს, როგორც საქართველოს უნიტარული მოდელის მხარდაჭერას, რომელშიც აფხაზები უნდა დათანხმდნენ ავტონომიურ უფლებებზე. „გავისხენოთ ბუშის სიტყვა, სადაც მან ავტონომია ახსენა„; ან: „მთავრობაც ასე ჩამოყალიბდა და შეჩერდა აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსზე უნიტარულ სახელმწიფოში“ (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია, „24 საათი“, მაისი, 2005).

2005 წლის მაისიდანვე იწყებს საუბარს ხელისუფლება სამხედრო გზით აფხაზეთის დაბრუნების შესაძლებლობაზე (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთ განცხადებებში სამხედრო გზა დასახელებულია, როგორც ალტერნატიული და მხოლოდ მშვიდობიანი რესურსების შემდეგ ასამოქმედებელი. ასეთი განცხადებების ავტორებისთვის მშვიდობიანი გზა უკვე ან თითქმის ამონურულად მიიჩნევა). „შლაინინგის პროცესზეც არ მოვრიდებივარ განცხადებებს, რომ ნამდვილად არ მიმაჩნია მშვიდობიანი გზა უალტერნატივოდ“ (ნიკა გვარამია, „24 საათი“, მაისი, 2005); „სეპარატისტებთან მოლაპარაკება უკვე შეუძლებელია. ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ დამნაშავენი და ხალხი“ (პაატა დავითაია, მაისი, 2005); „პრეზიდენტი გარკვევით ამბობს, ჯარს იმიტომ ვაძლიერებთ, რომ აფხაზი ხალხი დავიცვათ სეპარატისტებისგანო“ (თემურ მჟავია, იქვე).

2006 წლის დასაწყისში ექსპერტები უკვე აცხადებენ, რომ „ის ფანჯარა, რომელიც ჩვენსა და აფხაზებს შორის აფხაზეთის არჩევნების დროს გაიჭრა, ნელ-ნელა იკეტება“; „ამავე პერიოდში ქართული მხარის მიზეზით აფხაზურ მხარესთან რამდენიმე სერიოზული შეხვედრა ჩაიშალა“ (პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, თებერვალი, 2006).

2006 წლის ზაფხულში იმართება სტამბოლის შეხვედრა, რომელსაც ისევე არ ესწრებიან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც რამდენიმე წინა შეხვედრას. ამ შეხვედრის ქართველი მონაწილეები შენიშნავენ, რომ მხარეებს შორის გაუცხოვება და დაძაბულობა მაქსიმუმს აღწევს („24 საათი“, ივნისი, 2006).

სამშვიდობო კურსის მექანიზმები და პერსონები საბოლოოდ მიდიან პოლიტიკიდან. შესამჩნევია, რომ ასეთი პირები ხელისუფლებიდან წასვლამდე ფრაგმენტულად, დროის მცირე მონაკვეთში, იღებენ კომპრომისულ გადაწყვეტილებას და დგებიან ხელისუფლების ძალისმიერი კურსის მხარეს. მათი კურსის ტრანსფორმირება ნაწილობრივ განპირობებულია მათი თანამდებობრივი მოვალეობებით, თუმცა ასეთ მოვალეობაზე, საბოლოო ჯამში, უარს აცხადებენ. აფხაზეთმა პერსონალური უნდობლობა გამოუცხადადეს სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გიორგი ხაინდრავას მისი ხისტი განცხადებების გამო („მან რუსეთს ფაშისტური სახელმწიფო უწოდა“) და მოითხოვეს მისი გაყვანა მოლაპარაკებათა ფორმატიდან („24 საათი“, იანვარი, 2006). ამ დროისთვის უკვე შეჩერებულია განსაკუთრებულ დავალებათა რწმუნებულის, საქართველოში საკოორდინაციო კომისიის აღმასრულებელი მდივნის, ზურაბ ლაკერბაიას, ფუნქცია. მას თავს ესხმის ხელისუფლების რადიკალური კურსის მხარდამჭერთა ფრთა. ამ თავდასხმების ადრესატს შეძლებისდაგვარად იცავენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დალაგების მხარდამჭერები. პაატა დავითაიას ერთ-ერთი ცილისწამებისგან დაცვა ლორიკ მარშანიამ ასე სცადა: „პაატა დავითაიას ზურაბ ლაკერბაია ლეონიდე ლაკერბაია ჰგონია, რომელიც პირველი ვიცეპრემიერია“ („24 საათი“, თებერვალი, 2005).

რუსეთის ფაქტორი

წესები, რომლითაც რუსეთი აფხაზეთის პრობლემის საკუთარ მნიშვნელობაზე მობმულობას ინარჩუნებს, მხოლოდ ერთი შეხედვით არის მარტივი. მისთვის, როგორც დიდი და გეოპოლიტიკურ სივრცეში ანგარიშგასანევი ქვეყნისთვის, არ არის საჭირო პატარა ქვეყნებთან თამაშის განსაკუთრებული წესების შემოღება. ერთი მხრივ, საქართველოს მისამართით მშვიდობიანი, კეთილ-

მეზობლური დეკლარაციები, მეორე მხრივ – აფხაზეთის თანდათანობითი და სრული ინტეგრირება რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში იშვიათად აწყდება წინააღმდეგობას საქართველოში 2003 წლის რევოლუციამდელი ხელისუფლების მხრიდან.

2003 წლის რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლება, პირიქით, აფხაზეთის თემაზე რუსეთთან მოლაპარაკების რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ ირჩევს რუსეთთან წინააღმდეგობისა და დაპირისპირების გზას. შედეგი ორივე შემთხვევაში (წინააღმდეგობა – მინიმალური, წინააღმდეგობა – მაქსიმალური) ერთნაირია – საქართველო ძველებურ დისტანციაზე რჩება აფხაზეთიდან. რუსეთის პოლიტიკის მთავარი ბერკეტი ქართველებსა და აფხაზებს შორის ასეთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად არის ორი კონფლიქტური მხარის მიერ იმის მუდმივი აღიარება და გაცნობიერება, რომ კონფლიქტის მთავარი გმირი არის რუსეთი, რომ მხარეები კონფლიქტის შესახებ მხოლოდ მას უნდა ელაპარაკონ. 2003 წლის რევოლუციამდელი ხელისუფლების აფხაზურ პოლიტიკაში ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების არსებობის მიუხედავად, მთელი სახელისუფლებო სპექტრი ამ წესს ემორჩილება – ერთნი (ე.წ. პრორუსები, რომლებიც მოგვიანებით ასლან აბაშიძის ირგვლივ გაერთიანდნენ) აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას აპირებენ რუსეთთან პარტნიორობით. მაგალითად – ასლან აბაშიძე: „აფხაზეთის პრობლემას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთი ფინჯანი ყავის დაღვევისას მოვავარებ“ („ახალი 7 დღე“, 14-20 თებერვალი, 2003); მეორენი – ე. წ. ნადარეიშვილის ფრთაც აღიარებს, რომ რუსეთი ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარებისთვის არის არა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, არამედ თვით აფხაზებზე მთავარი სუბიექტი: „რომ არა რუსეთი, აფხაზეთის პრობლემას ორ დღეში მოვავარებდით“ (იხ. ზემოთ); მალხაზ კაკაბაძე, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი შევარდნაძის ხელისუფლებაში: „პრობლემის გასაღები არის არა თბილისში ანდა სოხუმში, როგორც რუსეთის ელჩმა თქვა, არამედ მოსკოვში“ („24 საათი“, ივლისი, 2003)

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერად და დეკლარირებულად რუსეთის ხელისუფლება საპირისპირო განცხადებებს აკეთებს („ჩვენ მოხარულები ვიქნებით, თუკი ქართველები და აფხაზები შუამავლის გარეშე დაელაპარაკებიან ერთმანეთს“ ან „როგორც

კი რომელიმე მხარი გვეტყვის, ან ქართული, ან აფხაზური, რომ ჩვენ იქიდან უნდა წავიდეთ, წავალთ“ – „24 საათი“, ივლისი, 2003), მათი განცხადებების კონტენტი მაინც ამხელს რუსეთის ამბიციას, იყოს მარადიული და შეუცვლელი მომრიგებელი ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის. ვლადიმერ ჩხიკვიშვილი: „რუსეთი ცდილობს, არ დაჟანგდეს ის ბოქლომი, რომელშიც ეს გასაღები უნდა მოერგოს“; ანდა „ვფიქრობთ, რომ სხვებით ჩვენი ჩანაცვლება არ არის მიზანშეწონილი“ (იქვე); 2003 წლის დეკემბერში რუსეთის ფედერაციის საბჭო იღებს პუტინის მოსაზრებას, რომ რუსეთის სამხედრო კონტინგენტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში იმ დრომდე დარჩება, ვიდრე ერთ-ერთი მხარე მის გასვლას არ მოითხოვს“. თუმცა რუსეთი ასეთ განცხადებებს წყვეტს 2004 წლის ოქტომბრის დე-ფაქტო აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსკოვისთვის ნაკლებად სასურველი პოლიტიკური გუნდის მოსვლისთანავე, რადგან გარანტირებული მხარდაჭერა სოხუმიდან აღარ აქვს.

ცხადიხდება, რომ, როგორც კი ერთ-ერთი მხარე კონფლიქტურ მხარეებს შორის ქმნის პერსპექტივას, რომ რუსეთი, შესაძლოა, ამოვარდეს კონფლიქტის სამ ძირითად მონაწილეს შორის მთავარი როლიდან, მაშინვე ცვლის მოქმედების ტაქტიკას, ხოლო თუ აქვს გარანტირებულად დაძაბული ურთიერთობა მხარეებს შორის, მაშინვე უბრუნდება ძველ როლს – მისი დეკლარირებული პოლიტიკა ხდება ჰარმონიული, ლოიალური, საერთაშორისო სტანდარტებს მორგებული.

2003 წლის მიწურულს ხელისუფლებაში მოსული ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი აკეთებენ საომარ განცხადებებს (ნინო ბურჯანაძე: „ორივე შვილს ომში გავგზავნი!“; მიხეილ სააკაშვილი: „ჩავიცვამ ფარაჯას და ყაზარმაში დავიძინებ!“) რაც აფორიაქებს აფხაზურ მხარეს და ამყარებს ქართულ მხარესთან მისი დაპირისპირების მოტივაციას. აფხაზები ისედაც აღნიშნავდნენ, რომ „სააკაშვილის ვარდებს საქართველოში ეკლები მოჰყვა“ (ნათელა აკაბა, „ახალი 7 დღე“, 20-29 თებერვალი, 2004). მალე ქართული მხარის საომარ განცხადებებს გალში დივერსიულ-პარტიზანული მოძრაობის განახლების დამადასტურებელი ფაქტები მოჰყვა: სოფელ პრიმორსკოედან გაიტაცეს სამი აფხაზი მესაზღვრე. პასუხად აფხაზებმა სოფელში 40-კაცი-

ანი რაზმი შეიყვანეს, სოფელი აანიოკეს და ქართველები მძევლად აიყვანეს. ასეთ ფონზე მიიღო რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭომ გადაწყვეტილება, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან მაშინვე გაიყვანდა თავის სამხედრო კონტინგენტს, როგორც კი ამას ერთ-ერთი მხარე მოითხოვდა.

მაგრამ 2004 წლის ოქტომბრის დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა სოხუმის ხელისუფლებაში ვერ მოდის მოსკოვის უშუალო კადრი, რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არ შესუსტდეს მისი უმთავრესი როლი და მნიშვნელობა კონფლიქტის „დარეგულირებაში“. მისთვის აქ იქმნება ერთადერთი საშიშროება – არ მოხდეს კონფლიქტური მხარეების დაახლოება, მათი ურთიერთობის გასვლა რუსეთის კონტროლიდან. ცხადია, კრემლში კარგად იცინან, რომ სოხუმის ხელისუფლებაში მოსულ ბალაფშს (ანქვაბს: „აიტაირას“, „ერთიან აფხაზეთს“, „ამცახარას“) არაქვს არავითარი პროქართული ინტერესი და ორიენტაცია, მაგრამ ეს გუნდი არ არის მთლიანად მართული რუსეთის მიერ, ისინი აცხადებენ, რომ აქვთ პროაფხაზური ინტერესები („ჩვენ გვაქვს პროაფხაზური ინტერესი“, – ბალაფში. ხაზგასმა პროაფხაზურზე ნიშნავს იმას, რომ ის არ არის მიმართული – „პრო“ სხვა ქვეყნების – რუსეთის – ინტერესისკენ); აქვთ პროევროპული ორიენტაცია, აღიარებენ დასავლურ ღირებულებებს („აიტაირა“); აიღეს გალის ქართველების ხმების 82% და შესაბამისად – ერთგვარი ვალდებულება მათ წინაშე; ბალაფშს, რომელიც პრეზიდენტად აირჩია აფხაზეთის მოსახლეობამ, აქვს პროქართული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსის იარლიყი. არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა რეალურად პროქართველი. ამომრჩეველი ამას ხომ ვერ ამონებს; რაც მთავარია, აფხაზეთის მოსახლეობამ იმის გამოც კი არ მისცა ხმა პრორუსულ ფიგურებს (არძინბას – ხაჯინბას), რომ „მათ უზრუნველყვეს სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთთან და სოხუმი-სოჭის საავტომობილო მარშრუტის გახსნა“ (ზურაბ შენგელია, „ახალი 7 დღე“, 8-14 ოქტომბერი, 2004) – საკმარისზე მეტი არგუმენტი გროვდება იმისთვის, რომ რუსეთმა გადამჭრელი ზომები მიიღოს: იგი კარგავს კონფლიქტში მთავარ როლს.

პირველი, რასაც ის აკეთებს, არის არჩევნების განმეორებითი ტურის დანიშვნა და პრემიერად საკუთარი კადრის გაყვანა, რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ „ბალაფშს გვერდით უზის ხაჯინბა

და იგი დესტრუქციული საუბრით გამოირჩევა“ ყველასთან, ვინც მოსკოვის გვერდის ავლით შეეცდება დიალოგს სოხუმის ხელისუფლებასთან (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი სტივენ მანი). აფხაზეთის საზოგადოებიდან სერიოზული წინააღმდეგობების მიუხედავად (აფხაზეთის ტელევიზია არ ემორჩილება კრემლის მიერ პრემიერმინისტრად დანიშნულ ნოდარ ხიჭბას განკარგულებას, რომ ტელევიზიამ დროებით მაუწყებლობა შეწყვიტოს – „24 საათი“, ნოემბერი, 2004; იმართება ბალაფშის მხარდამჭერი აქციები. მომიტინგეები მოითხოვენ, არ დამორჩილდეს ბალაფში მოსკოვის დირექტივებს და ინაუგურაცია ჩაატაროს), მოსკოვი ახერხებს აფხაზური წინააღმდეგობის დაძლევას, ბალაფში და მისი მხრდამჭერები კომპრომისზე მიდიან.

მიუხედავად მოვლენების ასე დამთავრებისა, აღნიშნული ეტაპი უნდა შეფასდეს, როგორც აფხაზებისა და ქართველების ერთობლივი შანსი, გაეყვანათ რუსეთი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კონტექსტიდან. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორად აღიქვა და შეაფასა შექმნილი ვითარება. ერთ-ერთი შეცდომა, რომელიც მან ამ შეფასებებისას დაუშვა, ალბათ, იყო ის, რომ აფხაზებთან პირდაპირი ურთიერთობის დასამყარებლად მან აირჩია თავისი პოლიტიკური კურსის დეკლარირების გზა, რამაც, ერთი მხრივ, გაააქტიურა რუსეთის სიფხიზლე (და კონტროლი აფხაზებზე, მეორე მხრივ, თავად ახალ აფხაზურ ხელისუფლებას შეუქმნა ზედმეტი ბარიერები. „საქართველოს ხელისუფლება მზად არის, დიალოგი აწარმოოს ამ ხელისუფლებასთან, პირადად ბალაფშთან, რომელიც აფხაზების უმრავლესობის მხარდამჭერით სარგებლობს“ (მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ინსტიტუტის თანამშრომლებთან, „24 საათი“, დეკემბერი, 2004); აფხაზებმა დაინახეს, რომ რუსეთისთვის მათი ეთნოსი არაფერს წარმოადგენს, რომ რუსეთისთვის აფხაზეთი არის მხოლოდ იარაღი საქართველოს წინააღმდეგ“ (ირაკლი ალასანია, „24 საათი“, დეკემბერი, 2004). ხმამაღალ შეფასებებს აკეთებს სამოქალაქო სექტორიც. „რუსეთმა აფხაზეთში თავისი დამპყრობლური პოლიტიკა ღიად გამოამჟღავნა და ამით შანსი მისცა საქართველოს“ (პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, დეკემბერი, 2004); „აფხაზი ხლხის მიერ ბალაფშის არჩევა რუსეთისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელია“ (ზურაბ შენგელია, „ახალი 7 დღე“, 8-14 ოქტომბერი, 2004).

სწორად გაცნობიერებული სინამდვილის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ბოლომდე არ იყენებს შანსს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ახალი ეტაპიდან რუსეთის გამოსარიცხად, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აფხაზ საზოგადოებაში იგრძნობა მოლოდინი, რომ იგი გადადგამს წინა ხელისუფლებისგან განსხვავებულ ორ ნაბიჯს („შეუძლია გადადგას ორი საჭირო ნაბიჯი: 1. გამოაცხადოს, რომ გამორიცხავს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას სამხედრო გზით; 2. მოხსნას ეკონომიკური ბლოკადა; ჯონათან კოენი, „შერიგების რესურსების“ კავკასიური პროგრამების კოორდინატორი, „24 საათი“, იანვარი, 2004).

ამ კომენტარში უდავოდ სწორად არის შეფასებული აფხაზეთის რუსეთთან მიზმის ორი მთავარი მიზეზი: საქართველოსგან მოსალოდნელი სამხედრო შეტევისგან თავდაცვა რუსეთის დახმარებით უნდა შეძლოს აფხაზეთში; საქართველოს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ეკონომიკურ ბლოკადას დე-ფაქტო აფხაზეთის მიმართ არ ემორჩილება მხოლოდ რუსეთი, რომლის ეკონომიკური პროექტები არის აფხაზი ხალხის მატერიალური გადარჩენის ერთადერთი გზა. „ეკონომიკურმა ბლოკადამ საქართველოს არაფერი მისცა, რუსი ბიზნესმენები ამ აკრძალვას არაფრად აგდებენ და აფხაზეთში ინვესტიციებს დებენ. ამიტომ ხდება აფხაზეთი რუსეთზე დამოკიდებული და მისკენ იხრება. სააკაშვილის ლეგიტიმაციის ხარისხი ძალიან მაღალია, მას შეუძლია, გააუქმოს ბლოკადა“ (ჯონათან კოენი, იქვე.)

რაც შეეხება სამხედრო აგრესიის მოლოდინს საქართველოდან, ეს შიშიც მუდამ იგრძნობა აფხაზ საზოგადოებაში და მუდამ რუსეთის სასარგებლოდ თამაშობს. აფხაზებს აშფოთებთ საქართველოს სამხედრო გაძლიერება, აფხაზურ პრესაში აჟიოტაჟი ატყდა სვანეთში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების გამო: „ამის შესახებ ინფორმაციის მიღებამ მათ გაუჩინა ასეთი კითხვა: თქვენ სვანეთიდან გინდოდათ დარტყმა?“ („24 საათი“, ნოემბერი, 2003); სერგეი შამბა საქართველოს ხელისუფლებაში ცვლილებებისთანავე აკეთებს განცხადებას და გამოთქვამს მზადყოფნას, გააგრძელოს მოლაპარაკება ქართულ მხარესთან ჟენევის ფორმატში საბრძოლო მოქმედებათა განუახლებლობის საერთაშორისო გარანტიების მექანიზმების შესახებ („24 საათი“, ნოემბერი, 2004).

საქართველოს ხელისუფლება არ იყენებს აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის ფაქტორის შესუსტების არცერთ გზას: არაუქმებს ეკონომიკურ ბლოკადას დე-ფაქტო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ის არც ძალის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე თანხმდება.

საკვლევი მასალიდან ცხადი ხდება, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე უარის თქმა საქართველოს ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში მოუწევდა, რადგან, ჯერ ერთი, შეუძლებელია რუსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის საკითხთა გამიჯვნა (რუსეთთან კი, როგორც საგარეო პოლიტიკაში სამხედრო ენაზე მოლაპარაკე სახელმწიფოსთან, ქართული მხარე ძალის გამოუყენებლობისა და დაუშვებლობის პირობას ვერ გააფორმებს) და მეორე, – როგორც თავად ექსპერტები ვარაუდობენ, რუსეთი „მოახდენს სამხედრო ძალის გამოყენების პროვოცირებას“, რადგან „შესაძლოა, აფხაზეთმა რუსეთს ზურგი აქციონ და საქართველოსკენ გამოიხედონ“. რუსეთის პროვოკაციებისგან დაცვის გარანტია კი, როცა საქმე ეხება, ერთი მხრივ, რუსეთის შეუზღუდავ სამხედრო და პოლიტიკურ გავლენას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მეორე მხრივ კი, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ (მათ შორის, სახელისუფლებო) სივრცეში ძალისმიერი გზებით აფხაზეთის დაბრუნების სერიოზულ მხარდაჭერას, საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია მისცეს არც ქართველ და არც აფხაზ ხალხს. სააკაშვილის ხელისუფლებამ ასეთი გარანტიის გაცემა საკუთარ თავზე არ აიღო. ეს ახსნადი ხდება აფხაზეთიდან მომდინარე მუდმივი სამხედრო მუქარის ფონზე. მით უმეტეს, რომ სამხედრო მუქარა აფხაზეთიდან ყოველთვის არ განიხილება საქართველოდან საომარი განცხადებების ანდა ქმედებების პასუხად. აფხაზეთში მოღვაწე რუსეთის არმიის გენერლები, რომლებსაც სხვადასხვა სტატუსი აქვთ აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვისა და შეიარაღების სფეროში, მუდმივად ახსენებენ დაპირისპირებულ მხარეებს, რომ ომი მათ შორის მუდამ განახლებადად უნდა ჩაითვალოს, რომ „აფხაზი ხალხი იარაღით ხელში დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, როგორც კი საქართველოს ხელისუფლება მას შეეხება“. რომ საქართველოს სამხედრო გაძლიერების საპასუხოდ მიმდინარეობს აფხაზეთის გამალებული შეიარაღება, რომ „საქართველოსა და კავკასიის

რეგიონს რუსეთი არ დათმობს“... „რუსი სამხედროები აფხაზების ინტერესებს ბოლომდე დაიცავენ: („24 საათი“, ოქტომბერი, 2003 წელი; იანვარი 2005).

რაც შეეხება ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას აფხაზეთზე რუსეთის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ შუალედური ვარიანტი აირჩია. ეკონომიკური ბლოკადა არ მოხსნა, მაგრამ აფხაზურ მხარესთან დაიწყო სერიოზული თანამშრომლობა ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებისთვის. ეს გზაც შედეგზე ორიენტირებული იქნებოდა მისი ბოლომდე მიყვანის შემთხვევაში, თუმცა თავიდანვე არ იძლეოდა იმის სრულ გარანტიას, რომ რუსეთის ეკონომიკურ სივრცესთან ინტეგრირებას ქართულ ეკონომიკასთან ინტეგრირებით სრულად ჩაანაცვლებდა, რადგან ქართული მხარე მაინც ბლოკადის ავტორის, აფხაზი ხალხის მიმართ („აფხაზი ხალხის და არა აფხაზეთის ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული ეს ბლოკადა“, – გიორგი ანჩაბაძე) აგრესორის, არაკეთილგანწყობილის იმიჯს ინარჩუნებდა, რუსეთი კი ამ პროექტებითაც განიმტკიცებდა აფხაზი ხალხის ერთადერთი პატრონისა და მხარდამჭერის იმიჯს, რადგან ეს პროექტები ისევ მისი მონაწილეობითა და ნებართვით ხორციელდებოდა (ნიუ იორკში გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანისა და რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სერგეი მირონოვის შეხვედრაზე რუსულმა მხარემ ისაუბრა საკუთარ წვლილზე ქართულ-აფხაზური ეკონომიკური პროექტების ამოქმედებისთვის: მირონოვმა მოახსენა კოფი ანანს, რომ იალტის დსთ-ის სამიტმა ჩაუყარა საფუძველი მთავარ ეკონომიკურ პროექტებს: რკინიგზის, ენგურჰესის, გალში დევენილების დაბრუნების („24 საათი“, 2003).

იმაში, რომ ქართულ-აფხაზური ეკონომიკური პროექტები ვერ გახდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის „დარეგულირების“ პროცესიდან რუსეთის გაყვანის საშუალება, ჩანს საქართველოს ხელისუფლების ერთი მნიშვნელოვანი პოზიცია – ის რუსეთის ჩართულობას ამ კონფლიქტში აღიქვამს, როგორც შეუქცევად რეალობას და ცდილობს არა ამ რეალობის შეცვლას, არამედ ასეთი რეალობის მიხედვით მოქმედების კურსში რუსეთისათვის წამყვანი როლის „წართმევას“, აცხადებს პრეტენზიას, რომ ეს მონაწილეობა მისი წესების მიხედვით უნდა წარიმართოს. „რუ-

სეთი არის ძირითადი საგარეო საფრთხე საქართველოსთვის, ამიტომ შეძლებისდაგვარად უნდა ჩავაბათ კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად (ირაკლი ალასანია, „24 საათი“, დეკემბერი, 2004); „რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების რესურსი არსებობს“... „რუსეთთან უნდა დაიდოს ჩარჩო ხელშეკრულება. რუსეთი უნდა მოვაქციოთ სამართლებრივ სიბრტყეში, რათა შევძლოთ პასუხის მოთხოვნა ამ ყველაფრის გამო“ (თემურ მჭავია, „ახალი 7 დღე“, 3-9 დეკემბერი, 2004).

საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვი-სოხუმი-თბილისის პოლიტიკურ სამკუთხედში მთავარი როლისთვის ბრძოლა საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით გადაწყვიტა. შესამჩნევია, რომ სამოქალაქო სექტორიც, რომელიც კონფლიქტში რუსეთის როლის შესასუსტებლად ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განმტკიცებას უჭერს მხარს (ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა და ძალის გამოუყენებლობაზე შეთანხმება), რუსეთზე საერთაშორისო მექანიზმების ზეწოლას განიხილავს მიზნის მიღწევის ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ გზად. ამ შეხედულების მიხედვით, რუსეთზე ზეწოლის საერთაშორისო მექანიზმი მხოლოდ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განმტკიცების პარალელურად ამუშავდება (ორი ნაბიჯი: სამხედრო ძალის გამოუყენებლობა, ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა). „საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ სამშვიდობო ძალები აღარ სჭირდება, რადგან არ აპირებს სამხედრო ძალის გამოყენებას... რუსეთიარშეასრულებს მოთხოვნას, მაგრამ დაიწყება ბრძოლის ახალი ეტაპი, სადაც რუსეთი წარმოჩინდება კონფლიქტის მხარედ“ (პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, 2005).

ამ მოსაზრებისგან მხოლოდ ერთი პუნქტით განსხვავდება პარლამენტის მიერ რუსეთის სამშვიდობო და სამხედრო კონტინგენტის გაყვანის საკითხის რატიფიცირების შემდეგ გაკეთებული კომენტარი, რომელიც ხელისუფლების ერთ-ერთ ცნობილ სახეს, კოტე გაბაშვილს, ეკუთვნის: „საქართველომ მხოლოდ მაშინ დაიწყო რუსეთის ბაზებისა და სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნა, როცა ფეხზე დადგა და მიიღო გარანტია ევროპისა და აშშ-ის გვერდზე დადგომისა“ („24 საათი“, დეკემბერი, 2005).

თავი რომ დავანებოთ იმაზე კამათს, მიიღო თუ არა საქართველომ დასავლეთის გვერდზე დადგომის გარანტია, ხე-

ლისუფლების წარმომადგენლის განცხადებაში ღიად და გაურკვევლად რჩება ერთი საკითხი – რუსეთის სამშვიდობოების გასვლის შემდეგ როგორ ფორმატში წარიმართება ურთიერთობა აფხაზებთან, თუკი წინასწარ არ იქნება მათთან კომუნიკაცია, პარტნიორობა, ნდობა, კეთილგანწყობა. ეს პასუხგაუცემელი კითხვები (ფედერაცია? ავტონომია? საერთაშორისო სამშვიდობო ძალებით ინსპექტირება?) რუსეთის კოზირი როგორც აფხაზების, ისე საერთაშორისო აზრის საკუთარ მხარეზე გადასაყვანად:

„დაადებითად უნდა შეფასდეს რუსეთის როლი სეპარატისტული ტერიტორიების მილიტარიზაციის საკითხში“ (ლოურენს ბრუერი, „24 საათი“, იანვარი, 2006);

„რუსეთმა განახორციელა კიდევ ერთი დემარში და გაეროს აღიარებინა, რომ მთავარი არის ის და არა კოფი ანანი“... („24 საათი“, თებერვალი, 2006); „რუსეთმა გაეროს მიაღებინა რუსი სამხედროების მხარდამჭერი რეზოლუცია“ („24 საათი“, მარტი, 2006);

2006 წლის ზაფხულის კოდორის ოპერაციის დროს კი რუსეთმა საბოლოოდ დაუმტკიცა საქართველოს, რომ საერთაშორისო მექანიზმებით მასზე ზენოლა აბსურდია.

კოდორში საქართველოს პოლიციური რაზმების შეყვანამ რუსეთს ორ პოლიტიკურ ფრონტზე მოუტანა წარმატება:

1. გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა მას დაუჭირეს მხარი (რეზოლუცია 1716, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 13 ოქტომბერი, 2006): „მხარს ვუჭერთ და მივესალმებით... რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშეწყობი ძალის დახმარებას...“ „კმაყოფილებით აღვნიშნავთ დსთ-ის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს დამკვირვებელთაერთობლივი პატრულირების განახლებას... (გაერო) ადასტურებს დსთ-ის სამშვიდობო ჯარისა და გაეროს დამკვირვებელთა მნიშვნელოვან როლს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში („ახალი 7 დღე“, 20-28 ოქტომბერი, 2006).
2. აფხაზებმა საბოლოოდ აირჩიეს რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მფარველობის ქვეშ ყოფნა. კოდორში შექმნილმა ვითარებამ „აფხაზეთის ეკონომიკაზე მძიმე გარტყმა მოახდინა“. ასეთი განცხადებები გაისმოდა ამ დროს აფხაზეთიდან. მათი აზრით, ქართველებმა კოდორის ოპერაციისთვის ზაფხული სპეციალურად შეარჩიეს, შედეგსაც მიაღწიეს – „დამსვენებლები წავიდ-

ნენ აფხაზეთიდან, საკურორტო სეზონი ჩაიშალა“ („24 საათი“, ოქტომბერი, 2006) სოხუმში ბალაფშის ოპოზიციამ, რომელიც თავისი ორიენტაციით მკვეთრად პრორუსულად იყო მიჩნეული, ბალაფშის ხელისუფლებას ბრალი დასდო ქართველებთან გარიგებაში კოდორის ოპერაციის დროს, აღინიშნებოდა, რომ ბალაფშის ქართველებთან გარიგება გამოვლინდა მის მიერ ერთობლივი ეკონომიკური პროექტების მხარდაჭერისას.

ამის შემდეგ აფხაზეთში ქართველებთან ყოველგვარი ეკონომიკური კავშირები შეწყდა. ბალაფში იძულებული გახდა, ყველაფრით დაემტკიცებინა ოპონენტებისთვის, რომ არავითარი პროქართული ორიენტაცია არ ჰქონია, მისი განცხადებები ქართველების მიმართ ისეთივე მკაცრი და პრეტენზიული გახდა, როგორც მისი წინამორბედი ხელისუფლების დროს იყო. აფხაზეთმა თავი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლო პოზიციაზე მდგარად გამოაცხადა – „საქართველო სრულმასშტაბიანი ომისთვის ემზადება“ („24 საათი“, აგვისტო, 2006); „ჩვენ ვემზადებით თავდაცვისთვისა და არა თავდასხმისათვის“... „რეზერვისტებს სახლებში აქვთ იარაღი და ხალხი პირველივე სიგნალზე გამოვა“ („24 საათი“, მაისი, 2006).

როდესაც ხელისუფლების პოლიტიკური კურსის შეცდომებზე, არასწორ გათვლებსა და მძიმე შედეგებზე ვსაუბრობთ რუსეთთან მიმართებაში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის პროგნოზებისთვისაც ისეთივე აქტიუვისის ქუსლია, როგორც ხელისუფლებისთვის. თვალში საცემია მცდარი პროგნოზები, რომლებსაც ისინი აკეთებენ. „საქართველომ კიდევ რომ მოინდომოს, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ მოხდება, რუსეთი ამას არ დაუშვებს, რადგან ეს მისი პრობლემებისთვისაც სახიფათო იქნება“, – ივლიანე ხაინდრავა („24 საათი“, 29 ოქტომბერი, 2003); „სოხუმში ლექციაზე ერთმა სტუდენტმა მკითხა, რამდენად შესაძლებელია აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობაო. თანამედროვე მსოფლიო და თვით რუსეთიც არ დაუშვებენ ასეთ საშიშ პრეცედენტს“, – „შერიგების რესურსები; ჯონათან კონი; („24 საათი“, 19 ნოემბერი, 2003); „რუსეთი არ აპირებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას“, – პაატა ზაქარეიშვილი („24 საათი“, 3 დეკემბერი, 2003); „თავად

რუსეთი არ დაუშვებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ აქვთ ჩეჩნეთისა და დაღესტნის პრობლემები“, – თორნიკე ბერიშვილი („24 საათი“, სექტემბერი, 2004).

აღნიშნულ პროგნოზებში არსად ფიგურირებს პირობა, რომელშიც რუსეთმა, შესაძლოა, დაუშვას საქართველოს ტერიტორიაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება, არ იგულისხმება არც ის, რომ ასეთი პირობა, შესაძლოა, შექმნას თავად საქართველომ. ერთ პროგნოზში კი, სწორედ, იმაზეა აქცენტი, რომ საქართველოს ხელისუფლების „მონდომების“ (ანუ შეცდომების, არასწორი პოლიტიკის) შემთხვევაშიც კი არ აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. 2005 წლის ბოლოდან, როცა რუსეთმა დაიწყო სეპარატისტული მხარეების დამოუკიდებლობის ცნობა, ექსპერტებს არ განუმარტავთ, რამ გამოიწვია მათი პროგნოზების გაუმართლებლობა, რა დამატებითი ფაქტორი შეიქმნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში 2003 წლის შემდეგ.

2004 წლის თებერვალში ერთმანეთს ხვდებიან საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები. შეხვედრა მეგობრულ და ნდობის ვითარებაში წარიმართება. „სააკაშვილმა რუსეთთან რბილი პოლიტიკა აირჩია და ეს კარგია... რაც უფრო მეტ საერთო მოძებნის რუსეთთან, მით უფრო ადვილად მოვაგვარებთ მშვიდობიანი გზით აფხაზეთის პრობლემას“ (გურამ ოდიშარია, „ახალი 7 დღე“, 20-24 თებერვალი, 2004).

2004 წლის აჭარის მოვლენების შემდეგ თბილისში ჩამოდის რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭო მდივანი ივანოვი, რომელსაც ხვდებიან მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია, საქართველო რუსეთთან აფხაზეთზე საუბარს აჭარის მოვლენების შემდეგ იწყებს. აფხაზები გამოხატავენ პროტესტს, რადგან საქართველო მათთან არ საუბრობს მათ პრობლემებზე, აფხაზების პრობლემებზე საქართველო რუსეთს ესაუბრება („24 საათი“, მაისი, 2004), საქართველო ვერ აღწევს რუსეთთან შეთანხმებას, რომ ეს უკანასკნელები არ ჩაერევიან აფხაზეთის პრობლემაში;

2004 წლის ოქტომბერში სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, იმართება დებატები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის დელეგაციებს შორის, დელეგაციის ხელმძღვანელმა რუსეთი ორმაგი სტანდარტებით მოქმედება-

ში დაადანაშაულა. რუსეთის დეპუტაციამ პროტესტი გამოხატა საქართველოში განვითარებული მოვლენების საერთაშორისო არენაზე გატანის გამო, რადგან ეს პრობლემები მხოლოდ რეგიონის შიდა პრობლემად მიაჩნია („24 საათი“, ოქტომბერი, 2004).

2004 წლის დე-ფაქტო არჩევნების შედეგებს რუსეთი თავის სასარგებლოდ ასწორებს – მოსკოვში დაბარებულ ბალაფშს აიძულებენ, დათანხმდეს ხაჯინბას პრემიერობას. „რუსეთმა მოახერხა, რომ ბალაფში აღარ იყოს დამოუკიდებელი პრეზიდენტი. ხაჯინბა იქნება პრემიერი“ („24 საათი“, დეკემბერი, 2004).

2005 წლის მაისში, საქართველოში აშშ-ის პრეზიდენტის ჩამოსვლის წინ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ესტუმრა სოხუმს. ესვიზიტი მკვეთრად ამკაცრებს რუსეთის განცხადებებს, რუსეთი ითხოვს პასპორტიზაციისა და სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას („24 საათი“, აპრილი, 2005).

2005 წლის ბოლოდან ჯერ რუსეთის ცალკეული რეგიონები, შემდეგ კი რუსეთი იწყებს საქართველოს ტერიტორიაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას. 2006 წლის დასაწყისში საქართველოს წარმომადგენელი გაეროში ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს სთხოვს დახმარებას რუსეთის ასეთი არასამართლებრივი ქმედების აღსაკვეთად („24 საათი“, იანვარი, 2006).

2006 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე და ულტიმატუმით მიმართავს რუსეთს. საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა მაშინ სამართლიანად აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მისაღწევად საქართველოს ისევ ის გზა აქვს, რომელიც აქამდე ჰქონდა – „ზენოლა რუსეთზე საერთაშორისო ორგანოების მხრიდან და ზენოლა თავად აფხაზების მხრიდან“ („24 საათი“, 2005). ფაქტების ასეთმა თანმიმდევრობამ შემდეგი სურათი გვიჩვენა:

1. აფხაზეთის საკითხში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ტენდენცია სტაბილურად უარყოფითია 2004 წლის დასაწყისიდან.
2. საქართველოს ერთადერთი რესურსი კონფლიქტის მოგვარებისა და რუსეთის დისტანცირებისთვის არის საერთაშორისო მხარდაჭერა;

3. საერთაშორისო ორგანიზაციები არ იზიარებენ საქართველოს პრეტენზიას, რომ რუსეთი დესტრუქციულ როლს ასრულებს ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარებაში.
4. რუსეთი დაუშვებლად მიიჩნევს კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური ვითარების შექმნას, ახალი მოთამაშის შემოყვანას, მისი პრინციპი: პრობლემა უნდა მოგვარდეს რეგიონის სუბიექტებს შორის და არავისთან სხვასთან – ანგარიშგასანევი და მისაღებია ყველასთვის, საქართველოს გარდა, რადგან მისი პრინციპია პრობლემის მოგვარება არა რეგიონის შიგნით და საკუთარი ძალებით, არამედ საერთაშორისო ძალების ზეწოლით – რის გარანტიასაც ვერ იძლევა რუსეთი, რომლის ხელში დარჩა კონფლიქტის მართვის სადავეები.

საერთაშორისო ორგანიზაციები

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობისა და მონაწილეობის საკითხის კვლევა საინტერესო აღმოჩნდა შემდეგი მიმართულებების მიხედვით: როგორ აფასაბენ ამ ორგანიზაციების ჩართულობასა და როლს კონფლიქტის მოგვარებაში, ერთი მხრივ, ქრთული, მეორე მხრივ კი, აფხაზური მხარეები; როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამული შეხედულებები პრობლემის მოგვარების საკითხზე; რა ხელის შემშლელი ფაქტორები მოქმედებს მათი საქმიანობის წინააღმდეგ კონფლიქტში მონაწილე სუბიექტების მხრიდან (საქართველო, რუსეთი, აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკა); რას მიიჩნევენ ეს ორგანიზაციები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხის სტაგნაციისა და დროში განგრძობადობის მიზეზად.

ჩვენ მიერ განხილულ მასალებში კონფლიქტის მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობასთან დამოკიდებულება როგორც ქართული, ასევე აფხაზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრციდან არის ან მკვეთრად დადებითი, ან მკვეთრად უარყოფითი (მკვეთრად დადებითი ვგულისხმობთ 2003 წლის ნოემბრის შემდგომი ხელისუფლების პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის მიმართ კონფლიქტის მოგვარებაში). არც ერთი სახელმწიფოებრივ-პოლი-

ტიკური ერთეულის წარმომადგენელი ხელისუფლება ან სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუციები არ განიხილავენ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობას მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების მიხედვით, დანაწევრებულად, სეგმენტურად.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების დიდი წილი, ცხადია, მოდის საკუთრივ აფხაზურ საზოგადოებაზე, რომლისთვისაც საერთაშორისო სტრუქტურები აღიქმება ცალსახად ქართული მხარის მხარდამჭერად. აფხაზები არა მხოლოდ აშშ-ის მონაწილეობას, არამედ „ევროპულ სტრუქტურებსაც კი ეჭვის თვალთ უცქერენ, ჰგონიათ, რომ ისინი ქართულ საქმეს აკეთებენ“ (გოგა ხაინდრავა, „მშვიდობის ბაირაღები“, „24 საათი“, მაისი, 2004). აფხაზურ პოლიტიკურ სპექტრში საქართველოს მიმართ დეკლარირებულად ყველაზე ლოიალურად განწყობილი „აფხაზთა ალიანსიც“ კი (ინალ კაზანის მიერ შექმნილი აფხაზ ემიგრანტთა გაერთიანება), რომელიც მუდამ მოუნოდებს აფხაზ ხალხს საქართველოსთან პარტნიორობისკენ (და ამ მოწოდებებით არაფერს რისკავს, როგორც აფხაზური პოლიტიკური კონტექსტიდან ამოვარდნილი ერთეული), კატეგორიულ პოზიციას იკავებს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს გაეროს 59-ე სესიაზე განსახილველად გააქვს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მონესრიგების გეგმა „ნდობის აღდგენა“ და მოითხოვს სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას გაეროსა და ეუთოს ძალებით. ინალ კაზანი აცხადებს: „ეს დაუშვებელია, რადგან გაეროც და ეუთოც პროქართული ორგანიზაციებია“ („24 საათი“, ოქტომბერი, 2004).

რაც შეეხება იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც სათავეში უდგას აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკას, მისთვის ვერც ერთი საერთაშორისო სტრუქტურა ვერ ხდება ქართულ მხარესთან ურთიერთობის ბიძგის მიმცემი, თუ ეს ურთიერთობა არ არის შეთანხმებული მოსკოვის პოლიტიკურ ცენტრთან. შეუძლებელია, ეს არჩევანი მხოლოდ ქართული მხარის მიერ აფხაზურ მხარესთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომებით ავხსნათ. 2004 წლის ნოემბერში, როდესაც ახალი ჩატარებულია საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში და ფრაგმენტულად თითქოს იგრძნობა კიდევ მზადყოფნა ქართულ მხარესთან თანამშრომლობისთვის, აფხაზები უარით ისტუმრებენ გაეროს მისიის ხელმძღვანელს,

რომელიც ევროკომისიის დაფინანსებით აღსადგენი ობიექტების განსაზღვრისთვის სპეციალური კომიტეტის შექმნას და ამ კომიტეტში ქართველებისა და აფხაზების შეყვანას სთავაზობს. მათი უარის მიზეზი არის ის, რომ ქართველებთან ვერ ითანამშრომლებენ ამ კომიტეტში („24 საათი“, ნოემბერი, 2004).

2005 წლის იანვარში აფხაზები საერთაშორისო ორგანიზაციების კიდევ ერთ ინიციატივას ბლოკავენ, „ჩვენ კატეგორიულად ვენინააღმდეგებით გალში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნას იმ მოტივით, რომ ანალოგიური ოფისი უკვე ფუნქციონირებს სოხუმში“ („24 საათი“, იანვარი, 2005).

აფხაზური მხრიდან საერთაშორისო სტრუქტურებთან დამოკიდებულების პოზიტიური ფაქტები თითზე ჩამოსათვლელია. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული ფაქტი მოხდა 2005 წლის მაისში, საქართველოში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის წინ. მაშინ ბალაფშის ხელისუფლებასთან შესახვედრად ჩავიდნენ ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი სტივენ მანი. მათ აღიქვეს სოხუმის ხელისუფლების ორი ფრთის მხრიდან გამოვლენილი ორი სხვადასხვა დამოკიდებულება. სტივენ მანი: ბალაფშს გვერდით უზის ხაჯიმბა და ის დესტრუქციული საუბრით გამოირჩევა... ხაჯიმბაზე იგი ამბობს: პირველად ვნახე ადამიანი, რომელთან საუბარიც შეუძლებელია.

ეს ფაქტი კარგად ხსნის საერთაშორისო სტრუქტურებთან აფხაზების ნეგატიური დამოკიდებულების რეალურ საფუძველს: ეს არის მუდმივი რუსული კონტროლი სოხუმის ხელისუფლებაზე, რასაც ამ შეხვედრის დროს ახორციელებს ხაჯიმბა – მოსკოვის უშუალო კადრი, რომელიც 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგში ხელების ფათურად დაუჯდა მოსკოვს. შესამჩნევია ისიც, როგორ იცვლება ამერიკელი სტუმრების ამ ერთი ვიზიტით გაღიზიანებული მოსკოვის პოლიტიკა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ, გარდა იმისა, რომ ხისტი და მკაცრი გახდა მისი განცხადებები, მოსკოვმა დაჩქარების პოლიტიკაზე გადააწყობა აქამდე ნელა და თითქოს თავისი გზით მიმავალი პროცესი (დაჩქარდა რუსეთის პასპორტიზაცია აფხაზეთში).

აფხაზებმა იციან ის ყველაფერი, რაზეც მათ ხშირად ესაუბრებიან ქართველები, რომ ევროპული სტრუქტურები იძლევიან მცირე ერების გარანტირებული განვითარების საშუალებას,

რომ ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია, რომ ის პოლიტიკური ორგანიზაციაც არის და მისკენ სწრაფვა, მასთან ინტეგრირება მათი უფლებების დაცვას მოემსახურება, მაგრამ ისინი იმასაც აცნობიერებენ, რომ აფხაზეთის პრობლემა გეო-პოლიტიკაში მონაწილე დიდ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საგნად არის ქცეული და ამ ქვეყნებიდან მათ მხარეს, უფრო ზუსტად კი, მათი „დამოუკიდებლობის“ მხარეს მხოლოდ რუსეთია. ესალიქმება მთავარ და, შესაძლოა, ერთადერთ მიზეზადაც იმის ასახსნელად, რატომ უხურავს სოხუმი კარს საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა ინიციატივას (თუნდაც იდეაში აფხაზეთისთვის მომგებიანსაც). აფხაზეთისთვის არსებობს პირველი და მეორე რიგის პრობლემები, მათთვის ყველა პრობლემა მეორე რიგში დგას, ეროვნული დამოუკიდებლობის იურიდიულად გაფორმების გარდა. ამის გარანტიას კი მას მხოლოდ რუსეთი აძლევს (და მოგვიანებით აღიარებს კიდევ მის დამოუკიდებლობას) და არა საერთაშორისო ორგანიზაციები.

მაგრამ აფხაზური მხარის კატეგორიზმი, რომ ის არ დაბრუნდება საქართველოსთან ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში, გამყარებულია არა მხოლოდ რუსული მხარდაჭერით, არამედ იმიტაც, რომ:

1. ისინი გრძნობენ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოვლენილ პატივისცემას ეროვნული დამოუკიდებლობისკენ მათი სწრაფვის მიმართ („შერიგების რესურსების“ კავკასიური პროგრამების კოორდინატორი ჯონათან კოენი: „პატივისცემით ყველა ერის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ“); ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ჰიუტი აქტიურად ეწევა ინგლისელ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა შორის აფხაზეთის დამოუკიდებლობის პროპაგანდას („ახალი 7 დღე“, 25 აპრილი –1 მაისი, 2003) – ევროპაში იქმნება მცირე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ აფხაზეთისთვის დიდი სტიმულის მიმცემი კერები, საიდანაც მათი დამოუკიდებლობის მხარდაჭერა ხდება. მსახიობი აზი ჰარსფოლტი თავისი სპექტაკლების ჰონორარებს აგზავნის აფხაზეთში, ასეთი ფაქტები მათ ატყობინებს, რომ მათი პროტესტი დასავლეთში შესაძლოა არ ესმის სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურების ბიუროკრატიას, მაგრამ ესმით სხვა ადამიანებს, კულტურული, სამეცნიერო ინტელექტუალური წრეების მოღვაწეებს: „როცა წლების წინ „ნეზავისიმაია გაზეტამ“

გამოაქვეყნა პროტოკოლი ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის შესახებ, ამას აფხაზებისგან საშინელი პროტესტი მოჰყვა, – ამბობს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, კონფლიქტოლოგი პოლა გარბი, რომელიც არ მალავს თავის სიმპატიას აფხაზების მიმართ, მათ მოიხსენიებს „ჩემი აფხაზები“, რაც კონფლიქტის მეორე მხარისთვის აღიქმება, როგორც ლექსიკური სიმბოლო იმის მაუწყებლად, რომ ქართველები არ არიან მისი ხალხი („24 საათი“, 17 დეკემბერი, 2008). „ისინი მშვიდობის მშენებლობაზე ლექციებით ჩადიან ევროპაში, ხოლო საქართველოს პრესისთვის მიცემული ინტერვიუებით გვაფრთხილებენ, რომ აფხაზმა ხალხმა სრული დამოუკიდებლობის სასარგებლოდ არჩევანი გააკეთა“ (გიორგი ხუციშვილი, „24 საათი“, ივლისი, 2004).

2. აფხაზებმა იციან, რომ მართალია, დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ მისთვის მთავარია რეგიონის სტაბილურობა. „დასავლეთის ინტერესებში რეგიონის სტაბილურობა შედის ამ ტერიტორიებით თუ მის გარეშე“ („ახალი 7 დღე“, 25-31 ივლისი, 2003). დასავლური ორგანიზაციების უმთავარესი აქცენტი კეთდება არა კონფლიქტის მოგვარებასა და გადაჭრაზე, არამედ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში დაძაბულობის ასატან (რეგიონისთვის) ზღვრამდე დაწევაში. მათთვის მისაღებია კონფლიქტის გაყინვა დაძაბულობის გამოვლენის დაბალ ფაზაში, ვიდრე კონფლიქტის გადაჭრისთვის ქმედითი ღონისძიებები, თუკი მათ შედეგად რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების დარღვევა მოჰყვება. „მსოფლიო საზოგადოება მხოლოდ მაშინ გაჩუმდება, თუ (შეიარაღებული გზით – ლ. ტ.) გამარჯვებას სწრაფად მიაღწევთ. გაჭიანურების შემთხვევაში კი ხმას აიმაღლებს“ (ჯონათან კოენი, „შერიგების რესურსები“, 19 ნოემბერი, 2003).

3. რაც მთავარია, აფხაზურმა მხარემ იცის, რომ საერთაშორისო გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს რუსეთი, ქვეყანა, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის ერთადერთი მომხრეა. აფხაზებისთვის ამოსავალი პოსტულატია სწორედ ამის ცოდნა – რუსეთს შეუძლია, ისეთ სოლიდურ ორგანიზაციებსაც კი, როგორც გაეროა, მიაღებინოს რუსულ-აფხაზური ინტერესების მხრდამჭერი გადაწყვეტილება, როგორი არგუმენტებული და დასაბუთებულიც უნდა იყოს ქართული მხარის პრეტენზიები აფხაზეთის პრობლემების მოგვარებაში, ტერიტორიული მთლი-

ანობის აღდგენის საქმეში შექმნილი ხელოვნური პრობლემების გამო. „მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურა ჯერ მზად არ არის, კავკასიის რეგიონს მიანიჭოს ისეთი მნიშვნელობა, როგორც ბალკანეთს“ (ივლიანე ხაინდრავა, „24 საათი“, 29 ოქტომბერი, 2003); „უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს ბოდენის დოკუმენტზე გაეროს უშიშროების საბჭომ, მხარეებთან რეკომენდაცია უნდა გაუწიოს, განსაკუთრებით აფხაზებთან, რომელთაც მისი განხილვა არ სურთ და ამასი გადამწყვეტ როლს რუსეთი თამაშობს“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ზაზა გოგსაძე, „24 საათი“, 29 ოქტომბერი, 2003). „გაერო მუდამ რეკომენდაციებით იფარგლება, რუსეთს აქვს ვეტოს უფლება, აქვს გავლენა გაეროს ნევრ ბევრ ქვეყანაზე. 1997 წელს გაეროს წინაშე საქართველოს ხელისუფლებამ დააყენა საკითხი დსთ-ის ჯარების ჩანაცვლების შესახებ გაეროს ეგიდით შექმნილი სამშვიდობო ძალებით. მხარი არ დაუჭირა არცერთმა ქვეყანამ. ეუთომ ეთნონმენდის სტატუსით შეაფასა ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნონმენდა, მაგრამ გაეროს ნევრმა ქვეყნებმა ამ საკითხს არ დაუჭირეს მხარი – „ესეც რუსეთის გავლენით მოხდა“ (არჩილ გეგეშიძე, „ახალი 7 დღე“, 28 მაისი – 3 ივნისი, 2004); აფხაზური მხარის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების უგულებელყოფას აღნიშნულ საფუძველზე კიდევ მრავალი ფაქტი ადასტურებს: გაეროს უშიშროების საბჭომ, რომლის ნევრია რუსეთი, უარი განაცხადა რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანის საკითხის განხილვაზე, საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა ჰაიდი ტალიავინიმ ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთი პრესკონფერენციის ფინალში ამცნო ქართველ საზოგადოებას: „გაერო სამშვიდობოების გაყვანის საკითხს ვერ განიხილავს“ („24 საათი“, ნოემბერი, 2005); 2006 წლის კოდორის ოპერაციის შემდეგ გაეროში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ ღიად დაასახელა საქართველოს მიმართ რეზოლუცია 1617-ის მკაცრი და კატეგორიული ტონის მიზეზი ქართული მხარის მიმართ: „ეს რეზოლუცია გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი ქვეყნის ზეწოლით შეიქმნა. რეზოლუციაში იგნორირებულია აფხაზეთში (საქართველო) მიმდინარე გაძლიერებული მილიტარიზაციის ამსახველი ცნობები, დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ შეთანხმებათა

დარღვევის ფაქტები, რუსი სამშვიდობოების უმოქმედობის ფაქტები“ („24 საათი“, ოქტომბერი, 2006).

უკმაყოფილების, გალიზიანების, უნდობლობის განწყობებით აღინიშნება საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ ქართულ მხარეს არსებული შეხედულებების დიდი ნაწილიც. საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობით ქართული მხარის უკმაყოფილების მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის ის, რომ ეს ორგანიზაციები „აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში (რუსეთის პასპორტების აღება, სანაპირო ზოლის პრივატიზაცია) მხოლოდ „შემფასებლის“ როლით კმაყოფილდებიან (გიორგი ხუციშვილი, „ახალი 7 დღე“, იანვარი, 2003) ან ის, რომ ქმედით და გადამწყვეტ ზომებზე აცხადებენ უარს (თამაზ ნადარეიშვილის უკმაყოფილება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით, რომელშიც ჩადებულია აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ მშვიდობიანი გზით (გაეროს წესდების მე-6 მუხლი) და არა მშვიდობის ძალით დამყარების გზით (გაეროს წესდების მე-7 მუხლი), „ახალი 7 დღე“, 6-13 თებერვალი, 2003).

ქართული მხარე ზოგჯერ არა მხოლოდ აბსოლუტურ უმოქმედობაში სდებს ბრალს საერთაშორისო ორგანიზაციებს, არამედ ზოგჯერ იმასაც უშვებს, რომ ამ ორგანიზაციის ბიუროკრატიული აპარატი აფხაზეთის კონფლიქტს, როგორც სხვა მრავალს, იყენებს კარიერისა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. „გამოიცვალა გაეროს გენერალური მდივნის ოთხი პირადი წარმომადგენელი, რომელთაც საქართველოში შესანიშნავი კარიერა გაიკეთეს“ (თამაზ ნადარეიშვილი, „24 საათი“, 20 აგვისტო, 2003); „ზოგიერთ ბიუროკრატს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, შესაძლოა, ხელს აძლევდეს კონფლიქტის გაჭიანურება, რადგან საკმაოდ სოლიდურ ხელფასს იღებენ ამაში“ (არჩილ გეგეშიძე, „ახალი 7 დღე“, 28 მაისი – 3 ივნისი, 2004); „ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ბლოკავს კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს... ომი დიდი ფულია მათთვის... აფინანსებენ რაღაც უაზრო წიგნებსა და პროექტებს“ (ორგანიზაცია „შერეული ოჯახების“ თავმჯდომარე რევაზ ბენდელიანი, „24 საათი“, იანვარი, 2005).

საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ საქართველოს პრეტენზიის მიზეზად შეიძლება ვიგულისხმოთ ის, რომ ქართული მხარე საერთაშორისო ორგანიზაციებს იმაზე მეტ წონას, მნიშვნელობას და ვალდებულებებს აკისრებს, ვიდრე მათ თავად

აქვთ აღებული. თუ ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ გუნდს თავდაპირველად კარგად ესმის, რა არის საერთაშორისო ორგანიზაციების პასიურობის მიზეზი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში (ვასილ მალაფერიძე: „როცა თავად შენ არ ხარ ჩამოყალიბებული, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია თავს არ აიტკიებს“, – „ახალი 7 დღე“, 23-29 იანვარი, 2004), ეს უკვე აღარ ესმით ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ჩანს, რომ ხელისუფლებამ საბოლოოდ აირჩია პრობლემის მოგვარების მიზნობა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, თავად კი საერთაშორისოების ამ მიმართულებით მუშაობის კონტროლის ფუნქცია შეიძინა. ცალკეულ კრიმინალურ ფაქტებზე რეაგირებას და მათ მოგვარებასაც კი საქართველოს ხელისუფლება „ავალებს“ საერთაშორისო ორგანიზაციებს. „სოხუმის დეფქატო ხელისუფლებასთან მუშაობის ნაცვლად საქართველო კვლავ ეუთოს, გაეროსა და სხვებს მიმართავს („24 საათი“, მარტი, 2006). რიგითი პრობლემების გარდა (წურნალისტების დაპატიმრება, გალის რაიონში მომხდარი სხვა ექსცესები), საქართველოს ხელისუფლების გათვლით, ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა მოაგვარონ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მთავარი პრობლემებიც. მთლიანად ამ მოლოდინზეა აგებული პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის მიერ (თავმჯდომარე შოთა მალაშხია) შექმნილი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამუშაო გეგმა-პროექტი“, რომელიც 2005 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ერთადერთ გარანტორად აცხადებს საერთაშორისო საზოგადოებას, აპრიორად მიიჩნევს მის მხარდაჭერას საქართველოს ხელისუფლებისადმი და ამ მხარდაჭერას აცხადებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო ერთადერთ და საკმარის ფაქტორად, „საკმარისი იქნება მხოლოდ ქართული მხარის ინიციატივა, დღევანდელი ხელისუფლებისადმი გარე ძალების მხარდაჭერის გამო რეალურ შედეგს გამოიღებს“ („24 საათი“, იანვარი, 2005). კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამოთვლილი ჰყავს ყველა ორგანიზაცია, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში აფხაზეთის დაბრუნებაზე უნდა იმუშაონ: „საქართველო რომის კონვენციას მიუერთდა“... „ევროსაბჭოშიც უნდა გავა-

აქტიურთ ამ მიმართულებით მუშაობა“, „ევროკავშირი აფხაზეთში სამშვიდობო მისიას განახორციელებს“ („24 საათი“, იქვე).

ამავე პრინციპს ემყარება მეორე დოკუმენტი „აფხაზეთის მთავრობის მიერ შემუშავებული კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი პრინციპები“: „საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას (გაეროს, ევროკავშირს, აშშ-ს, რუსეთს), შეასრულოს აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის გარანტიის ფუნქცია“ („24 საათი“, თებერვალი, 2005).

ასეთია ხელისუფლების პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოზიცია თავად საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს სამოქალაქო სექტორისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების მხრიდან კრიტიკისა და შენიშვნების საგანი არაერთხელ გამხდარა, მის მთავარ შეცდომად კი ოპონენტების მიერ მიჩნეულია არა საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსის გამოყენების მცდელობა კონფლიქტის მოსაგვარებლად, არამედ მხოლოდ ამ რესურსით შემოფარგვლა, საკუთარი როლისა და ფუნქციის მინიმუმამდე შემცირება ან მასზე საერთოდ უარის თქმა. „საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში მნიშვნელოვან რილს თამაშობენ, მაგრამ ვერ იქნება ის გადამწყვეტი... საერთაშორისო პოლიტიკაში იმდენი პრობლემა დაგროვდა, აფხაზეთის საკითხი მთავარი არ არის, საქართველომ თავის თავს თვითონ უდა მიხედოს“ (ჯონათან კოენი, „24 საათი“, 19 ნოემბერი, 2003); „ბუშის ჩამოსვლა სხვისი იმედით ყოფნას ნიშნავს, თუ ჩვენი სახელმწიფო არ გაძლიერდა პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მხედრულად, ვერც ბუში გვიშველის და ვერც სხვა“ (სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტი დავით დოლბაძე, „24 საათი“, მაისი, 2005).

ხელისუფლებას ავიწყდება ორი რამ: არ არსებობს მსოფლიოში პრეცედენტი, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევას (თუ მასთან ერთად არ მოქმედებს კონფლიქტის მოგვარების სხვა რესურსი) კონფლიქტი გადაეჭრას („იუგოსლავიაში პირდაპირ გაეროს ჯარის თვალწინ ხოცავდნენ ხალხს“ – პაატა ზაქარეიშვილი, „24 საათი“, ნოემბერი, 2005); და მეორე – საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედებას, კონფლიქტის მოგვარებაში ჩართულობის ხარისხსა და მიმართულებას განაპირობებს კონფლიქტის მთავარი აქტანტების პოზიციები – როგორც ერთმანეთის მიმართ, აგრეთვე საერთაშორისოდ აღიარებული დე-

მოკრატული და ჰუმანური პრინციპების მიმართ. საქართველოს ხელისუფლება ვერ წარმოაჩენს საერთაშორისო საზოგადოების თვალში, რომ ის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, აფხაზების ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში დაბრუნებაში დახმარებას იმსახურებს. საერთაშორისო სტრუქტურები ხშირად მოუწოდებენ მხარეებს, დაიცვან კონფლიქტის მეორე მხარესთან ურთიერთობაში ამ ორგანიზაციების მიერ აღიარებული პრინციპები. გაერო „დაბეჯითებით მოუწოდებს ქართულ მხარეს, სერიოზულად მოეკიდოს აფხაზური მხარის სამართლიან შეშფოთებას უსაფრთხოების გამო... ქართულმა მხარემ თავი შეიკავოს საომარი რიტორიკისა და პოლიტიკური ქმედებებისგან... (გაეროს რეზოლუცია, 1716, „ახალი 7 დღე“, 20-28 ოქტომბერი, 2006).

საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარი რეკომენდაცია არის მხარეებს შორის დაახლოებისთვის საჭირო ყველა შესაძლებლობის გამოყენება და ამის გაკეთება, უპირველესად, ქართულ მხარეს ევალება, რადგან ის დეკლარირებს აფხაზებთან დაბრუნების, ერთ სახელმწიფოში გაერთიანების პოლიტიკას და არა აფხაზური მხარე, რომლის დეკლარირებული და პრაქტიკული პოლიტიკა არის ქართული მხარისგან განდგომის, გასვლის, განკერძოების პოლიტიკა.

აფხაზები ქართველებთან ურთიერთობის ელემენტარულ ფორმებზეც კი უარს აცხადებენ, ისინი თითქმის არასდროს გამოხატავენ ქართველებთან არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენაზე თანხმობას, არამედ კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებში თანამშრომლობაზეც კი კატეგორიულ უარს აცხადებენ (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე ფაქტი). „მეორე მხრიდან ისმის მხოლოდ „არა“! ადამიანის უფლებათა დაცვაზე – „არა“! ქართულ სწავლებაზე – „არა“! საერთაშორისო კომპონენტზე – „არა“! (გოგა ხაინდრავა, „24 საათი“, მაისი, 2005).

რადგან ქართულ მხარეს ეკუთვნის აფხაზებთან თანაცხოვრების ლოზუნგები, ამიტომ ლოგიკურია, რომ საერთაშორისო საზოგადოება ქართული მხარისგან მოითხოვს ამ ლოზუნგების საქმედ ქცევას. ამით უნდა აიხსნას კონკრეტული წინადადებებიც, რომლებსაც ისინი აძლევენ ქართულ მხარეს (ორი ნაბიჯი – ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა და ძალის გამოუყენებლობაზე შეთანხმების გაფორმება – ჯონათან კოენი, „შერიგების რესურსე-

ბი“). საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთი წინადადებები, ჩვენი აზრით, ქართული მხარისთვის რისკის შემცველი წინადადებებია, მაგრამ მათ სხვა რეკომენდაციებით დახმარება არ შეუძლიათ.

თუმცა, აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის მიმართ ეკონომიკურ სანქციებს თავის დროზე, სწორედ, საერთაშორისო საზოგადოებამ დაუჭირა მხარი. საქართველოში ბევრი ფიქრობს, რომ ეს იყო ცუდი ექსპერიმენტის მხარდაჭერა მათი მხრიდან, რადგან, ერთი მხრივ, საბოლოოდ დაუსვა ნერტილი ქართველების მიმართ აფხაზი ხალხის კეთილგანწყობის პერსპექტივას (ეს ბლოკადა მიმართულია ხალხის და არა დე-ფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ – გიორგი ანჩაბაძე, ზემოთ), მეორე მხრივ კი, გააფუჭა იმავე აფხაზების ურთიერთობა საერთაშორისო საზოგადოებასთან, ის ცალსახად მიიჩნია აფხაზების ინტერესების მონინაღმდეგედ და ქართული „აგრესიის“ მხარდამჭერად, უნდობლობა გამოუცხადა მას და ამ უნდობლობის საპირწონედ კიდევ უფრო გაამყარა ურთიერთობა რუსეთთან. ექსპერიმენტის შედეგების გამოსწორება მისი დასაწყისიდან მრავალი წლის შემდეგ დაგვიანებული აღმოჩნდა. ბლოკადამ თავისი ნეგატიური (და დადებითიც) შედეგები უკვე გამოიღო. ერთი მხრივ, დე-ფაქტო რესპუბლიკა ჩაკეტილი აღმოჩნდა სხვა ქვეყნების ეკონომიკური პროექტებისთვის, მეორე მხრივ კი, მთლიანად იმ ქვეყნებზე მიბმული (ღიად ან ფარულად), რომლებმაც, სანქციების მიუხედავად, ფინანსურ-ეკონომიკური კავშირი დაამყარეს თვითგამოცხადებულ აფხაზეთთან.

არასდროს აღნიშნავენ, რომ, რუსეთის გარდა, აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკასთან ეკონომიკური თანამშრომლობა დაიწყეს თურქულმა კომპანიებმაც – და ხშირ შემთხვევაში რუსულ კომპანიებსა და სახელმწიფო სტრუქტურებზე უფრო აქტიურადაც („რატომღაც თურქეთის გემები აფხაზეთში შემოდიან, რუსეთის – არა“ – სტანისლავ ლაკობა, „24 საათი“, 2005). „აფხაზეთი ეკოლოგიური საფრთხის წინაშეა – თურქული კომპანიები ანადგურებენ აფხაზეთის ბუნებას, გააქვთ ხე-ტყე, მიიღეს თევზის რენვის შეუზღუდავი უფლება“ (გიორგი გაჩეჩილაძე, „24 საათი“, მაისი, 2004).

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა, რომელიც არღვეს საერთაშორისო ეკონომიკურ სანქციებს, არის ევროსაბჭოსა და გაეროს წევრი ქვეყანა (ხოლო თურქეთი ნატოს წევრიც არის), ხო-

ლო ევროსაბჭოსა და გაეროს ქართული მხრიდან მუდმივად მიეწოდება ინფორმაციები ასეთი დარღვევების შესახებ, არც ერთი ორგანიზაცია არ ერევა სადავო საკითხებში.

გაეროს ასამბლეის 53-ე სესიაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრო ირაკლი მენაღარიშვილი მოითხოვს დახმარებას საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის უხეში ჩარევის შესაჩერებლად („24 საათი“, ოქტომბერი, 2003); ერთი წლის შემდეგ ნინო ბურჯანაძე ევროპის საპარლამენტო ასამბლეაზე გამოდის ამავე თხოვნით, ქართული დეპუტაცია დებატებს მართავს რუს კოლეგებთან („24 საათი“, ოქტომბერი, 2004); 2006 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე განიხილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები და რუსეთის ნეგატიური მონაწილეობის საკითხი მათში („24 საათი“, სექტემბერი, 2006). 2006 წლის ნოემბერში გაეროს უშიშროების საბჭო ოფიციალურ უარს აცხადებს რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანის საკითხის განხილვაზე („24 საათი“, ნოემბერი, 2004). რამდენად ქმედითად შეიძლება ჩაითვალოს ის წინადადებები, რომელთაც საერთაშორისო ორგანიზაციები აწვდიან საქართველოს? ასეთი პრაქტიკული წინადადება ბევრი არ არის, შევჩერდეთ ერთ-ერთზე. ქართულ მხარეს კიდევ რომ გაეთვალისწინებინა 2004 წელს საერთაშორისო ორგანიზაციების („შერიგების რესურსების“) რეკომენდაცია „ორი ნაბიჯის“ შესახებ, ჩვენი აზრით, შედეგს ვერ მიიღებდა, რადგან სანქციების წლებმა ფაქტობრივად რუსეთის ეკონომიკურ და სამხედრო სივრცის ნაწილად აქცია აფხაზეთი, ამ სივრციდან აფხაზეთის ჩამოსაშორებლად ქართული მხარის პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური რესურსები კი რუსეთის რესურსებთან შედარებით მკვეთრად არათანაბარი იყო, რაც შეეხება საერთაშორისო რესურსების მონაწილეობას საქართველოს მხრიდან „ორი ნაბიჯის“ განხორციელებაში, უდავოა, რომ უკვე რუსეთის ეკონომიკური ბერკეტების ქვეშ მთლიანად მოქცეული აფხაზები მას მხოლოდ რუსეთის კონტროლის ქვეშ თუ მიიღებდნენ, რაც იმის სრულ გარანტიას აძლევდა რუსეთს, რომ აფხაზების მისგან დისტანცირება არ მომხდარიყო. რუსეთთან აფხაზეთის ეკონომიკური მიზმულობის გათიშვა შეეძლო განუზომლად დიდი ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური და ინტელექტუალური

რესურსების დაპირისპირებას რუსეთის რესურსებთან, რისი აკუმულირება ქართულ მხარეს დამოუკიდებლად გაუჭირდებოდა, საერთაშორისო სტრუქტურები კი, რომლებზე მიზმის გზითაც შეეძლო ქართულ მხარეს ამის გაკეთება, ღიად აცხადებდნენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში დაგროვილი უამრავი პრობლემის ფონზე „საქართველოს საკითხი მთავარი არ არის, საქართველომ თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს“ (ჯონათან კოენი, იხ. ზემოთ).

დანართები

ცხრილი 1: 1990-1991 წლების ქართულ მედიაში აფხაზების მიმართ გამოყენებული ეპითეტები

ეპითეტი	პროცენტი
არანაირი	5,6%
აფსუა	61,1%
ამაყი	5,6%
ჩამოსახლებული	5,6%
ექსტრემისტი	5,6%
სეპარატისტი	22,2%
ჩვენი ძმები	5,6%

ცხრილი 2: 1990-1991 წლების ქართულ მედიაში აფხაზეთის ტერიტორიის აღსანიშნად გამოყენებული სიტყვები

აფხაზეთის ტერიტორიის სახელდება/აღნიშვნა	პროცენტი
დროებით პრობლემური	5,9%
სეპარატისტულად განწყობილი	5,9%
აფხაზეთი	41,2%
საქართველოს [განუყოფელი] ნაწილი/რეგიონი	35,5%
განონასწორებული	5,9%
არანაირი	5%

წყარო: ხათუნა მაისაშვილი, „ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია ქართულ ბეჭდურ მედიაში. 1990-1991 წლები“ (2010). ნახევრად სტანდარტიზებული კითხვარი 18 რესპონდენტისთვის: გაზეთების გამომცემლებისთვის, რედაქტორებისთვის, ჟურნალისტებისთვის.

შენიშვნა 1. 2007-2008 წლებში ჩატარებულ გამოკითხვაში 1990-1991 წლებში მოქმედმა ქართველმა გამომცემლებმა, რედაქტორებმა და ჟურნალისტებმა უპასუხეს შეკითხვას: „როგორი იყო იმ პერიოდის რუსულ მედიაში (რუსეთის მედიაში) რეპრეზენტირებული „ქართველისა“ და „აფხაზის“ სპეციფიკური ნიშანთვისებები.“ მონაცემების დამუშავების შემდეგ გამოიკვეთა ასეთი სურათი:

ა) რუსულ მედიაში რეპრეზენტირებული ქართველი ყო: „იმპერიალისტურად მოაზროვნე“, „ძველი და მცირე ერის კომპლექსით შეპყრობილი“, „მჩაგვრელი“, „კორუმპირებული“, „უკულტურო“, „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსნი“;

ბ) „აფხაზი“ – „ამაყი“, „მთიელი“, „ქართველის მიერ დაჩაგრული“, „ქართველისგან განსხვავებული“, „თავისთავადი“, „პრივილეგიების ღირსი“, „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ღირსი“, „თავისუფლების მოყვარე“.

წყარო: ხათუნა მაისაშვილი, „ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია ქართულ ბეჭდურ მედიაში. 1990-1991 წლები“ (2010). ნახევრად სტანდარტიზებული კითხვარი 18 რესპონდენტისთვის: გაზეთების გამომცემლებისთვის, რედაქტორებისთვის, ჟურნალისტებისთვის.

მეთოდის აღწერა და სტატისტიკური პროცედურების შედეგები პირველი თავისთვის

საკვლევი პოპულაცია: ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“, ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“. ნაერთი შინაარსი.

დროითი ჩარჩოები: 2002 წლის იანვარი – 2010 წლის დეკემბერი.

საკვლევი ტექნიკები: კონტენტ-ანალიზი და ფაქტორული ანალიზი.

საზრისისეულ ერთეულად არჩეულ იქნა ნებისმიერი ინფორმაცია ან სხვა ჟანრის პუბლიკაცია, რომელიც შეეხებოდა:

- ქართული და აფხაზური პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლების ურთიერთობას მოლაპარაკებების ყველა მოცემულ დონეზე და ყველა რეპრეზენტირებულ ფორმატში;
- საქართველოსა და აფხაზეთის (დე-ფაქტო) ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივებსა და წამოწყებებს ერთმანეთის მიმართ;
- კონფლიქტის მოგვარების/გადანწყვეტის არსებულ და პოტენციურ რესურსებს; კონფლიქტის მონაწილე და მასში ჩართული მხარეების ინტერესებს;
- აფხაზეთის, აფხაზების სახეს (მედიური ამბების გადმოცემის ყველა მოცემული ადგილმდებარეობისა და დროითი კონტინუუმის მიხედვით);
- ქართველთა და აფხაზთა იდენტობით მიმართებებს რელიგვანტური კატეგორიების მიხედვით;
- პროცესებს, მიმდინარეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, რომლებსაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ აფხაზეთში მიმდინარე ან მოსალოდნელ მოვლენებზე;
- ეთნიკური ქართველების მდგომარეობას აფხაზეთში.

მთლიანდ ორივე წყაროსთვის გაანალიზდა 1752 ერთეული (მედიური ნიმუში). ანალიზის პირველ ეტაპზე პუბლიკაციების გენერალიზებული შინაარსი დაკლასიფიცირდა მათი წამყვანი თემატური და ვალენტობითი მიმართებების, ჩარჩოების მიხედვით. პუბლიკაციების ჟანრებისა და შინაარსიდან გამომდინარე, ზოგიერთი ერთეული პუბლიკაცია რამდენიმე კატეგორიაში მოხვდა. კოდირებას აწარმოებდა ორი მკვლევარი. 1752 ერთეულიდან ისინი 1701-ზე შეთანხმდნენ, რის შედეგადაც სანდოობის კოეფიციენტმა ჰოლსტის ფორმულის მიხედვით .97 შეადგინა, რაც კვლევას ვალიდურს ხდის.

ცხრილი 3: განზოგადებული ნაერთი მედიაშინაარსი. რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, 2002-2010

3.1 2002 წელი

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
დაძაბული/უმართავი კრიმინალური ვითარება აფხაზეთში	32	13
საქართველოს ხელისუფლების უუნარობა, ანარმოს ეფექტური პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ/საქართველოს ხელისუფლების უინიციატივობა	21	9
საქართველოს ხელისუფლების არათანმიმდევრული პოლიტიკა და ქმედებები რუსი სამშვიდობოების მიმართ	12	5
საერთაშორისო ორგანიზაციების არაეფექტური ქმედება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რეგულირების პროცესში	11	5
კოდორის ხეობა საფრთხის წინაშე – მისი პროექცია აფხაზეთზე	13	5
პარტიზანები, როგორც ერთადერთი ქმედითი და მოტივირებული ძალა აფხაზეთის დასაბრუნებლად	19	8
აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების პოზიცია: გამოსავალი ძალისმიერ პოლიტიკაში/სამხედრო და ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის აუცილებლობა აფხაზეთში	22	9
„უჩინარი“ არძინბა და ლიად მოქმედი რუსეთი/ მიმდინარე მოვლენები და პერსპექტივა	18	7
აფხაზეთი – საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი რეგიონული პრობლემა	11	4
პანკისის ხეობაში მიმდინარე პროცესების პროექცია აფხაზეთზე/საფრთხის პროპორციულობა	15	6
„აჭარული“ პოლიტიკა, როგორც „აფხაზური“ პოლიტიკის ფაქტორი	6	2
რუსეთის ფაქტორი აფხაზეთში/პირდაპირი აგრესია, ფარული აგრესია, რუსიფიკაცია	17	7
ისლამისტური სოლიდარობის ფაქტორი აფხაზეთში	5	2
ჩრდილოკავკასიური იდენტობითი სოლიდარობის ფაქტორი აფხაზეთში	9	4
საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტები როგორც აფხაზეთის საქართველოსთან ინტეგრირების რეალური შანსი	2	1

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
აშშ-ის, ევროკავშირის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩართვის აუცილებლობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში	5	2
ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ეროვნულ-იდენტობითი და პოლიტიკური ფესვები	5	2
აფხაზეთის მინა და აფხაზები/იდენტობითი კონფლიქტი	7	3
ქართულ-აფხაზური კრიმინალის საერთო ინტერესები და ფესვები	7	3
რუსული და თურქული ინვესტიციები აფხაზეთში	8	3

3.2. 2003 წელი

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
რუსეთის ფაქტორი აფხაზეთში/ფარული აგრესია, რუსიფიკაცია/რუსეთთან ასოცირების პოლიტიკა	19	10
საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია რუსეთის „მოდალადე“ პოლიტიკაზე აფხაზეთში	9	5
დევნილების ალტერნატივა: მონობა გალში თუ შიმშილი თბილისში	10	5
აფხაზეთის საკითხის გამკვეთრება რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებში	5	2
აშშ-ის, ევროკავშირის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩართვის აუცილებლობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში	8	5
კოდორის ხეობა საფრთხის წინაშე – მისი პროექცია აფხაზეთზე	11	5
რელიგიური სეპარატიზმი/რუსული ეკლესიისა და აფხაზეთის თვითმარქვია ეკლესიის აგრესია საქართველოს ეკლესიის აფხაზეთზე გავლენის წინააღმდეგ	2	1
აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკა: საერთაშორისო სამართლის ნორმების ამოქმედების აუცილებლობა სეპარატისტული ხელისუფლების წინააღმდეგ	14	7
დაძაბული/უმართავი კრიმინალური ვითარება აფხაზეთში	23	12
საქართველოს ხელისუფლების არათანმიმდევრული პოლიტიკა და ქმედებები რუსი სამშვიდობოების მიმართ	13	7

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების პოზიცია: სამხედრო და ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის აუცილებლობა აფხაზეთში	9	5
აფხაზეთის მზადება ომისთვის. პრეტენზიები ფოთის აკვატორიაზე	7	3
პარტიზანები, როგორც ერთადერთი ქმედითი და მოტივირებული ძალა აფხაზეთის დასაბრუნებლად	5	2
„უჩინარი“ არძინბა და ლიად მოქმედი რუსეთი/მიმდინარე მოვლენები და პერსპექტივა	11	5
სოციალური დაძაბულობა გალში ეთნიკურ ნიადაგზე	14	7
აფხაზეთი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში	13	7
რუსული ინვესტიციები აფხაზეთში	2	1
მძიმე ეკონომიკური ვითარება აფხაზეთში	2	1
საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურობის განსჯა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რეგულირების პროცესში/რომის სტატუსზე	9	5
ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ეროვნულ-იდენტობითი და პოლიტიკური ფესვები	7	3
ახალი რუსულ-ამერიკული პოლიტიკა და ცვლილებები „აფხაზურ“ პოლიტიკაში	2	1
რუსულ პრესაში ასახული დამოუკიდებელი აფხაზეთი	3	1

3.3 2004 წელი

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
აფხაზეთის ლეგიტიმური ლიდერის (ნადარეიშვილი) და საქართველოს პრეზიდენტის პოზიციების თანხვედრა	4	2
საქართველოს ხელისუფლების ახალი და მაღალი შანსები აფხაზეთის დასაბრუნებლად	13	6
საზოგადოებრივი გაერთიანებები: აფხაზეთის კარი ეკონომიკური გასაღებით გაიღება	5	2

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
„ჰუმანიტარული ინტერვენცია“ სამხ. ოსეთსა და აფხაზეთში – ქმედითი პოლიტ. ნაბიჯი თუ გაუაზრებელი ავანტიურა	11	5
„ვარდების რევოლუციის“ ექსპორტი აფხაზეთში/აჭარული სცენარის გამეორების პერსპექტივები აფხაზეთში	8	4
სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესების პროექცია აფხაზეთზე	13	6
პარტიზანული მოძრაობის დაისი	3	1
დევნილების დაბრუნება – სანციის წერტილი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის განსახლებლად	11	5
დევნილების დაბრუნება – უპირობოდ განსახილველი საკითხი თუ მოლაპარაკების პროცესის კომბინაციური ელემენტი	10	4
რუსული ფაქტორის ძალა და გავლენა/რუსები აფხაზებს „ქართული საფრთხით“ აშინებენ	25	11
ომი და მშვიდობა ერთდროულად/საქართველოს ხელისუფლების ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა	8	4
საქართველოს ხელისუფლების საომარი რიტორიკით დამფრთხალი აფხაზები თავდაცვისთვის ემზადებიან	17	8
საერთაშორისო ორგანიზაციების არაეფექტური ქმედება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რეგულირების პროცესში	7	3
საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში: რუსეთის კარნახით მიმდინარე პროცესი	11	5
საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში/ახალი კანდიდატის „პროქართველობა“	12	5
საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში/დილემა: ჩაერიოს თუ არ ჩაერიოს საქართველო წინასაარჩევნო პროცესის მართვაში	13	6
საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში/კანდიდატების შესაძლებლობები, რესურსი და პერსპექტივები	16	7
საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში/დაპირისპირება მონაწილე მხარეებს შორის	19	8
საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში: გალის მოსახლეობა, როგორც ბალაფშის საარჩევნო რესურსი	9	4
ურანი აფხაზეთში	3	1
ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებათა ფორმატის შეცვლის აუცილებლობა	7	3

3.4 2005 წელი

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
რუსეთი ბალაფშის წინააღმდეგ	5	2
აფხაზეთის საქართველოსთან ინტეგრაციის ალტერნატიული კონცეფციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ინიციატივები	7	3
კოსოვოს პრეცედენტის პროექცია აფხაზეთზე	10	4
ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ეროვნულ-იდენტობითი და პოლიტიკური ფესვები	3	1
იძულებითი პასპორტიზაცია და აფხაზურ ჯარში განწვევა როგორც ცალკეულის კიდევ ერთი დევილობის საბაზი	7	3
სოციალური დაძაბულობა გალში ეთნიკურ ნიადაგზე	12	5
ომი და მშვიდობა ერთდროულად/საქართველოს ხელისუფლების ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა	37	17
საქართველოს ხელისუფლების საომარი რიტორიკით დამფრთხალი აფხაზები თავდაცვისთვის ემზადებიან	16	8
ძალადობა აქტები აფხაზეთში: ქართველი პარტიზანული ტერორი თუ რუსეთის სპეცსამსახურების პროვოკაცია	8	3
საშიში ტურისტული სეზონი	5	2
გალის საკითხი აფხაზურ პოლიტიკაში	11	5
რელიგიური სეპარატიზმი	3	1
რუსული და თურქული ინვესტიციები აფხაზეთში	3	1
ანტისომხური განწყობა აფხაზეთში	6	3
რკინიგზა აფხაზეთში: პრო და კონტრა	8	3
სერგეი შამბას ვიზიტი საქართველოში	5	2
დამოუკიდებელი აფხაზეთი რუსულ პრესაში	5	2
პარტიზანული მოძრაობის აღორძინება გალში	11	6
დაძაბულობა ორ ფრონტზე: სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესების პროექცია აფხაზეთზე	55	25
რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხი კონფლიქტის ზონიდან	9	4

3.5. 2006-2007

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
დევნილების დაბრუნება – უპირობოდ განსახილველი საკითხი თუ მოლაპარაკების პროცესის კომბინაციური ელემენტი	21	7
კრიმინალებისა და აფხაზი პოლიციელების შეტევა გალზე	32	11
რუსული ინვესტიციები აფხაზეთში	9	3
ანტისომხური განწყობა აფხაზეთში	11	4
ომი – საქართველოს ხელისუფლების კრიზისი?	22	7
პასპორტიზაცია გალში როგორც ახალი დევნილობის საბაზი	11	4
საერთაშორისო მოლაპარაკებების არსებული ფორმატის არაეფექტურობა	19	6
კოსოვოს პრეცედენტის პროექცია აფხაზეთზე	25	8
რუსეთის მოლაპარაკებებიდან გამოთიშვის ამოცანა: კონსტრუქციული პოლიტიკური ნაბიჯი თუ გაუაზრებელი ავანტიურა?	10	3
მოლაპარაკებები აფხაზეთთან: წინაპირობებით თუ წინაპირობების გარეშე?	13	4
ქართული კვალის მთლიანად წაშლა აფხაზეთში	15	5
„მომავლის გასაღები“ – ინტეგრაცია საქართველოსთან თუ აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია?	15	5
სოციალურ-კრიმინალური დაძაბულობა გალში ეთნიკურ ნიადგაზე	18	6
საშიში ტურისტული სეზონი	10	3
მოვლენები კოდორში – ქართული სახელმწიფოს წარმატება, პიარი თუ ახალი დაძაბულობის კერა?	44	14
„მტრედების“ წასვლა საქართველოს მთავრობიდან – ომის მომასწავებელი ნიშანი?	22	7

3.6 2008 წელი

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
დაძაბულობა გალში სოციალურ/ეთნიკურ/სამხედრო ნიადაგზე	11	6
რუსული ინვესტიციები აფხაზეთში	7	3
გალი აფხაზეთისთვის: არა ქართული, არამედ მეგრული ანკლავი	5	2
სამხედრო ოპერაციის რეალურობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან	10	6
აფხაზებს არ სურთ საქართველოსთან ინტეგრაცია	3	2
სომხური ექსპანსიის შიში აფხაზეთში	5	2
კოსოვოს პრეცედენტის პროექცია აფხაზეთზე	16	8
პროვოკაციების საფრთხე რუსეთისა და აფხაზეთის მხრიდან	12	6
ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენის პერსპექტივები (2008 წლის აგვისტომდე)	6	3
საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა: გადმოზიარება მოლაპარაკების ნაცვლად/მუშაობა გალის ადმინისტრაციაზე	6	3
სამშვიდობოების ფორმატის შეცვლის აუცილებლობა	10	5
ჩრდილოკავკასიური ფაქტორი/დახმარება აფხაზეთის დასაცავად ქართული აგრესიისგან	9	4
გალი როგორც ხიდი აფხაზებთან და არა ფარი	12	6
აფხაზეთი – მეორე ფრონტი	17	8
პროცესები რუსეთ-საქართველოს ომისკენ მიდის	16	8
სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესების პროექცია აფხაზეთზე	23	11
ოკუპაცია და ურთიერთობების რადიკალურად შეცვლა/კონფლიქტის გაყინვა	24	12
რა აირჩიეს აფხაზებმა: დამოუკიდებლობა თუ უსაფრთხოება?	7	3
რელიგიური სეპარატიზმის გაღრმავება	4	2

3.7 2009-2010

რეპრეზენტაციის თემატურ-ვალენტობითი ჩარჩო	N	%
საერთაშორისო ინსტიტუტების, როგორც ბერკეტის, შენარჩუნების აუცილებლობა აფხაზეთში	9	3
ევროკავშირი – ერთადერთი საერთაშორისო ბერკეტი აფხაზეთში	9	3
კონფლიქტი რუს და აფხაზ სამხედროებს შორის	17	5
აფხაზეთი – ერთი დიდი რუსული სამხედრო ბაზა	36	11
ქართულ-რუსული საზღვაო დაპირისპირება	18	5
რა შედეგები მოიტანა ქართულ-აფხაზური არაფორმალური დიალოგის ბლოკადამ საქართველოს ხელისუფლების მიერ	3	1
რა აირჩიეს აფხაზებმა: დამოუკიდებლობა თუ უსაფრთხოება?	31	9
გალის მარგინალიზაცია ორივე მხრიდან	41	12
არის თუ არა ბალაფში ეთნიკური აფხაზების პრეზიდენტი	15	4
რუსეთის გეგმა: აფხაზეთისა და სამხ. ოსეთის კონფედერაცია	3	1
რელიგიური სეპარატიზმის გაღრმავება	18	5
რუსეთის ტერიტორიული პრეტენზიები აფხაზეთის მიმართ/ აფხაზეთის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ	11	3
უშედეგო მოლაპარაკებები ჟენევაში	17	5
რუსეთი ბალაფშის წინააღმდეგ	17	5
თურქული ფაქტორი აფხაზეთში	8	2
ეთნიკური აფხაზები – მოსახლეობის უმცირესობა (რეპატრიაციისა და ჩრდილოკავკასიელების ჩამოსახლების ჩაშლილი პროექტი)	18	5
ქართული დიპლომატიის შესაძლებლობები აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაჩერებლად	28	9
გალი – უარყოფილი შეხების ცოცხალი ნერტილი ქართველებსა და აფხაზებს შორის	9	3
აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა პოპულარიზაციას უწევს აფხაზი ეროვნების მოქალაქეების გადმოზიდვას	10	3
ოკუპაცია და ურთიერთობების რადიკალურად შეცვლა/ კონფლიქტის გაყინვა	20	6

ანალიზის მეორე ეტაპზე ეს ნლების მიხედვით თემატურად კლასიფიცირებულ შინაარსი ფაქტორების ჯგუფებად დაიყო. ფაქტორების ბუნება და ვექტორი განისაზღვრა შინაარსობრივი კატეგორიებიდან გამომდინარე:

- არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე);
- არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე);
- არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე);
- სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის);
- იდენტიფიკაციის ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მიწის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა);
- სოციალურ-კრიმინალური ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში;
- სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

კოდირებას აწარმოებდა ორი მკვლევარი. ანალიზის პირველ ეტაპზე გამოყოფილი 138 შინაარსობრივი კატეგორიიდან მკვლევრები 131 შეთანხმდნენ, რამაც სანდოობის კოეფიციენტი ჰოლსტის ფორმულის მეხედვით განსაზღვრა როგორც .94.

ცხრილი 4: კლასიფიცირებული ფაქტორები განზოგადებული ნაერთი მედიაშინაარსის მიხედვით. „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, 2002-2010 წლები.

4.1. 2002 წელი

ფაქტორის დასახელება	ერთ. რაოდ. (N)
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	67
არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	0
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)	0
სამხ.-პოლიტ. ფაქტ. (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)	53
იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)	75
სოც.-კრიმ. ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში	39
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	11

4.2. 2003 წელი

ფაქტორის დასახელება	ერთ. რაოდ. (N)
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	92
არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	2
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)	13
სამხ.-პოლიტ. ფაქტ. (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)	35
იდენტობითი ფაქტ. (სამოქ., ეთნ., რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)	35
სოც.-კრიმ. ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში	47
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	4

4.3. 2004 წელი

ფაქტორის დასახელება	ერთ. რაოდ. (N)
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	105
არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	45
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)	7
სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)	60
იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)	34
სოც.-კრიმ. ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში	30
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	7

4.4. 2005 წელი

ფაქტორის დასახელება	ერთ. რაოდ. (N)
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	107
არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	13
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)	7
სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)	59
იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)	35
სოც.-კრიმ. ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში	51
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	9

4.5. 2006-2007 წლები

ფაქტორის დასახელება	ერთ. რაოდ. (N)
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	114
არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	28
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)	0
სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)	45
იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)	37
სოც.-კრიმ. ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში	81
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	9

4.6. 2008 წელი

ფაქტორის დასახელება	ერთ. რაოდ. (N)
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	108
არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	16
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)	0
სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)	87
იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)	23
სოც.-კრიმ. ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში	28
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	8

4.7. 2009-2010 წლები

ფაქტორის დასახელება	ერთ. რაოდ. (N)
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	138
არასამხედრო პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)	18
არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)	2
სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორისა და სხვადასხვა აპლიტუდის მონაწილე და ჩართულ მხარეებს შორის)	71
იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მინის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)	92
სოციალურ-კრიმინალური ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში	41
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	0

მოცემული ფაქტორები ფაქტორული ანალიზის ტექნიკით დამუშავდა.

ფაქტორული ანალიზი

მონაცემთა ანალიზის პირველ ეტაპზე გაანალიზდა კვლევის ინსტრუმენტი, რათა დაგვედგინა, რამდენად შეესაბამებოდა დებულებები სწორედ იმ განზომილებას, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდა. ყველა დებულება მაღალ კორელაციაშია კვლევაში გამოყენებული დებულებების ჯგუფთან.

Communalities

	Initial	Extraction
A1	1.000	.947
A2	1.000	.774
A3	1.000	.979
A4	1.000	.942
A5	1.000	.881
A6	1.000	.964
A7	1.000	.972

Extraction Method: Principal Component Analysis.

ფაქტორულმა ანალიზმა თავდაპირველად გამოყო ოთხი ფაქტორი, რომელთა მიხედვითაც კვლევის მიერ გამოკვეთილი დებულებები ასე დაჯგუფდა:

ფაქტორი 1

1. არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონანილე და ჩართული მხარეების დონეზე)
2. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები

ფაქტორი 2

1. არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე)

ფაქტორი 3

1. სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორის, სხვადასხვა ამპლიტუდის)

2. სოციალურ-კრიმინალური ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში

ფაქტორი 4

1. არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე)

2. იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მიწის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა)

Rotated Component Matrix(a)

	Component			
	1	2	3	4
A1	.814	.192	.033	.496
A2	.168	.132	.010	.853
A3	.104	-.983	.019	-.028
A4	.164	.532	-.745	.279
A5	.517	.428	.023	-.656
A6	-.004	.113	.967	.125
A7	-.942	.242	.130	.094


Extraction Method: Principal Component Analysis.

Rotation Method: Varimax with Kaiser Normalization.

a Rotation converged in 12 iterations.

თუმცა გრაფიკული ანალიზის თანახმად მიზანშეწონილია მხოლოდ იმ ფაქტორების განხილვა, რომლებიც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე 1-ზე ნაკლებ მნიშვნელობას იძენს. ამ კრიტერიუმის მიხედვით დებულებები მხოლოდ სამ ფაქტორზე დაიყვანება:

Scree Plot



ფაქტორი 1

1. არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (დეზინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე);
2. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

ფაქტორი 2

1. არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (პოტენციურად ინტეგრაციული, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დონეზე);
2. სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები (სხვადასხვა ვექტორის, სხვადასხვა ამპლიტუდის).

ფაქტორი 3

1. არასამხედრო, პოლიტიკური ფაქტორები (ინტეგრაციული, მონაწილე და ჩართული მხარეების დონეზე);
2. იდენტობითი ფაქტორები (სამოქალაქო, ეთნიკური, რელიგიური, მიწის/ტერიტორიის და ზედ მცხოვრები ადამიანების იგივეობა).

Rotated Component Matrix (a)

	Component		
	1	2	3
A1	.948	.151	.092
A2	.528	.270	.640
A3	.087	-.779	-.063
A4	.269	.895	-.127
A5	.171	.109	-.740
A6	.049	-.461	.486
A7	-.805	.230	.513

Extraction Method: Principal Component Analysis.

Rotation Method: Varimax with Kaiser Normalization.

a Rotation converged in 8 iterations.

1. ამჯერად მეექვსე დებულება **სოციალურ-კრიმინალური ფაქტორები ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში** ფაქტორთა რომელიმე ჯგუფში არ გაერთიანდა.

იმისთვის, რომ დაგვედგინა რამდენად ზუსტად ასახავს ჩვენს მიერ შედგენილი დებულებები შესაბამის კულტურალურ განზომილებებს, ჩატარებული მონაცემების საფუძველზე გამოვითვაღეთ კრონბახის ალფა კოეფიციენტი.

Reliability Statistics

Cronbach's Alpha	Cronbach's Alpha Based on Standardized Items(a)	N of Items
.002	-1.513	7

a The value is negative due to a negative average covariance among items. This violates reliability model assumptions. You may want to check item codings.

ამის შემდეგ გაანალიზდა დებულებებს შორის კორელაცია. ალფა კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ კვლევაში გამოყენებული დებულებები არ გამოხატავს ერთიან სკალას და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა განვიხილოთ.

Item-Total Statistics

	Scale Mean if Item Deleted	Scale Variance if Item Deleted	Corrected Item-Total Correlation	Squared Multiple Correlation	Cronbach's Alpha if Item Deleted
A1	179.43	810.619	.609	.	-1.103(a)
A2	266.57	1533.286	.191	.	-.183(a)
A3	279.71	2245.905	-.517	.	.133
A4	225.29	1734.571	.001	.	.002
A5	236.57	1640.619	-.131	.	.202
A6	238.57	1981.286	-.172	.	.168
A7	277.00	2201.000	-.544	.	.105

a The value is negative due to a negative average covariance among items. This violates reliability model assumptions. You may want to check item codings.

ცხრილი 5: გალის რეპრეზენტაცია. განზოგადებული მედიაშინაარსი. „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“. 2002-2010

5.1. 2002 წელი

რეპრეზენტაციის კუთხე	N	%
დაძაბული/უმართავი კრიმინალური ვითარება	32	45
კოდორის ხეობა საფრთხის წინაშე – საფრთხე გალისთვის	13	18
ქართულ-აფხაზური კრიმინალის საერთო ფესვები	7	10
პარტიზანები გალში, ერთადერთი ქმედითი და მოტივირებული ძალა	19	27

5.2. 2003 წელი

რეპრეზენტაციის კუთხე	N	%
დევნილების დაბრუნების მოტივაცია: მონობა გალში თუ შიმშილი თბილისში	10	12
კოდორის ხეობა საფრთხის წინაშე – საფრთხე გალისთვის	11	13
დაძაბული/უმართავი კრიმინალური ვითარება	23	28
სოციალური დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე	14	17
რუსეთის არასამხედრო აგრესიის პროექცია გალზე	19	24
პარტიზანები გალში, ერთადერთი ქმედითი და მოტივირებული ძალა	5	6

5.3. 2004 წელი

რეპრეზენტაციის კუთხე	N	%
არჩევნები აფხაზეთში: გალის მოსახლეობა – როგორც ბალაფშის საარჩევნო რესურსი	9	28
დევნილების დაბრუნება – საწყისი წერტილი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის განსაახლებლად	11	33
დევნილების დაბრუნება – უპირობოდ განსახილველი საკითხი თუ მოლაპარაკების პროცესის კომბინაციური ელემენტი	10	30
პარტიზანული მოძრაობის დასასრული	3	9

5.4. 2005 წელი

რეპრეზენტაციის კუთხე	N	%
იძულებითი პასპორტიზაცია და განწვევა აფხაზურ ჯარში – როგორც გალელების კიდევ ერთი დევნილობის საბაზი	7	13
სოციალური დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე	12	21
ძალადობის აქტები გალში: პარტიზანული ტერორი თუ რუსეთის სპეცსამსახურების პროვოკაცია	8	14
გალის საკითხი აფხაზურ პოლიტიკაში	11	19
დევნილების დაბრუნება – უპირობოდ განსახილველი საკითხი თუ მოლაპარაკების პროცესის კომბინაციური ელემენტი	8	14
პარტიზანული მოძრაობის აღორძინება	11	19

5.5. 2006-2007 წლები

რეპრეზენტაციის კუთხე	N	%
დევნილების დაბრუნება – უპირობოდ განსახილველი საკითხი თუ მოლაპარაკების პროცესის კომბინაციური ელემენტი	21	17
კრიმინალებისა და აფხაზი პოლიციელების შეტევა გალზე	32	25
იძულებითი პასპორტიზაცია – როგორც გალელების კიდევ ერთი დევნილობის საბაზი	11	9
სოციალური დაძაბულობა და დისკრიმინაცია ეთნიკურ ნიადაგზე	18	14
მოვლენები კოდორში – ომის განახლების საფრთხე და მისი პროექცია გალის რაიონზე	25	20
კოდორი, როგორც ქართული სახელმწიფოს ფორპოსტი/ გალის „სიხლოვე“ თუ დაშორება საქართველოსგან?	19	15

5.6. 2008 წელი

რეპრეზენტაციის კუთხე	N	%
დაძაბულობა ეთნიკურ/სოციალურ/სამხედრო ნიადაგზე	11	27
გალი აფხაზეთისთვის: არა ქართული, არამედ მეგრული ანკლავი	5	12
საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა: გადმობირება მოლაპარაკების ნაცვლად/მუშაობა გალის ადმინისტრაციაზე	6	15
გალი: ხიდი აფხაზეთისკენ თუ ფარი აფხაზეთისგან?	12	29
კოდორის დატოვება – გალის მიტოვება	7	17

5.7. 2009-2010 წლები

რეპრეზენტაციის კუთხე	N	%
გალი – რუსი და აფხაზი სამხედროების კონფლიქტის პოლიგონი	17	18
გალის მარგინალიზაცია (გამძაფრებული სოციალური დისკრიმინაცია ეთნიკურ ნიადაგზე)	41	44
გალი და სხვა ეთნიკური არააფხაზები – ბალაფშის საა-რჩვენო რესურსი	15	16
აფხაზეთის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ: გალიდან სამეგრელოსკენ	11	12
გალი – უარყოფილი შეხების ცოცხალი წერტილი ქართველებსა და აფხაზებს შორის	9	10

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი – მედიადისკუსი და პოლიტიკური სისტემა მეთოდის აღწერა მეორე თავისთვის

საკვლევი პოპულაცია: ყოველდღიური გაზეთის „24 საათი“ პროექტი „თქვენი აფხაზეთი“; ყოველდღიური გაზეთის „ახალი 7 დღე“ პროექტი „ჩემი სახლი“.

საკვლევი ტექნიკა: თვისობრივი კონტენტანალიზი ფილიპ მაიერინგის მეთოდით (Mayering, Philipp, 2003/: Qualitative Inhaltsanalyse. Grundlagen und Techniken, 8 Aufl., Weinheim, Basel).

თვისობრივი კონტენტანალიზის მეთოდის შერჩევა განაპირობა იმან, რომ ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია და წარმატებით გამოიყენება კომუნიკაციამცოდნეობაში მედიური ტექსტების კვლევისთვის. იგი სწორედ მედიური შინაარსის შესწავლისა და ანალიზისთვის შეიქმნა და დღემდე ფართოდ გამოიყენება მედიაკვლევებში. მეთოდი იძლევა საკვლევი მასალის მრავალმხრივი და ეტაპობრივი შესწავლისა და ანალიზის საშუალებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი კონტენტანალიზის ორი ტექნიკა: შეჯამება და ექსპლიკაცია.

შეჯამების პირველ ეტაპზე ხდება საკვლევი მასალის ძირითადი შეტყობინებების ისეთი გენერალიზება, რომლის შედეგადაც მიიღება აზრობრივი ერთეულები კვლევის შემდგომი ეტაპისთვის. გენერალიზების შედეგად მიღებული აზრობრივი ერთეულები წარმოაჩენენ საკვლევი მასალის შინაარსობრივ სტრუქტურას და იძლევიან ინდუქციური კატეგორიზების საშუალებას, რომლის საფუძველზეც ხდება მასალის შემდგომი დამუშავება და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციული შეფასება.

ექსპლიკაცია თავისი არსით კონტექსტუალური ანალიზია. ექსპლიკაციის ტექნიკა იძლევა განმარტებითი პარაფრაზირების საშუალებას, რაც კვლევაში დასმული საკითხების გამუქებას და დასმულ კითხვებზე პასუხების ცაცემას ემსახურება.

ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა საკვლევი საკითხების შიდატექსტური ექსპლიკაციური ანალიზი გარე წყაროების მოხმობის გარეშე.

მასალის პირველი წაკითხვისას გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც საჭიროებენ განმარტებით პარაფრაზირებას და მოინიშნა შიდატექსტუალური ექსპლიკაციური ველი. შემდეგ ეტაპზე განხორციელდა ექსპლიკაციური პარაფრაზების ჩამოყალიბება და მათ საფუძველზე საკვლევი მასალის მეორე წაკითხვა. მესამე ეტაპი დაეთმო მიღებული შედეგების სტრუქტურულ და შინაარსობრივ ანალიზს და ინტერპრეტაციულ შეფასებას.

კვლევაში ასევე გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კონტენტანალიზის ელემენტები.

ხათუნა მაისაშვილი

დაამთავრა იფანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ჟურნალისტის კვალიფიკაციით; ასევე - დიუკის (აშშ) უნივერსიტეტის დე უოტ უოლისის ჟურნალისტიკისა და საკომუნიკაციო პოლიტიკის სკოლის მიზნობრივი კურსი მონვეული სტუდენტებისთვის. იგი გახლავთ აკადემიური დოქტორი მასობრივ კომუნიკაციებში. სხვადასხვა წლებში მონვეული პროფესორის სტატუსით ასწავლიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ზელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მიმართულებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, გახლავთ ჟურნალისტი, მთარგმნელი, ავტორი კვლევისა „ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია ქართულ ბეჭდურ მედიაში. 1990-1991 წლები“, თხოთმეტი სამეცნიერო სტატიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის განმარტებითი ელექტრონული ლექსიკონისა.

მაია გოგოლაძე

დაამთავრა მიხეილ ღომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ჟურნალისტის კვალიფიკაციით და მოუსთარეს (გრემანია) ვილბელმის უნივერსიტეტი მასობრივ კომუნიკაციის მაგისტრის ხარისხით. იგი გახლავთ გაზეთ „7 დღის“ დამფუძნებელი 1991-1996 წლებში, მრავალი საავტორო ჟურნალისტური პროექტის იფანე ავტორი და განმასხორციელებელი, ჟურნალისტი, მწერალი, მთარგმნელი, მედიაგოგ, ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. სხვადასხვა წლებში იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მონვეული პროფესორი.

ლია ტოკელიაშვილი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ინტერულტრავკუნიკური ტრენის სპეციალისტის კვალიფიკაციით. იგი გახლავთ გაზეთ „ახალი 7 დღის“ დამფუძნებელი და რედაქტორი; მრავალი ჟურნალისტური პროექტის ავტორი, ზედამხედველი და განმასხორციელებელი; მწერალი, ჟურნალისტი, სცენარისტი, მედიაგოგ. ასწავლიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე.

ISBN 994106914-X



9789941069147